

რულოლფ შტაინერი

შესაქმის ბიბლიური
ისტორიის
საიდუმლოებანი

შესაქმის ექვსი დღე მოსეს I წიგნში

ციკლში შესულია ათი ლექცია და ერთი
შესავალი ლექცია

მიუნხენი, 1910 წლის 16-26 აგვისტო

GA 122

თბილისი 2017

RUDOLF STEINER

Die Geheimnisse der biblischen Schöpfungsgeschichte

Das Sechstageswerk im 1. Buch Moses

Ein Zyklus von zehn Vorträgen und ein
einleitender Vortrag

München, 16. bis 26. August 1910

GA 122

1984

RUDOLF STEINER VERLAG
DORNACH/SCHWEIZ

ქართულ ენაზე პირველად გამოდის რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლი „შესაქმის ბიბლიური ისტორიის საიდუმლოებანი“. ლექციების ციკლს ერთვის შესავალი ლექცია, რომელიც ეძღვნება დრამა-მისტერიების დადგმის ანალიზს და ქმნის განსაკუთრებულ სულიერ განწყობას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ღვთაებრივი ქმნილების ამგვარი სიღრმისეული განხილვისთვის და წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ კურსს, რაზეც იგება ბიბლიის ანთროპოსოფიული ანალიზი, დაწყებული შესაქმის წიგნიდან, აპოკალიფსამდე. მასში ნაჩვენებია, რომ სწორად წაკითხული ბიბლიის ტექსტები სრულად შეესატყვისება ნათელმხილველური კვლევის შედეგებს.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**

მთ. რედაქტორი: **ლ. მესხია**

რედაქტორი: **ხ. ნაჭყებია**

მხატვარი: **გ. ბუღაძე**

ფოტოგრაფი: **გ. წიბახაშვილი**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**

Redaktion: **L. Mesxia, X. Natskhebia**

Maler: **Gia Bughadze**

Fotograf: **G. Tzibaxaschvili**

ასოციაცია „კოგიტო“
Assoziation „Cogito“

თარგმანი შესრულებულია 1984 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

GA 122

ბარეკანი: გია ბუღაძის ნახატი – „მისტერია“

შინაარსი

პირველი ლექცია, მიუნხენი, 1910 წ. 16 აგვისტო . . . 7
შესავალი.

შიურეს „ლუციფერის შვილები“ და „დიადი ხელდასხმულები“. მადლიერების სიტყვები თანამშრომლებსა და კოლეგებს როზენკროიციკრული მისტერიის – „ხელდასხმის კარიბჭე“, წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელიც წინ უძღოდა ლექციების მოცემულ ციკლს. შეხედულება სხენებულ წარმოდგენაზე, როგორც მცდელობა სულიერი სიმაღლეებისკენ გზის სანიმუშოდ გადმოცემისა.

მეორე ლექცია, 1910 წ. 17 აგვისტო 25
წინარე სიტყვის მისტერია.

ბიბლიის შესავალი სიტყვები: B'reschit bara elohim et haschamajim w'et ha'arez. ძველებრაული ენის შემოქმედი ძალა და მისი წერილობითი ნიშნების გამოცხადება. ამ წინარე სიტყვის განმარტება: ელოპიმების ჩანაფიქრი ელემენტარული საფარვლის ქსოვაში – გარეგნული გახსნისა და შინაგანი იმპულსურობის მიმართულებით.

მესამე ლექცია, 1910 წ. 18 აგვისტო 39
Ha'arez und Haschamajim.

„ჰამაჯიმი“ თავისი ხასიათით წარმოდგენაა, „ჰარეცი“ კი ვნება ანუ ნებელობაა. „tohu wabohu, ტოჰუ ვაბოჰუ“-ს მდგომარეობა. ელოპიმები. მზის გამოყოფა დედამიწისგან. „ჰამაჯიმი“-ის გამოყოფა, როგორც სულიერი სინათლის, ბგერისა და მეტყველების წარმოქმნა „ჰარეცი“-საგან, სხეულებრივის, გაზისებრის, წყლოვანისა და მიწიერის. ადამიანური გეშტალტის წარმოქმნა ბგერისებრისგან.

მეოთხე ლექცია, 1910 წ. 19 აგვისტო. 56
შესაქმის შვიდი დღე.

შესაქმის ექვსი დღე, როგორც ახალი გამოღვიძება დედამიწის გარდასული პლანეტარული მდგომარეობებისა, სხივოსნის გარღვევა. წყლოვანის, გაზისებრისა და სითბურის ურთიერთგანმსჭვალვის გახლეჩა ჰერისმაგვარად და თხევადად. მყარის გამოყოფა თხევადისაგან. გარე კოსმიური ძალების შეზრდა მიწიერ ყოფიერებასთან. ანიმალური საწყისის გამოიმუშავება ჰაერსა და წყალში.

მეხუთე ლექცია, 1910 წლის 20 აგვისტო 72

ელოჰიმები, საკუთარ ხატად და მსგავსად არსებათა შემოქმედნი. ეონები, ანუ დროის სულები. შესაქმის პირველი სამი დღე, როგორც სინატიფის (სინათლე, ბგერა, სასიცოცხლო ეთერი) პროცესებისა და გამკვერივების (ჰაერი, წყალი, მიწა) პროცესების განვითარება, გამომდინარე სითბოს შუალედური მდგომარეობებიდან. ეს მდგომარეობები არის მშენიანი-სულიერი არსებების გამოცხადების ნიშანი. ელოჰიმები რანგებზე იერარქიულ ტაბულაში: ფორმის სულები. არქეები, ანუ პიროვნების სულები, როგორც ელოჰიმების მსახურნი. „დღე პირველი“: დროის ნამდვილი პირველი სულის დასაწყისი.

მეექვსე ლექცია, 1910 წ. 21 აგვისტო 85

სინათლე და სიბნელე. Jom und Laj'lah.

სინათლე და სიბნელე, როგორც ორი საპირისპირო პრინციპი. წინ წასული არქეები (jom) ვლინდებიან, როგორც ელოჰიმების თანაშემწეები სინათლეში, ჩამორჩენილი არქეები (Laj'lah) კი თავს ავლენენ, როგორც სიბნელე. ღვიძილისა და ძილის მონაცვლეობა, როგორც ნგრევისა და შექმნის პროცესები მათ კავშირში მზისა (jom) და სატურნის (Laj'lah) არსებებთან. იერარქიების მოღვაწეობა და მათი გამოვლენა შესაქმის ისტორიაში.

მეშვიდე ლექცია, 1910 წ. 22 აგვისტო 103

სტიქიების ყოფიერება და მათ მიღმა დაფარული მოღვაწეობა სულიერი არსებებისა. იაჰვე-ელოჰიმი.

იერარქიული მოღვაწეობის გამოვლინებები დედამიწის შიგნით. ნების სულები, ანუ Throne – მიწიერში; სიბრძნის სულები ანუ Kyriotetes – წყლოვანში. მოძრაობის სულები ანუ Dynamis – ჰაერის ელემენტში. ფორმის სულები, ანუ Exusiai (ელოჰიმები) – სითბურ ელემენტში. დედამიწის გარემოცვაში: ქერუბიმები – ღრუბლების წარმონაქმნებში, სერაფიმები – ელვასა და ჭექა-ქუხილში. იაჰვე-ელოჰიმი ტოლია შვიდი ელოჰიმისა, განვითარებული საყოველთაობამდე.

მერვე ლექცია, 1910 წ. 23 აგვისტო 122

შესაქმის პირველი და მეორე დღის კომპოზიცია. ელემენტარული ყოფიერების მუშაობა ადამიანის ორგანოებზე.

ხატ-სახეები ძველი მთვარიდან. საგნობრივი ცნობიერება, როგორც სპეციფიკური მიწიერი იერარქიების ცნობიერება ძველ მთვარეზე და დედამიწაზე. ელოჰიმების ქმედებები და ცნობიერება შესაქმის პირველ დღეს ყოფიერების წიგნში.

მეცხრე ლექცია, 1910 წ. 24 აგვისტო 138
ადამიანის ჩამოყალიბების მიმოხილვა სამყაროს შექმნის მექანიზმებზე.

ადამიანი, როგორც ქმნილების პირველი. მისი სულიერ-მშენებლის ადამიანი განვითარება შესაქმნის პირველ სუთ დღეში: შერჩევათა სამშენებელი – პირველ დღეს, მისი წინსვლა განსჯით, ანუ ხასიათის სამშენებლისკენ – მეორე დღეს, ცნობიერი სამშენებლისკენ – ქმნილების მესამე დღეს, ასტრალური სითბოთი შემოსვა მეოთხე დღეს და ეთერული სითბოთი შემოსვა – შესაქმნის მეხუთე დღეს. ფიზიკური ადამიანის (სითბური არსების სახით) განვითარება შესაქმნის მეექვსე დღეს. მიწიერი გარემოცვიდან ადამიანის გადმოსვლა ლუციფერული ზეგავლენის მეშვეობით. შემდგომი გამკვრივება თხევადისკენ, მიწიერისკენ და სხეულებრივი ადამიანის წარმოქმნა.

მეათე ლექცია, 1910 წ. 25 აგვისტო 156
მთვარისეული ადამიანი.

მზის გამოყოფა დედამიწისგან. ადამიანური სამშენებლების სულთა გადასვლა პლანეტებზე უკანასკნელი წყვილის – ადამისა და ევას ჩათვლით. მთვარის გამოყოფა დედამიწისგან. ადამიანური სამშენებლების სულთა დაბრუნება. შესაქმნის წიგნის თანახმიანობა „იღუმალთმეტყველების ნარკვევში“ მოყვანილ ფაქტებთან. მთვარისეული დედამიწისა და ადამიანი. მთვარის კოსმიური სუბსტანციურობა და ადამიანის დამოუკიდებლობა. მიწიერი მატერიის მომავალი გაფანტვა მთვარის ძალების წყალობით. მთვარისმაგვარი მიწიერი მტვრის აღბეჭდვა ადამიანის სხეულებრიობაში იაჰვე-ელოჰიმის მეშვეობით.

მეთერთმეტე ლექცია, 1910 წ. 26 აგვისტო 173
ბიბლიისა და ნათელმხილველური კვლევის თანახმიანობა.

მამაკაცურ-ქალური ადამიანის შექმნა შესაქმნის მეექვსე დღეს. შესაქმნის მეექვსე დღე დროის მიხედვით ემთხვევა ლემურიის ეპოქას, რომელიც აღწერილია „იღუმალთმეტყველების ნარკვევში“. „მე“-ბუნების აღბეჭდვა იაჰვე-ელოჰიმის წყალობით. დიფერენციაცია გამკვრივებულ ფიზიკურ სხეულად გარეთ და ნატიფ ეთერულ სხეულად შიგნით. „დასვენების“ მეშვიდე დღის აზრი: ელოჰიმების აღმასვლა იაჰვე-ელოჰიმისკენ. ლემურიული ეპოქის ელოჰიმის ეთერული ადამიანიდან გადასვლა იაჰვეს ფიზიკური ადამიანისკენ ატლანტიდის ეპოქაში. ამ უკანასკნელით ადამიანი გადმოდის სულიერიდან ფიზიკურში.

ჩვენ გველოდება ლექციების უმნიშვნელოვანესი ციკლი და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ასეთ ციკლს შეგვიძლია მხოლოდ ახლა შევუდგეთ, მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში ვიმუშავეთ სულისმცნიერულ ასპარეზზე. ასევე საჭიროა დავამატოთ, რომ ის დიადი იდეები, რომლებსაც მომდევნო დღეებში შევეხებით, გარკვეულწილად, ითხოვენ ისეთ განწყობას, რომლებიც მივიღეთ ბოლო ორი დღის განმავლობაში განხილული წარმოდგენებისაგან. ამ წარმოდგენებს ჩვენს გულებში უნდა გამოეწვია ისეთი განწყობა, იმგვარი გრძნობები, რომლებიც აუცილებელია, რათა ის, რაც გვხვდება *ანთროპოსოფიის** სფეროში, განიმსჭვალოს ჭეშმარიტი სითბოთი და გულითადობით.

უკვე არაერთხელ მივუთითეთ იმაზე, რომ ჩვენს სფეროში შემხვედრ იდეებს, განყენებულ აზრებს ზემოქმედების მთელი თავიანთი ენერჯიის გამოვლენა ჩვენს სამშინველში მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა ისინი ჩაეფლობიან განცდების ამ თბილ გულითადობაში. ის საშუალებას აძლევს ჩვენს სამშინველს პირველად შეიგრძნოს, რომ ანთროპოსოფიული იდეების წყალობით ჩვენ მივეახლებით ყოფიერების იმ სფეროს, რომლისკენაც საჭიროა არა მარტო შემეცნებითი სწრაფვა, არამედ გულითადი მოპყრობაც, რასთან მიმართებაშიც უნდა გვქონდეს ის განწყობა, რომელიც შეიძლება აღინიშნოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც სიწმიდის განწყობა. შესაძლოა, მეც კი არ მქონდა წლების განმავლობაში გულში ის, რაც მაქვს სწორედ ახლა, როცა ვიწყებ ლექციების ამ ციკლს, რომელზეც არცთუ უსაფუძვლოდ შეიძლება ითქვას, რომ ის შემართულია რამდენადმე მიაახლოოს ადამიანური აზრი იმასთან, რაც ათასწლეულების განმავლობაში წინარე სიტყვის სახით მსჭვალავდა ადამიანთა გულებს და აგულიანებდა ადამიანთა ტვინებს; და რომ, ის შემართულია ადამიანის აზრი და გული მიაპყროს იმისკენ, რაც შეიძლება მას მიეცეს, რაც შეიძლება მის მიერ იყოს განცდილი, როგორც ყველაზე მაღალი, ყველაზე გასაოცარი – მისივე საკუთარი წარმოშობის სიდიადე.

ლექციების ამ ციკლის დაწყებამდე თავს ნებას მივცემ, – წინა ორი დღის გავლის შემდეგ, – შევეხო რაღაც ანთროპოსოფიულად არაფორმალურს, სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩვენ უკვე მომზადებული ვიყავით მოცემული ციკლისთვის. *ლექციების წინა ციკლის** უკვე დასაწყისშივე მე შემეძლო მიმეთითებინა იმ სიმბოლურ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს სწორედ მიუნხენის წარმოდგენებს ჩვენი ანთროპოსოფიული ცხოვრებისთვის, ასევე – მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ იმის ხელშეწყობაზე, რასაც წმინდა ანთროპოსოფიული თვალსაზრისით შეგვიძლია ვუწოდოთ მოთმინება და უნარი, რომ დაველოდებოდით მანამ, სანამ ჩვენი ძალები მომწიფდებოდა გარკვეული მუშაობისთვის. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენ მიერ განხორციელებული და ამ წელს გამეორებული დრამის „*ლუციფერის შვილები*“* დასადგმელად, აუცილებელი იყო, მოთმინებით მომზადება მთელი შვიდი წლის განმავლობაში. ამ წარმოდგენას უნდა წამძღვარებოდა შვიდწლიანი მუშაობა ანთროპოსოფიულ სარბიელზე. შარშან მე ვახსენე, რომ ჩვენი ბერლინის სექციის დაფუძნებისას *წავიკითხე ლექცია** ამ დრამასთან – „ლუციფერის შვილები“, დაკავშირებით, ხოლო მისი სცენაზე განხორციელება მომავლის იდეალის სახით სამშინველის წინაშე ჯერ კიდევ მხოლოდ ჰაერში იყო გამოკიდებული. შვიდწლიანი ანთროპოსოფიული მუშაობის შემდეგ ეს მოვახერხეთ და ამაში შეგვიძლია, დავინახოთ რაღაც ეტაპი ჩვენს ანთროპოსოფიულ ცხოვრებაში. ჩვენ გველოდა, ჩვენი ძვირფასი მეგობრების სულიერი მზერის წინაშე წარმოგვედგინა ანთროპოსოფიული ცხოვრებისა და აზრის მხატვრული აღდგენა. ჭეშმარიტად, ჩვენ ვართ ანთროპოსოფიულ დონეზე, როცა ასეთ წუთებში შევიგრძნობთ, როგორ გადმოგვეცემა და იღვრება ჩვენში ანთროპოსოფიული ცხოვრება. „ლუციფერის შვილების“ ავტორმა, – შარშანდელი ლექციების ციკლის დროს ჩვენ გვქონდა ბედნიერება დავსწრებოდით მისი ამ დრამის პირველ წარმოდგენას, – რომლის აქ ყოფნაც ამჟამად ესოდენ გვახარებს, თავის გამოჩენილ ნაშრომში „*დიადი ხელდასხმულები*“* შექმნა იდეების ისეთი გასაოცარი შეხამება, რომლის ზემოქმედებასაც თანამედროვე აზრსა და სულზე ჭეშმარიტი აზრით მხოლოდ მომავალი შეაფასებს.

თქვენ ალბათ ძალიან გაგიკვირდებოდათ, თუ ცნობილი სულიერი ფაქტებისა და წარსულის სულიერი შრომების თანამედროვე შეფასებას შეადარებდით იმ შეფასებას, რომელიც არსებობდა იმდროინდელი თანამედროვეების გონებაში. ძალზე იოლია საკუთარი მსჯელობა გოეთესთან, შექსპირთან ან დანტესთან მიმართებით აგერიოს იმასთან, რაც უკავშირდება იმას, რომ მათ თანამედროვეებს შეეძლოთ განეჭვრიტათ და მზერით მოეცვათ ის სულიერი ძალები, რომლებიც თავის განსხეულებას ნახულობდნენ ისეთი პიროვნებების მეშვეობით, რომლებიც იდგნენ ადამიანური სულის ავანგარდში, და ჩვენ, როგორც ანთროპოსოფოსებმა, განსაკუთრებით უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველაზე ძნელია მსჯელობა კაცობრიობისთვის იმის მნიშვნელობაზე, როგორ ზემოქმედებს სამშვინველებზე ჩვენთან მცხოვრები თანამედროვეების სულიერი შრომა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალი დრო სრულებითაც არ იმსჯელებს ისე, როგორც აწმყო, მაშინ შესაძლებელია ითქვას, რომ „დიადი ხელდასხმულების“ გამოჩენა ჩვენი დროის სულიერი სიმდიდრისა და სულიერი გარღვევისთვის ოდესმე ძალზე მნიშვნელოვნად ჩაითვლება. უკვე დღესაც თანამედროვე კულტურის ფართო წრეებში სამშვინველებში ისმის გამოძახილი, გამოდევნილებული სწორედ იმით, რომ ამ იდეებმა უკვე დაივიწყა უამრავი ჩვენი თანამედროვის გულში. ეს გამოძახილი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი თანამედროვეებისთვის, ვინაიდან აწმყოს უამრავ რამეს მათ, ვისთვისაც ის ნიშნავს დამაჯერებლობას ცხოვრებაში, ნუგეშს, სიმტკიცეს და იმედს ყოფითი ბრძოლის ყველაზე მძიმე წუთებში. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ საჭირო სახით შევძლებთ, გავიხაროთ თანამედროვეობის ასეთი უდიდესი ქმედებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს გულში ფეთქავს უფრო მაღალი დონის ანთროპოსოფიული განწყობა და ჭეშმარიტი ანთროპოსოფიული გრძნობა. ამავე მშვინვეიერი სიღრმიდან, რომელმაც დაბადა „უდიდესი ხელდასხმულების“ იდეები, შეიქმნა და ჩამოყალიბდა „ლუციფერის შვილების“ სურათ-ხატები. ისინი ჩვენ წინაშე ხატავენ კაცობრიობის დიად დროს, როცა სამყაროს ჩამოყალიბებაში ძველი, ჭკნობადი ეჯახება ახალს, აყვავებადს. ამიტომ, ანთროპოსოფებს მართებთ, გაიგონ, როგორ იყრის თავს ამ დრამაში ორგვარი რამ: ადამიანური ცხოვრე-

ბა, მუშაობა და ქმედება ფიზიკურ პლანზე, როგორ არის ისინი წარმოდგენილი „ლუციფერის შვილებში“ სურათ-ხატების მეშვეობით, ხოლო ამ ცხოვრებაში, ამ მუშაობაში ანათებს ის, რასაც ვუწოდებთ გასხივოსნებას ზენა სამყაროებიდან. ჩვენ შეგვიძლია მოვნიშნოთ გარკვეული ეტაპი ჩვენს ანთროპოსოფიულ მოძრაობაში სწორედ ასეთი დრამის სცენაზე დადგმით, სადაც იხატება არა მარტო ის, როგორ არის განფესვილი გულში და თავში ადამიანის სწრაფვები და ძალები, არამედ ისიც, როგორ იჭრებიან მათში ინსპირაციები მისტერიათა წმინდა ტაძრებიდან, როგორ აღაფრთოვანებენ ადამიანთა გულებს უხილავი ძალები, ამასთან ხილული ხდება ზეგრძობადი სამყაროებისა და ჩვენი გრძობადი სამყაროს გადაჯაჭვა.

ლექციების ამ ციკლის დასაწყისში მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ამ ყველაფერში – ესაა, ვიპოვოთ გულები, რომლებიც მზად არიან ასეთი ნაწარმოების აღქმისთვის. ჩვენი დროის უდიდესი შეცდომაა, როცა მიაჩნიათ, რომ საკმარისია, შეიქმნას საგანი, რომ მან აწარმოოს თავისი მოქმედება. საქმე სრულებითაც არაა ის, რომ არსებობს რაფაელის ან მიქელანჯელოს დიადი ქმნილებები, არამედ ისაა, რომ არსებობს გულები და სამშენიველები, რომლებშიც ცოცხლდება ამ ნაწარმოებების მშენიერება. რაფაელი და მიქელანჯელო მხოლოდ თავისთვის არ ქმნიდნენ, არამედ – თავისი დროის კულტურული პარადიგმის ფარგლებში, რომ სწორედ თანამედროვეთა შესაძლებლობის დონეზე აღექვათ ის, რასაც ისინი ტილოზე აღბეჭდავდნენ. ჩვენი თანამედროვე კულტურა ქაოტურია, მასში გაბატონებულია გემოვნების სიჭრელე. ასეთ კულტურაზე ადამიანური გენიის უდიადესი ქმნილებების მოქმედება გულებს ვერ აატოკებს. ჩვენი ანთროპოსოფიული მოძრაობის თავისებურება უნდა იყოს ის, რომ ჩვენს წრეში ცხოვრობს ემოციისა და აზრის ერთიანი ტალღა, ამიტომაც შესაძლებელია საერთო აღფრთოვანება. სცენაზე თამაშდება დრამა სურათ-ხატებში, მაყურებელთა გულებში კი – დრამა, რომლის ძალაც ეკუთვნის დროის ნაკადს; რასაც განიცდის ყოველი გული მაყურებელთა დარბაზში და რაც ფესვგადგმულია მასში, ეს არის მომავლის ჩანასახი. ძვირფასო მეგობრებო, ჩვენც შევეცადოთ, ვიგრძნოთ ეს ყოველივე, შევეცადოთ, ვიგ-

რძნოთ არა მარტო კმაყოფილება, რაც ცხადია, უმნიშვნელოა, არამედ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ამით თავის თავზე ვიდებთ და რომელიც გვეუბნება: იყავით მაგალითი მომავლისთვის, როცა კულტურა აუცილებლად განიმსჭვალება ცნობიერებით, რომ აქ, ფიზიკურ პლანზე, ადამიანი არის შუამავალი ფიზიკურ ქმედებებს, ფიზიკურ ჩამოყალიბებასა და იმას შორის, რაც შეიძლება მხოლოდ მისი მეშვეობით გადმოიდგაროს ზეგრძნობადი სამყაროებიდან ჩვენს ამ ხილულ სამყაროში.

ამით ჩვენ, თითქოსდა, პირველად ვხდებით ერთიანი სულიერი ოჯახი, წარმართული საერთო მამობრივი პირველსაწყისით, რომელიც ცხოვრობს ჩვენს გულებში – აი, რის დახასიათებას შევეცადე მე ახლა. თუ ამ აზრით აღვიქვამთ გულითა და მთელი ჩვენი სამშინველით ყოველივე ჩვენ მიერ განცდილს, აღვიქვამთ ერთიანი ანთროპოსოფიული ოჯახის კუთვნილების სახით, მაშინ შევიგრძნობთ ნამდვილ ბედნიერებას და შინაგანი კმაყოფილებით განვჭვრეტთ „ლუციფერის შვილების“ ავტორს არა მარტო ორი თეატრალური წარმოდგენის დროს, არამედ მთელი მომდევნო დღეების განმავლობაში.

მიიღეთ ეს ისე, რომ რეალურად იგრძნოთ: თანამედროვეობის სასიცოცხლო ანთროპოსოფიული ძალები ცხოვრობს იმ წრეში, რომლისგანაც შეიძლება მომდინარეობდეს ბოლო დღეებში საკუთარი სამშინველების წინაშე დაყენებული.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემთვის უკვე შარშანაც სასიამოვნო მოვალეობა იყო მიმეთითებინა სწორედ ჩვენი მუშაობის არენაზე, სადაც მოვახერხეთ ანთროპოსოფიული მოღვაწეობის ასეთი ეტაპის მიღწევა. მე ვამბობ, ჩემთვის სასიამოვნო მოვალეობა იყო და მე განსაკუთრებულად ხაზს ვუსვამ სიტყვას „სასიამოვნო“ და გთხოვთ, სიტყვა „მოვალეობა“ არ გაიგოთ ტრივიალური აზრით: ჩემთვის ახლაც სასიამოვნო მოვალეობაა, მივუთითო იმაზე, რომ არა მარტო გულმოდგინებით, არამედ სრული თვითშეწირვით, მთელი საკუთარი ძალების მიძღვნით შრომობდნენ ჩვენი მეგობრები, რათა განეხორციელებინათ ჩვენი ანთროპოსოფიული ღონისძიებები.

ვინც მაყურებლის სახით უყურებს ასეთ წარმოდგენებს, შესაძლოა, ყოველთვის ანგარიშს არ უწევს იმას, რამდენად

დიდი დროა საჭირო, რომ წარმოადგინო სცენაზე ის, რაც მოკლე დროში გაირბენს მისი მხერის წინაშე. მართლაც, სამუშაო ბევრი იყო, სამაგიეროდ მისი მეგობრული და ჰარმონიული შესრულებით ჩვენი მეგობრების მიერ, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ – საერთო საქმის წარმატება, ეს შრომა შეიძლებოდა სანიმუშო ყოფილიყო არა მარტო ანთროპოსოფიული მოღვაწეობისთვის, არამედ ნებისმიერი სხვა საქმიანობისთვისაც, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჭეშმარიტ ანთროპოსოფიულ განწყობას ეზიზღება ყველაფერი, რაც მბრძანებლობას ჰგავს. აქ წარმატება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ყველა თანამშრომელი მზადაა, ემსახუროს საერთო საქმეს მთელი თავისი გულით; წარმატებაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული სრულიად სხვა სახით, ვიდრე ნებისმიერ სხვა მსგავს მხატვრულ სარბიელზე. საქმისადმი ასეთი სრული მიძღვნა გრძელდებოდა არა მარტო რამდენიმე კვირის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა დრამის დადგმას სცენაზე, არამედ ეს გულითადი მუშაობა გრძელდებოდა წლების განმავლობაში. რამდენადაც ჩვენ ამ სცენისთვის შევიკრიბეთ სხვადასხვა ქვეყნიდან და ანთროპოსოფების გაცნობა შეუძლებელია იყოს მხოლოდ რამდენიმე სიტყვის გაზიარება ერთმანეთში, არამედ საჭიროა იყოს ისეთი ინტიმური, რომ მათ იცოდნენ, რა არის ყოველი მათგანისთვის ძვირფასი და წმინდა ერთობლივ მუშაობაში, ამიტომაც ხმამაღლა ვიტყვი, ამ შემთხვევაში, როგორი შეუპოვრობით წარმოებდა აქ მუშაობა წლების განმავლობაში, რომ გარკვეული მომენტისთვის გაერთიანებულიყო ყოველივე აუცილებელი ისეთი ანთროპოსოფიული სამუშაოს რეალიზაციისთვის, რომლის განხორციელებაც ბოლო დღეებში მოვახერხეთ. არა მარტო გარეგნული გარემოებები, არამედ გულითადი ღტოლვა მიბიძგებს, ამ მომენტში მივუთითო ჩვენი მეგობრების თავდადებულ მუშაობაზე, რომლის წყალობითაც ჩვენთვის შესაძლებელი გახდა ამ წარმოდგენის ნახვა. გარწმუნებთ: ეს შესაძლებელი გახდა სწორედ ამ თავდადებული მუშაობის წყალობით.

მე უკვე ვთქვი, რომ განზრახული მაქვს ამ ლექციების ციკლის დაწყება თავისებური სახის, ჩვენთვის ყველასთვის მახლობელი მომენტების ვიწრო წრეში განხილვით. უპირველეს ყოვლისა, მსურს, გავიხსენო ის მრავალწლიანი

თავგანწირული შრომა, რომელსაც მიზნის სრული გაცნობიერებითა და ჩვენს ანთროპოსოფიულ მუშაობასთან სრულ შესაბამისობაში ეწეოდა ორი ქალბატონი. უკვე მრავალი წელია, ქნი *სოფია შტინდელ** და გრაფინია *კალკრაიტი** მთელ თავიანთ ძალას უძღვნიან ანთროპოსოფიულ მუშაობას. ჩემთვის ყველაზე უკეთ არის ცნობილი, რომ მხოლოდ ამ თავგანწირულმა, მიზანმიმართულმა, ანთროპოსოფიულ იმპულსებზე შინაგანი განწყობით მუშაობამ შეგვამძლეებინა, ყველასთვის სასიამოვნოდ, განგვეხორციელებინა ის, რაც განვახორციელეთ. ამიტომ თქვენ მიხედვებით, რომ ამ სიტყვებს გულითადად ვამბობ და მადლიერებით ვარ აღვსილი ჩვენი ორი მიუნხენელი თანამშრომლისადმი. ამას ერთვის თავდაუზოგავი შრომა იმ მეგობრების, რომლებიც თავგანწირვით, ასე ვთქვათ, მთელი ძალებით იყვნენ ჩართული კვირეების განმავლობაში ამ მუშაობაში.

გუშინ ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედინა თქვენ წინაშე *მხატვრულ სურათში** გზა მწვერვალებისკენ, სადაც ადამიანს შეუძლია ჩასწვდეს იმას, რამაც უნდა განმსჭვალოს ანთროპოსოფიული განვითარება, რისი განცდაც მართებს ყველას, ვინც სწავლობს ადამიანის სამშენიველს. ლექციების ამ ციკლის მსვლელობისას არაერთხელ მოგვიწვეს, შევეხოთ იმ ყველაფერს, რამაც გუშინ ჩვენი სულიერი მზერის წინაშე გაიარა. საჭირო იყო, თქვენთვის გვეჩვენებინა ცხოვრება იმ ადამიანისა, ვინც ისწრაფვის სულიერი შემეცნებისკენ; გვეჩვენებინა, როგორ ამოიზრდება იგი ფიზიკური პლანნიდან; როგორ ხორციელდება აქ, ფიზიკურ პლანზე, ყველაფერი მის გარშემო და ის, რაც სხვას შეიძლება სრულიად ჩვეულებრივად მოსჩვენებოდა, მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სულის გამომცდელის სამშენიველი უნდა ამოიზარდოს სწორედ ფიზიკური პლანის მოვლენების საფუძველზე. შემდეგ საჭირო იყო, გვეჩვენებინა, რა უნდა განეცადა ამ სამშენიველს შინაგანად, როცა მასში იღვრებოდა ყოველივე ის, რაც თამაშდება ჩვენ გარშემო, როგორც ადამიანის ბედნიერება, ტანჯვა და სიხარული, ცდუნება და სწრაფვა, როგორ შეიძლება ეს სამშენიველი იყოს გათვლილი და განადგურებული, როგორ შეიძლება სიბრძნის ძალა გამოვლინდეს მასში ამ ტანჯვის მეშვეობით და როგორ მიეახლება მას პირველად უდიდესი ილუზიები სწორედ იმ მო-

მენტში, როცა ადამიანი ფიქრობს, რომ გარკვეულწილად გა-
უცხოვდა ამ გრძნობადი სამყაროს მიმართ.

ღიას, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სიტყვებით „სამყარო
არის მაია, ანუ ილუზია“, ან „შემეცნების მეშვეობით ჩვენ
ვადწევთ ჭეშმარიტებას“, ძალზე ბევრი რამ და ამავე დროს
მაინც ძალიან ცოტა ითქმება; ვინაიდან ის, რასაც ამით ამ-
ტყვიცებენ, თითოეულმა საკუთარი ინდივიდუალური წყობის
შესაბამისად თავისებურად უნდა განიცადოს. ამიტომაც ის,
რაც სამართლიანია, როგორც ზოგადი წესი, შეიძლება
მშვიდგონებურად სისხლსავსედ წარმოედგინათ მხოლოდ ცალკე-
ული ინდივიდუალობების განცდებში. ამიტომ, არ შეიძლება
და ეჩვენებინათ, როგორ მიდის თითოეული ადამიანი ხელ-
დასხმამდე, მაგრამ აუცილებელი იყო, წარმოედგინათ, რო-
გორ შეიძლება კონკრეტული ინდივიდუალობა, იოანნეს ტო-
მაზიუსი (Johannes Thomasius), თავისი პირობების შესაბამისად
მიეხლოს ხელდასხმის კარიბჭეს. სრულიად არასწორი იქნე-
ბოდა ვარაუდი იმისა, რომ სცენა ოთახში მედიტაციისთვის
და მარიამის ამადლება ფიზიკური სხეულიდან დევახანაში
წარმოადგენს საყოველთაო მოვლენას. ეს გამოცხადება თუ
მოვლენა სრულიად რეალურია, სულიერად – რეალური. მაგ-
რამ ეს არის მოვლენა, რომლის წყალობითაც სწორედ ისეთ
პიროვნებას, როგორიცაა იოჰანნეს ტომაზიუსი, უნდა მიეღო
იმპულსი სულიერ სამყაროში ამადლებისთვის.

მე ვისურვებდი თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მი-
მეპყრო სწორედ იმ მომენტზე, როცა სამშვიდგონებელმა, არსები-
თად, უკვე იპოვა თავის თავში ძალა, იყოს თავისუფალი
ჩვეულებრივი ილუზიისაგან, ვინაიდან მხოლოდ მაშინ ხე-
ლექიფება მას პირველად შეხვდეს ღიად ილუზიებს. უბრა-
ლოდ გაითვალისწინეთ, რომ იოანნეს ტომაზიუსი ვერ შეძ-
ლებდა გაეგო, – თუმცა ის ამას ნახევრად არაცნობიერად,
აღლოთი აკეთებს, – რომ იმ პიროვნებაში, რომელიც დარჩა
მედიტაციის ოთახში და წყველიდა იეროფანტს, მეტად აღარ
იყო დავანებული ინდივიდუალობა, რომლის მიყოლაც მას
მართებს. გაითვალისწინეთ, რომ იეროფანტი ან თვით იო-
ანნეს ტომაზიუსიც წამიერად შეიძლება ამით შეცბუნებუ-
ლიყვნენ, მაშინ შემეცნების გზის გაგრძელების შესაძლებ-
ლობა იოანეს ტომაზიუსისთვის გადაიდებოდა გაურკვეველი
დროით. მაშინ ყველაფერი დამთავრდებოდა და არა მარტო

იოჰანესისთვის, არამედ ეროფანტისთვისაც, თუ მას ამ მომენტში არ შეეძლებოდა, იოანეს ტომაზიუსში გაეხსნა მძლავრი ძალები, რომელთაც ხელეწიფებათ დაბრკოლების გადალახვა. ეროფანტს უარი უნდა ეთქვა საკუთარ როლზე და აღმასვლა იოჰანესისთვის გადაიდებოდა გაურკვეველი დროით. თქვენ თუ შეეცდებით წარმოდგინოთ სცენები, რომლებიც წინ უსწრებდნენ სწორედ ამ მომენტს და გრძნობები, რომლებიც განვითარდა იოანეს ტომაზიუსის სამშენიველში, ის თავისებური ტანჯვები და განსაკუთრებული სახის განცდები, რომლებიც მას შეემთხვა, მაშინ თქვენ, შეიძლება, დაასკვნათ, რომ სიბრძნის ძალა არის მასში, – თვით მისი ნებართვის გარეშე, – იგი გაიზარდა იმ დონეზე, რომ მას ხელეწიფებოდა ამ მძიმე დარტყმის გადატანა. ყველა ეს განცდა, რომელიც სამშენიველში თამაშდება ყოველგვარი ხილვის გარეშე, წინ უნდა უსწრებდეს იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ მართებული სახით შეგვიძლია სულიერი მზერით განვჭვრიტოთ, – თავიდან სურათ-ხატებში, – ის, რაც ობიექტურად წარმოაჩენს სამშენიველის წინაშე სულიერ სამყაროს. ეს წარმოჩნდება ჩვენ წინაშე მომდევნო სცენებში. თავიდან ტკივილი მსჭვალავს მთელ ადამიანს: ეს არის იმპულსის ძალა, რომელიც ხდება იმის გამო, რომ ის უპირისპირდებოდა უდიდეს ილუზიას. ეს ყოველივე გაიშლება მშენივერ ენერგიაში, რომელიც შეიძლება ითქვას, ჩვენს ხედვას გარდაქმნის ისე, რომ ადრე განცდილი მხოლოდ სუბიექტურად წარმოჩნდება სამშენიველის წინაშე ობიექტურის დახმარებით.

ყველაფერი, რაც თამაშდება ჩვენ წინაშე მომდევნო სცენებში, რაც სულიერ-რეალისტური სახით წარმოვადგინეთ – ხატავს სულიერ სამყაროში თანდათანობით შეზრდილ ადამიანს, როგორც მისივე საკუთარი პირველადი მშენივერი განცდების გარეგნულ ანასახს და ისინი ჭეშმარიტია, თუმცა თავად განმცდელს ჯერ კიდევ არ შეუძლია უეჭველად იცოდეს, მთელ ამ ანასახში რამდენი არის ჭეშმარიტისგან. აქ, უპირველეს ყოვლისა, იხსნება ის, რომ დრო, რომელშიც ვცხოვრობთ ჩვენი გარეგნული გრძნობებით, თავის მიზეზ-შედეგობრიობასთან მიმართებაში ყველგან რაღაც სხვას ეხება. აქ მზერას ეხსნება არა მარტო ვიწრო ფრაგმენტი, რომელიც აჩვენებს ჩვენი გარე გრძნო-

ბების სამყაროს, არამედ აქ იწევს იმის წვდომას, რომ ყველაფერი, რაც აღიქმება გრძნობადი თვალებით, მხოლოდ სულიერის გამოხატულებაა. ამიტომაც, იოანნეს ტომაზიუსი თავისი სულიერი მზერით ხედავს იმას, ვისაც თავიდან ხვდებოდა ფიზიკურ პლანზე, – კაპეზიუსს, – თუმცა არა ისეთს, როგორცაა ის ახლა, არამედ როგორც იყო იგი ათწლეულებით ადრე; იგი ხედავს მას ახალგაზრდა ადამიანად; ხოლო სხვას, შტრადერს, იგი ხედავს არა აწმყოს იერში, არამედ წინასწარმეტყველურად ისეთს, როგორც იქნება მომავალში, ცხადია, თუ აწმყოს შესაბამისად განვითარდება. ჩვენ მიერ ნამდვილად განცდილ მომენტს მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით, თუ შევძლებთ იგი განვავრცოთ აწმყოს ფარგლებს მიღმა წარსულსა და მომავალში. მაშინ ჩვენ ვხვდებით იმ სამყაროს, რომელშიც აწმყოს ყველა მოვლენა გაერთიანებულია სულიერი ძაფებით სულიერ სამყაროსთან, რომელთანაც ადამიანი მუდმივად მჭიდრო კავშირში იმყოფება, თუმცა მას თავისი გარეგნული გრძნობებით არ ძალუძს ამის განჭვრეტა და საკუთარი გარეგნული ფიზიკური განსჯით მისი წვდომა.

იმ სცენაში, სადაც ახალგაზრდა კაპეზიუსი გრძნობადი სამყაროსთვის სრულიად დასაშვები გულითადი ლტოლვების საფუძველზე ავითარებს საკუთარ იდეალებს, – რომელთა თავისებურებაც სულიერი სამყაროს საზომით ის არის, რომ ისინი განფესვილია სწორედ გარეგნულში, რომელიც აღიქმება სამყაროში გარეგნული გრძნობებით, – დამიჯერეთ: ეს არ არის ხატოვანი გამოხატულება და არც სიმბოლო, არამედ რეალისტური აღწერაა, როცა ამ სცენაში ნაჩვენებია, როგორ იწვევს მისი და შტრადერის სიტყვები ქუხილსა და ელვას, ბუნების ელემენტარულ ძალთა გამოვლენას. ვინაიდან ადამიანი არაა იზოლირებული არსება და რასაც წარმოთქვამს, რასაც ის იაზრებს, რაც ცხოვრობს მის გრძნობებსა და სურვილებში დაკავშირებულია მთელ კოსმოსთან და ყოველ სიტყვას, ყოველ გრძნობას, ყოველ აზრს აქვს თავისი შედეგი: ადამიანის ნებართვის გარეშე მისი ცდუნებები, მისი არასწორი გრძნობები მოქმედებენ დამანგრეველი სახით ცოცხალი სამყაროს ელემენტარულ სამეფოებზე. ამიტომ პირველი, რაც შემეცნების გზაზე მიმავალს გამოაქვს სულიერი სამყაროდან, ეს არის პასუხისმგებლო-

ბის ის დიადი გრძნობა, რომელიც ამბობს: „ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, როგორც ადამიანი, შენ აკეთებ არა მარტო დახურულ, იზოლირებულ ადგილას, სადაც მოძრაობს შენი ტუჩები, სადაც აზროვნებ, სადაც ძველს შენი გული, არამედ ეს განეკუთვნება მთელ სამყაროს; თუ ის ნაყოფიერია, მაშინ ის ნაყოფიერი იქნება ასევე მთელი სამყაროსთვის; თუ ის დამანგრეველია, მაშინ ის დამანგრეველი ძალა იქნება მთელი სამყაროსთვის“.

ყველაფერი, რასაც ჩვენ ასეთი სახით განვიცდით აღმასვლისას, მოქმედებს აგრძელებს ჩვენს სამშენებელში: თუ ის მოქმედებდა და მუშაობდა მასში სათანადოდ, მაშინ ის აღგვამადლებს სულ ზევით და ზევით სულიერი ცხოვრების სფეროში, როგორც ისინი ავსახეთ დევახანის სფეროში, სადაც გადავიდა მარიამის სამშენებელი და მისი მეგობარი ქალების სამშენებლები, რომელთაც გაჰყვა იოჰანეს ტომაზიუსი. თუ მე გეუბნებით, რომ მისი სამი დამხმარე, – ფილია, ასტრიდი და ლუნა, – არსებითად ძალებია, რომელთაც ჩვენ აბსტრაქტულად, ფიზიკურ პლანთან მიმართებით, ვუწოდებთ სამშენებლებს: შეგრძნებად, განსჯად და ცნობიერს, მაშინ ეს მიიღეთ არა განყენებულ აზრებად, არამედ სპირიტუალურ სინამდვილედ. ნუ გგონიათ, რომ ჩვენ თუ მოვახდენთ ცალკეული პერსონაჟების სიმბოლიზირებას მხატვრულ ნაწარმოებში განყენებული ცნებებით, ამით რაიმე შენაძენს მივიღებთ. აქ ეს არ იგულისხმება, ისინი ჩაფიქრებულია რეალურ ფიგურებად, მოქმედ პირებად. დევახანაში ხომ თქვენ ვერ იპოვით ცხრილს, სადაც წერია „შეგრძნებათა სამშენებელი“, „განსჯითი სამშენებელი“, „ცნობიერი სამშენებელი“. იქ თქვენ იპოვით ნამდვილ არსებებს, რომლებიც ისეთივე რეალურია სულიერი სამყაროსთვის, როგორადაც აქ. ფიზიკურ პლანზე, რეალურია ფიზიკური ადამიანი. აუცილებელია, განიმსჭვალო ცნობიერებით, რომ, თუ შენ ცდილობ, ყველაფერი დაიყვანო განყენებულ სიმბოლიკამდე, მაშინ მოვლენებს აცლი მათ სისხლსავესობას. იოანეს ტომაზიუსმა მის მიერ ამის წინ განვიღო სამყაროში განიცადა მხოლოდ ის, რომლის დახასიათებაც შეიძლება ასე: სურათ-ხატების თუ სურათების სახით მისი სულიერი მხერის წინაშე იშლება სულიერი სამყარო; მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შეეძლო გაერჩია, იყო თუ

არა ეს სამყარო მისი პირადი, სუბიექტური განცდების პროდუქტი თუ ამ სამყაროს გაანნია ობიექტური რეალობა. რა არის მასში ილუზია და რა სინამდვილე – ეს იოანნეს ტომაზიუსს პირველად უნდა გადაეწყვიტა იმ ზენა სფეროებში, სადაც იგი ხვდება მარიამის სამშინველს.

ძვირფასო მეგობრებო, წარმოიდგინეთ, რომ ღამით, ძილის დროს აღმოჩნდით სრულიად სხვა სამყაროში, რომელიც საერთოდ არ ჰგავს თქვენთვის ნაცნობ ამ სამყაროს და მასში ვერ იპოვეთ ვერაფერი, რაც შეგახსენებდათ ადრინდელ განცდებს. თქვენ, ზოგადად, იქნებოდით არა იგივე ადამიანი, არა იგივე არსება. სანდოობისთვის თქვენ უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, რაიმე თან მიიტანოთ იმ სხვა სამყაროში. სულიერი სამყაროსთვის ეს შესაძლებელია მხოლოდ იმის წყალობით, რომ უკვე აქ, ამ სამყაროში, იქნ მყარ საყრდენს, რომელიც გიქმნის ნამდვილ სანდოობას. სცენაზე ეს წარმოდგენილი იყო ისე, რომ იოანნეს ტომაზიუსი უკვე ფიზიკურ პლანში არა მარტო საკუთარი ლტოლვებითა და ვნებებით, არამედ სამშინველის მთელი სიღრმით არის დაკავშირებული მარიამის არსებასთან, ასე რომ, მან ფიზიკურ პლანზე ამ შეერთებით უკვე განიცადა რაღაც ძალზე სულიერი. ეს დაეხმარა მას შემდგომში ამოსავალ წერტილად სულიერ სამყაროშიც; ამაზე დაყრდნობით ის იქნს სიმტკიცეს ყველა დანარჩენშიც ამ სამყაროში. სწორედ იმის წყალობით, რომ იოანნეს ტომაზიუსმა იპოვა ასეთი საყრდენი წერტილი ამ ფიზიკურ სამყაროში სხვა მეთოდით, ვიდრე ჩვეულებრივი გრძნობებისა და განსჯის მაცდუნებელი გზით, ის იქნს სიმტკიცეს ყველა დანარჩენის ჭეშმარიტებაში, რაც არის სულიერ სამყაროში. ამის წყალობით მისთვის ორივე სამყარო ერთიანდება და იქნს სიმწიფეს, რათა რეალურად განავრცოს საკუთარი მეხსიერება წინარე განსხეულებებზე და ამდენად გაიზარდოს მშინველად ჩვენს გარემომცველ გრძნობად სამყაროზე უფრო მაღლა.

ამიტომ აქ ხდება რაღაც, რაც, – თუ შეიძლება ასე ითქვას, – თავის თავში ითავსებს სულიერი სამყაროს გარკვეულ საიდუმლოებას. სულიერ პლანზე წარსულის მნიშვნელობის სწორად განმარტება შეუძლია თეოდორას, რომელიც ფიზიკურ პლანზე ფლობს მომავლის განჭვრეტის უნარს და მან დაინახა ის უდიდესი მოვლენა, რომელიც

ჩვენ გველის – ქრისტეს ახალი გამოცხადება. აუცილებელია, ყველაფერი ისე წარმოვადგინოთ, როგორც ის ხდება სინამდვილეში, თუ გვესურს სულიერი სამყაროს რეალისტურად წარმოდგენა. დევახანაში წარსულის ძალები არსებებისთვის მნიშვნელობას იძენს იმ საფუძველზე, რომ იქ ვითარდება იმის საპირისპირო უნარები, რომლებსაც აქ, ფიზიკურ პლანზე, ჩვენ წინასწარმეტყველურს ვუწოდებთ. ამიტომ სასურველია რეალურია, რომ თეოდორა, რომელიც ფიზიკურ პლანზე მომავალს ხედავს, სულიერ პლანზე წარმოადგენს სინდისისა და წარსულის მეხსიერების გამომდვილებელს. ამრიგად, თეოდორას იოანნეს ტომაზიუსი მიჰყავს მომენტამდე, როცა ის იძენს საკუთარი წარსულის დანახვის უნარს, რომელშიც იგი უკვე იყო შეერთებული მარიამის ინდივიდუალობასთან. ასე ხდება ის მზად საკუთარი შემდგომი ცხოვრების გამოცდებისთვის, რომელსაც იგი მიჰყავს სულიერი სამყაროს ცნობიერი შემეცნებისკენ. თქვენ ხედავთ, რომ სამშინველი ხდება სრულიად სხვა, როცა ის განმსჭვალულია სულიერი სამყაროს გამოცდილებით, რომ ყველაფერი მის წინაშე წარმოჩნდება განსხვავებულ ჭრილში; ყველაფერი, რაც ადრე გვაყენებდა ტანჯვასა და ტკივილს, როცა განვიცდიდით სხვის მეობას საკუთარ მეობაში (თვითებაში), ახლა გვაძლევს ნუგეშსა და იმედს, და თქვენ ხედავთ, ჩვენ მიერ სამყაროში შეტანილი როგორ გვაქცევს უფრო მასშტაბურად და მნიშვნელობის მქონედ და თითქოსდა, როგორ შევეზრდებით სამყაროს სხვა სფეროებს. ამავე დროს ვხედავთ, როგორ უნდა უფრო ხოლმე ადამიანი ამპარტავნობას, ჯერ კიდევ როგორ თან გვდევს ცდუნების შესაძლებლობა, რის გამოც ხდება, რომ ტომაზიუსი, რომელმაც უკვე ძალზე ბევრი რამ განიცადა სულიერ სამყაროში, წამიერად ისე ცდება, რომ საკუთარ უდიდეს კეთილისმყოფელს, – ბენედიქტეს, – იღებს თითქოსდა ეშმაკის განსხეულებად, რომელიც უკვე კარებთან დგას.

ამის მსგავსად სულიერ პლანზე შესაძლებელია უსასრულოდ ბევრი სხვა განსხვავებული ცდუნება. თუმცა ამან არ უნდა შეგაცბუნოთ; პირიქით, ამან ჩვენ უნდა განგვაწყოს ისე, რომ ერთი მხრივ, ფრთხილად მივიღოთ ყოველივე, რაც მომდინარეობს სულიერი სამყაროდან, მეორე მხრივ, მხნედ და გაბედულად შევხედოთ თვალეში ცდუნების შესაძლებ-

ლობას და შფოთის გარეშე შევხვდეთ იმას, რაც ყალბი უწყება სულიერი სამყაროდან. ეს ყველაფერი ადამიანმა სრულიად რეალურად უნდა გაიაროს, თუ სურს, მიეახლოს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს შემეცნების ტაძარი, თუ სურს, ნამდვილად ჩასწვდეს სამყაროს იმ ოთხ დიად ძალას, რომლებიც მართავენ და ხელმძღვანელობენ გარკვეულ მიმართებაში სამყაროს ბედისწერას და რომლებიც ტაძრის ოთხი იეროფანტის სიმბოლოა.

როცა ჩვენ ვიგრძნობთ, რომ საჭიროა სამშენველმა ეს ყოველივე იგრძნოს მანამ, სანამ შეიძენს ჭერეტის უნარს, თუ როგორ მომდინარეობს სულიერი, სპირიტუალური სამყაროდან გრძობადი სამყარო და როცა ჩვენ შევწვევტო სწრაფვას ჩვეულებრივი, ბანალური სიტყვებით გამოვხატოთ სამყაროს პირველმიზეზები, არამედ ჯერ მოვისურვებთ, ჩავწვდეთ სიტყვების შინაგან ღირებულებას, მხოლოდ მაშინ შეგვექმნება გარკვეული წინათგრძნობა იმისა, როგორია აზრი იმ პირველადი სიტყვებისა, რომლითაც ბიბლიაში დახასიათებულია ყოფიერების დასაბამი. ჩვენ უნდა შევიგრძნოთ აუცილებლობა, გადავეჩვიოთ იმ მნიშვნელობებს, რასაც ჩვეულებრივ ვაძღვეთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ცა და მიწა“, „ქმნილება“, „სინათლე და სიბნელე“ და სხვა ამის მსგავსი. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ და გადავეჩვიოთ ისეთ გრძნობებს, რომელსაც ჩვეულებრივ იწვევს ჩვენში მსგავსი სიტყვები და გადავწყვიტოთ, ლექციების ამ ციკლში მათთვის ვიპოვოთ გრძნობათა ახალი ელფერი, სიტყვების ახალი ღირებულება, რომ გავიგოთ არა მარტო იდეათა შინაარსი, არამედ ჩავწვდეთ, როგორ იყო ის გააზრებული და ჩაფიქრებული; ეს კი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ სამშენველის განსაკუთრებული განწყობით მივიღებთ უწყებას სამყაროს იდუმალი სივრცეებიდან.

ამით მე შევეცადე, მოკლედ გადმომეცა ის, რაც გუშინ სცენაზე ვიხილეთ. მრავალი ჩვენი მეგობრის მხოლოდ გულმოდგინე და თავგანწირული მუშაობის წყალობით გახდა შესაძლებელი, გვეჩვენებინა თქვენთვის ეს საკმაოდ რთულ გარემოებებში. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც იშრომა ჩვენი მცდელობის წარმატებისთვის, ვინაიდან ეს წარმოდგენა უნდა ყოფილიყო არა უმეტეს მცდელობისა. ჩვენ ეს გადავწყვიტეთ ჩვენთვის არც

მთლად ხელსაყრელი გარემოებების დროს და ყველა თანამშრომელი კვირების განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობდა. ჩვენი ანთროპოსოფიული ცხოვრების უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს წრეში არიან მხატვრები, რომლებიც უკვე ორი წელია, გულმოდგინედ გვეხმარებიან თავიანთი მხატვრული შემოქმედებითი ნიჭით. უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, ვახსენო ჩვენი ძვირფასი მეგობარი დოზერი, რომელმაც არა მარტო შარშან, არამედ წელსაც აიღო თავის თავზე ურთულესი ამოცანა, სცენაზე განეხორციელებინა ფოსფორუსი, ამავე დროს წელს თავის თავზე აიღო როლი, რომელიც განსაკუთრებით მაღელვებს და მნიშვნელოვანია ჩემთვის, – კაპეზიუსის როლი. შესაძლოა, ნელ-ნელა იგრძნოთ, რატომაა სწორედ ეს სახე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ასევე მეორე, შტრადერის როლი, რომელსაც ასრულებდა ჩვენი მეგობარი ზეილინგი, რომელიც უკვე მეორე წელია, ჩვენთან გულმოდგინედ მუშაობს, – ეს როლიც, ამ კავშირში, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია. არ შემიძლია არ ვახსენო, რამდენად დიდ სამსახურს გვიწევს ჩვენი ძვირფასი ზეილინგი თავისი განსაკუთრებული ხმით, – ამ ნიჭს სხვაგვარად ვერ ვუწოდებ, – როცა საქმე ისეა, რომ აუცილებელია, სიმბოლურად წარმოვადგინოთ სულიერი სამყაროს ჩანერგვა ფიზიკურში. იმ სიყვარულსა და ამაღლებულ სიმშვიდეს, რისი მოსმენაც მოგვიწია სულელების ხმებში, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მის ამ უჩვეულო ნიჭს.

ჩემი ვალია, განსაკუთრებული მაღლიერებით ვახსენო ისინი, რომელთაც ერგოთ მთავარი როლები, ამასთან მათ ამ პერიოდში სხვა მიმართულებით მუშაობაც არ შეუწყვეტიათ და საერთოდ მთელი ეს წლები აქტიურად მოქმედებდნენ. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ანთროპოსოფიულ სარბიელზე შეიძლება განვითარდეს ისეთი ძალა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქნ ფონ სივერსს, ზედიზედ ორი დღე შეესრულებინა ისეთი დიდი როლები, როგორიცაა კლეონისი და მარიამი. ასეთი შრომა შესაძლებელია მხოლოდ მთელი ძალების მოხმობით, რომელთაც ფლობ. ასევე განსაკუთრებული მაღლიერებით ვახსენებ იოანეს ტომაზიუსის როლის შემსრულებელ ქალბატონს და ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ ეს ხატი, რომელშიც ასე ბევრი რამ არის ჩადებული იმისა, რასაც ვუწოდებთ ანთროპოსოფიულ ცხოვ-

რებას, დარჩებოდა ისტორიულად კავშირში ამ როლის პირველ შემსრულებელთან. მხოლოდ უჩვეულოდ ინტენსიური და ანთროპოსოფიული საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულების წყალობით ჩვენი ძვირფასი მეგობრის ქ-ნ ვალლერის (Waller) მხრიდან მოხერხდა საერთოდ ამ როლის განხორციელება განსაკუთრებით რთული გარემოებების დროს, რაზეც საუბარი აქ ზედმეტია. თუ მოგიყვებოდით, დროის სიმცირის გამო რა სირთულებების გადალახვა მოუწია ქ-ნ ვალლერს, რომ დაეძლია იოანნეს ტომაზიუსის ეს როლი, თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებოდათ. ყველა ეს საქმე, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი ერთობლივი ანთროპოსოფიული მუშაობისას, უშუალოდ გვეხება, ვინაიდან ჩვენ სულიერი თვალსაზრისით წარმოვქმნით თითქოსდა ანთროპოსოფიულ ოჯახს, ამიტომაც მადლიერებით უნდა განვიმსჯელოთ ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომლებმაც თავის თავზე აიღეს ასეთი რთული ამოცანა უდიდესი თავდადებათ, ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ასეთი სახით, შესაძლოა, სხვას ვერც მოეხერხებინა. ამასთან მინდა, იცოდეთ, რომ გარეშეთათვის ძალზე ძნელია იმსჯელონ იმ სირთულებებზე, რომლებთანაც გვიწევდა ბრძოლა. ჩემი ამ სიტყვებით თქვენ შეგიძლიათ წარმოდგენა შეიქმნათ წარმოდგენის ყველა მონაწილის უდიდეს შრომასა და თავდადებაზე და დამეთანხმოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ მომენტში უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ მათ მიმართ.

მე დიდხანს, დიდხანს მომიწევდა საუბარი, ერთობლივად მომუშავეთაგან თითოეულზე ცალ-ცალკე თუ ვისაუბრებდი. გავისხენოთ მხოლოდ ჩვენი მეგობარი, რომელიც ყოველთვის, ყველა ანთროპოსოფიული ღონისძიების დროს სრული მზადყოფნით, მთელი ძალისხმევით ცდილობდა, დაგესმარებოდა, ბატონი *არენსონი**, რომელმაც, როგორც შარშან, ისე წელსაც მუსიკალურად გააფორმა და თავისი ბრწყინვალე მუსიკალური ოსტატობა ჩადო, როგორც დრამაში „ლუციფერის შვილები“, ისე გუშინდელ წარმოდგენაში, რათა მონიშნულ ადგილებში ამაღლებული სახით გადმოეცა რაღაც, რაც შეიძლება მოდიოდეს მხოლოდ ბგერათა სამყაროდან. ასევე გავისხენოთ ჩვენი ძვირფასი მეგობრები – მიუნხენელი მხატვრები. თქვენ გქონდათ საკმარისი შესაძლებლობა, დარწმუნებულიყავით, როგორ გამოიცადა ამ ორ დღეში ყველაფერი,

რათა გარეგნული დეკორაცია ჰარმონიაში მოგვეყვანა შინაგან შინაარსთან და მუსიკასთან. თქვენ ხედავდით, უკანასკნელ დეტალებამდე ყველაფერი იხრებოდა მთლიანობისკენ და ერთიანობისკენ. ეს თუ მოხერხდა, მხოლოდ თქვენი აქაური მეგობარი-მხატვრების გულითადი თანამშრომლობის წყალობით; ესენი იყვნენ: ბატონები ფოლკერტი, ლინე და ჰაასი, რომლებიც თავდადებით გვეხმარებოდნენ ჩვენი ჩანაფიქრების ღირსეული რეალიზაციისთვის.

როგორც ადრე უკვე ვითხარით, ამ ყველაფრის განხორციელება შესაძლებელია, თუ ყველა მონაწილე მუშაობს თავისუფლად და საკუთარი შინაგანი მოწოდებით. განსაკუთრებით უნდა გავისხენოთ ის შრომა, რომლის დანახვაც არც ისე იოლია, მაგრამ კვირებითა და თვეებით შთანთქავს ადამიანს, მთელ მის სამშენველსა და გულს. მხედველობაში მაქვს კოსტიუმები, რომლებიც უნდა დამზადებულიყო სათანადო სახით და გემოვნებით. მთელი ეს სამუშაო, როგორც შარშან ისე წელსაც მთლიანად თავის თავზე აიღო ქნმა ფონ ეკერშტაინმა; მან თავი მიუძღვნა ამ შრომას არა მარტო გულმოდგინებით, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველა უმნიშვნელო დეტალისა და წვრილმანის ისეთი გასაოცარი გაგებით, რომ არც ერთი წამით არ ეკარგებოდა მხედველობიდან ჩვენი ამოცანის მასშტაბები.

ჩემ მიერ თქმული მხოლოდ სუსტი ანარეკლია ჩვენი იმ გრძნობისა, რომ ვეკუთვნით ერთ ანთროპოსოფიულ ოჯახს. საჭიროა, ყველა ჩვენგანმა იცოდეს, როგორი იყო ჩვენი ერთობლივი მუშაობა. ძვირფასო მეგობრებო, თუ თქვენ მესამე დღიდან მიიღეთ გარკვეული სიამოვნება სამშენველისთვის და გულისთვის, მაშინ გთხოვთ, რამდენადმე გაუზიაროთ თქვენი მშენიერი გრძნობები იმ პიროვნებებს, რომლებიც აქ ვახსენეთ და რომლებსაც თქვენ, – როგორც თქვენს კარგად ნაცნობ მეგობრებს, – სცენაზე ხედავდით.

ჩვენი ანთროპოსოფიული მოღვაწეობის ამ ეტაპზე განზრახული გვქონდა, – თუ შეიძლება ასე ითქვას, – ასევე მიგვეთითებინა, როგორ წარმოვიდგინოთ ანთროპოსოფიული იდეების, ანთროპოსოფიული ცხოვრების შესვლა ჩვენს კულტურაში. თუ თანამედროვე კაცობრიობა ჯერ კიდევ არაა მიდრეკილი, თავის ზედაპირულ კულტურაში მიიღოს ის, რაც შეიძლება მომდინარეობდეს სპირიტუალური ცხოვ-

რებიდან, მაშინ ჩვენ, – ყოველ შემთხვევაში, მხატვრულ სურათ-ხატებში, – ვაჩვენებთ, როგორ ხდება ცხოველმყოფელი ის, რასაც ვატარებთ საკუთარ თავში იდეის სახით და რაც შინაგანი ცხოვრების სახით ასაზრდოებს ჩვენს სამშენველებს. სამშენველს ათბობს წინათგრძნობა, რომ კაცობრიობა ჯერაც ელოდება ასეთ მომავალს, თუ ის შეიგრძნობს სულიერი ცხოვრების გადმოდვრას ფიზიკურ პლანზე ადამიანის სულიერი და მშენიერი არტერიებით; რომ მოდის დრო, როცა ადამიანი თავს იგრძნობს სულიერ და ფიზიკურ სამყაროებს შორის შუამავლად. სწორედ იმისთვის გავმართებთ ეს წარმოდგენები, რომ ბიძგი მივცეთ ამ წინათგრძნობას.

ჩვენ თუ ასეთი წინათგრძნობა გაგვაძლიერებს, მაშინ შეგვეძლება თავდაპირველი სინათლისკენ, თავიანთი პირველქმნილი ბრწყინვალეებისკენ დავაბრუნოთ წაშლილი სიტყვები, რომელიც თანამედროვე სამშენველს თავს ახვევს ემოციურ შეფასებებს და უსპობს შესაძლებლობას, გაიგოს მათი გზავნილების სისავსე. ვინაიდან ვერავინ გაიგებს ბიბლიის პირველი სიტყვების აზრის დაფარულ მონუმენტურობას, თუ მათ არ მიანიჭებს იმ გახსნილობას, როგორც მათ ახლა ჩვენს შემთხვევაში აქვთ. ჩვენ თავად უნდა ავმადლდეთ აზრობრივად იმ სიმაღლეებისკენ, რომლისკენაც ცდილობდა ასევე იოანეს ტომაზიუსი, სადაც ქრის სულიერი ცხოვრება, თუ ჩვენ გვსურს, ჩავწვდეთ ფიზიკურ ცხოვრებას ჩვენს დედამიწაზე. ამ სულიერ სფეროებში, გარკვეული აზრით, საჭიროა სრულიად სხვა ენაზე საუბარი. ჩვენ კი, ადამიანებმა, აქ ჩვენთვის მოცემულ სიტყვებს საჭიროა მივანიჭოთ თუნდაც ახალი ცენზი, ახალი ემოციური ნიუანსები, როგორც სხვაგვარად გავიაზროთ ისინი, თუ ისინი მოწოდებულია გადმოგვცეს ის, რაზეც გვაუწყებს შესაქმის პირველი სტრიქონები, თუკი გვსურს, გავიგოთ ჩვენი ფიზიკური სამყაროს სულიერი წარმოშობა.

მეორე ლექცია
მიუნხენი, 1910 წლის 17 აგვისტო

სულისმეცნიერების ნიადაგზე მდგომ და სამყაროს ევოლუციაზე ანთროპოსოფიის შეხედულებებს გაცნობილ ადამიანს, თუ ხელეწიფება შეიჭრას იმ მძლავრი სიტყვების აზრში, რომლითაც იწყება ჩვენი ბიბლია, მაშინ მას უნდა გაეხსნას სრულიად ახალი სულიერი სამყარო. საეჭვოა, კაცობრიობის ევოლუციაში არსებობდეს ძველი, სადაც ესოდენ იოლი იყოს, ასევე ჭეშმარიტ აზრს, როგორც ამ დოკუმენტში, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ გენეზისს და რომელიც შეიცავს ე. წ. ექვსი ან შვიდდღიანი შესაქმის აღწერას.

თუ თანამედროვე ადამიანი წარმოთქვამს სიტყვებს „დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ რომელიმე არსებულ ენაზე, ვთქვათ, მაგ., გერმანულად, მაშინ ამ სიტყვებში ჩადებული საეჭვოა იყოს თუნდაც სუსტი ანარეკლი, მერთალი ჩრდილი იმისა, რაც ცოცხლდებოდა იმათ სამშენველებში, ვინც ძველ ებრაელობაში საკუთარ თავზე განიცდიდა ბიბლიის შესავალი სიტყვების ზემოქმედებას. ასეთ დოკუმენტთან მიმართებით ის, რომ ჩვენ შეგვიძლია, უძველესი სიტყვები შევცვალოთ ახლით, თანამედროვეთი – ჭეშმარიტად, შრომის უმნიშვნელო ნაწილია. გაცილებით მნიშვნელოვანია, ანთროპოსოფიული მომზადების წყალობით როგორღაც შევძლოთ, ავალორძინოთ ის განწყობა, რომელიც ცოცხლობდა ძველი ებრაელი მოწაფის გულსა და სამშენველში, როცა მისთვის ცოცხლდებოდა სიტყვები: „B'reshit bara elohim et haschamajim w'et ha'arez“.*

მთელი სამყარო ცოცხლდებოდა იმ მომენტში, როცა სამშენველი თრთოდა ამ სიტყვებისაგან. როგორია ეს სამყარო? რას შეიძლება შევადაროთ ეს შინაგანი სამყარო, რომელიც ცოცხლობს ამგვარი მოწაფის სამშენველში? მხოლოდ იმას, რაც ხდება ადამიანის სამშენველში, რომელსაც გადასცემენ სურათებს, განცდილს მხედველის მიერ, როცა იგი ჭვრეტს თავად სულიერ სამყაროებს.

მაინც რა არის აღწერილი იმაში, რასაც ჩვენ სულისმეცნიერულ სწავლებას ვუწოდებთ? ჩვენ ვიცით: ამ სწავლების წყარო ფესვგადგმულია ნათელხილვაში, ნათელმხილველის ცოცხალ ჭვრეტებში, როცა იგი თავისუფლდება

გრძნობადი აღქმისა და განსჯისაგან, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ სხეულს და საკუთარი სულიერი ორგანოებით ჭვრეტს სულიერ სამყაროში. რასაც ის სულიერ სამყაროში ჭვრეტს, მას შეუძლია, სურვილის შემთხვევაში გადათარგმნოს ფიზიკური სამყაროს ენაზე, გამოხატოს მხოლოდ სურათ-ხატებში; თუ მაუწყებელი ნათელმხილველის უნარები ჩასწვდება, მაშინ ასევე შეუძლია გამოხატოს ისეთ სურათ-ხატებში, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ შესაბამისი წარმოდგენა იმაზე, რასაც ნათელმხილველი თავად ჭვრეტდა სულიერ სამყაროებში. მაშინ მივიღებთ რაღაც ისეთს, რაც არ აგვერევა გრძნობადი ფიზიკური სამყაროს რაიმე საგნისა თუ მოვლენის აღწერასთან. ვიღებთ ისეთ რამეს, რასთან დაკავშირებითაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს სრულიად სხვა სამყაროსთან, რომელიც მართალია, არის კიდევ საფუძველი გრძნობადისთვის, მაგრამ მაინც, თავისი ავტონომიურობით არანაირი სახით არ თავსდება ჩვენი ჩვეულებრივი გრძნობადი სამყაროს წარმოდგენებში, შთაბეჭდილებებსა და აღქმებში.

ჩვენ თუ მოვისურვებთ, წარმოვიდგინოთ ამ ჩვენი გრძნობადი სამყაროს წარმოშობის სურათი და მასში ადამიანი, მაშინ საკუთარი წარმოდგენით ვერაფრით შევძლებთ, დავრჩეთ გრძნობადი სამყაროს ფარგლებში. ნებისმიერი მეცნიერება, რომელიც პირველწყაროთა მიღწევას ესწრაფვის მხოლოდ გრძნობადი სამყაროდან ნასესხები წარმოდგენებით, ვერასდროს შეძლებს გრძნობადი ყოფიერების ამ პირველწყაროებამდე მიღწევას. ვინაიდან გრძნობადი ყოფიერება ფესვგადგმულია ზეგრძნობადში და მართალია, ჩვენ შევძლებთ კიდევ ისტორიულად ან, თუ გნებავთ, გეოლოგიურად უფრო მეტად ჩაღრმავებას წარსულში, მაგრამ თუ გვსურს შედწევა თვით პირველწყარომდე, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ხნის წინანდელი დროის განსაზღვრულ მომენტში აუცილებელია, დავტოვოთ მთელი გრძნობადი და გადავიდეთ სფეროში, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ ზეგრძნობადის გზით. ის, რასაც გენეზისს უწოდებენ, თავის უწყებას არ იწყებს რაიმე გრძნობადიდან, რაც შეიძლება დაინახონ ფიზიკური თვალეებით. ამ ლექციების მსვლელობაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდებით, რამდენად მცდარი იქნებოდა გენეზისის პირველი თავები მიგვეკუთვნებინა საგნე-

ბის ან მოვლენებისთვის, რომელთა დანახვაც შეიძლება გარეგნული თვალით ან მათი განცდა გარეგნულ გრძნობად სამყაროში. ამიტომ, სანამ სიტყვებთან „ცა და მიწა“ დავაკავშირებთ წარმოდგენებს, რომლებიც შეიცავენ რაღაც თვალით დანახულის ნარჩენებს, ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე შორს ვიქნებით იმ სფეროებიდან, რომლებისკენაც მიმართულია გენეზისის პირველი ნაწილები. ახლანდელ დროში თითქმის შეუძლებელია ამ სფეროების სხვაგვარად გაშუქება, თუ არა სულისმცნოერების გზით, რომელიც ამავე დროს შესაძლებლობას იძლევა მივეახლოთ იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს წინარე სიტყვის მისტერია, რომლითაც იწყება ბიბლია და გარკვეულწილად შევიგრძნოთ ამ წინარე სიტყვებში ჩადებული.

მაინც რა არის, არსებითად, ამ წინარე სიტყვების განსაკუთრებული თავისებურება? გამოვხატავ რა ჯერ განყენებულად, მე უნდა ვუპასუხო: მისი თავისებურება არის სწორედ ის, რომ ეს სიტყვები დაწერილია ძველებრად ენაზე, რომელიც სრულიად სხვაგვარად ზემოქმედებს სამშინველზე, ვიდრე რომელიმე თანამედროვე ენა. შესაძლოა ბიბლიის პირველი თავების ეს ენა ამაჟამად მეტად უკვე აღარ მოქმედებდეს ისე, როგორც ოდესღაც, თუმცა ის იმ შორეულ წარსულში მოქმედებდა ისე, რომ ყოველი ასოს ჟღერადობა სამშინველში გარკვეულ სურათს იწვევდა. გარკვეული წესრიგით ორგანული ფორმის მონათესავე ცოცხალი სიტყვის შექმნის ამთვისებულ სამშინველში წარმოიქმნებოდნენ ხატ-სახეები და სურათები, რომლებიც შეიძლება შევადაროთ იმას, რასაც დღეს ჯერ კიდევ ხედავს ნათელმხილველი, როცა იგი გრძნობადიდან გადადის ზეგრძნობადისკენ. შეიძლება ითქვას, რომ ძველებრად ენა ან, უფრო ზუსტად, ბიბლიის პირველი თავების ენა ემსახურებოდა იმას, რომ სამშინველში როგორღაც გამოეწვია ხატოვანი წარმოდგენები, მსგავსი ადამიანის ხედვისა, რომელსაც ძალუძს სხეულის მიღმა განჭვრიტოს ყოფიერების ზეგრძნობადი სფეროები.

კაცობრიობის ეს მძლავრი წინარე სიტყვები თუნდაც გარკვეულ დონეზე ცოცხლად რომ წარმოჩნდნენ სამშინველის წინაშე, აუცილებელია, განუდგე მთელ იმ გამოფიტულსა და ფერმკრთალს, რასაც სამშინველში იწვევს ნებისმიერი თანამედროვე ენა და მივადწიოთ გარკვეულ წარ-

მოდგენას, რომელსაც ადგილი აქვს ამ უძველესი ენის ნებისმიერი ბგერათშეხამებისას, მათი გასაოცრად სისხლსავსე, გამაცოცხლებელი და შემოქმედებითი შევსებისას. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია შევეცადოთ, ამ ლექციების მსვლელობისას წარმოვიდგინოთ, თუნდაც გარკვეულ დონეზე, ის სურათები, რომლებიც ამოტივტივდებოდა ძველი ებრაელი მოწაფის სამშინველში, როცა მასზე შემოქმედებითად მოქმედებდა შესაბამისი ბგერა, ხოლო სამშინველის წინაშე წარმოიქმნებოდა სურათ-ხატი. აქედან თქვენ ხედავთ, რომ უნდა არსებობდეს სრულიად სხვა გზა ამ უძველეს უწყებაში შეჭრისთვის, ვიდრე ის გზები, რომლებსაც დღეს ირჩევენ ნებისმიერი უძველესი ისტორიული დოკუმენტის შესწავლისთვის.

ამრიგად, გთავაზობთ ზოგიერთ თვალსაზრისს, რომელსაც უნდა მივსდით. მხოლოდ ძალზე ნელა და თანდათანობით შევძლებთ მიხლოებას იმასთან, რისი მოცემაც ჩვენთვის შეუძლია ცოცხალ წარმოდგენას იმაზე, რაც ცოცხლობდა ძველი ებრაელი ბრძენის სამშინველში, როცა იგი თავის თავზე შეიგრძნობდა ამ მძლავრი სიტყვების ზემოქმედებას, რომლებმაც ჩვენამდეც მოაღწიეს, მაგრამ მარტოოდენ, როგორც „სიტყვებმა“. ჩვენი უახლოესი ამოცანა იქნება მაქსიმალურად გავემიჯნოთ ყოველივე ჩვენთვის ჩვეულს და გავთავისუფლდეთ ყველა იმ წარმოდგენისგან, რომლებიც გვქონდა, როცა ვსაუბრობდით ცასა და მიწაზე, ღმერთებზე, შესაქმნე ან შექმნაზე და საწყისთა საწყისზე. რაც უფრო მეტად გავთავისუფლდებით იმისგან, რასაც შევიგრძნობდით აქამდე ამ სიტყვებთან დაკავშირებით, მით უკეთესად შევიჭრებით ჩვენ, ვიდრე ჩვენი თანამედროვენი, უშუალოდ ამ ძეგლის სულში, რომელიც წარმოიქმნა მშინვეიერი ცხოვრების სრულიად სხვა გარემოებებისგან. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავერკვეთ, არსებითად, რაზე ვისაუბრებთ სულისმეცნიერული თვალსაზრისიდან, როცა დავიწყებთ ბიბლიის შესავალი სიტყვების შესწავლას.

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ თანამედროვე სულიერი კვლევის შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს, დედამიწისა და კაცობრიობის ევოლუციაზე მოგვცეს ზოგიერთი ცნება. ჩემს წიგნში *„იუდეალოთმეტყველების ნარკვევი“* მე შევეცადე, გამომდინარე ჩვენი მიწიერი არსებობის სამი წინარე სამ-

ყაროსეული ევოლუციის საფეხურიდან – სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობიდან, გადმომეცა ჩვენი დედამიწის, ადამიანის ამ პლანეტარული არენის თანდათანობითი წარმოქმნის აღწერა. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ყოველ შემთხვევაში, ზოგადი შტრიხებით, რა არის მასში აღწერილი. ახლა კვითხთ საკუთარ თავს: კონკრეტულად ევოლუციის მაინც რომელ მომენტს უნდა მივაკუთვნოთ ის, რაც წარმოჩნდება ჩვენი სამშინველის წინაშე მძლავრი სიტყვით „Breschit“,* რა ადგილი უჭირავს მას ევოლუციის ჩვენი სულისმეცნიერულ აღწერაში? რას მიეკუთვნება ის?

შევეცადოთ, გარკვეული თვალსაზრისით, გავერკვეთ სატურნის, მზისა და მთვარის ყოფიერების ევოლუციაში. ჩვენ თუ მივაპყრობთ მზერას ძველ სატურნს, მაშინ ის წარმოჩნდება ჩვენი სამშინველის წინაშე, როგორც კოსმიური სხეული, სადაც ჯერ მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რის დანახვასაც მიეფიქრეთ ჩვენ გარშემო მატერიალურ ყოფიერებაში. იმ ყველაფრისაგან, რაც გვაქვს ჩვენს გარემოცვაში, სატურნზე არსებობს მხოლოდ სითბოს ერთი ელემენტი; მარტოდენ სითბო ან ცეცხლი ავლენს იქ თავის მოქმედებას მრავალფეროვან შესამებაში. იქ ჯერ კიდევ არ არის ჰაერი, არც წყალი და მყარი სხეულები. სადაც ის ყველაზე მეკრივია, იქ არსებობს მხოლოდ ერთი ქმედითი, სიცოცხლით სავსე სითბო; შემდეგ, როგორც ვიცით, ევოლუცია გადადის ე. წ. მზის მდგომარეობაში. მაშინ ამ ქმედით, სიცოცხლით სავსე სითბოს უერთდება ჰაერის ან გაზისებრი ელემენტი. მზის პლანეტარულ მდგომარეობაზე ჩვენ მივიღებთ ზუსტ ხატოვან წარმოდგენას, – მხოლოდ ელემენტარული მდგომარეობის განხილვით, – თუ მასში დავინახავთ სიცოცხლით სავსე გაზისებრი, ჰაერისმაგვარი და სითბური ელემენტების მრავალფეროვან შესამებას. ჩვენი მიწიერი ევოლუციის მომდევნო, მესამე მდგომარეობას წარმოადგენს ე. წ. მთვარის მდგომარეობა. აქ სითბოსა და ჰაერს უერთდება ის, რასაც შეიძლება ეწოდოს წყლოვანი ელემენტარული მდგომარეობა. მაგრამ ამ ძველ მთვარეზე ჯერ არ არსებობს მყარი სხეულები, ჯერაც არაფერია ისეთი, რასაც ჩვენ ახლა ვუწოდებთ მეკრივს, მიწიერ ელემენტს. სამაგიეროდ მთვარის ამ ძველ მდგომარეობაში ჩვენ შევნიშნავთ რაღაც თავისებურს: ადრინდელი ერთიანი სამყაროსეული სხეული, რომელშიც

მიედინებოდა ჩვენი პლანეტარული მდგომარეობა, ორად იყოფა. ძველი სატურნი ჯერ კიდევ წარმოადგენს თავის თავში ქმედით, მოძრავ ერთიან სიტბურ სხეულს. ასევე ძველი მზეც ჯერ კიდევ წარმოხნდება ჩვენ წინაშე სიტბური ელემენტების გადაღვრითა და თამაშით. მთვარის მდგომარეობაში კი დგება ორად გაყოფის პერიოდი: მზე გამოეყოფა მთვარეს. როდესაც დგება ჩვენი პლანეტარული ევოლუციის მეოთხე საფეხური, მაშინ ჩვენ ვხედავთ, რომ ადრინდელ ელემენტარულ მდგომარეობას, – ცეცხლოვან სიტბურ ელემენტებს, ჰაეროვან და წყლოვან ელემენტებს, – უერთდება მიწის ელემენტი. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტარულ ყოფიერებაში გამოვლენა შეეძლოს ამ მყარმა, მიწიერმა ელემენტმა, ამისთვის კიდევ ერთხელ უნდა გამეორებულიყო გახლეჩა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთვარის მდგომარეობაში. მთელი მზისეული კიდევ ერთხელ უნდა გამოყოფილიყო ჩვენი მიწიერი პლანეტისაგან. ამდენად, პლანეტის განვითარების გარკვეულ მომენტში ერთობლივი პლანეტარული მდგომარეობიდან, სადაც ჯერ კიდევ მჭიდროდ არის ერთმანეთში გადაჯაჭვული ცეცხლის, ჰაერისა და წყლის ელემენტები, უფრო მყარი მიწიერისგან გამოიყოფა გაცილებით ნატიფი და ჰაეროვანი მზისეული ელემენტი. მხოლოდ ასეთ მიწიერში შეეძლო განვითარება, გამკვრივება იმას, რასაც ჩვენ მყარ ელემენტს ვუწოდებთ.

შევჩერდეთ იმ მომენტზე, როცა ერთობლივი პლანეტარული მდგომარეობიდან გამოიყოფა მზისეული, რათა შემდგომში გარედან გაუგზავნოს თავისი ძალები ჩვენს მიწიერ პლანეტარულ სხეულს. უნდა გვასხოვდეს, რომ სწორედ იმ დროს გაჩნდა შესაძლებლობა, მიწიერში წარმოქმნილიყო მყარი, ის, რასაც ნივთიერების შემადგენლობით მყარ მატერიას ვუწოდებთ. სწორედ ეს იქნება ევოლუციის ის მომენტი, რომელსაც გულისხმობს გენეზისი, ბიბლია თავის პირველ სიტყვებში. სწორედ ამ მდგომარეობაზე საუბრობს ის ჩვენ სრულებითაც არ უნდა დავაკავშიროთ გენეზისის ამ პირველ სიტყვებთან ის განყენებული, ის ბუნდოვანი წარმოდგენა, რომელსაც გულისხმობენ, როცა ჩვენს დროში წარმოთქვამენ სიტყვებს „დასაწყისში“, „დასაწყისამდე“. ეს იქნებოდა უზომოდ მკრთალი წარმოდგენა იმასთან შედარე-

ბით, რაც ამ სიტყვებისას ამოიზიდებოდა ძველებრავლი ბრძენის სამშენებელში. მთელი ჯამი იმისა, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ იმასთან კავშირში, რაც წარმოიქმნა მზისეულისა და მიწიერის ამ ორად გაყოფით, ყოველივე ის, რაც არსებობდა ამ გახლეჩის მომენტში და გაიყო ორად, ეს ყოველივე უნდა წარმოჩნდეს ჩვენი სამშენებლის წინაშე, თუ გვსურს, ზუსტად გავიგოთ სიტყვების: „დასაწყისში“ და „დასაწყისამდე“, აზრი. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სატურნზე, მზესა და მთვარეზე განვითარების მთელი ამ პროცესების წარმართველები და ხელმძღვანელები, არსებითად, სულიერი არსებები არიან და რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სითბოს, წყლისა და ჰაერის ელემენტებს, მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა, მხოლოდ სამოსია ამ სულიერი არსებებისა, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ ამ განვითარების ნამდვილ არსს. როდესაც ვუმზერთ მიწიერისგან მზისეულის გამოყოფისას წარმოქმნილ მდგომარეობას და ამას წარმოვიდგენთ, როგორც სურათს, მაშინ აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ ამ სურათში წყლის, ჰაერისა და ცეცხლის ნივთიერი ელემენტები, არსებითად, სულის მოქმედების მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა. ეს ყოველივე მხოლოდ გამოვლინებაა ქმედითი სულიერებისა, რომელიც მიემართება სამი წინარე საფეხურის გავლით, – სატურნი, მზე და მთვარე, – ჩემ მიერ აღწერილ მომენტამდე და აღწევნ მასში საკუთარი ყოფიერების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს.

ერთხელაც ჩვენი სამშენებლის წინაშე დავაყენოთ ამ უზარმაზარი კოსმიური ბურთის ეს ხატი მასში მქსოველი წყლოვანი, ჰაეროვანი ან გაზისებრი და ცეცხლოვანი ელემენტებით, რომელიც იყოფა ორ საწყისად: მზისეულ და მიწიერ ელემენტებად. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც წარმოგვიდგება ელემენტარულ-საგნობრივი სახით, არის მხოლოდ საშუალება სულიერის გამოსახატავად. წარმოვიდგინოთ, ამ წყლოვანი, ჰაეროვანი და სითბური ელემენტებისგან მოქსოვილი მატერიალური ჩონჩხიდან როგორ გვიმზერენ სულიერი არსებების სახეები, რომლებიც ცხოვრობენ ამ კოსმიურ ქსოვილში და ვლინდებიან, იხსნებიან ამ სტიქიაში, რომელთანაც ჩვენი სამშენებელი აკავშირებს ნივთიერზე წარმოდგენას. წარმოვიდგინოთ,

რომ ჩვენ წინაშეა სულიერი არსებები, რომელთაც თავიანთი იერი ჩვენკენ აქვთ მოპყრობილი და სითბოს, ჰაერისა და წყლის მეშვეობით საკუთარ ორგანიზაციაზე მუშაობენ კოსმიური სხეულების სულიერ-მშენიერი ძალით. წარმოვიდგინოთ ეს სურათი.

ჩვენ მივიღებთ ელემენტარული გარემოს სურათს, რომელიც შეიძლება, – თუ გამოვიყენებთ უხეშ შედარებას, – შევადაროთ ლოკოკინას ნიჟარას; თუმცა ეს გარსი ნიჟარის მსგავსად მყარი ნივთიერებებისგან კი არ შედგება, არამედ მოქსოვილია უნატიფესი წყლოვანი, ჰაეროვანი და ცეცხლოვანი ელემენტებისაგან. მის შიგნით წარმოგვიდგება სულიერი არსებები, რომლებიც ჩვენ გვიმზერენ და სწორედ ამ გარსების მეშვეობით გვეხსნებიან. თავად ისინი კი არიან გამოცხადების ძალები, რომლებიც იღუმალი ზეგრძნობადიდან გაცხადებისკენ ისწრაფვიან.

გამოიხმეთ საკუთარი სამშენიველის წინაშე ეს სურათი, რომლის დახატვასაც მე შევეცადე, ამ სულიერი საწყისის ცოცხალი ჩაწენა ნივთიერებაში და წარმოვიდგინოთ ის შინაგანი მშენიერი ძალა, რომელიც იწვევს ჩაწენას და მოქმედების ორგანიზებას ახდენს ნივთიერებაში, როცა წამიერად ავიწყდება ყველაფერი დანარჩენი: მაშინ თქვენ წინაშე წარმოჩნდება ის, რაც ამოტივტივდა ძველებრადელი ბრძენის სამშენიველში ბერის „B'reschit“ წარმოთქმისას. ბეტა პირველი ასოს წარმოთქმა, იწვევდა ჩონჩხის მატერიალურ ჩაწენაზე წარმოდგენას; რემ-ში (resch), მეორე შუა ასო, იწვევდა იმ სულიერ არსთა იერზე წარმოდგენას, რომლებიც ამ ჩონჩხის შიგნით მუშაობდნენ, ხოლო შინ-ში (schin) მესამე ასო, – წარმოდგენას იმ მხვლეტ ძალაზე, რომელიც გზას იკვალავდა შიგნიდან, თავისი თავის *გამოვლენისკენ**.

დაახლოებით ამ გზით მივეახლებით ჩვენ პრინციპს, რომელიც ნამდვილი აღწერის საფუძველში ძევს. ამ პრინციპის წვდომით, გზადაგზა შეგვიძლია, შევიგრძნოთ ამ ენის სული, რომელსაც თავის თავში აქვს რაღაც შემოქმედებითი, რაზეც თანამედროვე ადამიანს თავისი ჩვეულებრივი ენით არანაირი ცნება არ გააჩნია.

შევეცადოთ, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოვიწვიოთ საკუთარი სამშენიველის წინაშე ის მომენტი, რომელიც მაქვს მხედველობაში, როცა სულიერი ცდილობდა მხოლოდ გადას-

ვლას ფიზიკურ კოაგულაციაში, მომენტში, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენი მიწიერი ყოფიერების ფიზიკურ გამკვრივებას. წარმოიდგინოთ ეს მომენტი, რაც შეიძლება ნათლად. მაშინ საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ: თუ გვსურს ამ დროს მომხდარის აღწერა, მაშინ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ რაიმე წარმოდგენებით, რომლებსაც ვიყენებთ გარეგნული შემთხვევების აღწერისას. ამიტომ უკიდურესი დილექტანტიზმი იქნებოდა, გენეზისის მეორე სიტყვა გაგვევო ისე, თითქოს მას უერთდებოდა წარმოდგენა რომელიმე გარეგნულ მოვლენაზე, როგორც არ უნდა ეხმიანებოდეს ის სიტყვების – „ქმნალობა“ ან „ქმნილება“, თანამედროვე გაგებას. ამ გზით ჩვენ ვერ მივალწვევთ შესაქმნის წიგნის მეორე სიტყვის გაგებას. მაშ რას უნდა მივმართოთ ჩვენ? ეს სიტყვა ნიშნავს რაღაც ისეთს, რაც ნამდვილად ძალზე ახლოს მიდის იმ ზღვართან, სადაც გრძნობადი გადადის ზეგრძნობადში, სულიერში. ვისაც სურს, ზუსტად წარმოიდგინოს ის, რაც ჩვეულებრივ ითარგმნება სიტყვით „შექმნა“: „დასაწყისამდე ღმერთებმა შექმნეს“, მან სრულებითაც არ უნდა დააკავშიროს ამ სიტყვასთან რაიმე შემოქმედება, ფიზიკური თვალისთვის მისაწვდომი რაიმე ნაყოფიერი მოქმედება.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩაიხედეთ საკუთარ თავში. წარმოიდგინეთ, რომ ძილისგან გამოღვიძებისას ყურადღებას არ აქცევთ თქვენს გარემომცველ სამყაროს და საკუთარ სამშინველში იწვევთ გარკვეულ წარმოდგენებს. ჩაუფიქრდით ამ შინაგან მოქმედებას, აზრის ამ პროდუქტიულ მუშაობას, რომელიც სამშინველის სიღრმიდან რაღაც შინაარსს მოიპოვებს. უწოდეთ ამ შრომას, სამშინველის სიღრმიდან ცნობიერების დონემდე შინაარსის ამ ამოწვევას „გონებით წვდომა“ და წარმოიდგინეთ ასეთი მოქმედება, რომელიც ადამიანთან იზღუდება მარტოოდენ კოსმიურად ქმნადი წარმოდგენებით. დააყენეთ თქვენი გაგების, თქვენი შინაგანი, აზრობრივი განცდის ადგილზე კოსმიური აზროვნება; მაშინ მიიღებთ იმას, რაც ძვეს ყოფიერების წიგნის მეორე სიტყვაში – Bara. ამის წარმოდგენა საჭიროა რაც შეიძლება სულიერად და მისი რაც შეიძლება გონივრულად დემონსტრირება, რასაც თქვენ მისთვის დამახასიათებელი გრძნობით წარმოიდგენთ, რამდენადაც შეგიძლიათ ეს მხოლოდ მოიახლოოთ.

შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი გონივრულობის დროს თქვენი სამშენიველის წინაშე გამოიხმობთ წარმოდგენების ორ ჯგუფს. ჩვენთვის უჩვეულო და ესოდენ უცხო საქმის მკაფიოდ გამოსახატავად მაგალითისთვის კვლავ ავიღოთ ადამიანი, რომელსაც გამოღვიძებისას ორგვარი რამ მოსდის თავში, ანუ წარმოვიდგინოთ ის, ვინც ორგვარ რამეს იაზრებს. დაე, პირველი იყოს რაიმე მოქმედების ან რაიმე გარეგნული საგნისა თუ არსების სურათი; თუმცა ეს პირველი მის წინაშე წარმონდება არა გარე გრძნობების აღქმიდან, არა გარე სამყაროს დაკვირვებიდან, არამედ ცნობიერების დონეზე მისი სამშენიველის გაგების უნარის, მოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით. წარმოდგენების მეორე კომპლექსი კი, რომელიც წარმონდება ძილისგან გამოღვიძებული ასეთი ადამიანის წინაშე, დაე იყოს რაიმე ლტოლვა, რაღაც ისეთი, რაც მას საკუთარი მშენივერი წყობის გამო შეიძლება ძალიან სურდეს. ამრიგად, ადამიანის სამშენიველში სახეზეა ორი ელემენტი: აზრობრივი და სურვილის ელემენტი. ახლა ადამიანის სამშენიველის ადგილას, რომელსაც ხელეწიფება შინაგანი გააზრება, დააყენეთ ის, რასაც გენეზისში ეწოდება „ელოჰიმი“. ადამიანის სამშენიველის ერთიანობის ადგილას ჩვენ გვექნება მოაზროვნე სულიერი არსებების სიმრავლე, რომლებიც მსგავსი სახით შინაგანი გაგების უნარის მეშვეობით გამოიხმობენ ორი სახის კომპლექსს, რომლებიც შევადარე წმინდა აზრობრივ და ვნებიან ელემენტებს. შესაბამისად, მოაზროვნე ადამიანის ადგილას ჩვენ ვაყენებთ არსებების კოსმიურ ორგანიზაციას. ისინი მსგავსი სახით იწვევენ მხოლოდ მათივე აზროვნების მხოლოდ ორ კომპლექსს – კოსმიურს. ერთი ასეთი კომპლექსი, აზრობრივი, ჰგავს წარმოდგენების აქტს, ანუ ის წარმოაჩენს რაღაცას გარეთ, ესწრაფვის საკუთარი თავის განცდას გარეთ. მეორე კომპლექსი – ვნებიანი, ცხოვრობს შინაგანი იმპულსებით, რომლის შიგნითაც ყველაფერი ცოცხლობს და მოძრაობს. ამრიგად, ელოჰიმებად სახელდებული ეს კოსმიური არსებები წარმოვიდგებიან „მჭვრეტელებად“ და მათი ეს ჭვრეტა ჩვენი სამშენიველის წინაშე წარმონდება სიტყვით „ისინი ქმნიან“, bara. მათი ეს შემოქმედებითი ჭვრეტა ქმნის ორ კომპლექსს: ერთი მათგანი ცდილობს გარეთ გამოვლენას, თავის თავზე მინიშნებას გარეთ,

მეორე ცხოვრობს შინაგანი ცხოვრებით, სავსეა შინაგანი მოძრაობით. თუ ამ ყველაფერს ცოცხლად წარმოვიდგენთ, მაშინ მივიღებთ მიახლოებულ წარმოდგენას იმაზე, რაც ძველებრაელი ბრძენის სამშენებელში წარმოიქმნებოდა სიტყვების „haschamajim“ და „ha'arez“ წარმოთქმისას, რომლებისთვისაც დღეს ვიყენებთ სიტყვებს „ცა და მიწა“. შეძლებისდაგვარად შევეცადოთ, დავივიწყოთ ის, რას ფიქრობს თანამედროვე ადამიანი სიტყვებზე „ცა და მიწა“ და მის ადგილას დავაყენოთ წარმოდგენების ეს ორი კომპლექსი, რომელთაგანაც ერთი ისწრაფვის, გვაუწყოს თავის თავზე, განახორციელოს გარეთ რაიმე მოქმედება, მეორე კი არის შინაგანად იმპულსური, რომელიც ცდილობს განიცადოს შინაგანად, იყოს ქმედითი საკუთარი თავის შიგნით. მაშინ ჩვენ ზუსტად ჩავწვდებით ამ ორი სიტყვის – „haschamajim“ და „ha'arez“, მნიშვნელობას.

მაინც რას წარმოადგენენ ეს არსებები, თავად ელოჰიმიები? ლექციების ამ ციკლის გაგრძელებაში ჩვენ ახლოს გავვეცნობით მათ და გადავთარგმნით სულისმეცნიერების ენაზე, ახლა კი შევეცადოთ, გენეზისის პირველი სიტყვების აზრს ჩავწვდეთ. ვისაც სურს, შეიქმნას ცნება იმაზე, რა ცოცხლობდა ძველებრაელი ბრძენის სამშენებელში, როცა იგი იყენებდა სიტყვას „ელოჰიმი“, მან უნდა იცოდეს, რომ იმ პერიოდში სრულიად მკაფიოდ აცნობიერებდნენ: ჩვენს მიწიერ ევოლუციას გააჩნია გარკვეული აზრი, გარკვეული მიზანი. როგორია ეს აზრი და როგორია ჩვენი მიწიერი განვითარების მიზანი?

ჩვენს მიწიერ განვითარებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ ის შეიტანს რაღაც ისეთს, რაც ადრე არ იყო. მუდმივი გამეორება, დაბრუნება იმისა, რაც ადრე უკვე არსებობდა, სრული უაზრობა იქნებოდა და ძველებრაელი ბრძენი იგრძნობდა სამყაროს წარმოშობის უაზრობას, თუ მისთვის გაუგებარი იქნებოდა, რომ დედამიწა, გაივლიდა რა განვითარების სხვა მდგომარეობებს, სამყაროში შეიტანდა რაღაც ახალს, რაც ადრე ჯერ კიდევ არ იყო. მიწიერ ყოფიერებაში ეს ახალი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს შესაძლებლობა მიეცა, გამოვლინდეს ისეთი, როგორიც ის არის. იმ სახით, როგორითაც წარმოიხდება ადამიანი დედამიწაზე ახლა, რაღაც ის იქცევა მომავალ დროებში, ამ სა-

ხით ის არ არსებობდა განვითარების არც ერთ წინა სტადიაში, არ შეიძლებოდა და არც შეეძლო არსებობა. ადამიანისგან განსხვავებული სახის, – ახლა არაა საჭიროება იმისა, რომ შემოვიტანოთ ცნება დაბალი და მაღალი, – იყვნენ ის სულიერი არსებები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამყაროს გარეგნულ განვითარებას, იმას, რაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც სატურნის, მზისა და მთვარის განვითარება. როგორ შევიძინეთ ეს არსებები, რომლებიც ცხოვრობდნენ და ქსოვდნენ ცეცხლის, ჰაერისა და წყლის ელემენტებში, რომლებმაც მოქსოვეს სატურნის, მზისა და მთვარის ყოფიერება და შექმნეს ჩვენი მიწიერი ყოფიერების პირველი ჩანასახები, როგორ მივეახლოთ მათ?

ჩვენ ბევრი უნდა გვესაუბრა, რომ თუნდაც რაღაც დონეზე მოგვეხერხებინა მასთან მიახლოება. თუმცა თავიდან შევეცადოთ მივუახლოვდეთ მას ერთი მხრიდან. ჯერჯერობით ეს საკმარისი იქნება, რომ თუნდაც ერთი ნაბიჯით მივეახლოთ ბიბლიური წინარე სიტყვის წარმტაც აზრს. ახლა შევეხოთ იმ არსებებს, რომლებიც გარკვეული მიმართებით ყველაზე ახლოს იდგნენ ადამიანთან, როდესაც ის ძველი სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობებიდან თანდათანობით იქმნებოდა და ვითარდებოდა. არსებობდა, რა სურდათ ამ არსებებს და როგორი იყო მათი განზრახვა? ჩვენ თუ ამას გავიგებთ, მაშინ მივიღებთ მათ შესახებ დაახლოებით ცნებას. თავისი ევოლუციის მსგავსებაში მათ განავითარეს უდიდესი ძალა სხვადასხვა მიმართულებით, თითოეულმა თავისებურად. მაგრამ ყველაზე უკეთ ამ არსებებს წარმოვიდგენთ, როცა საკუთარ თავს ვეტყვით: დროის იმ მომენტში, რომელიც ახლა მხედველობაში გვაქვს, ამ არსებების ჯგუფში არსებობდა ერთი საერთო მიზანი, მოქმედებდა საერთო მოტივი. უფრო მაღალ დონეზე აქ ხდება იგივე, როგორც ახლა ადამიანთა ჯგუფის შეკრებისას, როცა თითოეულ მათგანს აქვს განსაკუთრებული ნიჭი. ყოველ მათგანს რაღაც შეუძლია; და აი, ისინი ერთმანეთში მოილაპარაკებენ: „შენ შეგიძლია ეს, მე კი – ეს, მესამეს – კიდევ რაღაც სხვა. ჩვენ ვაერთიანებთ თითოეულის მოწოდებას საერთო საქმისთვის“. წარმოვიდგინოთ ადამიანთა ასეთი ჯგუფი, რომელთაგანაც თითოეულს რაღაც ხელეწიფება და რომლებმაც საკუთარ

თავს დაუსახეს საერთო მიზანი. ის, რაც მონიშნულია, ჯერ კიდევ არ არსებობს. ის საერთო, რაზეც ისინი მუშაობენ, ჯერაც მათში ცხოვრობს მხოლოდ როგორც მიზანი; ის ჯერაც არაა განხორციელებული. არსებობს მხოლოდ სიმრავლე, ხოლო ერთიანობა ჯერ მხოლოდ იდეალია, რომლისკენაც ისინი ისწრაფვიან. ამრიგად, წარმოიდგინეთ სულიერი არსებების ჯგუფი, რომელიც ვითარდება სატურნის, მზისა და მთვარის ეპოქების განმავლობაში და რომლებმაც თავიანთი განსაკუთრებული უნარები მოიპოვეს. ჩემ მიერ ხსენებულ მომენტში ამ ჯგუფმა გადაწყვიტა: ჩვენ გავაერთიანებთ საკუთარ მოღვაწეობას საერთო მიზნის მისაღწევად, რათა მივცეთ მას საერთო მიმართულება, მაშინ ყოველი მათგანის წინაშე წარმოჩნდებოდა ამ მიზნის ცოცხალი სურათ-ხატი. რა იყო ეს მიზანი? ეს მიზანი იყო – მიწიერი ადამიანი.

ამრიგად, მიწიერი ადამიანი ცხოვრობდა, როგორც მიზანი ღვთაებრივ-სულიერი არსებების ჯგუფისა, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი სხვადასხვა უნარისა და ოსტატობის გაერთიანება, რათა მიეღწიათ იმისთვის, რაც თავად მათთან საერთოდ არც არსებობდა, მაგრამ რისი შექმნაც მათ ერთიანი ძალისხმევით შეეძლოთ. თქვენ თუ შეაჯერებთ ყოველივე ჩემ მიერ აღწერილს, როგორც ელემენტარულ გარსს, როგორც მასში მოქმედი სულიერი არსებების ჩანაფიქრს, ამ შექმნილ ორ კომპლექსს, ერთს თავისი შინაგანი სიცოცხლით, მოქსოვილს სურვილების სტიქიისაგან, მეორეს, გახსნილს გარეთ, თუ ამ ყველაფერს აიღებთ და ამ თითქოსდა ელემენტარული გარსიდან თქვენკენ მომზირალ სულიერ არსებებს მიაწერთ ზემოხსენებულ საერთო მიზანს, მაშინ მიიღებთ იმას, რაც ცოცხლობდა ძველებრაველი ბრძენის გულში სიტყვის „ელოჰიმი“ გაუდერებისას. ახლა კი ჩვენ გვაქვს სურათი იმისა, რა ცხოვრობს ბიბლიის ამ უმძლავრეს წინარე სიტყვებში.

ღრობით დაავივიწყოთ ყველაფერი, რაც თანამედროვე ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს და შეივრძნოს სიტყვებზე: „დასაწყისში ღმერთებმა შექმნეს ცა და მიწა“. შევეცადოთ, დღეს გამოთქმულ აზრებზე დაყრდნობით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: ჩვენ წინაშეა ცხოველმყოფელი პირველყოფილი ელემენტი, რომელშიც ქსოვს ცეც-

ხლოვანი, გაზისებრი, წყლოვანი. ამ ელემენტარულის, სიცოცხლითა და მოძრაობით სავსე საწყისის შიგნით ცხოვრობენ სულიერი არსებები, სულიერი არსებების ჯგუფი თავიანთი ფიქრებით. მათი ფიქრები პროდუქტიულია და განმსჭვალულია მიზნით, რომ მთელი მოღვაწეობა მიმართონ ადამიანის სურათ-ხატის რეალიზაციაზე. უპირველეს ყოვლისა, ამ ჩანაფიქრში წარმოიქმნება წარმოდგენა რაღაც ისეთის, რაც ისწრაფვის გარეგნული გამოვლენისკენ, რომელიც თავის თავზე გვაუწყებს საკუთარ შინაგან აქტივობას, რაღაც შინაგანად ქმედითს: ელემენტარულ გარესში უძველესმა სულებმა მოიფიქრეს, ერთი მხრივ, ის, რაც ვლინდება გარეთ, ხოლო მეორე მხრივ – ის, რაც ფლობს საკუთარ შინაგან ცხოვრებას.

შეეცადეთ, ასეთ სურათში წარმოიდგინოთ ის, რაზეც მეტყველებს ბიბლიის პირველი სტრიქონი და თქვენ მიიღებთ ბაზისს იმისთვის, რასაც უახლოეს დღეებში შევეხებით, როგორც ჭეშმარიტ აზრს იმ უმძლავრესი წინარე სიტყვებისა, რომლებიც კაცობრიობის მეშვეობით გვეძლევა, როგორც რაღაც უდიადესი, რადგან ესაა მისი საკუთარი წარმოშობის შესახებ გამოცხადება.

ბევრ რამესთან დაკავშირებით, რაზეც გვიწევს საუბარი, როგორც ლექციების ამ ციკლში, ისე ზოგადად ჩვენი ანთროპოსოფიული საუბრების მსვლელობისას, შეიძლება ისე ჩანდეს, – განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩვენგან შორს დგას და არ იცნობს ჩვენს წრეში გაბატონებულ განწყობებს, – თითქოს მე კმაყოფილებას მანიჭებს და მეტიც მსიამოვნებს, როცა ჩემი გამონათქვამები, თითქოსდა, ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერებას. მე ვისურვებდი, რომ სწორედ ამასთან დაკავშირებით არ იყოს გაუგებრობები. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ჩემთვის ყოველთვის რთულია დაპირისპირება იმასთან, რასაც დღეს მეცნიერულ დასკვნას უწოდებენ; მე ამას არ გადავწყვეტდი არანაირი საბაბით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავად მაქვს შესაძლებლობა, რეალურად თვალი მივაღვენო, რომ თითოეულ ასეთ შემთხვევაში საუბრობს თანამედროვე მეცნიერება. პასუხისმგებლობის გრძნობა საშუალებას არ მომცემდა, მემტკიცებინა რაიმე, რაც ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერებას, თუ თავად არ მექნებოდა შესაძლებლობა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მომეყვანა ყოველივე ის, რისი თქმაც ამასთან დაკავშირებით მეცნიერებას შეუძლია. ამ თვალსაზრისიდან შეიძლება მივუდგეთ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებსაც ამ დღეებში შევეხებით, – წმინდა მოწიწებითა და ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერება სრულიად უძღურია, რაიმე პასუხი გასცეს კითხვებს, რომლებსაც აქ შევეჯახებით; მისმა თანამედროვე წარმომადგენლებმა საერთოდ არ იციან, რატომ შეიძლება აღმოჩნდეს ამ შემთხვევაში მათი ამოსავალი წერტილი უნაყოფო; მათ არ ძალუძთ, გაიგონ, რატომ შეიძლება იყოს თანამედროვე მეცნიერება ცხოვრებისა და ყოფიერების ნამდვილად უდიდეს კითხვებთან მიმართებაში მეტისმეტად დილეტანტური. ამრიგად, ჩემი თხოვნაა, ჩემ მიერ ნათქვამი ყოველთვის გაიგოთ იმის გაცნობიერებით, რომ ზურგს უკან გვაქვს სრულფასოვანი ცოდნა იმ ყველაფერზე, რაც ყოველ მოცემულ შემთხვევაში თანამედროვე მეცნიერებას შეუძლია

თქვას. ცხადია, არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ლექციების მოკლე ციკლში წარმართოთ პოლემიკა თანამედროვე შეხედულებებთან, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით არსებობს. მე იძულებული ვარ, შემოვიფარგლო დადებითი მომენტებით და იმედი ვიქონიო იმისა, რომ ანთროპოსოფების წრეში ჩემ მიერ ახლახან გაკეთებული წინაპირობა ყველაფერში დაცული იქნება.

გუშინ შევეცადე, თქვენთვის მეჩვენებინა, ის პირველქმნილი მძლავრი სიტყვები, რომლითაც იწყება ბიბლია და რომლებიც ჩვენ გვეუწყება თავისი ბუნებით თანამედროვე მეტყველებისგან სრულიად განსხვავებულ ენაზე, როგორ შეიძლება ეს სიტყვები გავიგოთ სწორად, თუ შევეცდებით, დავივიწყოთ ყოველივე ჩვენს სამშინველსა და გრძნობებში გამოცოცხლებული ამ სიტყვების კითხვისას თანამედროვე ენაზე მათ ზოგადად მიღებულ თარგმანებში. ვინაიდან იმ ენას, რომელზეც მოგვეცა თავდაპირველად ეს მძლავრი შემოქმედებითი სიტყვები, თავისი უღერადობის თავისებურებების წყალობით ნამდვილად აქვს თვისება გულები და აზრები მიმართოს სურათ-ხატებისკენ, რომლებიც წარმოიქმნება ნათელმხილველური მხერის წინაშე, როცა ის მიპყრობილია იმ წერილზე, სადაც ზეგრძნობადიდან მომდინარეობს ჩვენი გრძნობადი სამყარო. ძალა და ძლიერება ახასიათებს ყველა ცალკეულ ხმას, რომელშიც ჩვენთვის იხატება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი მიწიერი ყოფიერების დასაბამი. ამ ლექციების მიმდინარეობისას ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, მივუთითოთ ამ ენის ხასიათზე; დღეს კი მსურს, შევეხო ჩვენი მიზნისთვის აუცილებელ ზოგიერთ საგნობრივ განმარტებას.

თქვენ იცით, რომ ბიბლიაში იმ სიტყვების მიღმა, რომელთა აზრიც გუშინ სურათ-ხატებში აღვწერე, დგას თავისებურებები იმ კომპლექსებისა, რაც ამოტივტივდება ღვთაებრივი ჩანაფიქრიდან, პროდუქტიული ჩანაფიქრიდან. მე ვამბობდი, რომ საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორი კომპლექსი ამოტივტივდება თითქოსდა კოსმიური მოგონებიდან. ერთი მათგანი შეიძლება დაახლოებით შევადაროთ ჩვენში ამოტივტივებულ წარმოდგენებს, ხოლო მეორე კომპლექსის წარმოდგენების ხასიათი – უდიდეს სურვილებს ან ნებელობას. ერთი თავის თავში შეიცავს ყოველივე იმას, რაც ესწრაფვის თავისი თავის გამოვლენას გარეთ, სურს, როგორ-

დაც გარეთ გამოავლინოს ძალა, haschamajim. მეორე კომპლექსი, ha'arez შეიცავს შინაგანად იმპულსურ, შინაგანად ლტოლვით განმსჭვალულ სიცოცხლისუნარიანობას. ჩვენთვის მოყვანილია ამ შინაგანად სიცოცხლისუნარიანის თვისებები და ისინი ბიბლიაში ასახულია დამახასიათებელი ბგერებით. გვეუბნებიან, რომ ეს შინაგანად იმპულსური იმყოფება მდგომარეობაში, რომელიც აღინიშნება როგორც tohu wabohu*, რაც ჩვეულებრივ ითარგმნება სიტყვებით „უდაბური და გაურკვეველი“. თუმცა, ამის გაგება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, თუ კვლავ მივიღებთ ზუსტ ხატოვან წარმოდგენას იმაზე, არსებითად, რა იგულისხმება ამ tohu wabohu-ს ქვეშ. ამას კი მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ ჩვენი სულისმეცნიერების საფუძველზე გავარკვევთ, არსებითად, რა გადაიდგრობდა და ამოიზიდებოდა სივრცეში, როცა ეს ყველაფერი სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობების გავლის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, როგორც დედამიწის პლანეტარული მდგომარეობა.

გუშინ თქვენი ყურადღება მივაპყარი იმაზე, რომ სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობების დროს ჯერაც არ არსებობდა მყარი მდგომარეობები, ანუ ის, რაც ჩვენს გრძნობებს ეწინააღმდეგება. მაშინ არსებობდა მხოლოდ ცეცხლის ან სითბოს სტიქია, გაზის ან ჰაერისმაგვარი და თხევადი სტიქია. მხოლოდ დედამიწის პლანეტარული მდგომარეობის გამოვლენისას უერთდება ადრინდელ სტიქიებს მყარი სტიქია. შესაძლოა, გუშინ ჩემ მიერ დახასიათებულ მომენტში, როცა ასევე ვლინდება ტენდენცია მზის გამოყოფისა დედამიწისგან, ჩვენ საქმე გვაქვს, – თუ მზერას მივაპყრობთ სტიქიების ცხოვრებას, – სითბოს, ჰაერისა და წყლის სტიქიების ურთიერთგანმსჭვალვასთან. ეს ყოველივე ურთიერთგანმსჭვალვისას გადაიდგრობდა და ამოიზიდებოდა. თუ როგორ გვმართებს, წარმოვიდგინოთ ეს ყოველივე გადადგრილი და ამოზიდული, როცა ამას ვხატავთ ჩვენი სულიერი გრძნობისთვის, ამაზე თანამედროვე ენაზე შეიძლება, – ცხადია, არც მთლად ზუსტად, – მივუთითოთ გამოთქმით „უდაბური და გაურკვეველი“, მაგრამ სამაგიეროდ სრულიად ზუსტად სიტყვათწყობით tohu wabohu. მაინც რას ნიშნავს ეს tohu wabohu? თუ შევეცდებით, ხატოვნად წარმოვიდგინოთ ის, რისი აღძვრაც ამ ბგერებს სამშენველში შე-

უძლიათ, მაშინ მივიღებთ დაახლოებით შემდეგს. ბგერა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ჩვენს T-ს, იწვევს ცენტრიდანულ ძალას – ცენტრიდან ყველა მხარეს, სივრცის ყველა მიმართულებით, შორეთში, უსასრულობაში. ამდენად, ბგერის წარმოქმნის მომენტში T წარმოადგენს ცენტრიდან სივრცეში ყველა მიმართულებით რაღაც გაფანტულის სურათს. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ სითბოს, ჰაერისა და წყლის ურთიერთგანმსჭვალვა, ხოლო შიგნით ცენტრიდანული ენერგია, თითქოსდა ცენტრიდან ყველა მიმართულებით, და, თუ იარსებებდა ამ სიტყვათხმარების მხოლოდ პირველი ნაწილი, მაშინ გვექნებოდა მხოლოდ ეს ცენტრიდანული ძალები – tohu. მეორე ნაწილი კი რას გვაჩვენებს? ის გვაჩვენებს პირველის სრულიად საპირისპიროს. ამ საპირისპიროს გამოწვევა სამშენებელში ხდება ბგერით, რომელიც შეიძლება შევადაროთ ჩვენს ბგერას B, ბეტას, რომელიც იწვევს ისეთი სახის წარმოდგენას, რომელიც შეიძლება შევადაროთ შემდეგ სურათს. წარმოიდგინეთ უზარმაზარი ბურთი, ცარიელი ბურთი, რომლის შიგნითაც თავად იმყოფებით და ამ ბურთის შიდა ზედაპირის ყველა წერტილიდან მოდის სხივები, მიმართული ცენტრისკენ. შემდეგ წარმოიდგინეთ სურათი, წერტილი შუა სივრცეში, რომლისგანაც გამოდიან ძალები ყველა მიმართულებით: Tohu; ეს ძალები, თითქოსდა უზარმაზარი ცარიელი ბურთის შიდა ზედაპირის მიერ შეჩერებით, უკანვე აისახებიან სივრცის ყველა მხრიდან – ეს იქნება Bohu. თქვენ თუ წარმოიდგენთ ამ ყველაფერს და ყველა ძალოვან ხაზს წარმოისახავთ დაკავშირებულს იმასთან, რაც ჩვენ გვაქვს სამი სტიქიის, – სითბო, ჰაერი და წყალი, – სახით და წარმოიდგენთ, როგორ ვლინდება ეს ძალები ერთმანეთის განმსჭვალავ და ერთმანეთში გადაღვრილ სამ სტიქიაში, მაშინ თქვენ მიიღებთ ცნებას იმაზე, რა არის შინაგანად ცოცხალი, აქტიური. ამრიგად, ამ სიტყვათხმარების „tohu wabohu“ მეშვეობით გვეძლევა ცნება, რა მეთოდით მართავენ სტიქიის ყოფიერებას ელოჰიმები.

ბოლოს და ბოლოს, მაინც რა ითქვა ამ ყველაფრით? ჩვენ ვერ გავიგებთ შეიდდლიანი შესაქმის დრამატული პროცესის მთელ სიდიადეს, თუ ამ წერილმანებს არ ჩავწვდებით. ჩვენი შინაგანი მზერით მათი ჭვრეტისას ჩვენ წინაშე გადაიშლება გასაოცარი, დიდებული კოსმიური დრამა. არ-

სებითად, მაინც რა გვეუწყება? კიდევ ერთხელ გავისხენოთ, რომ ზმნით „bara“, – დასაწყისში ღმერთებმა „შექმნეს“; – აღინიშნება მშენიერი-სულიერი მოღვაწეობა, რომელიც გუშინ შევადარე სამშენიველში წარმოდგენების კომპლექსის გამოხმობას. ასე წარმოვიდგენთ ჩვენ სივრცეში არსებულ ელოჰიმებს; ხოლო იმას, რაც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება სიტყვა „bara“, „შექმნა“-ს სახით, ეს გვესმის, როგორც მათი მოფიქრებული კოსმიურ-მშენიერი მოღვაწეობა. ამ ჩანაფიქრების შედეგია haschamajim და ha'arez, რომელიც ასხივებს გარეთ და შინაგანად ქმედითია. მაგრამ ახლა კიდევ მითითებულია რაღაც ძალზე მნიშვნელოვან სხვა რამეზე. შედარებით უკეთესი ცნების მისაღებად საკუთარი თავი წარმოვიდგინეთ ძილისგან გამოღვიძებული. თქვენს სამშენიველს ადავსებს სხვადასხვა წარმოდგენის კომპლექსი. ასევე ადავსებს ელოჰიმების სამშენიველს haschamajim და ha'arez.

თქვენ იცით, ამაზე გუშინ უკვე ვისაუბრე, რომ ელოჰიმებმა თავიანთ განვითარებაში თავად განვლეს სატურნის, მზისა და მთვარის ევოლუციები. ამდენად, მათი ჩანაფიქრი ემსგავსება თქვენს წარმოდგენებს, რომლებსაც გამოღვიძებისას გამოიხმობთ. საკუთარი სულითა და სამშენიველით მათი ჭერეცისას, შეგიძლიათ გაიგოთ, როგორები არიან ისინი. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: როცა დილით ვიღვიძებ და ვპოულობ იმას, რაც ადრე ჩაღებულ იყო ჩემს სამშენიველში და რასაც მე მხოლოდ ხელახლა გამოვიხმობ, ეს შემიძლია აღვწერო, როგორია. ელოჰიმებსაც ასევე შეეძლოთ, ეთქვათ საკუთარი თავისთვის, თუ გამოვიყენებთ რამდენადმე უხეშ გამოთქმას: ჩვენ გამოვიხმობთ სამშენიველის წინაშე ყოველივე იმას, რაც ხდებოდა ძველი სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობების დროს და ვნახავთ, როგორ გამოიყურება ის მოგონებებში. მან მიიღო ის სახე, რაც გამოიხატა სიტყვებში tohu wabohu; გამოვლინდა ისეთ სურათში, როგორიც გამოვსახე თქვენ წინაშე – სხივებით, რომელიც ცენტრიდან ასხივებს სივრცეში და კვლავ უკან ბრუნდება ცენტრში ისე, რომ სტიქიები გადაიღვრებოდა და ერთმანეთს მსჭვალავდა ამ ძალოვანი გამოსხივების მიმართულებით. და ელოჰიმებს შეეძლოთ, თავისი თავისთვის ეთქვათ: აი როგორი სახე მიიღო მან, მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ამ სტადიამდე მივიყვანეთ. ის ხელახლა სწორედ ასე გაჩნდა.

იმ გამოთქმის გასაგებად, რაც თანამედროვე ენაზე ჩვეულებრივ ითარგმნება: „და სიბნელე იყო დენად მატერიაზე“ ან „წყლებზე“, – აუცილებელია, კიდევ რაღაც გავისხენოთ. აქ კვლავ უნდა მივაპყროთ ჩვენი მზერა უკან, მიწიერი ყოფიერების გამოვლენამდე არსებული განვითარების მსვლელობისკენ.

თავიდან ვხედავთ ცეცხლოვან ელემენტში ჩანერგილი სატურნის ყოფიერებას. მას უერთდება მზის ყოფიერება ჰაერისმაგვარი სტიქიით. ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ შეგიძლიათ წაიკითხოთ, რომ ამ შეერთებასთან კიდევ სხვა რამეც არის დაკავშირებული. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ სითბოს სტიქიას უერთდება ჰაერისებრი ან გაზისებრი სტიქია; ეს უბრალოდ სითბური ელემენტის გამკვრივება, გასქელებაა: ძველი სატურნის ნატიფი სითბური სტიქია მკვრივდება გაზის სტიქიამდე. ყოველი ასეთი გამკვრივება დაკავშირებულია რაღაც უფრო ნატიფის გამოსვლასთან. გაზის სტიქიამდე გამკვრივება თუ არის თითქოსდა დაშვება, მეორე მხრივ, არსებობს სინათლის სტიქიისკენ აღმასვლაც; ასე რომ, როცა ძველი სატურნიდან გადავიდვართ ძველი მზისკენ, საჭიროა ვთქვათ: ძველი სატურნი ჯერ კიდევ მთლიანად სითბოს სტიქიაში ცხოვრობს. მზის მდგომარეობაში ამას კიდევ უერთდება რაღაც უფრო მკვრივი, გაზისებრი, მაგრამ ამავე დროს სინათლის სტიქიაც. მისი წყალობით შესაძლებელია სითბოსა და გაზისებრის გარეთ გამოვლენა.

შემდგომში თუ ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გამოყოფილ კომპლექსთაგანს, რომელიც აღინიშნება სიტყვით ha'arez, რაც ჩვეულებრივ ითარგმნება „მიწა“-დ, იმის გათვალისწინებით, რომ ელოჰიმები, მე ამას უბრალოდ გახსენებთ, მას სამშენველის თვალსაწიერში ინარჩუნებდნენ, მაშინ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: როგორ შეეძლოთ ელოჰიმებს მათი აღნიშვნა? მათ არ შეეძლოთ მისი აღნიშვნა ისე, თითქოს მასში აღსდგა ის, რაც ძველ მზეზე უკვე არსებობდა. არსებითად, სინათლის სტიქია საკმარისი არ იყო. ის გამოეყო, ამიტომაც ha'arez ცალმხრივი გახდა. მან თავის თავში არ მიიღო სინათლე, არამედ – მხოლოდ უფრო მკვრივი ელემენტები: წყლის, ჰაერისმაგვარი და სითბური. თუმცა, სინათლე არსებობდა იმაში, რაც აღნიშნულია სიტ-

ყვით – haschamajim. მაგრამ haschamajim არის ის მზისეული, რაც სხვა კომპლექსიდან გამოეყო. ამ სხვა კომპლექსში არ არსებობდა სტიქიათა ნატიფი კომპონენტები, კერძოდ სინათლე. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ: ერთ კომპლექსში, – იმ სახით, რომელიც აღვნიშნეთ სიტყვებით – tohu wabohu, – იღვრებოდა სითბოს, ჰაერისა და წყლის სტიქიები. და ისინი იყვნენ გატიტვლებულები; მათ არ ჰყოფნიდათ ის, რაც ძველი მზის ყოფიერების დროს ევოლუციაში შევიდა, კერძოდ – სინათლის სტიქია. მაშასადამე, ისინი ბნელნი დარჩნენ, მათში მზისეული არაფერი იყო. ამ ყველაფერმა hachamajim-თან ერთად ისინი დატოვა. ამრიგად, მიწიერი განვითარებისკენ წინსვლა ნიშნავს შემდეგს: ძველ მზეში, სანამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ შეერთებული იყო იმასთან, რასაც ვუწოდებთ დედამიწას, სინათლის სახით არსებული გამოეყო მას და ha'arez-ის სახით დარჩა სტიქიების – სითბოს, ჰაერისა და წყლის ბნელ წნულად.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ახლოს გავეცანით ელოჰიმების ჩანაფიქრს. თუმცა ჩვენ ვერასდროს შევძლებთ, ეს წარმოვიდგინოთ სათანადოდ, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სტიქიების – ჰაერის, წყლისა და სითბოს ყოფიერებას, ამავე დროს არსებითად არის, სულიერი არსებების გარეგნული გამოხატულება. არც მთლად სწორია, ამას ეწოდოს სამოსი; ამის გაგება საჭიროა, როგორც გარეგნული უწყება. ასე რომ, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ჰაერს, წყალს, სითბოს, არსებითად არის მათი, ილუზია და თავიდან არსებობს მხოლოდ, როგორც გარეგნული ხილულობა თვით მშინვიერი მზერისთვისაც. სინამდვილეში, თუ მის ჭეშმარიტ არსებას ჩავწვდებით, ის არის მშინვიერ-სულიერი, ელოჰიმების მშინვიერ-სულიერი ბუნების გარეგნული გამოხატულება. თუმცა ელოჰიმების განხილვისას ისინი ადამიანის მსგავსებად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რამდენადაც მათი მიზანი იყო სწორედ ადამიანის შექმნა, გამოეხმით ის ყოფიერებისკენ თავისი განსაკუთრებული ორგანიზაციით, რომელიც მოცემული მომენტისთვის ჯერ კიდევ ნაფიქრის ნაყოფია. ამიტომაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ისინი ადამიანის მსგავსებად; თუმცა გარკვეულ მიმართებაში მათთანაც, ამ ელოჰიმებთან, შეგვიძლია მათი არსების განსაკუთ-

რებული დაყოფა ვიპოვოთ. დღეს ადამიანზე საუბრისას ჩვენ სრულებით არ ვიქნებით მზად მისი გაგებისთვის, თუ ადამიანის არსებას სხეულად, სამშენიველად და სულად არ დაყოფთ. თქვენ ხომ იცით, რომ სწორედ ანთროპოსოფიის სფეროში განსაკუთრებულად ვსწავლობთ ადამიანის ამ სამწვერიანობის: სხეულის, სამშენიველისა და სულის როლსა და არსს. მოვახდინოთ ასეთი დაყოფა და დავინახოთ არსება ასეთ სამწვერიანობაში, ეს იძულებული ვართ, გავაკეთოთ მხოლოდ ადამიანთან დაკავშირებით. ცხადია, უხეშ შეცდომას დაუშვებდით, თუ ადამიანის მსგავსებად წარმოვიდგენდით ადამიანობამდელი ეპოქის არსებებს, რომელთაც ბიბლიაში ელოჰიმებს უწოდებენ. თუმცა ელოჰიმებშიც უკვე საჭიროა რაღაც სხეულის მსგავსი და რაღაც სულის მსგავსი განვასხვაოთ.

როცა თქვენ ადამიანში ერთმანეთისგან განასხვავებთ მის სხეულებრივსა და სულიერს, როგორადაც წარმოჩნდება იგი ჩვენ წინაშე მისი გემტალტის, მისი მიწიერი არსების სახით, ამ დროს მისი არსება მრავალფეროვანი სახით ცხოვრობს. ჩვენ, მაგ, ჭეშმარიტად სულიერ ადამიანს ვეძებთ არა მის ხელებსა თუ ფეხებში, არამედ ვამბობთ: მისი სხეულებრიობა უპირატესად თავმოყრილია ტანში, ფეხებსა და ხელებში; მის სულიერებას კი თავისი ორგანოები გააჩნია თავსა და ტვინში; აქ არის მისი სულის იარაღი. ასეთ განსხვავებას ვაკეთებთ ჩვენ ადამიანის გარეგნული გემტალტის ცალკეულ ნაწილებს შორის ისე, რომ გარკვეული ნაწილები ჩვენ წარმოვიდგება უფრო სხეულებრივი ბუნების, სხვები კი სულიერის გამოხატულებად.

რაღაც მსგავსი, თუმცა არც ასეთი მკვეთრი ფორმით, უნდა გავაკეთოთ ჩვენ ელოჰიმებთან მიმართებითაც. არსებითად, მთელი ქსოვა და ვნებათაღელვა, რომელზეც ვისაუბრე, მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენ მიერ სწორად გაგებული, როცა მათ შევხედავთ, როგორც ელოჰიმების სულიერ-მშენივერი საწყისის სხეულებრიობას. ამრიგად, სტიქიების, – სითბოს, ჰაერისა და წყლის, – მთელი ეს ქსოვა წარმოადგენს ელოჰიმების გარეგნულ სხეულებრიობას. აქაც ჩვენ კვლავ უნდა შევეცადოთ, გავარჩიოთ ელოჰიმების სტიქიების წევრებისგან სხვადასხვაგვარად მოქსოვილებს შორის განსხვავება. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ მათი უფრო უხეში,

სხეულებრივი საწყისი წყლისა და ჰაერის სტიქიებთან დაკავშირებული. ხოლო იმ ყველაფერში, რაც სითბური სტიქიის სახით მსჭვალავდა ჰაეროვანსა და წყლოვანს, რაც მსჭვალავდა ამ tohu wabohu-ს და ამოიზიდებოდა მასში, როგორც ჭავლივით სითბო, – ამ ყველაფერში მოქმედებდა ის, რასაც შეგვიძლია ელოჰიმების სულიერი საწყისი ვუწოდოთ. ზუსტად ისე, როგორც ვამბობთ, რომ ადამიანის სხეულებრივი უფრო მეტად ვლინდება მის ტანში, ხელებსა და ფეხებში, ხოლო სულიერი, უფრო მეტად მის თავში, ჩვენ შეგვიძლია, მთელი კოსმოსის, მთელი სამყაროს, როგორც ელოჰიმების სხეულებრიობის მიღებით, ვთქვათ: ჰაერისა და წყლის სტიქიებში უპირატესად ცხოვრობს ელოჰიმების სხეულებრიობა, ხოლო სითბოს სტიქიაში მათი სულიერი ქსოვს. ამრიგად, კოსმოსს თქვენ შეხედავთ, როგორც ელოჰიმების სხეულებრიობას; მას შემდეგ კი, რაც ეს გარეგნული სხეულებრივი დავახასიათეთ, როგორც ელემენტარული არსებების tohu wabohu-ს სახით, თქვენ ელოჰიმების მქსოველ სულს დაინახავთ იმაში, რაც ამ ელემენტარულ არსებებს სითბოს სახით მსჭვალავდა.

ელოჰიმების სულიერ საწყისსა და სტიქიებს შორის მიმართების გამოსახატავად ბიბლია იყენებს ძალზე უცნაურ სიტყვას: „Ruach Elohim m'rachephet“.* ეს უცნაური სიტყვა უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ, რათა გავიგოთ, რა სახით მსჭვალავდა ელოჰიმების სული სხვა ელემენტებს. ამ სიტყვას „rachephet“ ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ, ასე ვთქვათ, დასახმარებლად მოვუხმობთ ყოველივე იმას, რაც იმ დროებში ამ სიტყვის წარმოთქმისას სამშენიველში გაიფლიდა. როცა ამბობენ: „ღმერთების სული ქსოვდა ნივთიერებათა განფენილ მასებზე“ ან „წყლებზე“, მაშინ ამით, არსებითად, ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. ვინაიდან ამ ზმნის „rachephet“* სწორ ახსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუ წარმოვიდგენთ, – თვალსაჩინოებისთვის მე უნდა გამოვიყენო საკმაოდ უხეში ხატი, – კვერცხებზე მჯდომი კრუხისგან როგორ მოდის ამ კვერცხების გამათბობელი სითბო. თქვენ თუ წარმოიდგენთ ამ სითბოს ზემოქმედებას, კრუხიდან კვერცხებისკენ მიმავალი ამ სითბური სხივების ზემოქმედებას, რათა ისინი მიიყვანოს მომწიფებამდე, მაშინ გავიგებთ იმ ზმნას, რომელიც ბიბლიაში იმ მიზნით არის გამო-

ყენებული, რომ არსებითად გვაუწყოს, რას ქმნის სული სიტბურ ელემენტში. ცხადია, სრულიად არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ელოჰიმების სული „გამოჩეკს“, ვინაიდან აქ არ იგულისხმება ის, რასაც დღეს აღვიქვამთ გარეგნული გრძნობებით მოქმედებისას „გამოჩეკვაზე“, არამედ იგულისხმება უშუალოდ გამოსხივებული სიტბოს აქტივობა. როგორც კრუხიდან ასხივებს სიტბო, ასევე ასხივებდა ელოჰიმების სული სიტბოს სტიქიის მეშვეობით სხვა სტიქიებში – ჰაერისა და წყლის სტიქიებში. თქვენ თუ ამ ყველაფერს წარმოიდგენთ, მაშინ მიიღებთ სურათს იმისა, რაც იგულისხმება სიტყვებით: „და ელოჰიმების სული გამოჩეკდა ნივთიერებათა მასებზე, წყლებზე“.

ახლა ჩვენ, გარკვეულ დონეზე ჩამოვიყალიბეთ ის სურათი, რომელიც ლივლივებდა ძველებრაველი ბრძენის სამშენველის წინაშე, როცა ის ფიქრობდა ამ უხსოვარ მდგომარეობაზე. ჩვენ ავაგეთ ჩვენთვის რთული მთლიანი, რომელშიც ჩემ მიერ დახასიათებული tohu wabohu-ს სახით თითქოსდა ბურთისებურად გადაიდვრებოდნენ და ერთმანეთს მსჭვალავდნენ სიტბო, ჰაერი და წყალი. ამ ყველაფერს haschamajim-ის სახით გამოეყო მთელი სინათლისებრი სტიქია; ხოლო გადადვრილი სამი სტიქია შიგნიდან სიბნელით არის განმსჭვალული. ამ სტიქიათაგან ერთ-ერთში, სიტბურში, ჩვენ ვხედავთ ელოჰიმთა სულიერი საწყისის ქსოვას, როგორ ვრცელდება ის სიტბოს ტალღებთან ერთად ყველა მიმართულებით, როცა მომწიფებისკენ მიჰყავს ის, რაც ჯერ კიდევ ჩანასახის სახით სიბნელეში თვლემს.

ამრიგად, ამ გამონათქვამის ბოლოში, რომლის შინაარსზე ჩვეულებრივ მიუთითებენ სიტყვებით „ელოჰიმების სული ლივლივებდა წყლებზე“, ჩვენ აღმოვჩნდით იმის შუაგულში, რასაც ha'arez-ის კონტექსტში ბიბლიის პირველ ლექსში „დედამიწას“ ვუწოდებთ. ჩვენ დავახასიათეთ ის, რაც დარჩა იქ, ამ ha'arez-ში, მას შემდეგ, რაც ის დატოვა haschamajim-მა.

ახლა ჩვენი ყურადღება მივაპყროთ უფრო ადრინდელ მდგომარეობებს. დედამიწიდან ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ მთვარის, მზისა და სატურნის მდგომარეობებისკენ. გადავხედოთ ძველი მზის ყოფიერებას. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო საუბარი მზისგან იმის გამოყოფაზე, რა-

საც დღეს დედამიწას ვუწოდებთ. ამიტომ მაშინ ასევე შეუძლებელი იყო საუბარი იმაზე, რომ მიწიერი შეიძლება გარედან გასხივოსნდეს სინათლით. ჩვენი მიწიერი ყოფიერების სპეციფიკა ხომ ის არის, რომ დედამიწა სინათლეს გარედან იღებს. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ მზეში მოთავსებული დედამიწა, რომელიც თითქოს მის ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც ვერ იღებს გარედან სინათლეს, სამაგიეროდ განეკუთვნება იმ არსებას, რომელიც სინათლეს ასხივებს სივრცეში; სწორედ მაშინ მიიღებთ ძველი სატურნის მდგომარეობას. ის ხასიათდება იმით, რომ მთელი მიწიერი წარმონაქმნი, მაშინდელი მიწიერი არ იღებს სინათლეს, არამედ თავად ავრცელებს მას, რომ ის თავად არის სინათლის წყარო.

ყურადღება მიაქციეთ ამ განსხვავებას: ძველი მზის მდგომარეობისას დედამიწა მონაწილეობს სინათლის გამოსხივებაში; მიწიერში კი იგი – აღარ მონაწილეობს. დედამიწამ საშუალება მისცა მისგან გამოყოფილიყო ყველაფერი, რაც სინათლეს ავრცელებდა; მას მხოლოდ გარედან შეეძლო მისი მიღება. აი, ახალი მიწიერი მდგომარეობის დამახასიათებელი განსხვავება, რომელიც განვითარების მსვლელობაში თანდათანობით გამოვლინდა, ძველი მზის მდგომარეობიდან. მზისეულის, ამ haschamajim-ის გამოყოფით მთელი სინათლეც გავიდა; ეს ახლა დედამიწის გარეთაა. ხოლო სტიქიათა იმ ყოფიერებას, რომელიც გადაიდგურება ha'arez-ში tohu wabohu-ს სახით, თავისი საკუთარი სინათლე არ გააჩნია. იქ არის მხოლოდ რაღაც ისეთი, რასაც შეიძლება ეწოდოს „ელოჰიმების სულისგან გამოჩეკილი“. მაგრამ ეს „ელოჰიმების სულისგან გამოჩეკილს“ ვერ აქცევდა თავისთავად ნათლად, არამედ მას შიგნიდან სიბნელეში ტოვებდა.

ახლა კიდევ ერთხელ შევხედოთ სტიქიათა მთელ ყოფიერებას, როგორც რაღაც მთლიანს. წინა ლექციებიდან თქვენ ხომ უკვე იცით, რომ მიწიერი ყოფიერების ელემენტარულ მდგომარეობებზე საუბრისას ჩვენ ვიწყებთ მყარი მდგომარეობიდან, შემდეგ გადავდივართ წყლოვანისკენ, ჰაეროვანისკენ, ანუ გაზისებრისკენ და ბოლოს, სითბური ელემენტისკენ. ამით ჩვენ, ასე ვთქვათ, ჩამოვთვალეთ ნივთიერებათა ყველაზე მყარი მდგომარეობები. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. კიდევ უფრო ზევით ასვლისას ჩვენ ვპოულობთ უფრო ნატიფ მდგომარეობებს, რომლებზეც მივიღებთ მხოლოდ

ბუნდოვან ცნებას, თუ მათ „უფრო ნატიფ მატერიას“ ვუწოდებთ. საქმე ის არის, რომ ახლოს გავეცნოთ ამ უფრო ნატიფ მდგომარეობებს, განსხვავებით უფრო უხეშებისგან, როგორცაა გაზისებრი, სითბური და სხვა მდგომარეობები. ჩვეულებრივ მათ ეთერულ მდგომარეობებს უწოდებენ. მათგან პირველად ყოველთვის სინათლეს გამოვყოფდით: მაშასადამე, სითბოსგან ქვევით, უფრო უხეში მატერიისკენ დამხვებით, ჩვენ მივდივართ გაზისებრისკენ, ხოლო ზევით ასვლით – სინათლისკენ. სინათლის ელემენტიდან კიდევ უფრო ზევით ასვლით მივდივართ კიდევ უფრო ნატიფი ეთერული მდგომარეობისკენ. ჩვენ მივდივართ რაღაც ისეთისკენ, რაც სამყაროში არ არსებობს უშუალო სახით, ისეთი სახით, რომელიც ჩვეულებრივი გრძნობებისთვის მისაწვდომია. გარე გრძნობების სამყაროში არსებობს მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული ანასახი იმისა, რაც კიდევ უფრო ნატიფია სინათლის ეთერთან შედარებით. ოკულტური თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნატიფ ეთერში იგივე ძალებია, რომლებიც მართავენ ქიმიურ ნაერთებს, ნივთიერებათა ქიმიურ შეერთებას, მატერიის ორგანიზებას იმის მსგავსად, როგორც ფირფიტაზე დაყრილი მტვრის წვრილი ნაწილაკები ფირფიტაზე ხემის ჩამოსმით ქმნის ე. წ. ცივ (ჟღერად, Chladnischen) ბგერით ფიგურებს. რასაც აქ მტვერში წარმოქმნის უხეში, გრძობადი ბგერა, ეს ხორციელდება ზოგადად მთელ სივრცეზე. სივრცე თავის თავშია დიფერენცირებული და განიმსჭვალება უფრო ნატიფი ძალებით, ვიდრე სინათლის ძალებია, რომლებიც სულიერ სფეროში წარმოადგენენ იმას, რაც გრძობადში არის ბგერა. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ქიმიურ ან ბგერით ეთერზე, როგორც უფრო ნატიფ ელემენტზე, როცა სითბოდან ავმადლდებით სინათლისკენ, იქიდან კი უფრო მაღლა, ამ გაცილებით ნატიფი ეთერისკენ, რომელიც შეიცავს მატერიის განმაცალკევებელ და გამაერთიანებელ დიფერენცირებულ ძალებს. სინამდვილეში ეს ეთერი თავისი ბუნებით ჟღერადი და ტონების წარმომქმნელია, მაგრამ გრძობადი ყურებით არ აღიქმება; გარეგნული სმენით გაგონილი ბგერა ამ უფრო ნატიფი ეთერის მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა, რომელსაც ის იღებს იმის წყალობით, რომ განვლო ჰაერი. ეს გრძობადი ბგერა ჩვენ გვაახლოებს უფრო ნატიფ ელემენტთან, რომე-

ლიც სინათლეზე მაღლა მდებარეობს. მაშასადამე, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ haschamajim-თან ერთად ha'arez-ს გამოეყო ის, რაც იხსნება გარეგნულად, მაშინ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მხოლოდ ის, რაც ვლინდება სინათლის სტიქიაში, არამედ ასევე ვიგულისხმოთ ისიც, რაც ტონის, ბგერის წარმოქმნის უფრო ნატიფ ეთერულ არსში ვლინდება და რაც, თავის მხრივ, სინათლეს მსჭვალავს.

ისევე როგორც სითბოდან ვეშვებით ქვემოთ გაზისებრისკენ, ხოლო ამ უკანასკნელიდან – წყლისკენ, წყლოვანისკენ, ასევე, მივდივართ რა სითბოდან ზევით, მივდივართ სინათლისკენ, ხოლო სინათლიდან – ტონის, ქიმიური პროცესების მარეგულირებელი ეთერისკენ. წყლოვანიდან კი შეგვიძლია დავეშვათ კიდევ უფრო ქვევით, მიწიერისკენ. მაინც სად აღმოვჩნდებოდით ჩვენ, თუ ბგერიდან ავალთ კიდევ უფრო ზევით, გაცილებით უფრო ნატიფი ეთერისკენ, რომელიც ასევე გაიდა haschamajim-თან ერთად? მაშინ ჩვენ შეგხვდებით იმას, რაც, ასე ვთქვათ, არის რა ძალზე ნატიფი ეთერული მდგომარეობა, ცხოვრობს ახლახან აღწერილ ბგერასა თუ ტონში, ქიმიურის წესრიგში. თქვენ თუ მიმართავთ საკუთარ ეთერულ სმენას ამ ბოლო ეთერულ მდგომარეობაზე, მაშინ, ცხადია, ჰაერის გარეგნული რხევიდან ვერაფერს მოისმენთ, მაგრამ მოისმენთ ტონს, რომელიც ახდენს სიერცის დიფერენციაციას, იჭრება მასში და აწესრიგებს მატერიას, მსგავსად იმისა, როგორც ფირფიტაზე წარმოქმნილ მტვერს განკარგავს ბგერა და აქცევს *ხლადნისებრ**, ცივ ბგერით ფიგურებად. ბგერითი ეთერით მოწესრიგებულ ამ ყოფიერებაში იღვრება უფრო მაღალი ეთერული მდგომარეობა. ეს მაღალი, უნატიფესი ეთერი ისეთივე სახით მსჭვალავს ბგერით ეთერს, როგორც აზრი მსჭვალავს ჩვენი პირით წარმოთქმულ ბგერას, მისი სიტყვაში გარდაქმნით. განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდით იმას, რა გარდაქმნის ბგერას გააზრებულ სიტყვად, და მაშინ მიიღებთ წარმოდგენას იმაზე, რა ცხოვრობს და მოძრაობს ბგერით ეთერში უმაღლესი, ნატიფი ეთერის სახით, როცა კოსმიურად მსჭვალავს მას, აძლევს რა აზრს მოწესრიგებულ სამყაროსეულ ბგერას: ესაა სიერცის განმსჭვალავი სიტყვა. ეს სიტყვა იღვრება ბგერით ეთერში და ამავე დროს არის სიცოცხლის წყარო, თავად ჭეშმარიტი, ყველგან გადაღვრილი

და სამყაროს ქსოვილის მქსოველი სიცოცხლე. ამრიგად, ის, რაც haschamajim-თან ერთად წავიდა ha'arez-დან და იქცა მზისეულად, რომელიც გამოეყო ქვედადან და მიწიერიდან, tohu wabohu-დან, ეს არის ისეთი სტიქია, რომელსაც შეუძლია გარედან გვაუწყოს თავის თავზე, როგორც სინათლეზე. მაგრამ ამ სინათლის უკან დგას რაღაც სულიერი ბგერა, ამის უკან კი კოსმიური სიტყვა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: გამოსაჩეკ სითბოში განიცდება ელოჰიმების მხოლოდ დაბალი სულიერი, დაახლოებით ისე, როგორადაც განიცდება ჩვენი ვნებები ჩვენივე სამშენველის ქვედა სიღრმეებში (niederen). ხოლო ელოჰიმების მაღალი სულიერი, რომელიც haschamajim-თან ერთად გავიდა, ცხოვრობს სინათლეში, სულიერ ბგერაში, სულიერ სიტყვაში, კოსმიურ სიტყვაში. ყოველივე, რაც გადავიდა ამ მზისეულში, ეს თავად შეიძლება გარედან ჩაიღვაროს tohu wabohu-ში.

ახლა შევეცადოთ, ხატოვნად წარმოვიდგინოთ ყოველივე ის, რაც ძველებრაველი ბრძენის სამშენველის წინაშე ლივლივებდა სიტყვების ha'arez და haschamajim-ის გაქდერებისას. ის, რაც იქ განცალკევდა, როგორც სულიერად მანათობელი, ბგერითი, მეტყველებითი, სიტყვიერი, ხელახალი გაბრწყინებისას როგორ ზემოქმედებდა? ის ზემოქმედებდა, როგორც მზისგან მეტყველი სინათლე; როგორც სინათლე, რომლის მიღმაც კოსმიური ხმა დგას. ამრიგად, წარმოვიდგინოთ ყოველივე დაკავშირებული tohu wabohu-სთან, – სრული წყვდიადი და სითბური, გაზისებრი, წყლოვანი სტიქიების გადაღვრა, – წარმოვიდგინოთ ეს ყოველივე, როგორც შაგბნელ წყვდიადში არსებული. შემდეგ კი წარმოვიდგინოთ, გარედან, ელოჰიმების ქმედებით, შემოქმედი სიტყვის წყალობით, ამ უმაღლესი ეთერული არსის წყალობით, რომელიც ძვეს ყველაფრის საფუძველში, Tohu wabohu-ში როგორ ასხივებს სინათლე და სინათლესთან ერთად როგორ იღვრება სიტყვაში ჩადებული ძალა. მაინც როგორ უნდა აღინიშნოს ის, რაც აქ ხდება? შეუძლებელია ეს უკეთ აღინიშნოს, ვიდრე ეს მონუმენტური სიტყვებია: სამყაროს სივრცეებიდან ამ tohu wabohu-ს თავის მეტყველ სინათლეს უბრუნებდნენ არსებები, რომლებმაც haschamajim-თან ერთად საკუთარი უმაღლესი გადაიტანეს ეთერულისკენ. ამით არის დახასიათებული მონუმენტური სიტყვების აზრი: „იქმენინ ნათელი. და იქმნა

ნათელი იქ, სადაც იყო სიბნელე, Tohu wabohu-ში“. აი სურათი, რომელიც ძველებრაელი ბრძენის წინაშე ლივლივებდა.

ამრიგად, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ელოჰიმების არსება განფენილი მთელ კოსმოსზე, რომელიც არის თითქოსდა მათი სხეული; ის, რაც ელემენტარული ყოფიერებაა Tohu wabohu-ში, მათი სხეულებრიობის უმდაბლესი გეშტალტია, სიტბური კი, როგორც რაღაც უმაღლესი გეშტალტი, haschamajim-ის უმაღლესი სულიერი გეშტალტი, რომელიც გამოეყო და ახლა გარედან შემოქმედებითად ზემოქმედებს tohu wabohu-ს მთელ გეშტალტზე.

ახლა თქვენ შეგიძლიათ თქვათ: ამით შენ აგვისენი, როგორ მოაწესრიგა მეტყველმა სინათლისებრმა კოსმიურმა სიტყვამ ელემენტების ქაოტური გადაღვრა Tohu wabohu-ში და ის მიიყვანა იმასთან, რაღაც ის შემდგომში იქცა. მაგრამ მაინც როგორ ყალიბდება ადამიანური გეშტალტი? ისეთი ადამიანური გეშტალტი, როგორიცაა ჩვენი – გამართული, ორ ფეხზე მდგომი, ხელების გონივრული ფუნქციონირებით, როგორც ეს გვახასიათებს, შეუძლებელია არსებობდეს იმ ძალების გარეშე, როლებიც ძვეს ტვინში, ასხივებს იქიდან და მის ორგანიზებას ახდენს. ჩვენი გეშტალტის ორგანიზებას ახდენენ უზენაესი სულიერი ძალები, რომლებიც ჩვენი სულიდან გამოდიან. დაბალის ორგანიზებას, ჩამოყალიბებას ყოველთვის მაღალი ახდენს. ასევე ha'arez-იც, რომელიც თითქოსდა ელოჰიმების სხეულს წარმოადგენს, უფრო დაბალის სახით ჩამოყალიბდა უმაღლეს სხეულებრიობად, ამ haschamajim-ად და მასში მოქმედ ელოჰიმების სულებად. მაშასადამე, ელოჰიმების უმაღლესი სულიერი ეუფლება იმას, რაც გამოეყო და გარედან იწყებს ორგანიზებას, როგორც ეს აღბეჭდილია სიტყვებში: „კოსმიურ სიტყვაში გამოვლენილი სინათლე იღვრება სიბნელეში“. ამის წყალობით ხდება tohu wabohu-ს ორგანიზება და გამოთავისუფლდება მოუწესრიგებელი სტიქიებისგან. ამრიგად, თქვენ თუ წარმოიდგენთ haschamajim-ს, როგორც ელოჰიმების თავს, დანარჩენ ყოფიერებაში კი დაინახავთ მათ ტანსა და კიდურებს და წარმოიდგენთ, რომ თავიდან მომდინარე ძალისგან ხდება სტიქიების ყოფიერების, ტანისა და კიდურების ორგანიზება, მაშინ თქვენ წინაშეა ფაქტობრივი პროცესი: გაქვთ, თითქოსდა ადამიანი კოსმიური მასშტაბით. ამ კოსმოსში იგი თავისი

სულის ორგანოებით, რომელიც იმყოფება haschamajim-ში, მთელი კოსმოსის ორგანიზებას ახდენს. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მაკროკოსმიური ადამიანი, რომელიც თავად ახდენს თავისი თავის ორგანიზებას, როცა წარმოვიდგენთ, როგორ იღვრება შემოქმედი ძალები haschamajim-დან ha'arez-ზე.

ყოველივე აქ მომხდარზე უფრო მკაფიო სურათის შესაქმნელად, თვალი შევაგლოთ თანამედროვე ადამიანს და საკუთარ თავს ვკითხოთ, არსებითად, რისი წყალობით იქცა ადამიანი, ოკულტური თვალსაზრისით და არა იმით, რაზეც დგას თანამედროვე დილეტანტური მეცნიერება, ისეთად, როგორსაც ის წარმოადგენს ახლა? საიდან გაჩნდა განსაზღვრული ფორმა, რომელიც მას თავისი გარემომცველი ყველა ცოცხალი არსებისაგან განასხვავებს; არსებითად, რა აქცევს მას ადამიანად? რა მოდის მთელი ადამიანური იერსახის მეშვეობით? თუ თვალები ახვეული არ გვაქვს, ძალზე იოლია, ვთქვათ რა აქცევს ადამიანს ადამიანად. ეს არის ის, რაც აქვს მას და რაც არა აქვს არც ერთ სხვა არსებას, რომელიც მის გარშემოა დედამიწაზე, ეს არის მეტყველება, რომელიც ვლინდება ბგერებში, აი ეს აქცევს მას ადამიანად. წარმოიდგინეთ ცხოველის გეშტალტი. რას შეუძლია მისი განვითარებისთვის ბიძგის მიცემა, რომ ამაღლდეს ადამიანური ფორმისკენ? რა ძალა უნდა შევიდეს მასში, რომ ის ადამიანურ ფორმად იქცეს? დავსვათ კითხვა რამდენადმე სხვაგვარად: წარმოვიდგინოთ რომელიმე ცხოველური გეშტალტი, რომელიც ჩვენ უნდა აღგვეჭურვა რაიმეთი, განგვემსჭვალა რაღაც ქროლვით; რას უნდა შეიცავდეს ეს ქროლვა, რომ გეშტალტმა დაიწყოს ლაპარაკი? მას უნდა ეგრძნო თავისი თავი შინაგანად ისე ორგანიზებულად, რომ გამოეცა ხმამაღალი ბგერა. ეს ბგერითი საწყისი ცხოველური გეშტალტიდან ქმნის ადამიანურ გეშტალტს.

როგორ შეიძლება ამით ხატოვნად წარმოვიდგინოთ და შინაგანად იგრძნოთ კოსმოსი? ის, რაც თქვენ წინაშე მოვსახე, რაც ასე დაწვრილებით ავაგე ელემენტარულიდან, როგორ შეიძლება ამ ყველაფრის განცდა? როგორ შეიძლება ადამიანის მაკროკოსმიური გეშტალტი შიგნიდან იგრძნოთ? როდის იგრძნობ, როგორ ხორციელდება გეშტალტში ბგერა! როდის იგრძნობ, მაგ., ბგერას „ა“, როცა ის გაუღერდება

ჰერში, როცა წარმოადგენს არა მარტო ტონს; საჭიროა ეს ბგერები საკუთარ თავში შეიგრძნოთ, როგორც ფორმაქმნადი. აუცილებელია იგრძნოთ, ბგერები „ა“ და „ბ“ და ა. შ. ჰაერში გაუღერებით, თითქოსდა როგორ ქსოვენ სივრცეში ქსოვილს! საჭიროა იგრძნოთ არა მარტო ბგერითი ვიბრაცია, არამედ ფორმაქმნადობაც, მაშინ შეიგრძნობთ იმას, რას გრძნობდა ძველებრაელი ბრძენი, როცა ბგერები მასში იწვევდა იმ სურათ-ხატებს, რომლებიც მე დავხატე თქვენი სულიერი მზერის წინაშე. ასე მოქმედებდა ბგერა. ამიტომ მე უნდა მეთქვა: ეს „Bet“ იწვევდა რაღაც ჩაკეტილის წარმოდგენას, თითქოსდა ნაჭუჭს თავისი შიგთავსით. „Resch“-თან იყო მინიშნება, მსგავსი იმისა, როცა შევიგრძნობთ საკუთარ თავს. „Schin“ კი იწვევდა რაღაც ისეთს, რასაც მივამსგავსებდი წაქეზებას. ეს სრულიად ობიექტური ენაა, რომელიც თავისი ბგერებით გამოკრისტალდება სურათში, თუ სამშინველი ამის შემთვისებელია. ამიტომ თავად ამ ბგერებში წარმოგვიდგება ის მაღალი სკოლა, რომელსაც ძველი ბრძენი მიჰყავდა სურათებისკენ, რომელიც მხედველის წინაშე წარმოიქმნება, როცა ის შედის ზეგრძნობადში. ამრიგად ბგერა მეტამორფოზირდება სულიერ ხატში და იწვევს სურათებს, რომლებიც ისე ეწყობა, როგორც ეს მე აღვწერე. ყველაზე ღირსშესანიშნავი ამ უძველესი უწყებისა არის სწორედ ის, რომ შემონახულია ენაზე, რომლის ბგერებიც ქმნიან ხატებს და მშინვეთერ ფორმებში კრისტალიზდებიან. ესენი სწორედ ის ხატებია, რომელთაც მოიპოვებ ზეგრძნობადში შეღწევისას, საიდანაც განვითარდა ჩვენი მიწიერი ყოფიერების გრძნობადი საწყისი. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ გამოვლინდება აუწერელი თრთოლა და ღრმა მოწიწება იმის წინაშე, როგორ განვითარდა ჩვენი სამყარო. იწყებ იმის შეგრძნებას, რომ ჩვენთვის შემთხვევითობას არ შეუნახავს ადამიანური ყოფიერების ეს გასაოცარი ძეგლი ამ წერილებში, რომლის ასოებსაც თავისთავად შეუძლიათ ჩვენს სულში გამოაღვიძონ მშინვეთერი ხატები და მიგვიყვანონ იმასთან, რისი პოვნაც მხედველს შეუძლია დამოუკიდებლად ჩვენს დროში. აი, ის შეგრძნება, რომლის ათვისებაც მართებს ანთროპოსოფს, რომელიც ხელს მიჰყოფს ამ უძველესი უწყების – ძველი აღთქმის ამოსავალ წერტილს.

გუშინ ჩვენი სამშენველის წინაშე წარმოვადგინეთ ბიბლიის ღირსშესანიშნავი სიტყვები: „და ღმერთებმა თქვეს: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი“. ამით მივუთითეთ მოვლენაზე, რომელიც წინ უსწრებდა მიწიერ ყოფიერებას და ჩვენთვის წარმოადგენს გამეორებას განვითარების უმაღლეს საფეხურზე. კვლავ და კვლავ მსურს, მივითითოთ სურათზე, როგორ მოიპოვებს ძილისგან გამოღვიძებული ადამიანი საკუთარი სამშენველიდან განსახლებურულ შინაარსს. ასეთ მიახლოებით სურათ-ხატში უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ აღსდგება ელაჰობის სამშენველიდან ახალ, შეცვლილ ფორმაში ის, რაც ნელა და თანდათანობით მზადდებოდა განვითარების მსვლელობის დროს სატურნზე, მზესა და მთვარეზე. არსებითად, ყოველივე, რაც გვეუწყება ბიბლიის ე. წ. ექვს თუ შვიდღიან შესაქმეში, სხვა არაფერია, თუ არა წინარე მდგომარეობების ხელახალი გამოღვიძება, ოღონდ არა ადრინდელ, არამედ ახალ ფორმებში, ახალ გეშტალტში. ახლა შეგვიძლია საკუთარ თავს დავუხვავთ კითხვა: საერთოდ როგორ აღვიქვათ ის რეალობა, რაც გვეუწყება ამ ექვს თუ შვიდღიან შესაქმეში?

ამ კითხვას ყველაზე უკეთ ვუპასუხებთ, თუ მას დავსვამთ ასე: შეეძლო კი ჩვენს ჩვეულებრივ თვალებს, საერთოდ შეეძლოთ განა ჩვენი გრძნობის თანამედროვე ორგანოებს გრძნობადი სახით მიჰყოლოდნენ იმას, რაზეც გვაუწყებს ბიბლიის ექვსი დღე? არა, ეს მათ არ შეეძლოთ. ვინაიდან ის მოვლენები და ფაქტები, რომლებზეც იქ არის ნაუწყები, არსებითად ხდება იმ სფეროში, რომლებსაც შეგვიძლია სტიქიების ყოფიერება ვუწოდოთ. ამრიგად, ამ პროცესების დაკვირვებისთვის აუცილებელი იყო ნათელმხილველური შემეცნების გარკვეული დონე და ნათელმხილველური აღქმა. ჭეშმარიტი სიმართლეა ის, რომ ბიბლია გვაუწყებს გრძნობადის წარმოშობაზე ზეგრძნობადიდან და მის მიერ დასაწყისში დაყენებულ ფაქტებზე, ზეგრძნობად ფაქტებზე, რომლებიც თუნდაც მხოლოდ ერთი საფეხურით მაღლა დგანან ჩვენს ჩვეულებრივ, გრძნობად მოვლენებზე, და რომლებიც, არსებითად, სწორედ პირველებისგან წარმოიქ

მნენ. ამრიგად, ჩვენ გარკვეულწილად ვიხედებით ნათელ-
ხილვის სფეროში, როცა გვესმის ბიბლიის ექვსდღიანი შე-
საქმის აღწერა. ეთერულ და ელემენტარულ ფორმებში აღ-
დგებოდა ის, რაც ადრე არსებობდა. ჩვენ მყარად დავეყ-
რდნობით ამას, სხვაგვარად ვერ შევძლებთ გენეზისის ქვა-
კუთხედი სიტყვების ჭეშმარიტი აზრის გაგებას. აქ უფლება
გვაქვს, ველოდოთ, რომ დავინახოთ ახლებური სახით გა-
მოვლენა იმ ყველაფრისა, რაც თანდათანობით განვითარდა
ძველ სატურნზე, მზესა და მთვარეზე.

ამიტომ ჯერ საკუთარ თავს ვკითხოთ: არსებითად, რო-
გორი იყო ის თავისებური მდგომარეობები, რომელთა გაგ-
ლითაც მოხდა ამ სამ პლანეტარულ ფორმაში განვითარება?
ამაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ: ძველ სატურნზე, – ამ მოვლე-
ნებზე შეგვიძლიათ ასევე იხილოთ ჩემს წიგნში „იუმალ-
თმეტყველების ნარკვევი“, – ყველაფერი იმყოფებოდა თავი-
სებური სახის მინერალურ მდგომარეობაში. ის ყველაფერი,
რაც წარმოადგენდა ადამიანის პირველ ჩანასახს, ზოგადად
ძველი სატურნის მთელი მასა თავისებური სახის მინერ-
ალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამასთან თქვენ არ უნდა
წარმოიდგინოთ დღეს არსებული მინერალის სახეობა, რამდენ-
ადაც ძველი სატურნი ჯერ არ ფლობდა წყლის ელემენტებს
ან მყარ ნივთიერებას, არამედ ის იყო მხოლოდ და მხოლოდ
სითბური სხეული. იქ იყო მხოლოდ ერთი ურთიერთგანმსჭვა-
ლავი, გადაღვრადი სითბო. მაგრამ ამ სითბურ პლანეტაზე
არსებული კანონები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სით-
ბური ელემენტების სტრუქტურირებას, ისეთივე იყო, როგორც
ახლა არის გაბატონებული ჩვენს მყარ მინერალურ სამეფო-
ში. ამიტომ, თუ ჩვენ ვამბობთ: ძველი სატურნი, მასზე არსე-
ბული ადამიანით იმყოფებოდა მინერალურ მდგომარეობაში,
– ეს ასე უნდა გვესმოდეს: მაშინდელი მინერალური მდგომარე-
ობა სრულიად სხვა იყო, ვიდრე ამჟამინდელი თავისი მყარ
ფორმებით; ის იყო მდგომარეობა მქსოველი სითბოს შიგ-
ნით, მხოლოდ მინერალური კანონებით.

ამას მოსდევს მზის მდგომარეობა. მას საჭიროა შევხე-
დოთ ისე, რომ მზის მასიდან ჯერაც ვერ მოასწრო გამოყოფა
იმან, რისგანაც შემდგომში წარმოიქმნა მიწიერი. ის,
რაც ახლა განეკუთვნება დედამიწის ნაწილს, ხოლო ნაწი-
ლი – მზეს, მაშინ ჯერ კიდევ შეადგენდა, ასე ვთქვათ, ერთ

მთლიანს; მზის დროში ეს ყველაფერი ერთიან კოსმიურ სხეულს წარმოადგენდა. ამ ძველი მზის შიგნით წარმოიქმნა სატურნის მდგომარეობასთან შედარებით უფრო გამყარებული გაზისებრი ნივთიერება; ასე, რომ, აქ გადაღვრილი სითბოს გარდა ჩვენ გვაქვს ასევე კანონზომიერად სტრუქტურირებული და ურთიერთგანმსჭვალავი გაზისებრი ან ჰაერისმაგვარი ელემენტი. ამასთან ერთად აქ ვხედავთ ზევითა მიმართულებით ახალ წარმონაქმნს, თითქოსდა სითბური ელემენტის უფრო მეტ სინატიფეს სინათლის მიმართულებით, ვხედავთ სინათლის გამოსხივებას სამყაროს სივრცეში. ის, რასაც შეგვიძლია ჩვენი პლანეტარული განვითარების არსებობები ვუწოდოთ, მზის მდგომარეობის დროს მცენარეულის დონემდე განვითარდა. კვლავ და კვლავ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ მზეზე არსებობდა ისეთი მცენარეები, როგორც ახლა დედამიწაზე ვხედავთ, არამედ გვმართებს გავერკვეთ, რომ მხოლოდ კანონებს, რომლებიც მართავენ ჩვენს თანამედროვე მცენარეებს, იმ კანონებს, რომელთა თანახმადაც ფესვები მიმართულია ქვევით, ხოლო ყვავილი ისწრაფვის ზევით, ადგილი ჰქონდათ ძველი მზის მდგომარეობის მსვლელობისას ჰაერისმაგვარსა და სითბურ სტიქიებში. ცხადია, მაშინ მყარ მცენარეულ ფორმებს არსებობა არ შეეძლოთ, მაგრამ ძალები, რომლებიც ყვავილს აიძულებენ მიმართული იყოს ზევითკენ, ხოლო ფესვები ქვევით, საჭიროა წარმოვიდგინოთ, როგორც ჰაერისმაგვარ სტიქიაში მქსოველნი; ასე რომ, ძველი მზის მდგომარეობა საჭიროა წარმოვიდგინოთ როგორც ყვავილოვანი ფორმების სინათლისებრი გამონათება, რომელიც ზევითკენ ისწრაფვის. წარმოვიდგინოთ გაზისებრი, აიროვანი ბურთი და მის შიგნით მქსოველი ცოცხალი სინათლე, რომელიც გადმოაშხეფებს იმას, რაც თავისი გამონასროლების პიკზე საშუალებას აძლევს გაზისებრ ელემენტს, როგორცაც გამოისროლოს სინათლის ფერადოვანი ფორმებით და კვლავ და კვლავ ესწრაფოს მის შეკავებას ქვევიდან; ამ სინათლეს სურს გავმოსხივება, ხოლო ძველი მზე ისევ ცენტრიდანულად აკავებს მას, – ამ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ ძველ მზეზე სინათლის, სითბოსა და ჰაერის შინაგან ქსოვას. მინერალური სამეფოს კანონები მეორდება, ხოლო მათ უერთდება მცენარეული კანონზომიერება; ყოველივე ის, რაც მაშინ

ადამიანის სახით არსებობს, ჯერ კიდევ რამდენადმე მცენარეულ მდგომარეობაში იმყოფება.

ჩვენს დროში სად ვიპოვდით რაიმეს, რასაც შევადარებდით ძველი მზის სფეროს ამ მცენარეულ ქსოვას, რომელიც შედგება აირის, სითბოსა და სინათლისაგან? ამჟამად თუ ამას მოიძიებენ ადამიანისთვის დამახასიათებელი ფიზიკური გრძნობებით, მაშინ მთელ სამყაროში ვერსად იპოვიან. ძველი მზის ეპოქაში გარკვეულ დროს ეს ფიზიკურადაც არსებობდა, ანუ ფიზიკურად თვით გაზის სიმკვრივემდე. ახლანდელ დროში ასეთი ფიზიკური არსებობა საერთოდ წარმოუდგენელია. ისეთი ურთიერთქმედება, რაც მაშინ ფიზიკურადაც არსებობდა, ამჟამად ადამიანთან შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, როცა ის ნათელმხილველური მზერით შეიჭრება ზეგრძნობადი სამყაროს სფეროში, იქ, სადაც ამჟამადაც იმყოფებიან უმთავრესი სულიერი არსებები ჩვენი ხილული მცენარეებისა, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, როგორც მცენარეთა ჯგუფური სამშენიველები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხილული მცენარეული სამეფოს საფუძველში ძვეს რაღაც ისეთი, რასაც შეგვიძლია ჯგუფური სამშენიველი ვუწოდოთ. ახლანდელ დროში მათი პოვნა მხოლოდ ნათელმხილველური ცნობიერებით შეიძლება სულის სფეროში. იქ მცენარეთა ეს ჯგუფური სამშენიველები არსებობენ არა ცალკეული მცენარეული სუბიექტის სახით, მსგავსად ჩვენი გარეგნული მცენარეებისა, რომლებიც დედამიწაზე ხარობს, არამედ იქ თითოეული ოჯახისთვის, – მაგ., ვარდის, იის, მუხის და ა. შ. ოჯახებისთვის, – არსებობს ჯგუფური სამშენიველი. მაშასადამე, სულიერ სფეროში ყოველი ცალკეული მცენარისთვის ცალკე სულიერი არსების ძიებას კი არ დავიწყებთ, არამედ მხოლოდ ყოველი ოჯახისთვის ან სახეობისთვის. მცენარეთა ეს ოჯახები ან სახეობები ჩვენს თანამედროვე გამოფიტულ, აბსტრაქტულ აზროვნებას წარმოუდგება მხოლოდ, როგორც ცნებები, აბსტრაქციები. ეს ასე იყო უკვე შუა საუკუნეებში და ვინაიდან მაშინაც სხვა არაფერი იცოდნენ იმაზე, რა ცხოვრობს და ქმნის სულიერ სფეროში ბაზისის სახით ფიზიკურისთვის, სწორედ ამას შეეძლო, წარმოეშვა ცნობილი კამათი რეალიზმსა და ნომინალიზმზე, ანუ კამათი იმაზე, არის თუ გვარის ან ოჯახის სახით არსებულის მხოლოდ სახელი, უბრალო დასახელება,

თუ ეს არის რაღაც რეალური სულიერი. ნათელმხილველური ცნობიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მთელ ამ კამათს, ვინაიდან თუ ცნობიერება მიმართული იქნება დედამიწის მცენარეულ საფარზე, მაშინ ის მცენარის გარეგნული ფიზიკური ფორმის მეშვეობით შეიჭრება სულიერ სფეროში, რომელშიც რეალური სულიერი არსებების სახით ცხოვრობს მცენარეთა ჯგუფური სამშვინველები; ეს ჯგუფური სამშვინველები მსგავსია იმისა, რასაც მცენარეთა სახეობას ან ოჯახს ვუწოდებთ. ძველი მზის სრული გაფურჩქვნის დროს, როცა ის იყო ჰაერის, სითბოსა და სინათლისაგან შემდგარი ბურთი, როდესაც იქ მოციმციმე სინათლე აირისებრ ზედაპირზე გამოტყორცნიდა მცენარეული ყოფიერების ფერთა სხივოსან ფორმებს, ეს ფორმები იყო იგივე, ამავე დროს ფიზიკური, აირისებრი, რაც ახლა შეიძლება მხოლოდ სულიერ სამყაროში მცენარეთა სახეობისა და ოჯახის სახით იპოვო. მხოლოდ კარგად დავეიმახსოვროთ, რომ მაშინ, ძველი მზის მდგომარეობაში მცენარეთა სახეობები და ოჯახები იმისა, რაც ახლა, როგორც სიმწვანე, ყვავილები, ხეები და ბუჩქები ჩვენს დედამიწას ფარავს, – ეს ყოველივე ადავსებდა ძველ მზეს იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყო ჯგუფური სამშვინველები, სახეობები და ოჯახები.

ის, რაც მაშინ ადამიანის სახით არსებობდა, ასევე იმყოფებოდა მცენარის მსგავს მდგომარეობაში. მას არ შეეძლო, თავის თავში შიგნით, გაეცნობიერებინა და წარმოდგენის სახით გამოეწვია თავის გარშემო მომხდარი ისე, როგორც მცენარეს ახლა არ შეუძლია გააცნობიეროს მის გარშემო მომხდარი. ადამიანი თავად იმყოფებოდა მცენარეულ ყოფიერებაში აღმავალ და დაღმავალ სინათლის ხატებს შორის, რომლებიც ლივლივებდნენ აირისებრ მზის ბურთში, და ასევე გეხვდებოდა მაშინდელი ადამიანის სხეულებრიობა. საქმე ის არის, რომ ცნობიერების ყველაზე პრიმიტიული ფორმის წარმოქმნისთვის საჭიროა რაღაც სრულიად განსაკუთრებული კოსმოსში. სანამ ჩვენი მიწიერი ჯერ კიდევ შეერთებულია მზესეულთან, სანამ, უხეშად რომ ვთქვათ, მზის სინათლე გარედან არ დაეცა დედამიწას, მანამდე მიწიერ არსებებში შეუძლებელი იყო იმის წარმოქმნა, რასაც შეიძლება ვწოდოს ცნობიერება. მანამდე ასევე ყველანაირი ცნობიერების საფუძველს – ასტრალურ სხეულსაც არ შეეძლო ფიზი-

კურ და ეთერულ სხეულებში შესვლა და მათი გამსჭვალვა. ცნობიერების გამოვლენისთვის აუცილებელია დაცილება, გახლეჩა, შემდეგ საჭიროა მზისგან რაღაც სხვა რამის გამოყოფა. ეს მოხდა ჩვენი დედამიწის განვითარების მესამე სტადიაზე, ძველი მთვარის მდგომარეობის დროს. როცა დამთავრდა ძველი მზის ყოფიერება და ყველაფერმა განვლო თავისებური სახის კოსმიური ღამე, კვლავ ამოტივტივდა ყოველივე ადრე არსებული, მაგრამ ახლა უკვე მომწიფებული ორგანიზმი ყოფიერებისთვის, როცა მთელი მზისეული გამოიყო, როგორც რაღაც სამყაროს სხეული და ძველი მთვარე, სადაც ჩვენი სტიქიებიდან იყო მხოლოდ წყლოვანი, ჰაეროვანი და სითბური, და დარჩა მზის გარეთ, სამყაროს სივრცეში მისგან გამოცალკევებულად. ძველი მთვარე წარმოადგენდა მაშინდელ მიწიერს და მხოლოდ იმის წყალობით, რომ მასზე არსებული არსებები მზის ძალებს იღებდნენ გარედან, მათ შეეძლოთ თავის თავში მიეღოთ ასტრალური სხეული და განვითარებინათ ცნობიერება, ანუ შინაგან განცდებში აესახათ ის, რაც მათ გარშემო ხდებოდა. რაღაც ცხოველური, შინაგანი ქმედითი ცხოველური ცხოვრებით, რაღაც არსება, რომელიც თავის თავში ატარებდა ცნობიერებას, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდა დედამიწისა და მზის გაყოფა. იმიტომ ძველ მთვარეზე შესაძლებელი გახდა ცხოველური ცხოვრება და თავად ადამიანს შეეძლო თავისი სხეულებრიობის (Leiblichkeit) ცხოველად განვითარება. დაწვრილებით ამის შესახებ საუბარია ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“.

ამრიგად, ახლა ჩვენთვის უკვე ნათელია კავშირი, რომელიც კანონზომიერად აერთიანებდა ჩვენი წინარე მიწიერი ჩამოყალიბების მდგომარეობებს და პირობები, რომელმაც ეს მიწიერი ჩამოყალიბება შესაძლებლად აქცია. მთვარის მდგომარეობაში გაზისებრს შეუერთდა, ერთი მხრივ, თხევადი, წყლის სტიქია, მეორე მხრივ კი – ხმოვანი, ბგერითი სტიქია, რომელიც მე გუშინ დაგიხასიათეთ, როგორც სინათლის რაღაც ნატიფი მდგომარეობა. დაახლოებით ასეთია განვითარების მსვლელობა. ყოველივე, რაც ხორციელდებოდა ამ სამი მდგომარეობის განმავლობაში, კვლავ ამოტივტივდა, როგორც ელფიების მოგონება, მაგრამ თავიდან, როგორც გუშინ გითხარით, არეულ-დარეულ მდგომარეობა-

ში, რომელიც ბიბლიაში აღწერილია სიტყვებით tohu wabohu. თავიდან ჰაერი, წყალი და სითბო, ურთიერთგანმსჭვალვით გაერთიანებული სამი ელემენტარული მდგომარეობა, განლაგდა ძალოვანი ხაზების გასწვრივ, რომლებიც ცენტრიდანულად მოდიოდნენ გარკვეული პუნქტიდან და ცენტრიდანულად ბრუნდებოდნენ პერიფერიიდან. ახლა ისინი აღმოჩნდნენ შერეული, მაგრამ ადრე ისინი უკვე იყვნენ გაყოფილი. ჯერ კიდევ მზეზე ისინი გაყოფილი, დიფერენცირებული იყვნენ, როცა აირისებრი გამოიყო სითბურისგან და ძველი მთვარის მდგომარეობისას სითბოს, აირისა და თხევადის ეს სამი ფორმა ასევე გამოიყო ერთმანეთს. ახლა კი ისინი ამ tohu wabohu-ს დროს დუღდნენ ერთი მეორეში ისე, რომ მიწიერი ჩამოყალიბების თავდაპირველ დროებში შეუძლებელი იყო წყლოვანის, აირისებრისა და სითბურის გარჩევა. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

პირველია ის, რომ ამ ქაოსში, ამ შერევაში შეაღწია სინათლემ. შემდეგ ამ მშენიერი, სულიერი მოღვაწეობიდან, რომელიც მე აღვწერე, როგორც კოსმიური ჩანაფიქრი, განვითარდა ისეთი სახის მუშაობა, რომელმაც უპირველეს ყოვლისა ელემენტების ერთმანეთში შერევის დროს ძველი აირისებრი გამოყო ძველი თხევადისგან. მე გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროთ ამ მომენტს, რომელიც სინათლის დადგომას მოსდევს. მაშინ მომხდარს თუ ჩვენ გადმოვცემთ მშრალ პროზად, საჭიროა ითქვას: მას შემდეგ, რაც სინათლემ გაანათა tohu wabohu, ელოჰიმებმა ის, რაც ადრე უკვე იყო აირისებრი, გამოყვეს წყლოვანისგან, ასე რომ, შეიძლებოდა კვლავ გაერჩიათ ერთმანეთისგან ის, რაც იყო აირისებრში და ის, რაც იყო წყლოვან მდგომარეობაში. ამრიგად, ახლა იმ მასაში, რომელიც წარმოადგენდა სამი ელემენტარული მდგომარეობის ურთიერთგანმსჭვალვას, ხდებოდა დაყოფა, ამასთან ისეთი, რომ გამოვლინდა ორგვარი რამ, ერთი ჰაეროვანის თვისებებით, რომელიც ესწრაფვის ყველა მიმართულებით გავრცელებას და მეორე, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაუშლელობა, ურთიერთგანმსჭვალვა – წყლოვანის თვისებებით. მაგრამ არც ერთი ჯერ კიდევ არ იყო ისეთი, რომ ისინი შევადაროთ იმას, რასაც ახლა აირისებრს ანუ ჰაეროვანსა და თხევადს ვუწოდებთ. წყალი გაცილებით სქელი ანუ მკვრივი იყო. ჩვენ ახ-

ლა ვნახავთ, რატომ იყო ეს ასე. ჰაერისმაგვარი კი ისეთი იყო, რომ, თუ გვსურს მისი მაშინდელი თვისების ზუსტი განსაზღვრა, უმჯობესია, ის შევადაროთ იმას, რასაც იქ ზემოთ ვხედავთ, როცა წყალი ვლინდება ჰაერში აირისებრი (გაზისებრი) სახით, ანუ წყლის ორთქლის ფორმით, ზევით ასვლის ტენდენციით ღრუბლის სახით, რათა შემდეგ ძირს წვიმად დაეშვას. მაშასადამე, ერთი ელემენტი იყო აღმავალი, მეორე კი – დადმავალი. წყლოვანი აქაც და იქაც სახეზეა; მხოლოდ წყლოვანია მიდრეკილი ორთქლად იქცეს და ავიდეს ზევით, როგორც ღრუბელი, მეორე კი – მიდრეკილია, გადმოიდვაროს ქვევით და მიიღოს ზედაპირის ფორმა. ყველაფერი ეს, ცხადია, მხოლოდ შედარებითია, ვინაიდან ახლა რასაც აღვწერ, სტიქიებში თამაშდებოდა.

ამიტომაც, განვითარების შემდგომი მსვლელობის დახასიათებისას საჭიროა ითქვას: ელოჰიმებმა თავიანთი კოსმიური ჩანაფიქრით tohu wabohu-ში მოახდინეს ელემენტების ორ მდგომარეობად წარმოქმნა. ერთი ისწრაფოდა ზევითკენ, რათა ორთქლად ქცეულიყო, – ეს წყლოვანი აირისებრში გადასვლის მდგომარეობაშია; მეორე კი მიდრეკილი იყო ქვევით გადმოდგრისკენ – ეს არის წყლოვანი, რომელიც სულ უფრო მეტად გასქელებით ისწრაფვის გაერთიანებისკენ. ასეთია ის მოვლენა, რომელზეც თანამედროვე ენები, ჩვეულებრივ, მიუთითებენ სიტყვებით: „ღმერთებმა შექმნეს რაღაც ზედა და ქვედა წყლებს შორის“. ახლა მე აღვწერ, ღმერთებმა რა მოიმოქმედეს. მათ წყლოვანს შინაგანად მიანიჭეს ის, რომ ერთი ელემენტარული ისწრაფოდა ცენტრიდან ზევით, მეორე კი – ქვევით, ცენტრისკენ. თუმცა იმაში, რაც ამ ორ მდგომარეობას შორის ძევს, არ ივარაუდება რაიმე ისეთი, რისი ხელეობით მოსინჯვა შესაძლებელი იქნებოდა, არამედ იგულისხმება სწორედ ძალთა ორ სახედ დაყოფა, როგორც ახლახან აღვწერე. თუ ამას შევადარებთ რაიმე გარეგნულ მოვლენას, მაშინ შეიძლება ითქვას: ელოჰიმებმა ისე მოაწყვეს, რომ წყლები, ერთი მხრივ, მაღლდებოდნენ ზევითკენ, როცა ისწრაფოდნენ ღრუბლების წარმოქმნისკენ, რომ გამოსულიყვნენ გარეთ, სამყაროს სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ, წყლები იკრიბებოდა ქვევით, დედამიწის ზედაპირზე. ეს არის იდეის დონეზე თავისებური სახის დაყოფა. ამიტომ ბიბლიაში ამ მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვაც საჭიროა გავიგოთ,

როგორც იდეა. თქვენ იცით, რომ ლათინური ბიბლია ამ ადგილას იყენებს სიტყვას – ცის თალი (Firmamentum), ევროპულ ბიბლიაში კი წერია სიტყვა რაკია* (rakia). ეს სიტყვა საერთოდ არ აღნიშნავს რაიმე გარეგნული ფიზიკური გრძნობებისთვის მისაწვდომს, არამედ აღნიშნავს სწორედ სხვადასხვა მიმართულებით ორ ძალად დაყოფას.

ამით ჩვენ შევეხეთ იმას, რაც გენეზისში მეორე მომენტის სახით არის აღწერილი; ამიტომ ჩვენს ენაზე გადმოთარგმნით შეგვიძლია ვთქვათ: უპირველეს ყოვლისა, ელოჰიმება უწესრიგოდ გადახლართულ ელემენტარულ მდგომარეობებში ჰაეროვანი გამოყვეს წყლოვანისგან. სწორედ ეს იქნება ზუსტი გადმოცემა იმისა, რასაც ვგულისხმობთ: ჰაერად ქცევისკენ მსწრაფი, რაც, ცხადია, თავის თავში ითავსებს გაზისებრ-წყლოვანს, მათ გამოყვეს იმისგან, რაც მიდრეკილია, კონდენსირებული იყოს უფრო მკვრივ მდგომარეობაში. ეს გაიზიარეს ელოჰიმებმა, რაც არის სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორიის მეორე მომენტი.

ახლა გადავდივართ მესამე მომენტზე. იქ რა ხდება? იმ ცენტრიდანულმა, რაც გარეთ ასხივებს და ესწრაფვის ღრუბლის წარმოქმნას, ახლა ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომელიც გარკვეულწილად გამეორებაა, ოღონდ უფრო უხეში ფორმით იმ ადრინდელი მდგომარეობისა, რომელიც იყო ძველ მზეზე. ხოლო ცენტრიდანული, რომელიც იმეორებს, გარკვეული მიმართებით, ძველ მთვარეზე თვით წყლამდე გამკვრივებულს, შემდგომში დიფერენცირდება. ეს შემდგომი დაყოფა არის კიდევ მიწიერი ჩამოყალიბების მესამე მომენტი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე მომენტში ელოჰიმებმა ჰაერისმაგვარი გამოყვეს წყლოვანისაგან. მესამე მომენტში კი ისინი გაყოფას ახორციელებენ თავად წყლოვანის შიგნით, და გამკვრივების ახალი ხარისხისაგან, მყარისგან გამოყოფენ იმას, რასაც ახლა წყალს ვუწოდებთ, რაც ადრე ჯერ არ იყო. ახლა ჩნდება მხოლოდ მყარი. ძველ მთვარეზე ეს მყარი, ეს მიწიერი ჯერაც არ არსებობდა. ახლა ის გამოიყოფა წყლოვანისაგან. ამდენად, მიწიერი ჩამოყალიბების მესამე მომენტი წარმოადგენს გამყარების პროცესს და ჩვენ უნდა ვთქვათ: მეორე ეტაპის მსგავსად, როცა ელოჰიმებმა გამოყვეს ჰაეროვანი სტიქია წყლოვანისაგან, ზუსტად ასევე ისინი ახლა, მესამე სტადიაში, აწარმოებენ ძველი მთვარის ნივთიერე-

ბაში ახალ წყლოვანსა და მიწიერს შორის დაყოფას, რომელიც ახლა რაღაც სრულიად ახალს წარმოადგენს. ყველაფერი, რაც ზემოთ აღწერე, ადრეც არსებობდა, თუმცა სხვა ფორმით. ახალს კი წარმოადგენს მხოლოდ მიწიერი, მყარი, რომელიც მესამე მომენტის სახით გენეზისში გამოვლინდა; წყლოვანისგან გამოყოფილი მიწიერი არის სწორედ ეს ახალი. მხოლოდ ეს აძლევს ახალ სახეში გამოვლენის შესაძლებლობას იმას, რაც ადრე არსებობდა.

ახლა ყველაზე ადრე რა წარმოიქმნება? კერძოდ ის, რაც უკვე არსებობდა ძველ მზეზე და რაც ჩვენ მიერ აღწერილია, როგორც მზის აიროვან ელემენტში გაშლილი მცენარეული; შემდეგ ეს ძველ მთვარეზე გამეორდა წყლოვან ელემენტში, სადაც ასევე ჯერაც არ იყო მცენარეული ფორმები ჩვენი თვალსაზრისით. ეს ახლა ასევე მეორდება საკუთრივ მიწიერ სტიქიაში. მიწიერში მეორდება მცენარეული. ბიბლიაში ეს გასაოცარი სახით არის აღწერილი. თუ რას ნიშნავს შესაქმის დღეები, ამაზე მე შემდგომში ვისაუბრებ, ახლა კი ვსაუბრობ სინათლის გაჩენაზე, ჰაერის გამოვლენაზე და წყლოვანისა და მყარის გაყოფაზე. ეს მყარი თავისი თავიდან წარმოქმნის მცენარეულს, გამეორების სახით. ამ ყველაფერზე გასაოცარი სახით გვეუწყება ბიბლიაში, როცა საუბარია, რომ მცენარეული ამოიზრდება მიწიერისგან მას შემდეგ, რაც ელოჰიმები ამ უკანასკნელს გამოყოფენ წყლოვანისაგან. ამდენად, მცენარის გამოვლენა შესაქმის მესამე დღეს არის მყარ ელემენტში გამეორება იმისა, რაც უკვე იყო ძველ მზეზე, ეს არის ერთგვარი კოსმიური მოგონება. ელოჰიმების კოსმიურ აზრებში ამოტივტივდა ის მცენარეული, რაც ძველ მზეზე აირისებრ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ახლა უკვე მყარ მდგომარეობაში იმყოფება.

ყველაფერი სხვა ფორმაში მეორდება. ეს მცენარეული ჯერ კიდევ არაა ისეთი ინდივიდუალიზებული, როგორც ახლა ჩვენს დედამიწაზე. მე საგანგებოდ მივაპყარი თქვენი ყურადღება იმაზე, რომ მცენარეთა ინდივიდუალური ფორმები, როგორც მათ ახლა დედამიწაზე ვხედავთ, ჯერაც არ არსებობდა ძველი მზის მდგომარეობაში, არც ძველი მთვარის და თვით მიწიერშიც კი, როცა ეს მცენარეული მასში გამეორების სახით ვლინდებოდა. მაშინ არსებობდა მცენარეთა მხოლოდ ჯგუფური სამშენველები, ანუ ის, რასაც ჩვენ ახ-

ლა ვუწოდებთ ოჯახებს ან მცენარეთა სახეობებს; მხედველი ცნობიერებისთვის ეს სულაც არ არის რაღაც განყენებული, არამედ – სულიერ სფეროში რეალურად არსებული. ეს გამეორება ზეგრძნობად სფეროში გამოვლინდა. ამიტომ მას სწორედ ასე აღგვიწერენ. გასაოცარია ბიბლიის განმმარტებელთა (კომენტატორთა) უძღურება გამონათქვამის წინაშე, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება ასე: „მიწამ წარმოქმნა სხვადასხვა ბალახი და ყლორტი მათი სახეობის მიხედვით“. მართებდათ ეთქვათ: მათი სახეობის შესაბამისად. აი თქვენ ახსნა: ამრიგად, ყველაფერი არსებობდა ჯგუფური სამშენიველის სახით, სახეობის შესაბამისად და არა ინდივიდუალურად, როგორც ამას ახლანდელ დროში ვხედავთ. თქვენ ვერ გაიგებთ მცენარეულის ამოზრდის მთელ ამ აღწერას ე. წ. შესაქმის მესამე დღეს, თუ აქ არ დაურთავთ ცნებებს ჯგუფურ სამშენიველზე. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ იქ არ იყო მცენარეების ამოზრდა ჩვენი დღევანდელი აზრით, არამედ იქ მშენივერი, კოსმიურად ჩაფიქრებული მოქმედებიდან ამოიზრდებოდნენ სახეობათა ფორმები, სხვა სიტყვებით, ამოიზრდებოდა მცენარეულის მშენივერ-სულიერი საწყისი. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, როგორ მეორდება მცენარეთა სახეობითი ფორმები იმ მომენტში, რომელიც ჩვენ მიერ აღწერილია ე. წ. შესაქმის მესამე დღესთან დაკავშირებით, როცა ელოჰიმები წყლოვანისგან გამოყოფენ მეოთხეს, ელემენტარულ მდგომარეობას, რომელიც თავისი ელემენტარულ ფორმაში ჯერ კიდევ მიუწვდომელია ფიზიკურისთვის და მისაწვდომია მხოლოდ ნათელმხილველური მზერისთვის.

ცხოველურის გამეორება ჯერ კიდევ შეუძლებელია. ჩვენ ის უკვე დავახასიათეთ ისე, რომ მას ძველი მთვარის მდგომარეობაში გამოვლენა შეეძლო მხოლოდ მაშინ, როცა წარმოიქმნა ორგვარობა, ანუ, როცა გამოყოფილი მზე გარედან მოქმედებდა. ამიტომ ახლაც უნდა გამეორდეს ეს პროცესი, მთვარის გამოყოფა, სანამ განვითარებას შეეძლება მცენარეულიდან ცხოველური სამეფოსკენ ამაღლება. ამიტომაც არის შესაქმის მესამე დღიდან აღწერილი, როგორ ვლინდება მზისეული, მთვარისეული და ვარსკვლავიერი მიწიერის გარემოცვაში და მიწიერის გარედან განათებით, ეს ყოველივე როგორ აგზავნის იქ თავის ძალებს. მანამდე აღმოცენება ჩვენთვის წარმოადგენდა თავად პლანეტარული მდგომარეო-

ბის მოქმედებას, ახლა ამ მოქმედებას უერთდება რაღაც გარეგნული, რომელიც ზეციური სივრციდან ასხივებს. სხვა სიტყვებით, მსგავსი პროცესი საჭიროა აღწეროთ ასე: დედამიწის ძალებს, რომელსაც საკუთარი უნიტარულობიდან გამომდინარე, თავისთავად შეეძლო მხოლოდ იმის გამეორება, რაც მათ მიერ ადრე უკვე იყო შექმნილი ამ უნიტარულობიდან, ამ ძალებს ელემენტები თავიანთი კოსმიური ჩანაფიქრით უერთებენ ახალ ძალებს, რომლებიც პლანეტაზე გარედან, ზეციური სივრციდან იღვრება. ასე ეხამება მიწიერი ყოფიერება კოსმიურ ყოფიერებას. ჯერჯერობით მხოლოდ ამით დაგკმაყოფილდეთ შესაქმის ე. წ. მეოთხე დღის აღწერასთან მიმართებით.

არსებითად, რა მოხდა ახლა, გარედან ამ განათების წყალობით? მოხდა ის, რომ ბუნებრივად შეიძლებოდა გამეორებულიყო პროცესები, რომლებიც შეცვლილი სახით უკვე მიმდინარეობდა ძველი მთვარის პერიოდში. ძველი მთვარის პერიოდში შეიქმნა მთელი ის ცხოველური სამეფო, რომელიც კი შესაძლებელი იყო ჰაეროვან და წყლოვან ელემენტებში. რასაც შეეძლო ჰაერსა და წყალში ცხოვრება, ის წარმოიქმნა, როგორც ცხოველები; ახლა ეს შეიძლებოდა კიდევ თავიდან გამეორებულიყო. გენეზისი გასაოცარი გულმოდგინებით გვაუწყებს, შესაქმის ე. წ. მეხუთე დღეს ჰაერსა და წყალში როგორ იწყებს სიცოცხლე ფუთფუთს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ძველი მთვარის პერიოდის გამეორება, ოღონდ უფრო მაღალ საფეხურზე, მიწიერიდან გამომდინარე ახალ ფორმაში.

ასეთი სახის მოვლენებს შეუძლიათ ჩვენი ანთროპოსოფიული მისწრაფებები აქციონ მსგავსი უძველესი ძეგლებისადმი მთრთოლვარე პატივისცემის გამოხატულებად; სწორედ მაშინ იბადება წმინდა ანთროპოსოფიული შეხედულებებიდან ამგვარი უძველესი ძეგლებისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობა და მათი თაყვანისცემა. რასაც პოულობს ნათელმხილველური ცნობიერება, ის გადმოგვეცემა დიადი, პირველქმნილი მძლავრი ენით კაცობრიობის ამ უძველეს ძეგლებში; ჩვენ კვლავ მოვიპოვებთ იმას, რაც ძველი მთვარის მდგომარეობისას ჰაეროვან და წყლოვან ელემენტებში არსებობდა. მთელი ჩვენი სამშენველის ამაფორიაქებელი ამ შემეცნებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორია იმ

საწინააღმდეგო აზრების ღირებულება, რომლებიც სშირად მოჰყავთ ამ მოვლენების წინააღმდეგ? განსაკუთრებით როგორია იმ საწინააღმდეგო აზრის წონა, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ძეგლები შეიქმნა პირველყოფილ დროში, როცა ადამიანური შემეცნება ჯერ კიდევ განვითარების ბავშვურ საფეხურზე იმყოფებოდა? მაინც რა მშვენიერი ბავშვური საფეხურია, როცა ამ უძველეს ძეგლებში კვლავ ვპოულობთ იმ უზენაესს, რაც დაკარგულია და რისკენაც ამაღლება ხელგვეწიფება! პირიქით, განა არ გვმართებს, ამ ძეგლების ავტორებს მივაწეროთ იგივე სულიერება, რომელსაც ჩვენს დროში ერთადერთს შეუძლია ამაღლდეს ამ გამოცხადებებისკენ? განა უძველესი ხელდასხმულები, რომლებმაც ეს ძეგლები დაგვიტოვეს, არ გვესაუბრებიან საკმარისად მკაფიო ენით? ამ ძეგლებში გახსნილი შემეცნებები მტკიცე დასაბუთებას გვაძლევს იმისა, რომ მათი ავტორები უძველესი შთაგონებული ხელდასხმულები იყვნენ. ამისთვის ჩვენ ისტორიული დასაბუთებები არ გვჭირდება. დასაბუთებები შეგვიძლია მოვიპოვოთ მხოლოდ იმით, რომ ამ ძეგლების გაგებას ვისწავლით.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენ ვამბობთ: მხოლოდ იმ ყველაფერში, რაც ხდებოდა ამ მეხუთე მომენტის, შესაქმის ე. წ. მეხუთე დღის შემდეგ, შეიძლება რაიმე ახალი გამოვლენილიყო. ვინაიდან ახლა უკვე გამეორდა ის, რაც უნდა გამეორებულიყო; ახლა ახალი ელემენტის სახით გამოვლენილ ყველაზე მიწიერს შეეძლო დასახლებული ყოფილიყო ცხოველებით და იმ ყველაფრით, რაც ახალი წარმოქმნის სახით ვითარდებოდა. ამიტომაც ვხედავთ, როგორ გვეუწყება გასაოცარი სიზუსტითა და საქმის ცოდნით ის, რაც ჩნდება შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს, რაც თავისი ყოფიერებით, როგორც ახალი ელემენტი, მიწიერთან არის დაკავშირებული. ცხოველური საწყისი, რომელზეც ნათქვამია, რომ ის წარმოიქმნა შესაქმის მეექვსე დღეს, წარმოადგენს ახალ ელემენტს და დედამიწასთან არის დაკავშირებული. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ შესაქმის თვით მეხუთე დღემდე მეორდება ადრინდელი მის უმაღლეს საფეხურზე, ახალ ფორმაში და რომ მხოლოდ შესაქმის მეექვსე დღეს გამოვლინდება მნიშვნელოვანი მიწიერი, შესაძლოა მხოლოდ დედამიწის პირობებში.

ამით მე განვიხილე შესაქმის ექვს დღეში მომხდარი და განგენთ, რომ მათთვის, ვინც თავის დიად სიბრძნეს გვაუწევებს შესაქმის ექვსი დღის იდუმალი საფარვლის ქვეშ, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ის, რაც შემდგომში იხსნებოდა, როგორც რაღაც ახალი. მათ არანაკლებ კარგად იცოდნენ ასევე, რომ მხოლოდ ამ მიწიერი პირობების წარმოქმნის დროს შეეძლო გამოვლენა იმას, რაც ადამიანის არსს წარმოადგენს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის მიერ ძველ სატურნზე, მზესა და მთვარეზე განცდილი მხოლოდ მომზადება იყო უშუალოდ ადამიანის შექმნისთვის; ასევე ვიცით, რომ ძველი სატურნის ყოფიერებისას პირველად ჩანასახის სახით განვითარდა ადამიანის მომავალი ფიზიკური სხეულის ჩანასახი. ძველი მზის ყოფიერებისას მას შეუერთდა ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეულის ჩანასახი, ხოლო ძველი მთვარის ყოფიერებისას – ასტრალური სხეულის ჩანასახი. ყოველივეს, რაც შესაქმის ე. წ. მეხუთე დღის დასასრულამდე მეორდებოდა, თავის თავში ჰქონდა ასტრალური. ყველა არსებათაგანს თავის თავში ჰქონდა ასტრალური. ადამიანის არსების მეოთხე წევრის, „მე“-ს გადმოღვრა განვითარების ამ რთული კომპლექსის არსებაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა მიწიერი ყოფიერების პირობები ის ბოლომდე შეიქმნა. ასე იმეორებდნენ ელოჰიმები შესაქმის ე. წ. ხუთი დღის გაგრძელებაში, უმაღლეს საფეხურზე, ადრინდელ მდგომარეობებს და ამ გამეორებით მოამზადეს მიწიერი. მხოლოდ ამის შემდეგ ფლობდნენ ისინი, – სწორედ იმის წყალობით, რომ ეს გამეორებები ახალ ფორმაში ხორციელდებოდა, – იმ პლასტიურ ჭურჭელს, რომელზეც მათ შეეძლოთ ადამიანური ფორმის აღბეჭდვა და ეს იყო მთელი განვითარების გვირგვინი.

ადრინდელის მხოლოდ მარტივი გამეორება თუ მოხდებოდა, მაშინ განვითარებას შეეძლებოდა მხოლოდ ასტრალურ-ცხოველურამდე მისვლა. მაგრამ რამდენადაც გამეორების მომენტებში თავიდანვე იყო ჩადებული რაღაც ისეთი, რაც შემდგომში გამოვლინდა, როგორც მიწიერი, ამიტომ ბოლოს და ბოლოს გამოვიდა ისეთი რამ, რომელშიც ელოჰიმებს შეეძლოთ ყოველივე მათში მცხოვრების გადმოღვრა. მე უკვე აღვწერე, რა სახით ცხოვრობდა მათში ეს ყოველივე. კერძოდ: თითქოსდა არსებობს შვიდი ადამიანისგან შემ-

დგარი ჯგუფი და ყოველი მათგანი ერთი საერთო მიზნის-თვის მუშაობს. მათ სურთ ერთიანი საერთო საქმის კეთება. თითოეულმა მასში უნდა ჩაღოს ის, რაც მას ყველაზე უკეთ შეუძლია. ასე იქმნება ერთიანი საერთო ქმნილება. ცალ-ცალკე მათ არ შეუძლიათ ამ ქმნილების შექმნა; მათი ერთობლივი ძალებით კი ეს შესაძლებელია. რა შეგვეძლო ჩვენ გვეთქვა ასეთ შვიდეულზე, რომლებიც რაიმე საერთო პროდუქტს აფორმირებენ? შეიძლებოდა გვეთქვა: ისინი ამ პროდუქტს აღბეჭდავენ ისე, რომ ის შეესაბამებოდეს სურათის არსს, რომელიც მათ თავიანთი შრომით შექმნეს. ყველაზე მთავარი, რაც ამ ყველაფერში უნდა განვჭვრიტოთ, ესაა შვიდი ელოჰიმის ერთობლივი მოქმედება იმისათვის, რომ ამ ერთობლივი მოღვაწეობის გვირგვინის სახით ადამიანური ფორმა ჩაეღვარათ იმაში, რაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ადრინდელის გამეორებისაგან, ვინაიდან ყველაფერს რაღაც ახალი ემატებოდა. ამიტომ ყოფიერების წიგნში ჩნდება სრულიად ახალი მეტყველება. აქამდე ყველაფერი ითქმება სრულიად განსაზღვრულ ენაზე: „ელოჰიმებმა შექმნეს“, „ელოჰიმებმა თქვეს“; იგრძნობა, რომ საუბარია რაღაც ისეთზე, რაც ადრევე გადაწყვეტილია. ახლა კი, როცა საქმე ეხება მიწიერი ქმნილების გვირგვინს, აქ სრულიად სხვა მეტყველება ისმის: „მოდით“, – თუ ამას ჩვეულებრივად ვთარგმნით, – „მოდით შევექმნათ ადამიანი“. ეს უფერს, როგორც წინადადება, როგორც შვიდივე ელოჰიმის ერთობლივი მსჯელობა, როგორც ეს ყოველთვის კეთდება, როცა საერთო ამოცანაზე ერთობლივად მუშაობენ. ამრიგად ქმნილების გვირგვინის სახით გამოვლენილში, საჭიროა დავინახოთ ელოჰიმების ერთობლივი მუშაობის პროდუქტი: თითოეული თავის ცოდნას ახმარს საერთო საქმეს და, ბოლოს და ბოლოს, ჩნდება ადამიანის ეთერული ფორმა, როგორც იმ უნარებისა და ძალების გამოხატულება, რომელთა მოპოვებაც ელოჰიმებმა მოასწრეს სატურნის, მზისა და მთვარის დროებში.

ამით ჩვენ მივუთითეთ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანზე. ჩვენ შევეხეთ იმას, რასაც ადამიანური ღირსება ჰქვია. ზოგიერთი ეპოქის რელიგიური ცნობიერება გაცილებით ზუსტად და სწორად გრძნობდა გარკვეული სიტყვების ოდინდელ აზრს ვიდრე ამას ჩვენს დროში გრძნობენ. ძველებრაველი ბრძენიც ასევე კარგად გრძნობდა ამას. როცა იგი თავის

შეგრძნებებს მიაპყრობდა შვიდი ელოჰიმისკენ, მაშინ მთელი თავისი თავმდაბლობითა და თავყვანისცემით მათდამი, მას საკუთარი თავისთვის უნდა ეთქვა: ადამიანი წარმოადგენს დიდ და მძლავრ არსებას, ვინაიდან მისი შექმნისთვის ერთ მთლიანობაში უნდა შერწყმულიყო შვიდი სხვადასხვა სახის მოღვაწეობა. ღმერთებისთვის გარკვეული მიზანია ადამიანის ფორმა დედამიწაზე. შეიგრძენით მთელი მნიშვნელობა სიტყვებისა: ღმერთებისთვის გარკვეული მიზანია ადამიანის ფორმა დედამიწაზე. თქვენ თუ შეიგრძნობთ ამის მთელ მნიშვნელობას, მაშინ საკუთარ თავს უნდა უთხრათ: ეს ადამიანური ფორმა ისეთია, რომ თითოეულმა ცალკეულმა სამშენველმა მასთან მიმართებით უდიდესი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს და ამავე დროს იკისროს ვალდებულება, რომ შეძლებისდაგვარად სრულყოს ის ფორმა, რაც ებოძა იმ მომენტიდან, როცა ელოჰიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მთელი თავიანთი ცოდნა ერთ საერთო მიზანში ჩაედგათ. ის, რაც ღმერთების მემკვიდრეობაა, გადაეცა ადამიანს, რათა მან ის სულ უფრო ზევით აამაღლოს და განავითაროს თვით მომავალ დრომდე. შეიგრძნოს ეს მიზანი მოთმინებასა და თავმდაბლობაში, მაგრამ ასევე ძალაში, რაც უნდა იყოს ერთ-ერთი შედეგი, რომელიც გამომდინარეობს კოსმიური ფაქტების ჩვენი გადმოცემიდან ბიბლიის მონუმენტური შესავალი სიტყვების საფუძველზე. ისინი გვიხსნიან ჩვენს წარმოშობას და ამავე დროს გვისახავენ ჩვენს მიზანს, ჩვენს უმაღლეს იდეალს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ღვთიური წარმოშობის ვართ, ასევე იმასაც, რაზეც მინიშნებულია როზენკროიცერულ დრამაში, როცა გარკვეულ საფეხურამდე მისვლისას ხელდასხმული თავს გრძნობს იმაში, რაც გამოხატულია სიტყვებში: „ადამიანო, განიცადე საკუთარი თავი“. მართალია, მაშინ ის გრძნობს საკუთარ ადამიანურ სისუსტეებს, მაგრამ მის გვერდით – თავის ღვთაებრივ მიზანს. ის მეტად უკვე არ გაიფანტება, შინაგანად აღარ გამოშრება, არამედ გრძნობს ამაღლებას; იგი შინაგანად ცოცხლდება, როცა თავის თავს თავად განიცდის და ძალუძს საკუთარი თავის განცდა იმ სხვა „მე“-ში, რაც იღვრება მასში მისი სამშენველის მონათესავე სფეროებიდან, ვინაიდან სწორედ ესაა მისი საკუთარი ღვთაებრივი მიზანი.

ჩვენ მივუთითეთ იმაზე, მიწიერი ჩამოყალიბების ბიბლიურ (შესაქმის, Genesis) აღწერაში როგორ გვეძლევა განვითარების იმდრინდელი მდგომარეობების გამეორება, რომლებზეც ცნობების მოპოვება ჩვენს დროში მხოლოდ კვლევის ნათელმხილველური მეთოდით შეიძლება, ანუ იმის დახმარებით, რასაც ანთროპოსოფიული მსოფლჭვრეტის წყაროს ვუწოდებთ. თუ კიდევ ერთხელ დავაყენებთ ჩვენი სამშინველის წინაშე ყველაფერს, რაც ამ გზით გავიგეთ განვითარების მდგომარეობებზე იმ დროებში, როცა ჩვენი მიწიერიდან ჯერ კიდევ არაფერი არსებობდა, მაშინ გვეცოდინება, რომ მოგვიანებით ჩვენი ამჟამინდელი მზის სისტემად ქცეული იმ დროს ჩასმული იყო იმ პლანეტარულ მდგომარეობაში, რასაც ძველ სატურნს ვუწოდებთ. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ეს ძველი სატურნი წარმოადგენდა მხოლოდ სითბური მდგომარეობების გადაღვრას, წმინდა სითბური ელემენტების ურთიერთქსოვას. ფიზიკის ჩვენი თანამედროვე გაგების საფუძველზე ვინც შეუძლებლად ჩათვლის სამყაროს სხეულის არსებობას, რომელიც მხოლოდ სითბოსგან შედგება, მათ მე მივანიშნებ ჩემ მიერ ნათქვამ მესამე დღეზე. კერძოდ, მე თავად შემეძლო მომეყვანა ე. წ. თანამედროვე მეცნიერული ცოდნის ყველა საპირისპირო აზრი იმის წინააღმდეგ, რასაც აქ ვადასტურებ. დროის სიმცირის გამო ლექციების ამ ციკლში შეუძლებელია, შევეხო იმ ყველაფერს, რაც სათქმელი აქვს ამასთან დაკავშირებით გულუბრყვილო თანამედროვე მეცნიერებას. სულისმეცნიერული კვლევის წყაროების თვალსაზრისით ჩინებული დილეტანტიზმი ამხელს ყველაფერს, რაც შეიძლება აქ მოვიყვანოთ, როგორც საპირისპირო მოსაზრება თანამედროვე მეცნიერების არსენალიდან. რაც შეეხება ამ მხრიდან წარმოქმნილ შენიშვნებს, განზრახული მაქვს, ვისაუბრო, – სავარაუდოდ ამას დავიწყებ პრადამში ჩემი ლექციების ციკლით, რომელიც შედგება მომავალ გაზაფხულზე, – არა მხოლოდ იმ ყველაფერზე, რითაც შეიძლება ანთროპოსოფიის დასაბუთება, არამედ ასევე თანამედროვე სამშინველების დასამშვიდებლად იმაზე, რითაც შეიძლება მისი უარყოფა. ამიტომ *პრადის ლექციებამდე** გა-

იმართება ორი საჯარო ლექცია, რომელთაგანაც პირველის სათაურია: „როგორ უარყოთ ანთროპოსოფია“, ხოლო მეორის – „როგორ დავასაბუთოთ ანთროპოსოფია“. ამ ლექციებს შემდეგ მე სხვაგანაც გავიმეორებ; მაშინ დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ყველა მხრიდან თავად შეგვიძლია, მოვიყვანოთ ყოველივე ის, რაც ამა თუ იმ მხრიდან მოჰყავთ ანთროპოსოფიის წინააღმდეგ და რომ ეს ყოველივე ჩვენთვისაც კარგადაა ცნობილი. ანთროპოსოფია მყარ ნიადაგზე დგას; ხოლო ის, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლია მისი უარყოფა, უბრალოდ არ იცნობს მას. ამას დროთა განმავლობაში საკმარისად დავასაბუთებთ. სატურნის სითბური მდგომარეობის გამო მე ასევე შემიძლია, მივუთითო ჩემს „იღუმალთმეტყველებაში“ გაკეთებულ ზოგიერთ შენიშვნაზე, რომელიც გარკვეულწილად, დაამშვიდებს მათ, ვინც საკუთარი მეცნიერული აღზრდის გამო თავს ვალდებულად თვლის, მის წინააღმდეგ გამოვიდეს.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ კვლავ ვისაუბრებ წმინდა ანთროპოსოფიული თვალსაზრისიდან, როცა ყურადღებას არ მივაქცევ იმას, რაც შეიძლებოდა მოგვეყვანა, თუნდაც კეთილი განზრახვით, ჩემი უწყებების წინააღმდეგ.

ამრიგად, ძველი სატურნის პერიოდში საქმე გვაქვს სითბოს მდგომარეობების ურთიერთგანმსჭვალვასთან. უფრო დაწვრილებით ჩაუღრმავდეთ ამ მდგომარეობებს. გენეზისის თვალსაზრისით სატურნის ეს ძველი მდგომარეობა, სითბური, ანუ ცეცხლოვანი მიმართებების ეს ურთიერთგანმსჭვალვა მიწიერი ჩამოყალიბებების დროს მეორდება. ესაა პირველი, რაც უნდა დავადგინოთ სტიქიის ყოფიერებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, გთხოვთ, სათანადო ყურადღება მიაქციოთ იმ აზრს, როცა ვსაუბრობთ სითბოსა თუ ცეცხლზე, ყოფიერების საფეხურებზე ძველ სატურნთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ გავიგებთ ამ სითბოს ან ცეცხლს, თუ ავანთებთ ასანთს ან სანთელს, ანდა დავიწყებთ ფიზიკური სითბოსა თუ ცეცხლის შესწავლას. რასაც იქ ჩვენ ვუწოდებთ სითბოს, ან ცეცხლს, ეს უნდა წარმოვიდგინოთ უფრო სულიერად, სწორი იქნება ვთქვათ, უფრო მშვენიერად. როცა თავს გრძნობთ საკუთარ თავში სითბოს მატარებელ არსებად, როდესაც თქვენ, ასე ვთქვათ, გრძნობთ საკუთარ სითბოს, მაშინ კარგი იქნება, თუ ამ საკუთარ გრძნობად

განცდას შეხედავთ, როგორც რაღაც ისეთს, რასაც შეუძლია დაახლოებით წარმოდგენა შეგიქმნათ ძველი სატურნის ურთიერთგანმსჭვალავ სითბურ მდგომარეობებზე.

შემდეგ წინ მივიწვევთ, ძველი მზის, ჩვენი პლანეტის განვითარების მეორე მდგომარეობისკენ და სტიქიათა ყოფიერების თვალსაზრისით ვამბობთ, რომ სითბო გამკვრივდა ჰაერის, გაზისებრ მდგომარეობამდე. მაშასადამე, ჩვენ განვასხვავებთ ძველი მზის სტიქიათა ყოფიერებაში სითბოსა და გაზის ანუ ჰაერისმაგვარ მდგომარეობას. ჩვენ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ სტიქიების ჰაერამდე გამკვრივებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მყარ მდგომარეობაში მათი ჩამოსვლით, აღმასვლა შეერთებულა უფრო ნატიფთან, უფრო ეთერულთან. ასე რომ, სითბოზე ქვემოთ უახლოეს ელემენტარულ მდგომარეობას თუ ვუწოდებთ ჰაერისმაგვარს, მაშინ სითბოს ზემოთ უახლოესი მდგომარეობა საჭიროა აღეწეროთ, როგორც სინათლისებრი (lichtartig), როგორც სინათლისებრი ეთერი. ამრიგად, ძველი მზის მდგომარეობის დროს თუ მხედველობაში მივიღებთ პირობების ერთობლიობას სტიქიების შიგნით, მაშინ ვამბობთ: ძველ მზეზე ადგილი ჰქონდა სითბოს, სინათლისა და ჰაერის ურთიერთგანმსჭვალვას და ყველაფერი, რაც მაშინ ძველ მზეზე ცხოვრობდა, სწორედ ამ სითბოს, სინათლისა და ჰაერის მდგომარეობებში ვლინდებოდა. ახლა კიდევ ერთხელ უნდა გავარკვიოთ, რომ სითბოს, სინათლისა და ჰაერის ელემენტების გამოვლინებებზე საკუთარი მზერის მიპყრობით, ჩვენ წინაშეა, ასე ვთქვათ, მათი, ილუზია – მარტოოდენ გარეგნული მხარე იმისა, რაც სინამდვილეში არსებობს. რეალურად ეს სულიერი არსებებია, რომლებიც თავის თავს სითბოს, სინათლისა და ჰაერის მეშვეობით ავლენენ. ეს იმას ჰგავს, თითქოს ხელი გავიშვირეთ გაცხელებული სივრცისკენ და საკუთარ თავს ვუთხარით: ამ სივრცეში სითბოა იმიტომ, რომ აქ არის არსება, რომელიც ასხივებს სითბოს და რომლისთვისაც სითბოს ეს გამოსხივება ამავე დროს საკუთარი თავის გამოვლენის საშუალებაა.

ძველი მთვარისკენ შემდგომი წინსვლისას, შუალედური მდგომარეობის სახით კვლავ გვაქვს სითბო; ქვევით – სითბოს გამკვრივება ჰაერის ანუ გაზისებრ მდგომარეობაში და კიდევ უფრო ქვევით – გამკვრივება წყლის მდგომარეობამ-

დვ. ანალოგიური მდგომარეობაა სინათლესთან დაკავშირებით. ახლა სინათლის ქვემოთ განლაგებულია თითქოსდა კიდევ უფრო ნატიფი ეთერული მდგომარეობა, რაც ადრე უკვე დავახასიათე, როგორც ჩვენი მატერიის შიგნით მოქმედი სტრუქტურული საწყისის სახე, რომელიც ახორციელებს ქიმიურ შეერთებებსა და გახლეჩვებს, და რომელსაც ადამიანი საკუთარი გარეგნული გრძნობებით მხოლოდ მაშინ შეიცნობს, როცა ის გადაეცემა მას ჰაერის მეშვეობით; იმას, რაც წარმოადგენს მთელი არსებობის გარკვეული სახის სულიერ საფუძველს, შეგვიძლია ვუწოდოთ ტონი, ანუ ბგერითი ეთერი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ეს სულიერი ბგერა ზომითა და რიცხვით აყალიბებს მატერიალურ ყოფიერებას, ასევე შეგვიძლია რიცხვითი ეთერი ვუწოდოთ. ამრიგად, ჩვენ სინათლიდან ბგერისკენ ვმალდებით; მაგრამ ამ ბგერას განვასხვავებთ გარეგნული ქდერადობისგან, რომელიც გვეძლევა ჰაერის მეშვეობით და მასში ვხედავთ რაღაცას, რაც გარკვეულწილად მხოლოდ ადამიანის გამოდევნილებული ნათელმხილველური გრძნობით აღიქმება. ამრიგად, ამ ძველი მთვარის შიგნით, – ყველაფერში, რაც მასშია და მასზე გარედან მოქმედებს, – ვხედავთ სტიქიებს: სითბოს, ჰაერს, წყალს, სინათლეს და ბგერას.

ზევით, მეოთხე მდგომარეობისკენ, მიწიერი ჩამოყალიბებისკენ ამალღებისას ვხედავთ, რომ სტიქიებს, – ახალი გამკვრივებისა და სინატიფის სახით, ზევით და ქვევით, – უერთდება ერთი მხრივ, მიწიერი, ანუ მყარი და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ნატიფი, ვიდრე არის ბგერითი ეთერი, ის, რასაც ვუწოდებთ სასიცოცხლო ეთერს. ამრიგად, მიწიერი ყოფიერების სტიქიათა აღწერა შეიძლება შემდეგი სიტყვებით: სითბოს კვლავ უკავია შუალედური მდგომარეობა, ხოლო მისი გამკვრივების სახით გვაქვს ჰაერისმაგვარი, წყლისა და მყარი სტიქიები, ნატიფი სახით კი – სინათლის, ბგერისა და სასიცოცხლო ეთერი. ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენ მიერ ნახსენები მიწიერი, ანუ მკვრივი არ უნდა ავუროთ იმაში, რასაც თანამედროვე მეცნიერება მიწიერს, ანუ მყარს უწოდებს. ჩვენ მიერ აქ ნახსენები, ჩვენი განმარტებით, არის რაღაც ისეთი, რისი უშუალოდ დანახვაც ჩვენს გარემოცვაში შეუძლებელია. ცხადია, ოკულტიზმის თანახმად, ის, რაზეც ღაფ-

დივართ, როცა მივაბიჯებთ დედამიწის მყარ ნიადაგზე, ითვლება მიწიერად, რამდენადაც ის მყარია. მაგრამ ოქროც, ვერცხლიც, სპილენძიც და კალაც – ოკულტისტისთვის ასევე არის მიწა. ოკულტიზმის თანახმად, ყოველივე მყარი, საგნობრივი არის მიწა. ეჭვგარეშეა, თანამედროვე ფიზიკოსი თავისი თვალსაზრისით იტყვის: ეს დაყოფა, არსებითად, არაფერს ნიშნავს. ჩვენ განვასხვავებთ ჩვენთვის ცნობილ მრავალფეროვან ელემენტებს, მაგრამ იმის შესახებ, რომ ყველა ამ ელემენტისთვის ნიშანდობლივია მიწიერი სახით რაღაც დასაბამისეული მატერია, ამაზე არაფერი ვიცით. სწორედ ამაზე საუბრობს გენეზისიც, ცხადია, თუ მას სწორად გაიგებენ. შესაქმის სწორად გასაგებად ამ ოთხ სტიქიაზე უნდა ვთქვათ, რომ პირველი სამი მდგომარეობა რაღაც სახით უნდა გამეორდეს ჩვენს მიწიერ ყოფიერებაში, ხოლო მეოთხე მდგომარეობა ამ მიწიერ ყოფიერებაში გამოვლინდება, როგორც ახალი სტიქია. შევეცადოთ, გენეზისის გაანალიზებას ამ თვალსაზრისით. გამოვიკვლიოთ ის იმ საშუალებებით, რომლებიც უკვე ავითვისეთ წინა დღეებში. დედამიწის ჩამოყალიბებაში ჩვენ უნდა ვიპოვოთ ძველი სატურნის მდგომარეობის განსაკუთრებული სახის გამეორება. სხვა სიტყვებით, საჭიროა ვიპოვოთ ძველი სატურნის სიტბო სულიერ-მშენიერი სახით გამოხატული. ჩვენ ვიპოვით კიდევ მას, თუ გენეზისს სწორად გავიგებთ. მე უკვე გითხარით, რომ სიტყვები: „ელოჰიმების სული გამოჩეკდა (brutete) წყლებზე“, არსებითად, მიუთითებდა ელოჰიმების მშენიერ-სულიერი არსების გაფართოებაზე. ეს სიტბური ელემენტი საჭიროა წარმოვიდგინოთ, როგორც გამათბობელი მის ქვემოთ მთელი მაშინდელი ელემენტარული ყოფიერების გამოჩეკისას, მსგავსად იმისა, როგორც ქათამი ათბობს და გამოჩეკს თავის კვერცხებს. ამ სიტყვებში: „ელოჰიმების სული გამოასხივებდა, ათბობდა რა გამოჩეკით, ელემენტარულ ყოფიერებას, ან წყლებს“, ჩვენ გვაქვს მინიშნება ძველი სატურნისეული სიტბოს გამეორებაზე.

ახლა კიდევ უფრო წინ წავიდეთ. შემდეგი მდგომარეობა უნდა იყოს ძველი მზისეული ყოფიერების თავისებური გამეორება. ახლა ყურადღებას არ გავამახვილებთ მზის სტიქიებში არსებულ გამყარებულ მდგომარეობებზე, ანუ იმაზე, რაც სიტბოდან გამყარდა ჰაერში, არამედ შევჩერდეთ

ბით მხოლოდ იმაზე, რაც წარმოიქმნა უფრო ნატიფი სახით, ანუ – სინათლის სტიქიაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მზის ყოფიერებისას ჩვენს კოსმოსში სინათლე პირველად ვლინდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძველი მზის მდგომარეობის გამეორება მიწიერი ჩამოყალიბების მსგავსებაში სინათლის გარღვევით გამოიხატება. ეს კი გადმოცემულია დიადი სიტყვებით: „და ელოჰიმებმა თქვეს: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი“.

მესამე გამეორება კი უნდა გამოვლინდეს იმაში, რომ უფრო ნატიფი სტიქიებიდან ჩვენს ქმნად დედამიწას მსჭვალავს ე. წ. სტრუქტურირებული ბგერითი ეთერი. ამიტომ საკუთარ თავს ვკითხვთ, ხომ არ მეორდება რაიმეში ძველი მთვარის მდგომარეობაც? ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება ამაზე მინიშნება იყოს გენეზისში? დაახლოებით ისე, რომ ბგერას ისეთივე სახით შეაქვს წესრიგი ქმნადი დედამიწის სტიქიათა პირობებში, როგორც მტვრით მოფენილი ფირფიტაზე გატარებული ხემის გავლენით წარმოიქმნება ე. წ. ხლადნიური (Chladnischen) ბგერითი ფიგურები. გამეორების მდგომარეობაში უნდა გამოვლენილიყო რაღაც ისეთი, რაც ჩვენ გვეტყოდა: ჩაერია ბგერითი ანუ ხმოვანი ეთერი და განსაზღვრული სახით დაიწყო მატერიაში წესრიგის შეტანა. რაზე მეტყველებს მიწიერი ჩამოყალიბების ის მომენტი, რომელიც უშუალოდ სინათლეს მოსდევდა? აქ ჩვენთვის ნათქვამია, რომ სტიქიური სუბსტანციების მასაში ელოჰიმებმა გამოიწვიეს რაღაც ისეთი, რამაც ამ მასებში, – როგორც ეს გუშინ აღვწერე, – შეიტანა ისეთი სახის წესრიგი, რომ ნაწილი ავიდა ზევით, დანარჩენი ნაწილი კი დაეშვა ქვევით. ჩნდება ელემენტი, რომელიც აწესრიგებს ძალებს და იჭრება სტიქიების მასაში, ზუსტად ისე, როგორც ბგერა, როცა იჭრება ფირფიტაზე არსებულ მტვრის მასაში და ხატავს ხლადნიურ ბგერით ფიგურებს. როგორადაც წარმოიქმნება აქ მწვობრი ფიგურები, ასევე წესრიგდება იქ სტიქიის მასები, იმ დროს, როცა ისინი ზემოთ კაშკაშებენ და ქვევით გროვდებიან. სიტყვა რაკია, რომელიც აქაა გამოყენებული იმის აღსანიშნავად, რაც ელოჰიმებმა შეიტანეს სტიქიური სუბსტანციების მასაში, ძალზე რთული სიტყვაა და საზოგადოდ მიღებული თარგმანები მის აზრს არასაკმარისი სიზუსტით გადმოსცემენ. ამ სიტყვის ასახსნელად თუ შევაგ-

როგორც ყველაფერს, რაც შესაძლებელია ჩვენს დროში, საჭიროა ითქვას: ამ სიტყვის ჩვეულებრივი თარგმანები ცის თალი, ან კარავი, ანდა ასევე გაფართოება, არასაკმარისად გამოხატავს სიტყვა რაკიას აზრს, ვინაიდან ამ სიტყვაში არის რაღაც აქტიური, რაღაც გამომდევნიანი. უფრო ზუსტი ფილოლოგია ალბათ იპოვიდა, რომ ამ სიტყვაში იმალება სწორედ ის, რაზეც აქ მივუთითეთ, კერძოდ: ელოპიმბმა გამოადვილეს სტიქიებში რაღაც ისეთი, რაც შეიძლება შევადაროთ იმას, რაც ფორმირდება ხლადნიური ფიგურების მტერის ნაწილაკებში, როცა მათ აწესრიგებს ბგერა: როგორადაც მოწესრიგდება აქ მტვერი, ასევე წესრიგდება ზევით და ქვევით ნივთიერების ელემენტარული მასები შესაქმის ე. წ. მეორე დღეს. ამრიგად, აქ ვხედავთ, როგორ იხატება გენეზისში სინათლის ეთერის შემდეგ ბგერითი ეთერის გარღვევა და ფაქტებთან სრულ შესაბამისობაში შესაქმის ე. წ. მეორე დღეს ჩვენ წინაშე ის, რასაც გარკვეული აზრით შეიძლება მთვარის მდგომარეობის გამეორება ვუწოდოთ.

თქვენ თანდათან გაიგებთ, რომ ეს გამეორებები სწორხაზობრივად კი არ ხორციელდება, არამედ ისინი თითქოსდა ერთმანეთს ენაცვლება. ხოლო ის, რაც დღევანდელ განხილვებში შეიძლება გუშინდელის საპირისპიროდ მოგეჩვენოთ, ეს შემდგომში თანდათანობით გაირკვევა. გამეორებები ისე ხორციელდება, რომ ჯერ ხდება ახლახან ჩემ მიერ აღწერილი, შემდეგ კი – უფრო ვრცელი გამეორება, როგორც ეს გუშინ აგისხენით.

ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ ახლა, – მიწიერი ჩამოყალიბების იმ მომენტის შემდეგ, როცა ბგერითმა ეთერმა ისე განაწილა მატერია, რომ მისი ნაწილი ასხივებს ზევით, ხოლო დანარჩენი ქვევით, – თავის მოქმედებას გამოავლენს ის, რაც დავახასიათეთ კიდევ უფრო ნატიფ – სპეციფიკურ მიწიერ მდგომარეობად, რასაც ვუწოდებთ ცხოვრება, სასიცოცხლო ეთერი. შესაქმის ე. წ. მეორე დღის შემდეგ უნდა დადგეს რაღაც ისეთი, რაც მიანიშნებდა ჩვენი დედამიწის სტიქიებში სასიცოცხლო ეთერის გადმოღვრაზე, ისევე, როგორც ადრე გადმოიღვარა სინათლე და მომწესრიგებელი ბგერითი ეთერი. გენეზისში საჭიროა, აღმოვაჩინოთ მინიშნება შემდეგზე: აქ გამოკრთა სასიცოცხლო ეთერი და გამოადვილა სიცოცხლე გაშლისკენ, აყვავებისკენ. ყურადღებით

დააკვირდით მიწიერი ჩამოყალიბების მესამე მომენტს გენეზისში. იქ გვეუწყება, როგორ ამოიზრდება მიწიდან სიმწვანე, მაცოცხლებელი, ბუჩქები და ხეებისმაგვარი, როგორც გუშინ გითხარით: სახეობის (artgemäß) შესაბამისად. აი ცოცხალი აღწერა სასიცოცხლო ეთერის ამ გადმოღვრისა, რომელიც ავლენს იმ ყველაფერს, რაც არის მესამე დღის შესახებ ნაუწყები.

ასე იპოვით თქვენ გენეზისში იმ ყველაფერს, რისი გამოვლენაც ოკულტიზმს ნათელხილვის ძალით შეუძლია და რისი მოლოდინიც უნდა გექონოდა კიდევ, რამდენადაც გენეზისი სწორედ ასეთი ოკულტური ცოდნიდან მოდის. გენეზისით ყველაფერი დასტურდება, თუ, ცხადია, მას სწორად გავიგებთ. გასაოცარია, რა დონეზე დასტურდება გენეზისით ყოველივე ის, რაც ჩვენ ყოველგვარი წერილობითი ძეგლებისგან დამოუკიდებლად მოვიკვლიეთ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ გამეორებების სახით ძველი სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობების, როგორც ეს არის აღწერილი ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, მიწიერი ჩამოყალიბების აღწერისას შეგნებულად და კეთილსინდისიერად გვერდი ავუარე ყოველივე იმას, რაც შეიძლებოდა გენეზისიდან ნასესხები ყოფილიყო. აქ ნაუწყებია მხოლოდ ის შედეგები, რომლებიც მოპოვებულია ყოველგვარი გარეგნული ძეგლებისგან დამოუკიდებლად და თუ ამას შეადარებთ გენეზისში ნაპოვნს, მაშინ დაინახავთ, რომ გენეზისი არის დოკუმენტი, რომელიც გვეუბნება იმავეს, რისი გამოვლენაც ჩვენი სულიერი კვლევის შედეგად თავადაც შეგვეძლო. აი ის გასაოცარი თანახმიანობა, რომელზეც გუშინ უკვე მიგითითეთ, რომ ჩვენ თავად შეგვეძლო მოგვეპოვებინა ის, რაც გვეუწყება მჭვრეტელების მიერ, რომლებიც ათასწლეულებიდან მოგვმართავენ.

ამრიგად, ჩვენი მიწიერი არსების უფრო ნატიფი სტიქიების მხედველობაში მიღებით, შესაქმის ე. წ. პირველ სამ დღეში ჩვენ ვხედავთ სითბოს, სინათლის, ბგერითი და სასიცოცხლო ეთერის თანმიმდევრულ ზემოქმედებას. ხოლო გარედან იმპულსირებულში, ამ ავტონომიურ სასიცოცხლოში ვხედავთ გამკვრივების პარალელურად განვითარებულ მდგომარეობებს – როგორ მკვრივდება სითბო ჰაერში, შემდეგ კი წყალსა და მიწიერ სიმყარეში სწორედ იმ თანმიმ-

დევრობით, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი. ასე გადაე-
ჯაჭვება ერთმანეთს გაუხშობი და გამკვრივებული
მდგომარეობები და მივიღებთ ჩვენი მიწიერი ჩამოყალიბების
მთლიან სურათს. ამ უფრო ნატიფ მდგომარეობებზე, – სი-
ნათლესზე, ბგერასა და სასიცოცხლო ეთერზე, – უნდა გვახ-
სოვდეს, რომ საქმე გვაქვს გამოვლენის უნარებთან, გარეგ-
ნულ მშენებელ-სულიერ შესამოსელთან. ამ სულიერ არსე-
ბათაგან გენეზისში, უპირველეს ყოვლისა, ელოჰიმები ვლინ-
დებიან. ანთროპოსოფიული სიბრძნის თვალსაზრისით ჩვენ
გვებადება კითხვა: როგორი სახის სულიერი არსებებია ეს
ელოჰიმები? ორიენტირებისთვის ისინი საჭიროა, ჩავწერთ
ჩვენი იერარქიული ტაბულის რანგებში. თქვენ, ალბათ, ყვე-
ლაფერი გახსოვთ იქიდან, რაც მოისმინეთ ჩემგან მრავალი
წლის განმავლობაში ან წავიკითხავთ ჩემს წიგნში „იდუ-
მალთმეტყველების ნარკვევი“, რომ ჩვენ, ზევიდან დაწყებუ-
ლი, ზეციური იერარქიების მიხედვით განვასხვავებთ პირ-
ველ სამეულს, რომელშიც შედის სერაფიმები, ქერუბიმები
და საყდარნი. ამის შემდეგ მოდის მეორე სამეული, რომელ-
თაც ეწოდებათ: ხელმწიფებანი, ძალნი და უფლებანი
(Kyriotes oder Herrschaften, Dynamis oder Mächte, und Exusiai oder
Offenbarungen, Gewalten). ქრისტიანული ტერმინოლოგიის გა-
მოყენებით ქვედა სამეულზე გადასვლისას, ვსაუბრობთ საწ-
ყისებზე ანუ პიროვნების სულებზე, მთავარანგელოზებსა და
ანგელოზებზე, ანუ იმ სულიერ არსებებზე, რომლებიც ადა-
მიანთან ყველაზე ახლოს დგანან. მხოლოდ შემდეგ იერარ-
ქიულ რიგში მივეახლებით ჩვენ თავად ადამიანს, როგორც
იერარქიული წესრიგის მეათე წევრს. აქ კი საკუთარ თავს
უნდა ვკითხოთ, ამ იერარქიული კიბის რომელ საფეხურს
უნდა მივაკუთვნოთ ელოჰიმები?

აქ საჭიროა ყურადღება მივაპყროთ მეორე სამეულს, იმ
არსებებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ვუწოდებთ – უფლება-
ნი, ფორმის სულები (Exusiai). ეს არის სწორედ ელოჰიმე-
ბის რანგი. წლების განმავლობაში ჩვენ მიერ წარმოდგენი-
ლიდან ვიცით, რომ ძველი სატურნის ყოფიერებისას იმ
ადამიანურ საფეხურზე, რომელზეც ვიმყოფებით ამჟამად,
იდგნენ პიროვნების სულები (არქეები, Archai). ძველი მზის
მდგომარეობისას ამ ადამიანურ საფეხურზე მთავარანგე-
ლოზები იდგნენ; ხოლო ძველი მთვარის მდგომარეობისას

ადამიანური საფეხური ეკავათ ანგელოზებს, შემდეგ მიწიერი ყოფიერებისას მას ადამიანი იკავებს. რანგით პიროვნების სულებზე მაღლა იმყოფებიან ფორმის სულები, ანუ ისინი, რომელთაც ჩვენ ელოჰიმებს ვუწოდებთ. ეს არის სულიერი არსებები, რომლებმაც, როცა ჩვენი პლანეტარული ყოფიერება ძველი სატურნის მდგომარეობისას ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ადამიანურ ყოფიერებას გადააბიჯეს; ესენია დიადი, ამაღლებული სულიერი არსებები, რომლებმაც თავიანთი ადამიანურობის საფეხური უშორეს დროში ჯერ კიდევ ძველი სატურნის გამოვლენამდე გაიარეს. იმის წყალობით, რომ ეს ყოველივე გაიბრუნეს ჩვენი მშვენიერი მზერის წინაშე, ვაცნობიერებთ ამ ელოჰიმების სიდიადეს და ვიცით, რომ ისინი იერარქიულ წყობაში ადამიანზე ოთხი საფეხურით მაღლა დგანან. ამრიგად, ის, რაც ქსოვდა სამყაროს ქსოვილს, რამაც კოსმიური ჩანაფიქრით შექმნა მიწიერი ყოფიერება – ეს იერარქიულ წყობაში ადამიანზე ოთხი საფეხურით მაღლა დგას. მას თავისი ჩანაფიქრით ისევე შეუძლია შექმნა, როგორც ადამიანისთვის არის ეს მისაწვდომი მხოლოდ საკუთარ აზრობრივ ხატებთან მიმართებით. რამდენადაც ეს ჩანაფიქრი ადამიანურზე ოთხი საფეხურით მაღლა დგას, ის არა მარტო აწესრიგებს და ქმნის იდეათა სამყაროში, არამედ ელოჰიმების ჩანაფიქრი თავის ხატად და მსგავსად ქმნის არსებებს.

ამ წინათქმის შემდეგ, ბუნებრივია, გაგვიჩნდეს კითხვა: როგორ არის საქმე იერარქიის სხვა არსებებთან დაკავშირებით? თავიდან დაგვაინტერესებს ის, რაც გენეზისის მიხედვით მოუვიდათ მათ, ვინც ზემოთ აღვწერეთ, როგორც არქეები ანუ პიროვნების სულები. ჩვენს იერარქიულ კიბეზე ისინი ხომ პირველებზე ერთი საფეხურით დაბლა დგანან. ჩვენ კიდევ ერთხელ მივაპყრობთ ყურადღებას იმაზე, რომ ელოჰიმები წარმოადგენენ ამაღლებულ არსებებს, რომლებმაც თავიანთი ადამიანურობის საფეხური ძველი სატურნის ყოფიერებამდე განვლეს. ელოჰიმების ეს არსებები თან მიყვებოდნენ, შემოქმედებითად აწესრიგებდნენ და ქმნიდნენ ძველი სატურნის, მზისა და მთვარის ყოფიერებას და ასევე ჩაერთვნენ დედამიწის ყოფიერებაში. მაინც რას უნდა ველოდოთ იმ იერარქიისაგან, რომელიც უშუალოდ მოსდევს ელოჰიმების იერარქიას – პიროვნების სულების იერარქიისა-

გან? განა მათზე არაფერს გვაუწყებს გენეზისი? გენეზისის თანახმად თუ ელოპიძებს შევხედავთ, როგორც შესამჩნევად მაღალ, ამადლებულ არსებებს, მაშინ უნდა იფიქროთ, რომ ეს საწყისნი, ანუ პიროვნების სულები, თითქოსდა მათი მსახურები გამოდის. გენეზისი ხომ არ გვეუბნება, რომ ელოპიძები თავიანთი დიადი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ უფრო მოკრძალებული, მეორეხარისხოვანი სამუშაოსთვის მსახურების სახით იყენებდნენ ამ არქებს, ანუ საწყისებს? ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე ვრცელ სამუშაოს ელოპიძები ახორციელებდნენ. მაგრამ თუ ელოპიძები, ასე ვთქვათ, ადგენდნენ ყველაზე მთავარ მონახაზებს, როცა ჩართული ჰქონდათ თავიანთი მძლავრი შემოქმედებითი ძალები, მაშინ ხომ არ მიუჩინეს მათ მართებული სახით მსგავსი ადგილი, მაგ., არქებს ანუ პიროვნების სულებს?

ჩვენ თუ გვსურს, ვუპასუხოთ საკუთარ კითხვას, საუბრობს თუ არა გენეზისი რაიმეს იმაზე, რომ ელოპიძები იყენებდნენ მათდამი ამგვარად დაქვემდებარებულ არსებებს და აყენებდნენ თუ არა მათ თავის საკუთარ ადგილას, ამისთვის ჯერ საჭიროა გენეზისის სწორად გაგება. გენეზისში არსებობს ადგილი, რომელიც წარმოადგენს თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას ყველანაირი გარეგნული განმარტებისთვის, ამასთან სწორედ იმიტომ, რომ გარეგნული განმარტებლები უკვე ასწლებულებია, ყურადღებას არ აქცევენ იმას, არსებითად, რა შეუძლია, თქვას ოკულტურმა კვლევამ ბიბლიის საწყისი სიტყვების ჭეშმარიტ აზრთან დაკავშირებით. ეს ადგილი, მართლაც, გადაულახავი წინააღმდეგობაა გენეზისის განმარტებისთვის. საკმარისია ამ თემასთან დაკავშირებით თვალი გადავაავლოთ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ ლიტერატურას და ამაში დავრწმუნდებით. გენეზისში არის ადგილი, რომელიც თანამედროვე ენაზე ასეა გადმოცემული: „და ელოპიძებმა სინათლე გამოიყვეს სიბნელისაგან“, შემდეგ ეს ისეა წარმოდგენილი, რომ სინათლემ და სიბნელემ თითქოს ერთმანეთი შეცვალეს. მე კიდევ მივუბრუნდები ამ სიტყვებს, რათა დაწვრილებით განვიხილო. ახლა კი მხოლოდ დროებით გამოვიყენებ თანამედროვე თარგმანებში მოყვანილ სიტყვებს, რომლებიც აზრს არასწორად გადმოსცემენ. იქ ნამდვილად არის ასეთი ფორმა: „და იყო საღამო და იყო დილა – დღე პირველი“, ხოლო

შემდეგ: „და ელოჰიმებმა უწოდეს სინათლეს დღე“. გარეგნული ლიტერატურისთვის აქ მართლაც გადაულახავი წინააღმდეგობაა. არსებითად, მაინც რა არის შესაქმის დღე? ნაივური გონება ასეთ დღეში ხედავს სინათლესა და სიბნელის მონაცვლეობას 24 საათის განმავლობაში, როგორც ჩვენი დღე-ღამე, რომლის დროსაც ჩვენ გვღვიძავს და გვიძინავს. მაგრამ ყველამ კარგად იცით, რომ ეს ნაივური წარმოდგენა შვიდ ასეთ დღეში სამყაროს შექმნაზე როგორი მრავალრიცხოვანი დაცინვის საგანი იყო. თქვენ შესაძლოა ასევე იცით, რამდენი შრომა, – და, უნდა ითქვას, დილექტანტური შრომა, – დაიხარჯა იმაზე, რომ შესაქმის ასეთი დღე ნიშნავს დროის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდს, მაგ. გეოლოგიურ პერიოდს და ა. შ., – ასე რომ, ამ განმარტების მიხედვით შესაქმის დღე დროის რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდის აღმნიშვნელი იყო.

ბუნებრივია, პირველი სირთულე ვლინდება, შესაქმის ე. წ. მეოთხე დღის განხილვისას, როცა გენეზისის მიხედვით იქმნება მზე და მთვარე, როგორც დროის მომწესრიგებელი ფაქტორები. მაგრამ ყოველი ბავშვისთვისაც ხომ ცნობილია, რომ ჩვენი დღე-ღამე დედამიწასა და მზეს შორის არსებულ მიმართებაზეა დამოკიდებული. თუ ეს ყველაფერი მხოლოდ მეოთხე დღეს არის შექმნილი, მაშინ ასეთ დღე-ღამეზე საუბარიც კი არ შეიძლება იყოს. ამიტომ ის, ვინც შეჩერდებოდა ნაივურ რწმენაზე, თითქოს გენეზისში ნაგულისხმევია სწორედ ასეთი ოცდაოთხსაათიანი დღე, აშკარად სცოდავს თავად გენეზისის წინაშე. შესაძლოა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც იზიარებენ ასეთ ნაივურ შეხედულებებს, მაგრამ ასეთებს საჭიროა შეეუბნა, რომ ეჭვგარეშეა, ეს შეხედულებები არ ეფუძნება გამოცხადებას, როცა ამტკიცებენ, რომ საქმე გვაქვს დღეებთან ჩვენი ჩვეულებრივი აზრით. დაწვრილებით განხილვა იმ თვითნებური განმარტებებისა, სადაც ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ გენეზისის დღეები საჭიროა გავიგოთ, როგორც გეოლოგიური პერიოდები, სიმართლე ითქვას, შრომად არ ღირს, ვინაიდან ამ ვრცელ ლიტერატურაში არაფერი მოიძებნება, რაც უფლებას მოგვცემდა, გენეზისში გამოყენებული სიტყვა *დღე** (yom) განგვემარტა გეოლოგიური პერიოდის თვალსაზრისით. სამაგიეროდ, ახ-

ლა გვიჩვენებს კითხვა: რას ნიშნავს, არსებითად, ეს სიტყვა jom, რომელსაც ჩვეულებრივ თარგმნიან, როგორც „დღეს“?

ამ სიტყვის მთელი სიღრმის გაგებას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც ხელეწიფება მთელი თავისი გრძობით დასახელების ძველი მეთოდის, ძველი ნომენკლატურის წვდომა. საჭიროა, სრულიად სხვა სახის გრძობასა და შეგრძნებას ფლობდე იმისათვის, რომ ჩასწვდე, იგრძნო ამგვარი უძველესი დასახელებები. დიდად რომ არ გაგაოცოთ, მსურს, ამის წვდომამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მიგიყვანოთ. უპირველეს ყოვლისა, მსურს, თქვენი ყურადღება ე. წ. გნოსტიკოსების უძველეს მოძღვრებაზე გაავამახვილო. იქ საუბარი იყო ჩვენი ყოფიერების განვითარებაში მონაწილე ძალებზე, რომლებიც ამ განვითარებაზე თანმიმდევრულად ზემოქმედებდნენ და ამ ძალებს, ამ არსებებს ეწოდებოდათ ეონები (Äonen). აქ საუბარია ეონებზე გნოსტიკოსების თვალსაზრისით. ამ ეონებით დროის პერიოდებს კი არ აღნიშნავენ, არამედ არსებებს. იგულისხმება, რომ პირველი ეონი აგლენს თავის მოღვაწეობას და როცა შექმნილია ის, რისი შექმნაც მას შეუძლია, იგი იცვლება მეორე ეონით, ხოლო მეორე ეონი, როცა მთელ თავის ძალებს ამოწურავს, იცვლება მესამით და ა. შ. ასეთ ერთმანეთის მომდევნო განვითარების ხელმძღვანელ და ერთმანეთის შემცვლელ არსებებს გულისხმობდნენ გნოსტიკოსები, როცა ისინი ეონებზე საუბრობდნენ და მხოლოდ გაცილებით მოგვიანებით შეცვალა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა დროის აბსტრაქტულმა, განყენებულმა მნიშვნელობამ. მაგრამ ეონი არის რაღაც არსებული, რაღაც ცოცხალი არსება და სწორედ ცოცხალი არსების იგივე აზრია დაკავშირებული ებრაულ სიტყვასთან „jom“. აქ საქმე გვაქვს დროის არა ცარიელ, განყენებულ ცნებასთან, არამედ რაღაც არსებასთან (Wesenhaftem). jom არის რაღაც არსება. და თუ საქმე გვაქვს შვიდ ასეთ ერთმანეთის მომდევნო jom-თან, მაშინ შენ წინაშეა შვიდი ერთმანეთის მონაცვლე არსება ან, თუ გნებავთ, არსებათა ჯგუფი.

აქ გვაქვს ის, რაც ორი სხვა არსების მიღმა იმალება. არიულ ენებში თქვენ ხვდებით მსგავსებას სიტყვებს შორის „Deus“ და „dies“, „ღმერთი“ და „დღე“. ეს არის შინაგანი მონათესავე არსება (wesensverwandt) და უძველეს დროებში ძალიან მკაფიოდ აცნობიერებდნენ ამ ნათესაობას „დღესა“ და

განსაზღვრულ არსებას შორის და როცა ასახელებდნენ კვირის დღეებს, როგორც ახლა ვამბობთ, კვირას, ორშაბათს, სამშაბათს და ა. შ., მაშინ მხედველობაში ჰქონდათ არა მარტო დროის განსაზღვრული მონაკვეთები, არამედ „Dies“-თან ერთდროულად გულისხმობდნენ არსებების ჯგუფს, რომლებიც მზეზე, მთვარეზე, მარსზე მოქმედებდნენ. შეეცადეთ ეს ბიბლიური სიტყვა „jom“, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება სიტყვით „დღე“, გაიგოთ, როგორც რაღაც სულიერი არსება, მაშინ იპოვით იმ არსებებს, რომლებიც იერარქიაში ელოპიმებზე ერთი საფეხურით დაბლა დგანან და როგორც დაქვემდებარებული სულები მათ ემსახურებიან. როდესაც ელოპიმებმა თავისი მაღალი, მოწესრიგებული ძალებით შექმნეს სინათლე, მათ თავიანთ ადგილას დააყენეს „jom“, ანუ პირველი არსება, დროის პირველი სულები, ანუ ამ წინარე ენით თუ ვიტყვით – არქეები. ამდენად, ის სულიერი არსებები, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ პიროვნების სულებს, ანუ საწყისებს, არსებითად სწორედ ისაა, რასაც იქ დროის მონაკვეთს „დღეს“ ან „jom“-ს უწოდებენ. ესაა ელოპიმების მომსახურე სულები – მსახურები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ასრულებენ იმას, რასაც ელოპიმები უმაღლესი თვალსაზრისით აწესრიგებენ. ვინც მოისმინა ჩემი ლექციები, რომლებიც ახლახან წავიკითხე *ქრისტიანიაში**, (ცალკეულ ხალხთა სამშენიველების მისია ჩრდილოეთ გერმანულ მითოლოგიასთან კავშირში“, GA 121), გაიხსენებს, რომ არქეებს მე ვუწოდებ დროის სულები, როცა ვთქვი, რომ ეს სულიერი არსებები დღემდე წარმოადგენენ დროის ასეთ სულებს. ისინი იყვნენ ელოპიმების მსახურები, თითქოსდა მათ მიერ დანიშნული, რომ შეესრულებინათ ის, რასაც ელოპიმები აგებდნენ ზოგადი შტრისებით თავიანთი დიადი გეგმის თანახმად. ასევე, ჩვენი სიბრძნისთვისაც ყველაფერი ჩამწკრივდება ერთ დიად მწყობრ სისტემაში. რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ წლების განმავლობაში დააკვირდებით იმას, რაც გეუწყებათ, მაშინ მიიღებთ სწორ ცნებას იმაზე, როგორ ერთეუბა ყველაფერი ერთიან წესრიგში უფლების გარეშე (restlos).

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: დიად არსებებს შეაქვთ ერთიანი მოწყობის ზოგადი გეგმა სხვადასხვა ეთერისა და ჰაერის, წყლისა და მიწის ურთიერთგანმსჭვალვაში,

– და ეს დიადი არსებებია ელოჰიმები; ისინი მსახურების სახით, – თუ გავბედავთ და გამოვიყენებთ ასეთ ტრივიალურ გამოთქმას, – იყენებენ სხვებს, თავიანთ დაბლა მდგომ არსებებს და აძლევენ თავისებური სახის ბრძანებებს. მათ მიერ ყოფიერებაში სინათლის გადმოღვრისას ისინი გადასცემენ ამ არსებებს შემდგომი დამუშავებისთვის თავიანთ განკარგულებებს. ამიტომ შეგვიძლია, ვთქვათ: სინათლის შექმნით, ელოჰიმები თავიანთ ადგილზე, – შემცვლელებად, – აყენებენ მათდამი პირველ დაქვემდებარებაში მყოფ დროის სულებს. ის დაფარულია ჩვეულებრივი სიტყვის „დღე პირველი“ მიღმა. ამ სიტყვის „დღე პირველი“ მიღმა დაფარულ უფრო ღრმა აზრს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა გავარკვევთ იმას, რა დგას ამ სიტყვის გვერდით: „და იყო ღამე, და იყო დღე: დღე პირველი“. დროის სულთაგან პირველი შევიდა თავის მოღვაწეობაში. ამას უკავშირდებოდა ის, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ „ereb“* და „boker“ შორის ცვლაზე. „ereb“ ხომ არ ნიშნავს იმავე სიტყვას, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ სიტყვის „ღამე“ ქვეშ; ხოლო „boker“ ხომ არ არის ის, რაც გადმოიცემა სიტყვით „დღე“. ჩვენ თუ შევეცდებით, ამისთვის ვიპოვოთ მეტ-ნაკლებად შესატყვისი სიტყვა, მაშინ უნდა ვთქვათ: და იყო „ereb“, ანუ აბურდული, უწესრიგო და გახდა „boker“, ანუ წესრიგი ანუ მოწესრიგებული. ჩვენ უნდა ვთქვათ: „და გამონდა უწესრიგო, აბურდული, ხოლო მას მოჰყვა წესრიგი, ჰარმონია, და ამაში მოქმედებდა დროის სულთაგან პირველი“.

სატურნი	მზე	მთვარე	დედამიწა
		ბგერა	სიცოცხლე
	სინათლე	სინათლე	ბგერა
სითბო(ცეცხლი)	სითბო	სითბო	სინათლე
	ჰაერი	ჰაერი	სითბო
		წყალი	ჰაერი
			წყალი
			მიწა

ჩვენ თუ კიდევ ერთხელ გადავხედავთ წარსულში იმას, რაც მიწიერი ჩამოყალიბების პირველი მომენტის სახით მოგვეცა, მაშინ ჯერ კიდევ შესაძლებელია, ჩვენ მიერ აუხსნელი სხვადასხვა მოვლენა შეგვხვდეს. ჩვენი ყველა ერთობლივი კვლევის შემდეგ აღმოჩნდება, რომ გემართებს ბიბლიის სიტყვათა ნიშნებში გაცილებით მეტად ვეძიოთ არსებითი, ვიდრე ჩვეულებრივ თარგმანებშია მიღებული.

გუშინ მივუთითეთ, რომ სიტყვა „jom“, „დღე“ არაა აბსტრაქცია, განყენებული ცნება დღეზე, რომელიც დაგვაკავშირებს იმასთან, რასაც ამჟამად დღეს ვუწოდებთ, არამედ ამ სიტყვით მიგვანიშნებენ არსებითზე, კერძოდ არსებებზე, რომლებიც იერარქიულ განლაგებაში ჩვენთვის ცნობილია სახელებით – პიროვნების სულები, დროის სულები, არქეები. აქ არაერთხელ ვახსენეთ გამონათქვამი, რომ ჩვენ მთელ ცხოვრებასა და სტიქიების ქსოვაში, რომლის ყოფიერებასაც გენეზისი გვიხატავს, ვხედავთ მშვენიერი-სულიერ ძალთა გამოხატულებას, და ახლა ეს გამონათქვამი შეგვიძლია რამდენადმე ღრმად აღვიქვათ, ვიდრე ამას შესაძლოა ადრე აღვიქვამდით. ასევე გემართებს, გენეზისის მიერ ნაუწყები ბევრი სხვა რამეც გავიგოთ არა აბსტრაქტულად, არამედ არსებითად. ცხადია, არაა ძნელი არსებითის განჭვრეტა, თუ გვხვდება გამონათქვამი: ელოჰიმების სული, *Ruach Elohim**. მაგრამ თუ ჩვენ გვამოძრავებს სურვილი, ჩავწვდეთ ამ უძველესი თქმულებების არსს, მაშინ საჭიროა, არსებითი ვეძიოთ არა მარტო ისეთ გამონათქვამებში, რომელთა შემთხვევაში თანამედროვე განწყობაც არაა წინააღმდეგი, ეძიოს რაღაც არსებითი, არამედ არსებითი ყველგან უნდა ვეძიოთ. ამიტომაც არსებობს საფუძველი, დაისვას ასეთი კითხვა: მაინც რა იმალება, მაგ., ამგვარი გამონათქვამის მიღმა – „და tohu wabohu იყო შინაგანად მოძრავი და ცოცხალი“, როგორც დაგინახიათ „სიბნელე ბატონობდა ელემენტარულ საგნობრივ ყოფიერებაზე“? ხომ არ გემართებს, დაინახოთ იმის მიღმა, რასაც აქ ვუწოდებთ „სიბნელე“, რაღაც არსებითი? საქმე ისაა, რომ ჩვენ ვერასდროს გავიგებთ გენეზისს, თუ ამ საკითხებს არ გადავწყვეტთ. როგორც ყველაფრის

მიღმა, რაც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება სტიქიების, კერძოდ – სინათლის, ჰაერის, წყლის, მიწის, სითბოს სტიქიათა ყოფიერებაში ჩვენ მივეჩვიეთ, დავინახეთ მხოლოდ, ასე ვთქვათ, სულიერის პოზიტიური გამოცხადება, ასევე უფრო ნეგატიურ გამოხატულებებშიც, შესაძლოა, განვჭვრიტოთ რაიმე ღრმად არსებულის გარეგნული გამოვლინებები.

ამ მოვლენების კულისებში რომ ჩავიხედოთ, აუცილებელია, კვლავ დაეუბრუნდეთ ჩვენი პლანეტარული ჩამოყალიბების ყველაზე პირველ ჩანასახებს. უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ ძველი სატურნის ყოფიერებას საჭიროა შევხედოთ, როგორც წმინდა სითბურ ყოფიერებას, რომ შემდეგ ძველი მზის ყოფიერებისკენ გადასვლისას ხორციელდება, ერთი მხრივ, გამკვრივება ჰაეროვანისკენ ანუ გაზისებრისკენ, ხოლო მეორე მხრივ, – რაღაც სახის გაუხშობა უფრო ეთერულისკენ, სინათლის ეთერისკენ. და ჩვენ ვნახეთ, როგორ ხორციელდება ამ ეთერულ-სინათლისებრი მდგომარეობის თავისებური სახის გამეორება, როცა უღერს სიტყვები: „და ელოჰიმებმა თქვეს: დაე იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“.

ახლა შეგვიძლია, ვიკითხოთ: არსებობდა კი სიბნელე დასაბამიდან, თავისთავად, თუ მის მიღმაც ასევე უნდა ვეძიოთ სულიერი არსებები? თქვენ თუ წაიკითხავთ შესაბამის თავს ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, მაშინ შეამჩნევთ რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ყველანაირი ჩამოყალიბების წვდომისთვის, კერძოდ კი, რომ განვითარების ყველა საფეხურზე სხვადასხვა არსებები განვითარებაში ჩამორჩებიან; არსებების მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი აღწევს თავის მიზანს. ამას მე ხშირად ვადარებდი საკმაოდ ბანალურ ფაქტს, როცა ვამბობდი: მშობლების სამწუხაროდ არა მარტო ჩვენს სკოლებში ჩამორჩებიან მოსწავლეები და რჩებიან კლასში მეორე წელს, არამედ კოსმიურ ჩამოყალიბებაშიც სხვადასხვა არსება რჩება თავისი განვითარების ადრინდელ საფეხურზე და ვერ აღწევს, ასე ვთქვათ, მისთვის მონიშნულ მიზანს. ამიტომ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ გარკვეულმა არსებებმა ძველ სატურნზე ვერ მიაღწიეს თავის ჭეშმარიტ მიზანს და ისინი ჩამორჩნენ, და უკვე ძველი მზის ყოფიერების არსე-

ბობისას, ჯერ კიდევ გარკვეული მიმართებით სატურნის განვითარების დონეზე იდგნენ.

არსებითად რითი ავლენდნენ ასეთი არსებები თავის თავს ძველი მზის ყოფიერებაში, ისინი ხომ ჯერაც, შეიძლება ითქვას, სატურნის არსებები იყვნენ? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მათ ვერ მოიპოვეს ძველი მზის ყოფიერებისაგან ყველაზე მთავარი – სინათლის ბუნება. მაგრამ რამდენადაც ისინი ერთხელ უკვე არსებობდნენ, ამიტომ ჩემ მიერ აღწერილი, როგორც სინათლიდან, სითბოდან და ჰაერიდან თავის თავში გადაღვრილი, ძველი მზის ეს ყოფიერება სინათლესთან ერთად შეიცავდა თითქოსდა მასში შენაცვლებულ სიბნელესაც. ეს სიბნელე ემსახურებოდა სწორედ გარეგნულ გამოხატულებად სატურნის საფეხურზე ჩამორჩენილი არსებების მყოფობას ისევე, როგორც მქსოველი სინათლე იყო გამოხატულება იმ არსებებისა, რომლებმაც მართებული განვითარებით ძველი მზის საფეხურს მიადწიეს. ამრიგად, გარეგნული განხილვისას ძველი მზის ყოფიერებაში სწორად განვითარებული მზისეული არსებების გვერდით მონაწილეობდნენ სატურნის ჩამორჩენილი არსებები. შინაგანი თვალსაზრისით ამაზე შეხედვით, ვიტყვით, რომ ეს ორი სახის არსება ერთმანეთში იყო გადაჯაჭვული, ხოლო გარეგნულად ისინი თავს ავლენდნენ, როგორც სიბნელე და სინათლე, როგორც სინათლისა და სიბნელის ურთიერთქმედება. ასე რომ, სინათლეზე შეხედვისას შეგვიძლია, ვთქვათ: აი როგორ ვლინდებიან არსებები, რომლებიც მზის ყოფიერებამდე განვითარდნენ; სიბნელეზე შეხედვისას კი ვამბობთ, რომ აი, როგორია გარეგნული გამოვლენა არსებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ სატურნის განვითარების საფეხურზე ჩამორჩნენ.

ამის გარკვევით, ჩვენ შეგვიძლია, ველოდოთ, რომ მიწიერ განვითარებაში ძველი სატურნისა და ძველი მზის მდგომარეობების გამეორებისას კვლავ წარმოიქმნება იგივე მიმართება წინ წასულ და დანარჩენ არსებებს შორის. იმის გამო, რომ არსებები, რომლებიც სატურნის განვითარების საფეხურზე შეჩერდნენ, წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურს, ამიტომ მათ მიწიერ ჩამოყალიბებაშიც შეუძლიათ სინათლეზე ადრე გამოვლინდნენ. ამ თემასთან სრულ თანხმობაშია ის, რაც გენეზისის

პირველივე სტროფებში გვეუწყება, რომ სიბნელე გაბატონებული იყო სტიქიებზე. სწორედ ეს არის სატურნის ყოფიერების გამეორება, ოღონდ მისი ჩამორჩენილი ნაწილის გამეორება. მზის ყოფიერება კი უნდა დალოდებოდა; ის ვლინდება მოგვიანებით, მხოლოდ იმ მომენტში, რომელზეც მითითებულია სიტყვებით: „დაე, იყოს სინათლე“. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ გამეორებებთან მიმართებაშიც გენეზისის სრულ შესაბამისობაშია ზემოთქმულთან.

ზოგადად, ჩვენ თუ გვსურს, ჩავწედეთ ყოფიერებას, საჭიროა მკაფიოდ გავაცნობიეროთ, რომ ყოველივე განვითარების ადრინდელ საფეხურზე გამოვლენილი მხოლოდ ერთხელ კი არ ვლინდება და შემდეგ სამუდამოდ კი არ ქრება, არამედ პირიქით, ჭეშმარიტება ასეთია, რომ მართალია ვლინდება სულ უფრო ახალი, თუმცა ამ ახლის გვერდით რჩება ძველი და მის შიგნით აგრძელებს მოქმედებას. ასევე არსებობს ჩვენს თანამედროვე მიწიერ ყოფიერებაშიც განვითარების ორივე საფეხური, რომლებსაც აღვწერთ, როგორც სინათლისა და სიბნელის ურთიერთქმედებას. სინამდვილეში სიბნელე და სინათლე მთელ ჩვენს ყოფიერებას მსჭვალავს, ამის მტკიცებით კი, ჩვენ მივუახლოვდით, შეიძლება ითქვას, თანამედროვეობისთვის ძალზე ფატალურ საკითხს.

მე არ ვიცი, ბევრი თქვენგანისთვის ცნობილია თუ არა, რომ აგერ უკვე ოცდაათი წელია, ვცდილობ, მიეუთითო იმაზე, რამდენად ღრმა მნიშვნელობა და შინაგანი ღირებულება აქვს *გოეთეს მოძღვრებას ფერზე**. თავისთავად ცხადია, რომ ფერზე გოეთეს მოძღვრების მიმდევარს სრულიად მკაფიოდ უნდა ესმოდეს, რომ თანამედროვეებს შორის კეთილგანწყობილ მსმენელს ვერ შეხვდება. ვინაიდან ისინი, ვინც ფიზიკაში თავისი შემეცნების წყალობით თითქოსდა მომზადებულია, გაიგოს, არსებითად რას ნიშნავს, ისაუბრო ფერზე გოეთეს მოძღვრების შესაბამისად, ჯერაც სრულიად მოუმწიფებლები არიან, გაიაზრონ საკუთრივ მისი არსი. ფიზიკის ფანტასტიკური სწავლება, თავისი ეთერული ვიბრაციებით და ამის მსგავსით, საერთოდ არაა მზად იმის გასაგებად, რა არის ფერებზე გოეთეს მოძღვრების არსი. აქ სხვა არაფერი რჩება, თუ არა ის, რომ კიდევ რამდენიმე ათწლეული დაველოდოთ. ეს კარგად იციან მათ, ვისაც ამ მოვლენებზე საუბარი უწევს. სხვები კი, ვინც ოკულტიზმის ცოდ-

ნის წყალობით ან ანთროპოსოფიის საფუძველზე უკვე იმდენად მომწიფებული არიან, რომ გაიგონ გოეთეს მოძღვრების არსი, ესენი, – მაპატიეთ, რომ ამას ვამბობ, – ნაკლებად იცნობენ ფიზიკას, რომ შესაძლებელი იყოს მათთან ამ თემაზე დეტალურად და მეცნიერულად საუბარი. ამრიგად, ჩვენს დროში ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ არის მომზადებული. ფერებზე გოეთეს მოძღვრებას საფუძველად უდევს სინათლესა და სიბნელეს შორის ურთიერთქმედების საიდუმლოება, როგორც ორი პოლარული სამყაროს არსობრივი პრინციპი. ხოლო ის, რაც ახლა ფანტასტიკური სახით განისაზღვრება, როგორც მატერია, – რაც ზოგადად ისეთი სახით, როგორც მას წარმოადგენენ, არ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ იდეაში, – ეს სინამდვილეში არის რაღაც, რაც სულიერ-მშენებლური არსების სახით ყოველთვის ქრება იქ, სადაც ვლინდება სინათლესა და სიბნელეს შორის ზემოთ მითითებული პოლარულობა. ჭეშმარიტად ფანტაზიაა ის, რასაც წარმოადგენს ფიზიკის თანამედროვე გაგება მატერიაზე. სივრცის იმ სფეროებში, სადაც ფიზიკის მტკიცებით, საჭიროა ეძიონ მისი გამჭვირვალე მატერია, სინამდვილეში არ არსებობს არაფერი, გარდა გარკვეული სახის სიბნელისა; ეს ბნელი სივრცე კი ავსებულია მშენებლურ-სულიერი არსით, რომელიც მონათესავეა იმისა, რის კონსტრუქციასაც ახდენს გენეზისი, როცა ამბობს, რომ სიბნელემ დაისადგურა ელემენტარულ ყოფიერებაზე და სწორედ ამ მშენებლურ-სულიერის ერთობლიობას უწოდებს ის სიბნელეს. ყველა ეს მოვლენა განუზომლად ღრმად ძევს, ვიდრე ეს ჩვენს თანამედროვე მეცნიერებას ეჩვენება. ამრიგად, როცა გენეზისში საუბარია სიბნელეზე, მაშინ საქმე გვაქვს სატურნის ჩამორჩენილი არსებების გამოვლენასთან; ხოლო, როცა საუბარია სინათლეზე, უკვე საქმე გვაქვს სწორად განვითარებულ არსებებთან. ისინი მოქმედებენ და ქსოვენ ერთიმეორეში. გუშინ ჩვენ ვისაუბრეთ, რომ ძირითადი მიმართულება, თითქოსდა განვითარების ლაიტმოტივი, მომდინარეობს იმ არსებებისგან, რომლებიც ჩვენ დავაყენეთ Exusiai–ს, ფორმის სულების საფეხურზე, ასე რომ, სწორედ ისინი იძლევიან სინათლის მოქმედებისთვის ძირითად მიმართულებებს. შემდეგშიც ჩვენ ვხედავდით, რომ ისინი, თითქოსდა, როგორც მათი მსახურები, გადაეცემიან პიროვნების სულებს და რომ გა-

მოთქმის ქვეშ jom, დღე, გემართებს გავიგოთ რაღაც, თითქოსდა შემცვლელი არსების სახით, არქეების რანგიდან, რომლებიც ელოჰიმებზე ერთი საფეხურით დაბლა დგანან. ამიტომ უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ისეთივე სახით, როგორც ერთ, თითქოსდა პოზიტიურ მხარეზე, მოქმედებენ ელოჰიმების ეს მსახურები, პიროვნების ეს სულები, რომლებიც ნაგულისხმევია სიტყვის ქვეშ jom, დღე, ასევე, მეორე მხარეს დგანან ჩამორჩენილი სულიერი არსებები და ასრულებენ თავიანთ როლს, მოქმედებენ რა სიბნელის მეშვეობით. დიახ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: სიბნელე არის რაღაც, რასაც ელოჰიმები პოულობენ უკვე არსებულად, სინათლე კი მათი გამოგონებაა. როცა მათი გამოგონება ეყრდნობა წარსული ყოფიერების ნაშთებს, ხსენებულ ორ კომპლექსს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელთა შიგნით, როგორც დანარჩენი არსებების გამოსატყულება, ასევე ჩაწნულია სიბნელე. სინათლე მათი შეწირვაა. მსგავსად იმისა, როგორც ელოჰიმები, თითქოსდა, სინათლიდან წარმოაჩენენ იმ არსებებს, რომლებიც აღნიშნავენ jom, დღეს, ზუსტად ასევე, სიბნელიდან გამოდის არსებების ანალოგიური ხარისხი, ოღონდ ყოფიერების ადრინდელ საფეხურზე დარჩენილი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: ელოჰიმებს უპირისპირდება ყოველივე გამოვლენილი, როგორც სიბნელე. ახლა კი უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: მაინც რა უპირისპირდება სინათლის უშუალო მსახურებს, არქეებს, იმათ, რომლებიც აღნიშნება jom, დღედ, და რა უპირისპირდება მათ, როგორც შესაბამისი ჩამორჩენილი?

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კარგია, ჯერ გადავწყვიტოთ კიდევ სხვა, შემდეგი შინაარსის საკითხი: განა ჩვენ ამ ჩამორჩენილ არსებებში ყოველთვის უნდა დავინახოთ რაღაც ბოროტი ან უმართებულო სამყაროს მთლიანობაში? ადამიანი, რომელიც მარტოდენ განყენებულ ცნებებს ეყრდნობა, იოლად შეიძლება, მივიღეს ამ ჩამორჩენილ არსებებთან დაკავშირებით მრისხანებადღე, ან შეიძლება, აღმოჩნდეს მეორე უკიდურესობაში: ასეთ განწყობაში შესვლით, ის თანაუგრძნობს ამ საწყალ, ჩამორჩენილ არსებებს. მაგრამ ასეთი სახის გრძნობები და წარმოდგენები სამყაროში მსგავს დიად გამოვლინებებთან მიმართებით დაუშვებელია. სხვაგვარად სრულიად მცდარ გზაზე აღმოვჩნდებით. პირიქით, ჩვენ

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე, რაც ხორციელდება, – აღწევნ თუ არა არსებები საკუთარ მიზანს ანდა ფერხდებიან თუ არა ისინი განვითარების ადრეულ საფეხურზე, – ხორციელდება დიადი კოსმიური სიბრძნის ნებით და რომ არსებობს ასევე ღრმა აზრი იმაშიც, რომ არსებები გარკვეულ საფეხურზე ჩამორჩებიან. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ მთლიანობისთვის არსებების ჩამორჩენას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც იმას, რომ არსებები აღწევნ თავიანთ მიზანს, სხვა სიტყვებით, წინ წასული არსებები გარკვეული ფუნქციების შესრულებას საერთოდ ვერ შეძლებდნენ, რომ ამისთვის აუცილებელია სწორედ ჩამორჩენილი არსებები. მსგავსი არსებები თავიანთი ჩამორჩენით სწორედ საჭირო ადგილზე იმყოფებიან. განმარტებისთვის უნდა ითქვას: რა მოუვიდოდათ ადამიანებს თუ მცირეწლოვანთა ყველა მასწავლებელი პროფესორი გახდებოდა უნივერსიტეტებში? ისინი, ვინც პროფესორები ვერ გახდნენ, თავის ადგილზე გაცილებით უკეთ ასრულებენ საკუთარ საქმეს, ვიდრე უფრო წარმატებულები. დიას, დიდი ალბათობით, უნივერსიტეტის პროფესორები 7, 8, 9, 10 წლის ბავშვებისთვის ძალზე ცუდი პედაგოგები იქნებოდნენ. ზუსტად იმავეს ვხედავთ კოსმიურ მთლიანობაშიც. ისინი, ვინც საკუთარ მიზანს მიაღწია, გარკვეული კოსმიური ამოცანების განხორციელებისთვის მეტად შეუფერებლები იქნებოდნენ. ასეთი ამოცანებისთვის უნდა მოუხმონ სხვა არსებებს, რომლებიც, – როგორც ეს შეგვიძლია სრულიად საფუძვლიანად ვთქვათ, – ჩამორჩნენ თვით მსხვერპლიდან გამომდინარე. ზუსტად ისე, როგორც წინ წასული პიროვნების სულები, jom, დაყენებულია ელოპიმების მიერ დამახასიათებელ ადგილზე, ასევე, წესრიგისა და კანონზომიერების შესაქმნელად სამყაროს ჩამოყალიბებაში თავიანთ შესაბამის ადგილზე აყენებენ ჩამორჩენილ არქებს, პიროვნების იმ სულებს, რომლებიც სინათლეში კი არ ვლინდებიან, არამედ – სიბნელეში. ისინი დაყენებულია დამახასიათებელ ადგილზე, რათა თავის მხრივ ჩვენი ყოფიერების კანონზომიერ განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

რამდენად მნიშვნელოვანია ეს, ამას გავიგებთ, თუ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ჩვენი ნამდვილი ყოფიერების ერთ გარემოებას. სინათლე, რომელზეც საუბარია გენეზისში, არაა ის სინათლე, რასაც საკუთარი ფიზიკური თვალე-

ბით ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ იმ სინათლის უფრო გვიანდელ გამოვლენას, რომელზეც გენეზისში არის საუბარი. ზუსტად ასევე, სიბნელე, რომლითაც გარემოცული ვართ ღამით, როცა მზე არ ანათებს, მხოლოდ გვიანდელი ფიზიკური გამოხატულებაა იმისა, რაც გენეზისში აღწერილია, როგორც სიბნელე. ჩვენ თუ ვიკითხავთ: აქვს კი ადამიანისთვის განსაზღვრული მნიშვნელობა ღლის ამ ფიზიკურ სინათლეს, როგორადაც ის ამჟამად წარმოჩნდება? – მაშინ თქვენგან არავინ დაეჭვდება, რომ სინათლეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანებისთვის, ასევე სხვა არსებებისთვისაც. აიღეთ, მაგ., მცენარეები. როგორც კი მათ სინათლეს მოაშორებთ, ისინი ჭკნება. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალისთვის სინათლე სიცოცხლის ელემენტია. ამიტომაც სინათლე აუცილებელია, მათ შორის ადამიანის გარეგნული ფიზიკური არსებობისთვის.

ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ სინათლე, არამედ კიდევ რაღაც სხვა. ამის გასაცნობად კი საჭიროა, შევისწავლოთ ძილისა და ღვიძილის ერთმანეთის მომდევნო მდგომარეობები ჩვენს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან მიმართებით. არსებითად, რას ნიშნავს, თუ ჩაუღრმავდებით, ჩვენი ღვიძილი; ჩვენ, როგორც ადამიანები, ღვიძილისას რას ვაკეთებთ? არსებითად, მთელი ჩვენი მშენებელი მოღვაწეობა, – ყველაფერი, რასაც ვავითარებთ ჩვენი წარმოდგენების, შეგრძნებებისა და მგრძობელობის სამყაროში, ჩვენს მონაცვლე აფეთქებებისა და ვნებების სამყაროში, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც თამაშდება და მეფობს ჩვენს ასტრალურ სხეულსა და „მე“-ში, – არის ჩვენი ფიზიკური სხეულის განუწყვეტელი ხარჯვა ღლის ცხოვრების დროს. ეს არის ფუნდამენტური ოკულტური ჭეშმარიტება, რომელსაც ახლა თვით ჩვეულებრივი ფიზიოლოგიაც ეხება, თუ ის, ცხადია, მის მიერ მოპოვებულ ფაქტებს გარკვეულწილად ზუსტად განმარტავს. რასაც ჩვენი სამშენებელი ავითარებს საკუთარი შინაგანი ცხოვრების სახით, ამას ღვიძილის მდგომარეობაში განუწყვეტლივ ხარჯავენ გარეგნული ფიზიკური სხეულის ძალები, რომლებმაც განვითარებისთვის თავისი პირველი ჩანასახი ძველ სატურნზე მიიღეს.

ეს ფიზიკური სხეული სრულიად სხვაგვარად ცხოვრობს ძილის დროს, როცა ასტრალური სხეული თავისი

მონაცვლე შინაგანი ცხოვრებით მას ტოვებს. ისევე, როგორც მღვიძარე ცხოვრება არის განუწყვეტელი ხარჯვა, შეიძლება ითქვას, ფიზიკური სხეულის ძალთა ნგრევა, ზუსტად ასევე არის ცხოვრება ძილში ფიზიკური სხეულის აღდგენა, შენება, რეგენერაცია. ამრიგად, ჩვენ საკუთარ ფიზიკურ სხეულსა და ეთერულ სხეულში ნგრევის პროცესები უნდა განვასხვაოთ შექმნის პროცესებისგან, რომელთაგანაც ეს უკანასკნელი ხორციელდება ძილის დროს, ხოლო პირველი – დღის ღვიძილის დროს. მაგრამ ყველაფერი, რაც ხორციელდება სადღაც სივრცეში, არ რჩება იზოლირებული სამყაროში, არამედ კავშირშია მთელ ყოფიერებასთან. და თუ განვიხილავთ ამ დამანგრეველ პროცესებს, რომლებიც ხორციელდება ჩვენს ფიზიკურ სხეულში გაღვიძების მომენტიდან ჩაძინებამდე, მაშინ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ისინი თამაშდება, როგორც რაღაც შინაგანად იზოლირებული, განცალკევებული ჩვენი კანის ფარგლებში. ისინი კოსმიურ პროცესებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ჩვენს ფიზიკურ სხეულში მხოლოდ გრძელდება ის, რაც იჭრება მასში გარედან, ასე რომ, დღის ღვიძილის ცხოვრებაში, გარკვეული თვალსაზრისით, დაკავშირებული ვართ სამყაროს დამანგრეველ ძალებთან, ხოლო ღამის ძილში – მის შემოქმედ ძალებთან.

ძველი სატურნის დროს არ უნდა არსებულიყო ფიზიკური სხეულის ეს დამანგრეველი ძალები, რომლებიც დღის ღვიძილის დროს განიცდება. თუ ის იარსებებდა უკვე ძველ სატურნზე, მაშინ ჩვენი ფიზიკური სხეულის პირველი ჩანასახები ვერასდროს წარმოიქმნებოდა. ვინაიდან, ნამდვილად ვერაფერს შექმნი, თუ უკვე დასაწყისშივე დაანგრევე. სატურნზე მუშაობა ჩვენი სხეულისთვის შემოქმედებითი უნდა ყოფილიყო და ამისთვის სატურნის პერიოდში ყველა ზომა იქნა მიღებული. ჩვენს სხეულში ხომ დამანგრეველი პროცესები დღისით, სინათლის გავლენით ხორციელდება, ხოლო სატურნის ყოფიერებისას სინათლე ჯერ კიდევ არ იყო. ამიტომ სატურნის მოღვაწეობა ჩვენი ფიზიკური სხეულისთვის იყო ამგები. ეს ამგები მოღვაწეობა კი უნდა შენარჩუნებულიყო, – ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ დრომდე, – ასევე მაშინაც, როცა მოგვიანებით ძველი მზის ყოფიერებას დაემატა სინათლე. ამის მიღწევა კი შეიძლებოდა მხოლოდ

იმით, რომ შენარჩუნდნენ ჩამორჩენილი სატურნისეული არსებები, რომლებიც სხეულის შექმნაზე მუშაობდნენ. თქვენ ხედავთ, რომ კოსმიურ განვითარებაში არსებობდა ამ არსებების სატურნის საფეხურზე შენარჩუნების აუცილებლობა, რათა მათ ჩვენი ძილის დროს, როცა არ არის სინათლე, ეზრუნათ დანგრეული ფიზიკური სხეულის შენებაზე. აი როგორ არის სატურნის ეს ჩამორჩენილი არსებები ჩაწნული ჩვენს ყოფიერებაში; საერთოდ, მათ გარეშე ჩვენ მხოლოდ დავინგრეოდით. ჩვენთვის აუცილებელია ღვიძილისა და ძილის მონაცვლეობა, აუცილებელია მზისა და სატურნის არსებების, სინათლისა და სიბნელის არსებების ერთობლივი მუშაობა. სინათლის არსებების მოღვაწეობის კანონზომიერად წარმართვისთვის ელოჰიმებს მართებდათ წყვედიადის ანუ სიბნელის არსებების მუშაობის სათანადოდ წარმართვა. კოსმიურ მოღვაწეობაში ვერაფერი შედგება, თუ სინათლის ძალაში არ იქნება შეტანილი სიბნელის ძალა. მათ შეერთებაში, სინათლისა და წყვედიადის ძალთა ბრძნულ შერწყმაშია დაფარული კოსმიური ყოფიერების, კოსმიური ალქიმიის ერთ-ერთი საიდუმლოება. ამ საიდუმლოებას ეხება *როზენკროიცერულ დრამაში** ის მომენტი, როცა იოჰანეს ტომაზიუსი შეაბიჯებს დევახანაში და მარიამის ერთ-ერთ მეგობარს, ასტრიდს ეძლევა დავალება, სინათლის ძალაში ჩააქსოვოს წყვედიადის ძალა, როგორც ზოგადად მარიამის საუბარში თავის სამ მეგობართან, როცა ეხებიან ურიცხვ კოსმიურ საიდუმლოებას, მოგვიწვეს ხანგრძლივი შრომა მათი შესწავლისთვის.

შესაბამისად, ჩვენ გვმართებს, თანამედროვე ყოფიერებაზე შეხედვისას გვახსოვდეს, რომ აუცილებლობის ძალით მასში უნდა არსებობდეს მზის სინათლის ძალის დალაგებული ურთიერთქმედება სატურნის ბნელ ძალასთან. ვინაიდან ელოჰიმებმა სინათლის ძალის მუშაობა, რომელიც ხორციელდება, როგორც ჩვენზე, ისე ზოგადად ყველა მიწიერ არსებაზე, მიანდეს თავიანთ თანაშემწეებს, პიროვნების სულებს, ამიტომ მათ თანამშრომლების სახით მათთვის უნდა მიეცათ სატურნის ჩამორჩენილი არსებები; ელოჰიმებს სამყაროს მთელი სამუშაო ჰარმონიულად უნდა გაენაწილებინათ სწორად განვითარებულ და ჩამორჩენილ არქეებს შორის. ამიტომ, ტრივიალურად თუ ვიტყვით, ელოჰიმები თანა-

შემწევებად იღებენ არა მხოლოდ იმ არსებებს, რომელთაც ეწოდებათ jom, არამედ ისინი მათ უპირისპირებენ იმათ, რომლებიც წყვდიადის ძალებში მოქმედებენ. ამიტომაც სინამდვილესთან გასაოცარ შეუსაბამობაში არის აღწერილი, რომ ელოჰიმებმა სინათლეში სულიერად მქსოველს უწოდეს jom, დღე, ხოლო იმას, რაც სიბნელეში ქსოვს, მათ უწოდეს „laj'lah“. და ეს არ არის ჩვენი აბსტრაქტული ღამე, არამედ ეს სატურნის არქეებია, რომლებმაც მაშინ განვითარების მზისეულ საფეხურს ჯერ ვერ მიაღწიეს და ამჟამად, ჩვენი ღამის ძილის დროს მოქმედებენ ჩვენ შიგნით, როცა მუშაობენ, როგორც ამგები ძალები ჩვენს ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე. ეს საიდუმლო გამოხატულება, რომელიც იქ არის აღნიშნული, laj'lah, იძლევა საბაბს, წარმოიქმნას სრულიად განსხვავებული მითოლოგიური ხატები, თუმცა ის არ ნიშნავს არც ჩვენს აბსტრაქტულ „ღამეს“, არც რაიმე ისეთს, რასაც შეიძლება ბიძგი მოეცა მითოლოგიური წარმოდგენებისკენ, არამედ ეს სხვა არაფერია, თუ არა სახელი ჩამორჩენილი საწყისებისა, – Archai, – რომლებიც თავიანთ სამუშაოს სწორად განვითარებული საწყისების სამუშაოსთან აკავშირებენ.

გენეზისის შესაბამის ადგილას ჩვენ გვეუწევა დაახლოებით შემდეგი: მთელი ყოფიერების მთავარ მიმართულებას ელოჰიმები ქმნიდნენ; მეორეხარისხოვანი სამუშაოს შესრულება კი მათ მიანდეს სწორად განვითარებულ არქეებს, ხოლო ამ არქეებს თანაშემწევებად მისცეს ისინი, ვინც სატურნის საფეხურზე მორჩილად დარჩა წყვდიადში იმისათვის, რომ ყოფიერება შემდგარიყო. ამიტომ გვაქვს jom და laj'lah, როგორც არსებების ორი დაპირისპირებული ჯგუფი, რომლებიც წარმოდგენენ ელოჰიმების დამხმარეებს და რომლებიც, შეგვიძლია ვთქვათ, დგანან დროის სულების, პიროვნების სულების საფეხურზე. ჩვენ ვხედავთ, ყოფიერებაში როგორ ერწყმიან ფორმის სულები პიროვნების სულებს, როგორ გადაიხლართებიან მასში განვითარებაში წინ წასული არსებები იმ არსებებთან, რომლებიც ორივე შესაბამის საფეხურზე ჩამორჩნენ.

ყოველივე აქ აღწერილის შემდეგ, როცა გარკვეულწილად დამაკმაყოფილებელი პასუხი გავეცით დასმულ კითხვებს, – ამ ყველაფრის მიღმა დაფარულია კიდევ უსასრუ-

ლოდ ბევრი რამ, – ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავს დავუსვათ სხვა კითხვა, რომელიც ბუნებრივად ებადება ნებისმიერს: როგორი მდგომარეობაა სხვა იერარქიებთან დაკავშირებით? იერარქიებს შორის ფორმის სულებიდან ქვევით დაშვებისას ჩვენ განვასხვავებთ ჯერ არქებს, პიროვნების სულებს, შემდეგ კი მთავარანგელოზებს, ცეცხლის სულებს. ამ უკანასკნელების შესახებ ნუთუ არაფერს გვეუბნება გენეზისი? ყურადღებით დავაკვირდეთ ამას და შევეცადოთ, გავარკვიოთ, არსებითად, როგორ არის საქმე ცეცხლის ამ სულებთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცით, რომ ძველ მზეზე ისინი თავიანთ ადამიანურ საფეხურს გადიოდნენ. მთვარის ყოფიერების მეშვეობით მათ მიაღწიეს მიწიერამდე. ეს არსებები ძალზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული იმ ყველაფერთან, რასაც შეიძლება მზისეული ვუწოდოთ, ვინაიდან სწორედ მზის ყოფიერების დროს მიაღწიეს მათ საკუთარ ადამიანურ საფეხურს. ძველი მთვარის დროს, როცა აუცილებელი გახდა მზის გამოყოფა დედამიწისგან, რაც იმ შორეულ დროებში ჯერ კიდევ მთვარისეულს წარმოადგენდა, ეს არსებები, რომლებიც თავისი ბუნებით ასე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მზესთან და თავისი განვითარების მთავარი ეტაპი მზეზე განიცადეს, ცხადია, მზესთან დაკავშირებული რჩებოდნენ. ამიტომ, როდესაც მოგვიანებით დედამიწად ქცეული მთვარე გამოეყო მზეს, ეს არსებები კავშირში რჩებოდნენ არა გამოყოფილ დედამიწასთან, ან მთვარესთან, არამედ მზესთან. არსებითად, ისინი ის არსებებია, რომლებიც დედამიწაზე უპირატესად გარედან ზემოქმედებენ.

მე უკვე მივითითეთ, რომ სატურნის განვითარებიდან მზის მდგომარეობისკენ მსვლელობის დროს, როგორც უმაღლესი საფეხური შეიძლებოდა, გამოვლენილიყო მხოლოდ მცენარეული. ცხოველთა სამეფო, ანუ ის, რასაც გააჩნია საკუთარი შინაგანი ცხოვრება, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მხოლოდ მთვარის ყოფიერების დროს. მანამდე უნდა მომხდარიყო გარედან ზემოქმედება. გენეზისში ე. წ. შესაქმის მესამე დღემდე არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ გარედან რაიმე ზემოქმედებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შესაქმის ე. წ. მესამე დღიდან მეოთხე დღეზე გადასვლისას არაფერია ნაუწყები მეოთხე დღეზე, რომ

გარედან მოქმედება დაიწყეს მანათობელმა ძალებმა, მანათობელმა არსებებმა, მაშასადამე, მსგავსად იმისა, როგორც ძველი მთვარის მდგომარეობაში მზე გარედან ანათებდა მთვარეს, ზუსტად ასევე, ახლა მზე და მთვარე ანათებდნენ დედამიწას. ამით ნათქვამია, არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ ის, რომ ამ მომენტამდე მოქმედება შეეძლო ყველა ძალას, რომლებიც თავად მიწიერში იყვნენ მოთავსებული. ამ მომენტამდე შეიძლებოდა გამეორებულიყო ყველაფერი, რაც ადრინდელ საფეხურებს წარმოადგენდა; ახლის სახით კი შეიძლებოდა, წარმოქმნილიყო ის, რასაც თავისი მთავარი ძალები თავად მიწიერ არსებაში გააჩნია. გუშინ ჩვენ ვნახეთ, როგორ მეორდება სითბური მდგომარეობა ელოპიმების სუფში, რომელიც წყლებზე გამოჩეკდა, როგორ მეორდება სინათლე იმ მომენტში, როცა ისმის სიტყვები „და იქმნა ნათელი“, რომ ბგერითი ეთერის მდგომარეობა მეორდება, როცა ბგერითი ეთერის ეს ძალები უმაღლესს გამოყოფენ უმაღლესისგან. ეს ჩვეულებრივ წარმოდგენილია შესაქმის ე. წ. მეორე დღის აღწერაში. შემდეგ შესაქმის ე. წ. მესამე დღეში დავინახეთ სასიცოცხლო ეთერის გარდგევა, როცა მიწიერისგან, ამ ახალი მდგომარეობიდან წარმოჩნდება ყოველივე ის, რისი შექმნაც სასიცოცხლო ეთერს ხელეწიფება და ეს არის ამოზრდილი სიმწვანე. მაგრამ ცხოველური სიცოცხლის გამოვლენისთვის ჩვენს დედამიწაზე უნდა გამეორდეს ის, რასაც შეიძლება, ეწოდოს გარედან განათება, დედამიწაზე ძალთა მოქმედება გარედან. ამიტომ გენეზისი, სინამდვილესთან სრულ შესაბამისობაში, არაფერს გვიყვება რაიმენაირ ანომალურ სიცოცხლეზე იმ დროებში, სანამ ის ჯერ კიდევ არაფერს ამბობდა ძალებზე, რომლებიც გარედან, კოსმიური სივრციდან ზემოქმედებდნენ დედამიწაზე. აქ ის მხოლოდ მცენარეულზე გვიყვება; ყველა არსება, რომლებიც მაშინ შედიოდნენ დედამიწის წარმონაქმნში, მცენარეულ საფეხურზე იდგა. ანომალური სიცოცხლე მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო, როცა სინათლის არსებებმა მოქმედება გარედან დაიწყეს.

ის, რაც მაშინ მოხდა, ჩვეულებრივ ისე ითარგმნება, – უბრალოდ შეგიძლიათ, ნახოთ ბიბლიის ურიცხვი თარგმანი, – რომ გერმანულში ეს შეიძლება, გადმოიცეს სიტყვა-

ბით: „Und die Elohim setzten die Zeichen für die Zeiten, Tag und Jahr.“, „და ელოჰიმებმა დაადგინეს ნიშნები დროისთვის, დღისა და წლისთვის“. ჩვენ ვიცნობთ ზოგიერთ კომენტატორს, რომლებიც უკვე იწყებენ ამასთან დაკავშირებით ფიქრს. მაგრამ ჩვენს დროში, როცა არ სურთ რეალურ ნიდაგზე დგომა, კომენტატორების სვედრი ისეთია, რომ ისინი იწყებენ ფიქრს, მაგრამ ბოლომდე მოფიქრება არ შეუძლიათ. მე გავეცანი ისეთ კომენტატორებს, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჩვეულებრივი თარგმანები სიტყვებისა: „და დაადგინეს ნიშნები დროისთვის, დღისა და წლისთვის“, არსებითად, უაზრობას წარმოადგენს. მე ვისურვებდი, გამეცნო ისეთი ადამიანი, რომელიც შეძლებდა ამ სიტყვებზე რაიმე გონივრული წარმოედგინა. სინამდვილეში რაზეა იქ საუბარი?

თუ ნამდვილად ჭეშმარიტად და პატიოსნად, ჭეშმარიტი გრძნობით იმასთან, რას აკავშირებდა ამ სიტყვებთან ძველებრაველი ბრძენი, გადმოვცემთ ამას სრული ფილოლოგიური საფუძვლიანობით, მაშინ საჭიროა ითქვას, რომ აქაც საუბარია არა „ნიშნებზე“, არამედ ცოცხალ არსებებზე, რომლებიც დროის თანმიმდევრობაში მოქმედებენ და ვლინდებიან. შეიძლება სწორად თარგმნა: და ელოჰიმებმა თავიანთ ადგილზე დააყენეს განმკარგულებლები, რომელთაც უნდა ემართათ დროის ნაკადი დედამიწის ბინადრებისთვის, რომელთაც უნდა ემართათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დროის მომენტები, დროის დიდი ან მცირე მონაკვეთები, რაც ჩვეულებრივ გადმოიცემა სიტყვებით „დღე და წელი“. მაშასადამე, აქ მითითებულია იმ განმკარგულებლებზე, რომლებიც არქებზე ერთი საფეხურით დაბლა დგანან და ცხოვრების დინებას არეგულირებენ. დროის სულების, არქების დანიშნულებაა შეასრულონ ის, რაც ელოჰიმების ამოცანაზე ერთი საფეხურით დაბლა ძევს. შემდეგ მოსდევენ დროის განმკარგულებლები, რომლებიც აყენებენ ნიშნებს, იმისათვის, რაც ითხოვს მოწესრიგებას, თავად არქების მოღვაწეობის შიგნით დაჯგუფებას. არსებითად ესენი არიან მთავარანგელოზები. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ: იმ მომენტში, სადაც გენეზისში მითითებულია იმაზე, რაც ხორციელდება არა მხოლოდ მიწიერი სხეულის შიგნით, არამედ იმაზეც, რომ მასზე გარედან

მოქმედებენ ძალები, მას შემოჰყავს ასევე არსებები, რომლებიც უკვე ადრე დაკავშირებულნი იყვნენ მზესთან, – მომწესრიგებელი მთავარანგელოზები, რომლებიც არქეებზე დაბლა დგანან. რამდენადაც ეს უკანასკნელნი მოქმედებენ ასევე ეონების სახით, ისინი იყენებენ სინათლის მატარებელ მთავარანგელოზებს ჩვენს გარემოცვაში, როგორც საშუალებას საკუთარი ძალების გამოვლენისთვის. მაშასადამე, კოსმიური სივრციდან, დედამიწის გარემომცველი სინათლის არსებების კონსტელაციებში, მთავარანგელოზები მოქმედებენ ისე, რომ უდიდესი წესრიგი, რომელიც უშუალოდ არქეების მეშვეობით მიეთითებათ, აღსრულდება.

მათ, ვინც მოისმინა ჩემი *ლექციების კურსი ქრისტიანიაში**, ახსოვთ, რომ იმათ მიღმა, ვისაც ახლა უწოდებენ დროის სულს, ამჟამადაც ჯერ კიდევ დგანან არქეები. თუ შევხედავთ საქმის ვითარებას სამყაროში, დავინახავთ, რომ ყოველ დროში არსებობს, მაგალითად, ხალხთა განსაზღვრული რიცხვი. ამ ხალხებთან დაკავშირებით თქვენ შეგიძლიათ თქვათ: ყოველი მოცემული დროისთვის არსებობს დროის სული, რომელიც ყველაფერს მოიცავს, როგორც ახლა გაბატონებულია დროის სულები, რომლის ქვეშაც იგულისხმებიან არქეები, – ამაზე მე დაწვრილებით ვილაპარაკე ქრისტიანიაში, – ზუსტად ასევე დგანან მთავარანგელოზები იმათ უკან, რასაც ეწოდება ხალხების სული; არსებითად, ისინი არიან ხალხთა სულები. უკვე გენეზისი მიუთითებს იმაზე, რომ თვით იმ დროებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო საკუთრივ ადამიანი ჩვენი ჩვეულებრივი აზრით, ეს სულიერი არსებები წესრიგის ძალებს წარმოადგენდნენ.

ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ: ელოჰიმებმა შექმნეს სინათლე. ისინი თავად ავლენენ საკუთარ თავს სინათლეში. მაგრამ ამ სინათლის შიგნით მეორეხარისხოვანი მოღვაწეობისთვის მათ დააყენეს არქეები, – მათი მომდევნო არსებები იერარქიულ წყობაში, – რომელთაც აღწერენ სიტყვით *jom*, ამათ გვერდით კი დააყენეს არსებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩაწულიყვნენ სამყაროს ქსოვილში, რათა სინათლის მოღვაწეობასთან შესამება შესძლებოდა წყვილადის შესაბამის მოღვაწეობას. ამდენად, *jom*-ის გვერდით ელოჰიმებმა დააყენეს *laj'lah*, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება „ღამე“. მაგრამ აუცილებელია წინსვლა, აუცი-

ლებელია განვითარების შემდგომი სპეციალიზაცია. ამისთვის აუცილებელი იყო იერარქიული წყობიდან სხვა არსებების მოხშობა. ამიტომ თუ ვიტყვით: ელოჰიმები, ანუ ფორმის სულები გამოვლინდნენ სინათლეში, ხოლო სინათლისა და სიბნელის საქმე მიანდეს არქეებს, მაშინ საჭიროა კიდევ დავამატოთ: მაგრამ შემდეგ ელოჰიმები კიდევ უფრო შორს წავიდნენ, მათ მოახდინეს ყოფიერების შემდგომი სპეციალიზება და დაიქირავეს მთავარანგელოზები იმ მოღვაწეობისთვის, რომელსაც არა მარტო უნდა წარმოეშვა გარეგნული მცენარეული ყოფიერება, არამედ ახლა უნდა წარმოექმნა ისეთი შინაგანი, რაც შეიძლებოდა გარეგნულის ანასახი გამხდარიყო. ამ უკანასკნელთ მათ დაავალეს ზემოქმედება, რომელიც უნდა გადმოღვრილიყო გარედან ჩვენს დედამიწაზე, რათა მასზე გამოვლენა შესძლებოდა არა მარტო ვეგეტატიურ საწყისს, არამედ ასევე ანიმალურსაც – სიცოცხლეს, რომელიც ქსოვს წარმოდგენისა და შეგრძნების შიგნით.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, როგორ მიუთითებს გენეზისი სინამდვილესთან სრულ შესაბამისობაში ამ მთავარანგელოზებზეც. საჭიროა, მხოლოდ ზუსტად შევაფასოთ მისი სიტყვები. ამიტომ, თუ თქვენ დამოუკიდებელი აზროვნებით ხელს მოჰკიდებთ გენეზისთან დაკავშირებით გავრცელებული კომენტარების შესწავლას, მაშინ ვერსად იპოვით რაიმე დამაკმაყოფილებელს. ხოლო თუ დახმარებისთვის მიმართავთ იმას, რისგანაც მომდინარეობს გენეზისი, იდუმალთმეტყველებას, მაშინ ამ წიგნში ყველგან შეიტანთ ახალ სინათლეს და კაცობრიობისთვის შენარჩუნდება და ყველა დროისთვის დოკუმენტი იქნება ეს ძეგლი, რომელიც დაიდუპებოდა იმის გამო, რომ ჩვენს თანამედროვე ენაზე შეუძლებელია მისი სიტყვების სრულფასოვანი თარგმნა.

ჩემი ამოცანაა, ამ ლექციებში მოგცეთ ყოველმხრივი მიმოხილვა იმ ყველაფრის, რაც გენეზისის გაგებაში მიგიყვანთ. გთხოვთ, ყველა ამ განმარტებისას არასდროს გამოგრჩეთ მხედველობიდან ანთროპოსოფიული თვალსაზრისი. სწორედ ანთროპოსოფიული მსოფლმხედველობა აყენებს პირველ ადგილზე თავად სულიერი ცხოვრების ფაქტების შესწავლას. ამიტომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, თავად ეს ფაქტები გვაინტერესებს. მთავარი კითხვა, რაც გვაინტერესებს ნებისმიერი განხილვისას, არის შემდეგი: როგორ არის საქმე უშუალოდ სულიერ ცხოვრებაში, სულიერ განვითარებაში? გენეზისის სფეროს განხილვისთვის, უპირველეს ყოვლისა, მთავარია, ვიპოვოთ დედამიწის ხილული განვითარების მსვლელობის წინამორბედი ზეგრძნობადი ფაქტები და მოვლენები. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ჩვენთვის მნიშვნელოვანი, კვლავ მოვიპოვოთ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული, დამოუკიდებლად ყველანაირი ისტორიული ძეგლისგან, რომლებიც ნაპოვნია სულიერი კვლევის ჩვენი მეთოდებით სხვადასხვა დროის წერილობით ცნობებსა თუ სხვადასხვა ხალხის რელიგიაში. ამის წყალობით შევძლებთ, სწორად შევიგრძნოთ და სათანადო პატივისცემით მოვეკიდოთ იმას, რასაც ჩვენს სამშინველეებს აუწყებს შორეული დროები და ხალხები. სწორედ ამის წყალობით გვეძლევა შესაძლებლობა, სულის მეშვეობით შევიჭრათ იმ დროებში, რომლებსაც განვიცდიდით კიდევ სხვა განსხვავებებში, ასევე კვლავ შევეხოთ იმას, რასაც იმ წარსულ დროებში ჩვენც უნდა ავედლევათ. ასე უნდა გავიგოთ ის თვალსაზრისი, რომელიც ლექციების მოცემული ციკლისთვის საფუძველს წარმოადგენს.

ბოლო დღეებში ჩვენი კვლევებით წარმოდგენა შევიქმენით იმაზე, როგორ შეგვიძლია სულისმეცნიერებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი სულიერი არსებები, კვლავ ვიპოვოთ გენეზისში. ნაწილობრივ ეს უკვე გამოგვივიდა. ამასთან ჩვენი მხედველობის მიღმა არასდროს დარჩენილა ყოველივე ის, რაც თავიდან გვხვდება გარეგნულ სამყაროში, მეტიც ნათელხილვის საწყის საფეხურებზეც, – ნათელხილვის ფაქ-

ტებთან ხომ მუდმივად გვაქვს საქმე აქაც, გენეზისში, – რომ ეს ყოველივე, არსებითად, არის ილუზია, მაია; და რომ, მთელი გრძნობადი სამყარო, როგორადაც ის წარმოდგება ჩვენს ჩვეულებრივ შემეცნებით უნარებს, უბრალოდ არის მაია ანუ ილუზია; ეს არის თეზისი, რომელიც კარგადაა ცნობილი ყველასთვის, ვინც სულისმეცნიერებას რამდენადმე მაინც გაეცნო. არანაკლებ ნაცნობია ისიც, რომ ნათელხილვის დაბალი სფეროები, – ყველაფერი, რასაც ვუწოდებთ ეთერულ და ასტრალურ სამყაროებს, – უმაღლესი თვალსაზრისით ასევე განეკუთვნებიან ცდუნების ამ სფეროს. ყოფიერების ჭეშმარიტ საფუძველს, – რამდენადაც ის საერთოდ მისაწვდომია ჩვენთვის, – ჩვენ, ასე ვთქვათ, ვეჯახებით მხოლოდ მაშინ, როცა ხსენებული სფეროების მიღმა ყოფიერების უფრო ღრმა წყაროებს ვპოულობთ. ეს არასდროს უნდა დაგვრჩეს მხედველობის მიღმა და არაა საკმარისი ამის შესახებ მხოლოდ თეორიული ცოდნა. ის, რომ ჩვენ ვეძლევიტ ილუზიებს, თუ დავრჩებით გარეგნულ ყოფიერებაზე დამოკიდებული, ეს შეხედულება უნდა შევიდეს, ასე ვთქვათ, ჩვენს სისხლსა და ხორცში. მეორე მხრივ, არანაკლები ილუზია იქნებოდა, სათანადოდ არ დაგვეფასებინა ეს გარეგნული ყოფიერება და მისთვის ანგარიში არ გაგვეწია.

გავისხენოთ მხოლოდ ის, რასაც ასე ხშირად ვეხებოდით ამ დღეებში, – გავისხენოთ სტიქიათა ის ყოფიერება, რომელიც პირველი წარმოჩნდება ჩვენ წინაშე ფიზიკური სამყაროს მიღმა, – ის, რაც მისაწვდომია ჩვენი გრძნობებისთვის, და რომელიც, როგორც ამას აღწერს ილუმალთმეტყველება, ძევს მიწიერის საფუძველში, ასევე წყლოვანის, ჰაეროვანის, ცეცხლოვანის, ანუ სითბოსებრის, სინათლის, ბგერისა და სასიცოცხლო-ეთერულის საფუძველში; და ეს ელემენტარული ყოფიერება უფრო ახლოს განვიხილოთ. შევეცადოთ, შევიქმნათ წარმოდგენა მიწიერზე, წყლოვანზე, ჰაერისებრზე და ა. შ. და შევეცადოთ, ეს წარმოდგენები რაც შეიძლება უკეთ გავითავისოთ. ჩვენ საერთოდ ვერაფერს მივადწევთ, თუ გარკვეული ინტელექტუალური ქედმაღლობით, რომელიც იოლად წარმოიქმნება მრავალ მორწმუნე თეოსოფში, ვიტყვი: „დიანს, ეს ყოველივე ხომ მხოლოდ მაია, ილუზიაა“. თუმცა ჭეშმარიტი არსებები ხომ სწორედ ამ მაიას მეშვეობით ვლინდებიან. და თუ უგულებელყოფთ ამ გამოცხადებებს, რომლის მეშვე-

ობითაც ეს არსებები ავლენენ თავს, მაშინ საერთოდ დაგკარგავთ ყველანაირ შინაარსს, რომლის წყალობითაც შესაძლებელია ყოფიერების წვდომა. ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ „წყალზე“, „ჰაერზე“ და ა. შ., საუბრისას საქმე გვაქვს გარეგნულ გამოხატულებებთან, საკუთრივ ჭეშმარიტი სულიერების მანიფესტაციასთან და მაინც, თუ ვიტყვით: „ჩვენ არ გვსურს, რაიმე ვიცოდეთ ამ მაიაზე“, მაშინ საერთოდ ვართმევთ საკუთარ თავს შესაძლებლობას, მიიღოს რაიმენაირი შთაბეჭდილება ამ ყველაფრის საფუძველზე. ამრიგად, ჩვენ არასდროს უნდა დაგვრჩეს მხედველობის მიღმა ასევე ის, რომ მიწიერში, წყლოვანში და ა. შ., საქმე გვაქვს სულიერი არსებების გამოცხადებასთან, მანიფესტაციასთან.

ახლა კი ანთროპოსოფიული თვალსაზრისით შევხედოთ მიწიერს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთ მიწიერზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა არც ძველი სატურნის, არც ძველი მზისა და არც ძველი მთვარის დროს. ჩვენ ვიცით, რომ განვითარება უნდა ელოდოს თვით ჩვენს პლანეტარულ ყოფიერებამდე, რათა ძველი სატურნის სითბოსებრ სტიქიას, ძველი მზის ჰაერის სტიქიასა და ძველი მთვარის წყლოვან სტიქიას დაამატოს მიწიერი, რადგან განვითარების ყოველი საფეხური სულიერი არსებების მუშაობით არის განპირობებული. იმაზე, რასაც დღეს ვუწოდებთ ჩვენს ფიზიკურ სხეულს, ჩვენი ადამიანური არსების უმდაბლეს წვერს, თუ მას განვიხილავთ უშუალოდ სტიქიების კონტექსტში, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ძველ სატურნზე თავისი პირველი ჩანასახიდან დაწყებული ის სითბური მდგომარეობიდან გადავიდა მზის ჰაერის მდგომარეობაში, მთვარის წყლოვან მდგომარეობაში და ბოლოს, მიღწია თავის ამჟამინდელ მიწიერ მდგომარეობამდე. ამრიგად, ჩვენი საკუთარი ფიზიკური სხეული წარმოადგენს რაღაც ისეთს, რამაც განგლო წმინდა სითბური სიცოცხლის ყოფიერება, ჰაერისებრი სხეულის ყოფიერება, წყლოვანი სხეულის ყოფიერება და ბოლოს, განვითარდა მიწიერ ყოფიერებამდე. ჩვენ ასევე გავეცანით იმ არსებებს, რომლებიც ძველ სატურნზე ადამიანის ფიზიკური სხეულის განვითარებისთვის მუშაობდნენ. გაიხსენეთ, რაზეა საუბარი ამასთან დაკავშირებით ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ და რაზეც არაერთხელ იყო საუბარი ჩემს ლექციებშიც, კერძოდ: ძველ სატურნზე თავიდან ქმედითად გამოვლინდნენ გარკვეუ-

ლი სულიერი არსებები, რომლებმაც თავიანთი განვითარების დაბალი საფეხურები განვლეს უხსოვარ დროში და სატურნის ყოფიერების მომენტში ისე მაღლა იდგნენ განვითარებით, რომ შეექლოთ, როგორც მსხვერპლად გაეღოთ საკუთარი სხეულებრიობა ძველი სატურნის ძირითადი მასალის, ფუძემდებლური სუბსტანციის შექმნისთვის. ეს არსებები იერარქიულ კიბეზე სხვა არავინაა, თუ არა ისინი, ვისაც აღვწერთ, როგორც ნების სულებს. ძირითად ნივთიერებაში, რომელიც ნებელობის ამ სულებმა მსხვერპლის სახით მოიტანეს, შემდეგ იმუშავეს სხვა სულიერმა არსებებმა, სხვა იერარქიებმა; ამ, ასე ვთქვათ, ნებელობით მატერიაში იმუშავეს ასევე პიროვნების სულებმა და მასში საკუთარი ადამიანურობა აღბეჭდეს. სწორედ ეს ნებელობითი სუბსტანცია იყო ძველ სატურნზე სითბური ელემენტი და მასში შეიქმნა ადამიანის ფიზიკური სხეულის პირველი ჩანასახი.

თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ მსგავსი სულიერი არსებები, როგორცაა ნების სულები, რომელიმე სტადიაზე წყვეტენ თავიანთ სამუშაოს. ძველ სატურნზე თუ მათ განახორციელებს, ასე ვთქვათ, თავიანთი მთავარი სამუშაო, მაშინ ისინი, ამის მიუხედავად, აგრძელებდნენ მოქმედებას ასევე ძველ მზეზე, მთვარესა და დედამიწაზე. ისინი დარჩნენ გარკვეულ კავშირში იმ სუბსტანციურთან, რომელიც მათ დასაწყისში მსხვერპლად გაიღეს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ძველი მზის დროს ხდებოდა სითბური სტიქიის გამკვრივება, თითქოსდა ქვევითკენ; ეს უკანასკნელი გადავიდა ჰაეროვან სტიქიაში. ასეთი პროცესი, რომელიც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება თავისი გარეგნული ხილულობით, როგორც სითბურის გამკვრივება ჰაეროვანში, გამკვრივების პროცესს მხოლოდ მაიას, ილუზიის თვალსაზრისით წარმოადგენს. თავად ამ გამკვრივებაში ძვეს სულიერი ქსოვა და არსებობა, ასევე რაღაც სულიერი მოღვაწეობა. სწორედ მოვლენათა არსის წვდომის მსურველმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა: იერარქიული რიგიდან ვინ იყო მიზეზი იმისა, რომ, – თუ დასაშვებია ასეთი გამოთქმა, – უფრო ნატიფი სითბური ნივთიერებიდან წარმოიქმნა უფრო მკვრივი ჰაეროვანი ნივთიერება? ამის მიზეზი იყვნენ ასევე ნების სულები, რომლებმაც თავად საკუთარი თავიდან გაიღეს მსხვერპლად ეს სითბური ნივთიერება; ასე რომ, ნების სულების ეს მოღვაწეობა შეგვიძლია, დავახასია-

თოთ ასე: ძველი სატურნის დროს ისინი უკვე ისე მალდა იდგნენ, რომ შეედლოთ საკუთარი სუბსტანციურობის ნაწილის გადმოდგრა სითბოს სახით, გაელოთ სუბსტანციური მსხვერპლი, რომ მათი ცეცხლი ძველი სატურნის პლანეტარულ ყოფიერებაში ანთებუდიყო. შემდეგ მათი ეს ცეცხლი ძველი მზის ყოფიერების გაგრძელებისას გაზისებრ მდგომარეობაში გასქელდა. მათვე ეს გაზისებრი ძველ მთვარეზე წყლოვანამდე გაამკვირვეს. ხოლო მიწიერი ყოფიერების დროს მათ თავისი წყლოვანი კიდევ უფრო გაამკვირვეს მიწიერში, მყარ ნივთიერებაში. ამიტომ, როცა ამჟამად ჩვენს გარემომცველ სამყაროში ვხედავთ მყარს, უნდა ვთქვათ: ამ მყარში მოქმედებენ ძალები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდა მყარი ნივთიერების არსებობა. ეს ძალები თავისი საკუთარი არსებით სითბოს სახით გადმოიღვარა ძველ სატურნზე და ამ გამონაყოფის თანდათანობით გასქელებით ის, ბოლოს და ბოლოს, გაასქელეს მყარ ნივთიერებამდე, რომელსაც ახლა ისინი მჭიდროდ კრავდნენ. ჩვენ თუ გვსურს, ვიცოდეთ, ვინ აწარმოებს ამას, თუკი გვსურს, მზერით ჩავწვდეთ მყარს ილუზიაზე სწორებით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ყველაფრის მიღმა, რაც გვევლინება მყარი ნივთიერების სახით, მოქმედებენ და ქსოვენ ნებელობის სულები, საყდარნი (Throne). ამრიგად, ჩვენს მიწიერ ყოფიერებაშიც ასევე მონაწილეობენ ნებელობის სულები. ახლა კი გენეზისის უწყებანი ჩვენ წინაშე ასევე წარმონდგება ახალ სინათლეში.

როცა გვესმის, რომ გენეზისში სიტყვებით bara აღწერილია გარკვეული სახის გააზრებული მოღვაწეობა ელოჰიმებისა, მაშინ შეგვიძლია, ვთქვათ: დიას, ელოჰიმებმა თავიანთი ჩანაფიქრით შექმნეს თითქოსდა მოგონებებისგან რაღაც ისეთი, რაც მე აღვწერე, როგორც ყოფიერების შემაკავშირებელი (kamplexe). გარკვეული აზრით ამ ელოჰიმებს მოუვიდათ იგივე, რაც მოგვდის ჩვენ, როცა რაიმეს ვქმნით საკუთარი მოგონებებიდან, ამასთან, ჩვენი ეს მოღვაწეობა, ცხადია, გაცილებით უფრო დაბალ დონეზე ხდება. მე მსურს, შედარების ენით ვისაუბრო. წარმოიდგინეთ, მავანი ადამიანი ღამით იძინებს. მისი გრძნობებისა და წარმოდგენების სამყარო თავისი სუბიექტური ცნობიერებისთვის თავდავიწყებაში ეფლობა, ის გადადის ძილის მდგომარეობაში. დავუშვათ, რომ მისი ბოლო აზრები, რაც მას ძილის წინ საღამოს ჰქონდა, იყო

წარმოდგენა ვარდზე, რომელიც დაძინებისას მის სიახლოვეს იდგა. ეს აზრი დავიწყებას ეძლევა. დილით კი კვლავ ცოცხლდება. ვარდი თავის ადგილზე თუ არ დარჩებოდა, უბრალოდ იქნებოდა მხოლოდ აზრი. ახლა გთხოვთ, განასხვაოთ ეს ორი ფაქტი ერთმანეთისგან. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვიწვიოთ ჩვენი მოგონებებიდან წარმოდგენები ვარდზე, რომელიც შეიძლება წარმოქმნილიყო, თუნდაც ვარდი არც ყოფილიყო, მაშასადამე პირველი ფიქრია, მოგონება ვარდზე. თუ თქვენი აღქმისთვის აღდგება ნივთიერი ვარდიც, მაშინ ეს მეორე ფაქტია. ამის მსგავსად, ახლა გთხოვთ ასევე განასხვაოთ ორი ფაქტი, იმის გათვალისწინებით, რასაც ჩვენ ელოჰიმების კოსმიურ ჩანაფიქრს ვუწოდებთ. ამიტომ, როცა მოთხრობილია, რომ მიწიერი ჩამოყალიბების შესამე მომენტში ადგილი აქვს კოსმიურ ჩანაფიქრს, როცა ელოჰიმები წყლოვანისგან გამოყოფენ მყარს და მას უწოდებენ მიწას, მაშინ აქაც საჭიროა დავინახოთ კოსმიური ჩანაფიქრი ელოჰიმებისა, რომლებიც წარმოადგენენ ამ შემოქმედებითი იდეების პირველწყაროს. იმაში კი, რაც ვლინდება ჩვენი მზერის წინაშე, საჭიროა რეალურად დავინახოთ ნებელობის სულების მოღვაწეობა, რომლებიც ობიექტურს თავიანთი საკუთარი სუბსტანციური არსებით ქმნიან. ასე მუშაობენ და მუშაობდნენ დასაწყისიდანვე მიწიერ პლანზე მთელ ჩვენს გარემოცვაში ნებელობის სულები.

თქვენ უნდა განიმსჯვალოთ აზრით, რომ ჩვენს უახლოეს გარემოცვაში, რომელსაც ზოგჯერ ვუყურებთ, როგორც რაღაც ძალზე დაბალს, ჩვენ წინაშე ჩნდება ძალზე მაღალი და ამაღლებული არსებები. როცა საქმე გაქვს მყარ ნივთიერებასთან, იოლია თქვა: „ეს ხომ მხოლოდ მატერიაა!“, და ზოგიერთს შეიძლება, გაუნდეს სურვილი, დაამატოს: სულისმკვლევარი მისით საერთოდ არ ინტერესდება, ვინაიდან მატერია რაღაც მეორეხარისხოვანია ყოფიერებაში. ჩვენ ამ სუბსტანციასთან (Stoff) რა გვესაქმება? მატერიის გავლით ჩვენ ვიჭრებით სულიერში. ვინც ასე ფიქრობს, მას საერთოდ ავიწყდება, რომ ამ მისთვის ესოდენ არასასურველში, ურიცხვი საუკუნეების განმავლობაში მუშაობდნენ ამაღლებული სულიერი არსებები, რათა ეს ყოველივე მყარ მდგომარეობამდე მიეყვანათ. და მართლაც, თუ ჩვენი ემოციური განწყობა ადეკვატური იქნებოდა, მაშინ გარეგნული მატერი-

ისგან, ელემენტარული მიწიერი საფარვლისგან უნდა შეგვეღწია იმისკენ, რამაც შექმნა ეს საფარველი და განგვეცადა ღრმა მოწიწება; ჩვენში უნდა შობილიყო ღრმა მოწიწებისა და მადლიერების გრძნობა იმ დიად სულიერ არსებებთან დაკავშირებით, რომელთაც ვუწოდებთ ნებელობის სულებს, რომელთაც თავიანთი ხანგრძლივი შრომით ამ მიწიერ ელემენტში შექმნეს მყარი საფუძველი, რაზეც დავდივართ და რასაც თავის თავში ვატარებთ ჩვენი ფიზიკური სხეულის მინერალურ შემადგენლობაში. ესენია ნებელობის სულები, რომელთაც ქრისტიანულ ეზოთერიკაში ვუწოდებთ საყდრებს და მათ ნამდვილად ააგეს, – ან, უმჯობესია ითქვას, გაამყარეს, – ჩვენთვის (მყარი) ნიადაგი, რომელზეც დავდივართ. ეზოთერიკოსებმა ნებელობის სულებს სახელი უწოდეს მიწიერ ყოფიერებაში მათი ქმედების ნაყოფების შესაბამისად – საყდარნი, ვინაიდან მათ ჩვენთვის ნამდვილად ააგეს საყდარნი, რომელთაც ჩვენ, როგორც მყარ საფუძველს, ყოველთვის შეგვიძლია დავეყრდნოთ და რომელთაც ეყრდნობა კიდევ მთელი დანარჩენი მიწიერი ცხოვრება. ეს უძველესი გამონათქვამები შეიცავენ თავის თავში რაღაცას, რაც იმსახურებს ღრმა პატივისცემას, რაღაცას, რასაც შეუძლია ჩვენი სამშენველი მოწიწებით აავსოს.

ახლა თუ მყარიდან ან მიწიერიდან, ელემენტარულ ყოფიერებაში ჩვენ კვლავ ავმადლდებით წყლოვანისკენ, მაშინ უნდა ვთქვათ: მიწიერის აშენება და გამკვირვება აუცილებელი იყო უფრო დიდხანს, ვიდრე წყლოვანის; ამიტომ წყლოვანის ძირითადი ძალების ძიებას უფრო დაბალი იერარქიის არსებებში დავიწყებთ. წყლოვანის ისეთ დონეზე გასამკვირვებლად, როგორადაც ის ვლინდება ჩვენს გარემომცველ სტიქიებს შორის, საჭირო იყო მხოლოდ იერარქიულ კიბეზე შედარებით დაბლა მდგომი სიბრძნის სულების, ანუ ხელმწიფებათა (Kyriotes) მოღვაწეობა. ამრიგად, ჩვენ მყარი მიწიერი საფარვლის მიღმა ვხედავთ ნებელობის სულებს, ხოლო იმ ძალების მიღმა, რომლებიც აფორმირებენ წყლოვანს, – რაც სრულებითაც არაა ფიზიკური წყლის იდენტური, – საჭიროა დავინახოთ სიბრძნის სულების მოღვაწეობა. კიდევ უფრო ზევით ჰაეროვანისკენ ავადლებსას, მასში დავინახავთ მომდევნო ქვემდგომ იერარქიას. ჩვენს გარემომცველ ჰაეროვან სტიქიაში უნდა დავინახოთ, – რამდენადაც ეს განპირობებუ-

ლია მის მიღმა მდებარე ძალებით, – იერარქიული კიბის განსაზღვრული არსებების მოღვაწეობის გადმოღვრა. როგორც წყლოვანში მოქმედებენ სიბრძნის სულები, ზუსტად ასევე მოქმედებენ ჰაეროვანში მოძრაობის სულები, ანუ ძაღნი (Dynamis), როგორც მივეჩვიეთ მათ ვუწოდოთ ქრისტიანულ ეხოთერიკაში. და თუ ჩვენ კიდევ უფრო ავმაღლებით გაზისებრისკენ, მომდევნო უფრო ნატიფი მდგომარეობისკენ, მაშინ მასში იცხოვრებს და იმოქმედებს მომდევნო ქვედა იერარქიის სულები, ფორმის სულები – სწორედ ისინი, რომლებზეც ვსაუბრობდით რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა მათ ელოჰიმები ვუწოდეთ. აქამდე მათ სრულიად სხვა მხრივ ვახასიათებდით, როგორც არსებებს, რომლებიც სითბურ ელემენტში „ჩეკდნენ“. იერარქიულ საფეხურებზე დაბლა დაშვებით, ნებელობის სულებიდან ქვევით სიბრძნის სულებისა და მოძრაობის სულებისკენ, ჩვენ კვლავ ეუბრუნდებით ელოჰიმებს, ფორმის სულებს. აქ ხედავთ, როგორ ჰარმონიაშია ყველაფერი ერთმანეთთან და როგორ ერთიანდებიან, თუ, ცხადია, ნაპოვნია შემაერთებელი ძაფი.

შეეცადეთ, გრძნობითა და შეგრძნებით ჩასწვდეთ იმ ყველაფერს, რაც აქ იყო აღწერილი და მაშინ იტყვი: იმის საფუძველში, რაც ჩვენს გარემომცველ ელემენტარულ ყოფიერებაში ჩვენი გრძნობებისთვის არის მისაწვდომი, ძვეს მიწიერი, მაგრამ სინამდვილეში ამ მიწიერში ნებელობის სულები ცხოვრობენ. მის საფუძველში კი ძვეს წყლოვანი ელემენტი, მაგრამ მასში ჭეშმარიტად ცხოვრობენ სიბრძნის სულები. მის საფუძველში ასევე ძვეს ჰაერისებრი, და მასში, მართლაც, ცხოვრობენ მოძრაობის სულები, აგრეთვე ძვეს სითბური, რომელშიც ნამდვილად ცხოვრობენ ფორმის სულები, ელოჰიმები.

ამავე დროს, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შეიძლება მკაცრად გავმიჯნოთ ერთმანეთისგან და ამ ორ სფეროს შორის მყარი საზღვრები გავავლოთ. მთელი ჩვენი მიწიერი ცხოვრება ეფუძნება იმას, რომ წყლოვანი, ჰაერისებრი და მყარი ერთმანეთს მსჭვალავს და რომ ყველაფერი სითბოთია განმსჭვალული. არ არსებობს რაიმე მყარი, რომელიც გარკვეული სახის სითბოს მდგომარეობაში არ იმყოფებოდეს. სითბოს ჩვენ ვპოულობთ ყველგან და ყველა სხვა სტიქიაში. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ

ყველგან ვხვდებით ელოჰიმების, სითბოს ამ ჭეშმარიტად ძალის ელემენტის, მოღვაწეობას. ის ყველგან არის განფენილი. ნებელობის სულების, სიბრძნის სულებისა და მოძრაობის სულების მოღვაწეობა თუნდაც მისი წინამორბედი ყოფილიყო, სითბოს ეს სტიქია, როგორც ფორმის სულების გამოსატულება, მიწიერი განვითარების დროს მაინც შეიჭრა ყოფიერების ყველა დაბალ საფეხურზე. ასე ვპოულობთ ჩვენ არა მარტო გარკვეულ სუბსტანციურ საფუძველს, ნებელობის სულების სხეულებრიობას, არამედ ნებელობის სულების ეს სხეულებრიობა წარმოგვიდგება თავად ელოჰიმების, ფორმის სულების მიერ განმსჭვალული.

ახლა კი შევეცადოთ, გრძნობად ყოფიერებაში ვიპოვოთ გარეგნული გამოსატულება იმისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ჩვენ აღვწერეთ ზეგრძნობად სფეროში მომხდარი და დავადგინეთ ნებელობის სულების, საყდრებისა და ფორმის სულების, ელოჰიმების იქ განხორციელებული ერთობლივი მუშაობა; ეს არის ის, რაც ზეგრძნობადშია. მაგრამ მთელი ზეგრძნობადი თავის ჩრდილოვან ხატს ჩვენს გრძნობად სამყაროზე განფენს. ის აქ რა სახით წარმოჩნდება? ის, რაც არის, ასე ვთქვათ, სხეულის, ფორმის სულების ერთარსი, წარმოადგენს ჩვენ გარშემო განფენილ მყარ მატერიას. ის, რაც ჩვეულებრივ წარმოგვიდგება, როგორც მატერია, არის ილუზია. მატერიასთან დაკავშირებული წარმოდგენა არის ილუზია, მაია. სინამდვილეში ნათელმხილველი, რომელიც თავის მზერას მიაპყრობს იმ სფეროებს, სადაც თანამედროვე გაგებით მოჩვენება უნდა დაბოდილებდეს, ვერ პოულობს მატერიაზე ფიზიკოსების ამ ფანტასტიკურ წარმოდგენას, რადგან ეს ცარიელი ოცნებაა. მატერიის ცნება, რომელზეც მსჯელობს მოფილოსოფოსო თეორიული ფიზიკა, ეს არის მხოლოდ წარმოდგენა, მეოცნებეობა და ფანტაზია. ეს კარგია, სანამ ამას უყურებენ, როგორც ხურდა ფულს; მაგრამ, როგორც კი ამ ცნებას მიიღებენ რეალობად, მაშინ იწყებენ ოცნებას. სწორედ ასეთ ოცნებებშია თანამედროვე ფიზიკა მატერიაზე თავის თეორიებში. სადაც ის ადგენს და აღწერს რეალურსა და ნამდვილ ფაქტებს, იქ იგი საუბრობს რეალურზე, ჭეშმარიტზე, როცა ის მაგ., აღწერს იმას, რისი დანახვაც შეუძლია თვალს და რა დას-

კვნი შიდილბა, აქედან გაკეთდეს. მაგრამ, როცა ის იწყებს ატომების, მოლეკულების და ა. შ., როგორც მატერი-ალური ყოფიერების მქონე საგნების შესახებ განმარტებებს, ის ფანტასტიკურ სამყაროს აგებს, ამის საპირისპიროდ კი ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ ის, რასაც ჩვენს დრამა-მისტერიაში ფელიქს ბაღდე ამბობს ტაძარში, როცა მას სურს რაღაცის ყიდვა: ნამდვილი ფულით მე არ გადავიხდი; მე გეუბნები შენ, რომ რაღაც წყვილიდან წარმოიქმნება დუკატები, ის *გამკვრივდება დუკატში!** – ამ უხეში შედარებით ნამდვილად შესაძლებელია, დავახასიათოთ თეორიული ფიზიკის ის ილუზიები, რომელიც გულარხინად ქმნის მთელ სამყაროს პირველყოფილი ნისლიდან, ოღონდ როგორმე დააკმაყოფილოს ე. წ. მსოფლჭვრეტითი მოთხოვნილება იმ მონეტასთან, რომელსაც ასე სიამოვნებით გვთავაზობს აქ მეცნიერება. რაღაც ფანტასტიკასთან ექნებათ საქმე, როცა ატომისტურ ყოფიერებას, რომელიც ჩვენს დროში მხედველობაში აქვს ფიზიკას, მიიღებენ რაღაც რეალობად. სანამ ამათ შემოკლებას, მონეტების დათვლას ფიქრობენ იმისთვის, რასაც გრძნობები აჩვენებენ, მანამდე რეალურ ნიადაგზე დგანან. თუ შეიჭრებიან ამ გრძნობადი საფარვლის მიღმა, აუცილებელია წინსვლა სულიერისკენ, მაშინ მივლენ არსების და ქსოვის რაღაც პირველად სუბსტანციასთან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სხეულებრიობა საყდართა, რომელიც მთლიანად განმსჭვალულია ფორმის სულების მოღვაწეობით. მაინც როგორ არის ეს წარმოდგენილი, როგორაა პროეცირებული ჩვენს გრძნობად სამყაროში? ახლა, აქ ჩვენ გვაქვს გაერცელებული მყარი მატერია, რომელიც არც ერთ საფეხურზე ამორფული არ არის. ამორფული, არამყარი გემტალტი მსოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ არსებითად მთელი ყოფიერება, რომელიც ფორმისკენ ისწრაფვის, იფანტება, ნამცეცებად იქცევა. ყოველივე ჩვენ მიერ ბუნებაში მტვერის სახით ნანახს სრულებითაც არ გააჩნია თავის თავში სწრაფვა იყოს მტვერი, არამედ არის დაქუცმაცებული ყოფიერება. მატერია, როგორც ასეთი, გემტალტისკენ ისწრაფვის. მთელი სიმყარე კრისტალიზაციისკენ ისწრაფვის. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: რასაც საყდრებისა და ელოჰიმების სუბსტანციურს ვუწოდებთ,

ჩვენს ყოფიერებაში იჭრება გავრცელებულ სიმყარესთან ერთად. იმის წყალობით, რაც ზოგადად ვლინდება და ჩვენ მიერ სახელდებულია მატერიალურ ყოფიერებად, ის თავის თავზე გვაუწყებს, როგორც ერთარსზე, (ერთარსება) საყდრებზე. ხოლო იმაში, რომ ის გაფორმებულია, რომ ამ პირველ სუბსტანციაში მუდმივად ვლინდება ფორმები, ამაში ჩვენ ელოპიმების გარეგნულ გამოცხადებას ვხედავთ.

ახლა თქვენს ყურადღებას კვლავ მივაპყრობ ძველი დროების ნომენკლატურის გასაოცარ სულიერებაზე. მაშინ ძველი ნათელმხილველები ამბობდნენ: როცა ვუმზერთ გარემომცველ მატერიალურს, ჩვენ წინაშე ერთარსში, ერთარსებაში წარმოჩნდებიან საყდარნი, მაგრამ ის განმსჭვალულია ძალის ელემენტით, რომელსაც მუდმივად სურს ფორმის მიცემა. აქედანაა სწორედ სახელიც „ფორმის სულები“! ყველა ამ სახელში ძვეს მინიშნება იმის ჭეშმარიტ არსზე, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ. ამიტომ თქვენ თუ ყურადღებას გაამახვილებთ გარემომცველ სამყაროში კრისტალიზაციისკენ ამგვარ ტენდენციაზე, მაშინ მასში დაინახავთ დაბალ საფეხურზე იმ ძალების გამოვლენას, რომლებიც ქსოვენ და მართავენ საყდართა სუბსტანციაში, როგორც თავად ელოპიმები, როგორც ფორმის სულები. იქ მოქმედებენ ისინი, მჭედელნი საკუთარ სითბურ სტიქიაში და ჭედავენ ფორმის სულების უფორმო სუბსტანციებიდან სხვადასხვა მარილისა და ლითონის კრისტალურ ფორმებს. ეს სულები თავის სითბურ მოქმედებაში, ამავედროულად წარმოადგენენ ყოფიერების ელემენტების მაფორმირებელ საწყისს.

თუ ასე აღიქვამთ ამ მოვლენებს, მაშინ თქვენ წინაშე გაიხსნება ცოცხალი მოღვაწეობის ჭეშმარიტი არსი, რომელიც ჩვენი ყოფიერების საფუძველში ძვეს. ამრიგად, საჭიროა ჩვენს გარემოცვაში მივეჩვიოთ მაიას, ანუ ილუზიის დანახვას. მაგრამ არ უნდა დაგვკმაყოფილდეთ მნიშვნელობის არ მქონე თეორიით, რომ გარე სამყარო არის მაია. ამით არაფერი მიიღწევა. ეს გამოთქმა ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა მაიას ცალკეულ ფრაგმენტებში ხედავ იმას, რაც მის საფუძველში ძვეს; მხოლოდ მაშინაა ის სასარგებლო. ამდენად, ჩვენ ვეჩვევით ყველაფერში, რაც ჩვენ გარშემო გარემომცველ სამყაროში ხდება, დავინახოთ რაღაც ისეთი, რაც

არის რა ილუზია, გამოხატავს სინამდვილეს, ჭეშმარიტებას, მაგრამ თავისი არსით მაინც ილუზიად რჩება. რაღაც გარეგნული სახე სწორედ გარეგნული სახეა. ეს გარეგნული სახეცხადია, წარმოადგენს თავისებურ რეალობას; მაგრამ ამ რეალობას ვერ გაიგებ, თუ გარეგნულ ხედვაზე შეჩერდები. მხოლოდ მაშინ შეიძლება გარეგნული ხედვის პატივისცემა და დაფასება, თუ ამ ხედვაზე არ შეჩერდები.

ჩვენი თანამედროვე განყენებული შეხედულებები ყველაფერს აერთიანებს. ასე მოქცევა ძველ ნათელმხილველებს არ შეეძლოთ. მათ არ შეეძლოთ ხელსაყრელობის გამო ყველგან ელიარებიანათ ერთი და იმავე ბანალური ძალების მოქმედება, როგორც ამას აკეთებს თანამედროვე ფიზიკა, რომელსაც ამავე დროს სურს, მაგ., მეტეოროლოგი იყოს. ჩვენს დროში თანამედროვე ფიზიკის ცნებებზე დაფუძნებით განა ვინმე დაეჭვდება იმაში, რომ იგივე ძალები, რომლებიც მოქმედებენ ელემენტარულ ყოფიერებაში, მყარში, თხევადში და ა. შ., თავიანთ ქმედებებს ავლენენ, მაგ., ჩვენს ატმოსფეროში, როცა მასში წარმოიქმნება ღრუბლები, როცა ატმოსფეროს წყლოვანი ორთქლი ღრუბლებში გროვდება? მე სრულიად მკაფიოდ ვიცი, რომ თანამედროვე ფიზიკოსს სხვაგვარად ფიქრი არ ხელეწიფება, რომ მას, როგორც ფიზიკოსს სურს, მეტეოროლოგიც იყოს; მას სხვაგვარად ფიქრიც კი არ შეუძლია და მასში ჩამოყალიბდა მტკიცე რწმენა, რომ იგივე კანონები, რომლებიც მისთვის ცნობილია ჩვენი გარემომცველი მიწიერი ყოფიერებიდან, ასევე მართავენ იმ წყლის მასების წარმოქმნას, რომლებიც ღრუბლების სახით დედამიწას გარს ერტყმის. ნათელმხილველისთვის ეს ასე ერთმნიშვნელოვანი არ არის. რამდენადაც ჩვენ ვიპოვეთ ამ მოვლენების სულიერი საფუძველი, არ შეიძლება მათში ყველგან ერთი და იგივე ვიპოვოთ; ზოგიერთი სულიერი არსება მონაწილეობს იქ, სადაც, ვთქვათ, უშუალოდ მიწის ზედაპირზე გაზისებრისგან წარმოიქმნება თხევადი; სხვები კი – იქ, სადაც დედამიწის ატმოსფეროში ორთქლი და გაზისებრი თავს მოიყრის წყლის მასებში. ამიტომ თუ შევისწავლით წყლოვანის წარმოქმნას ჩვენს ატმოსფეროში, მაშინ ნათელმხილველი ვერ იტყვის, რომ წყლოვანი იქ წარმოიქმნება ზუსტად ისეთივე სახით, რო-

გორც მიწის ზედაპირზე, აორთქლება წარმოიქმნება ისევე, როგორც ტენის კონდენსაცია ზედაპირზე, ვინაიდან სინამდვილეში ღრუბლების წარმოქმნისას სხვა არსებები მონაწილეობენ, ვიდრე დედამიწაზე მიწის გრუნტში წყლის წარმოქმნისას. იერარქიების მონაწილეობა ჩვენს ელემენტარულ ყოფიერებაში, რომელზეც მე ახლახან ვისაუბრე, განეკუთვნება მხოლოდ დედამიწას მისი ცენტრიდან მის ზედაპირამდე, მაგრამ იგივე ძალები საკმარისი არაა, რომ წარმოქმნან, მაგ., ღრუბლები. იქ სხვა არსებები მოქმედებენ. თანამედროვე ფიზიკის მსოფლჭვრეტა ძალზე მარტივ პრინციპს ეფუძნება. ის ეძებს სხვადასხვა ფიზიკურ კანონს და ამტკიცებს, რომ ისინი მართავენ მთელ სამყაროს. უკვე ვეღარ ამჩნევენ განსხვავებებს ყოფიერების სხვადასხვა სფეროში. თუ ასე იქცევიან, მაშინ ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომელიც ამტკიცებს, რომ ღამით ყველა კატა რუხია, როგორი ფერის არ უნდა იყოს ის. თუმცა საგნები ყველგან არა ერთნაირი, არამედ სხვადასხვა სფეროში ძალზე განსხვავებულია.

ვინც კვლევის ნათელმხილველური მეთოდის საფუძველზე გააცნობიერა, რომ დედამიწის შიგნით მიწიერ ელემენტში მართავს საყდრების, ანუ ნებელობის სულების არსება, რომ წყლოვანში მართავს სიბრძნის სულების არსება, ჰაერისებრში – მოძრაობის სულების არსება და სითბოსებრში – ელოჰიმების არსება, ის თანდათანობით ამაღლდება იმის შემეცნებისკენ, რომ ღრუბლების წარმოქმნა, გაზისებრ-წყლოვანის ეს თავისებური გადასვლა ჩვენი ატმოსფეროს წყლოვანში, არის შედეგი იმ არსებების მოღვაწეობისა, რომლებიც ქერუბიმების იერარქიას განეკუთვნებიან. ჩვენს სიმყარეზე, იმაზე, რასაც მიწის სტიქიას ვუწოდებთ, ამგვარი შეხედვით მასში დავინახავთ ელოჰიმებისა და საყდართა ერთობლივ მოღვაწეობას. საკუთარი მზერის ზევითკენ მიპყრობით ჩვენ ვხედავთ, ჰაერისმაგვარში, რომელშიც, არსებითად, ბატონობენ მოძრაობის სულები, როგორ მუშაობენ ქერუბიმები, რომ შეკრიბონ სიბრძნის სულების სფეროდან ამოზიდული წყლოვანი უზარმაზარ ღრუბლებში. როგორც დედამიწის სტიქიის შიგნით მეფობენ საყდარნი, სიბრძნის სულები და მოძრაობის სულები, ზუსტად ასევე ბატონობენ ქერუბიმები დედა-

მიწის გარემოცვაში. ჩვენ თუ მზერით შევიჭრებით ამ ღრუბლისებრის არსსა და პროცესში, მის, ასე ვთქვათ, უფრო იდუმალში, რაც მხოლოდ დროდადრო ვლინდება, მაშინ ეს იქნება ელვა, რომელიც ანათებს ღრუბლებისა და გრგვინისგან. ამასაც აქვს თავისი მიზეზი, თავისი დასაბუთება. ნათელმხილველი კი ამ მოვლენაში ხედავს იმ იერარქიული სულების მოღვაწეობას, რომელთაც სერაფიმებს ვუწოდებთ. ამრიგად, დედამიწისა და მისი უახლოესი გარემოცვისთვის ჩვენ ვიპოვეთ ზეციური იერარქიის ყველა ცალკეული ხარისხი (საფეხური).

ასე ვხედავთ ჩვენი გრძნობების წინაშე წარმოჩენილი იერარქიული მოღვაწეობის გარეგნულ გამოხატულებას, გამოცხადებას. სრული უაზრობა იქნებოდა, ღრუბლებიდან მოელვარე ელვაში დაენახათ იგივე, რაც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება ასანთის ანთებისას. ასანთის ანთებისას სრულიად სხვა ძალებია გამეფებული. სრულიად სხვა ძალებია გამეფებული, როცა ზოგადად მატერიაში ვლინდება სტიქია, რომელიც განაპირობებს ელვას – ელექტრონული სტიქია. მასში გაბატონებულია სერაფიმები. ამრიგად, ჩვენ ვიპოვეთ იერარქიების ერთობა აგრეთვე ჩვენი დედამიწის გარემოცვაშიც, ზუსტად ისევე, როგორც ვპოულობთ მას ასევე შორეთში, კოსმოსში. ეს იერარქიები ხომ თავის მოღვაწეობას ავრცელებენ აგრეთვე იმაზე, რაც ჩვენს უშუალო გარემოცვაშია.

თქვენ თუ ახლა გადახედავთ გენეზისს, როგორ აღწერს ის სამყაროს განვითარების ქმნადობასა და ქსოვას, მაშინ დაინახავთ, რომ დასაწყისში, ასე ვთქვათ, მეორდება ყველა მოსამზადებელი საფეხური, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ სატურნზე, მზესა და მთვარეზე, და რომ, ბოლოს და ბოლოს, განვითარების გვირგვინის სახით როგორ ჩნდება ადამიანი. გენეზისის უწყება უნდა გავიგოთ ისე, რომ ყოველივე მომხდარში ერთიანდება იერარქიების ცხოვრება და შრომა, რომელიც თითქოსდა ფოკუსირებულია მიწიერი შემოქმედების დამაგვირგვინებელ პროდუქტზე და ზეგრძნობად არსებაზე, – ის ახლა ჯერ კიდევ მხოლოდ ზეგრძნობადია, – რომელზეც ნათქვამია, რომ ელოჰიმებმა გადაწყვიტეს და თქვეს: ახლა მოდით, შევქნათ ადამიანი! – მაშინ მათ ყველაფერი, რაც თითოეულ მათგანს შეეძლო, ერთი საერთო საქმისკენ მიმართეს. აღრინდელ საფეხურებზე თავიანთი მოპოვე-

ბული ყველა ძალა მათ გააერთიანეს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი შეექმნათ. ამიტომ ადამიანის წინამორბედი ყველა ის იერარქია, რომელთაც ვუწოდებთ სერაფიმებს, ქერუბიმებს, საყდრებს, სიბრძნის, მოძრაობისა და ფორმის სულებს, არქებს, ანუ პიროვნების სულებს, მთავარანგელოზებსა და ანგელოზებს, ის ჩვენ ვიპოვეთ, როგორც მთელი ამ ყოფიერების მქსოველი და შემოქმედი. თუ დავაკვირდებით გენეზისის უწყებას იმ მომენტამდე, როცა მთელი ეს შენობა დაგვირგვინდება ადამიანის გამოჩენით შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს, თუკი ჩვენ ჩავიხედავთ, ასე ვთქვათ, დედამიწის ადამიანამდელი ევოლუციის ცხოვრებისა და შრომის არსში, მაშინ უკვე იქაც ვიპოვით სხვადასხვა იერარქიას. ყველა ამ იერარქიას ერთობლივად უნდა ემოქმედა, რათა მოემზადებინა პირობები, რომელიც ბოლოს ადამიანს გამოავლენდა.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ნათელმხილველს ან ნათელმხილველებს, რომლებმაც მოგვცეს გენეზისი, მკაფიო ცნობიერება ჰქონდათ იმაზე, რომ ყველა ხსენებულ იერარქიას მონაწილეობა უნდა მიეღო ადამიანის შესაქმნელად ამ მოსამზადებელ მუშაობაში. მაგრამ ისინი ასევე აცნობიერებდნენ, რომ თავად ადამიანის შექმნისთვის, მთელი იერარქიული წყობის დაგვირგვინებისთვის, ასევე საჭირო იყო დახმარება გარედან, სხვა მხრიდან, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ყველა ამ იერარქიაზე უფრო მაღლა ძევს. ამიტომაც ჩვენ საკუთარ მზერას მივაპყრობთ სერაფიმებზე ზევით, ჯერ კიდევ უცნობისკენ, მხოლოდ გუმანით ნაგრძნობი დვთაებრივი არსებისკენ. დავაკვირდეთ ერთ-ერთი იერარქიის, თუნდაც ელოჰიმების მოღვაწეობას; როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული გადაწყვეტილებამდე, თავიანთი შრომა დაგვირგვინებინათ ადამიანის შექმნით, საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ თავიანთი მოღვაწეობა შეეთანხმებინათ სხვა იერარქიების მოღვაწეობასთან, სერაფიმების ჩათვლით. მაგრამ შემდეგ მათთვის აუცილებელი იყო დახმარება იქიდან, საიდანაც ჩვენ მხოლოდ გაურკვეველ წინათგრძნობაში მივაპყრობთ საკუთარ მზერას, იმ სფეროდან, რომელიც სერაფიმებზე მაღლა ძევს. როდესაც ელოჰიმებმა გადაწყვიტეს, თავიანთი მოღვაწეობა გაეგრძელებინათ ამ თავბრუდამხვევ სიმალლემდე ისე, რომ იქიდან შესაძლებელი ყოფილიყო მათთვის დახმარების მოსვლა, მაშინ უნდა მომხდარიყო რაღაც

ისეთი, რისი გაგებაც ჩვენთვის აუცილებელია მთელი თავისი მნიშვნელობით. მათ თავიანთი თავი, ასე ვთქვათ, უფრო მეტად უნდა გაეზარდათ; უფრო მეტი უნდა ესწავლათ, ვიდრე ის, რაც მათ მოახერხეს, რაც მოსამზადებელ პერიოდში შეძლეს. თავიანთი საქმე რომ ბოლომდე მიეყვანათ, ანუ დაეგვირგვინებინათ, მათთვის აუცილებელი იყო, თავის თავში განეხილათ უმაღლესი ძალები იმასთან შედარებით, ვიდრე მოსამზადებელი მუშაობისას ფლობდნენ. ელოჰიმების მთელ ჯგუფს თავისი თავი უფრო მეტად უნდა გაეზარდა. შევეცადოთ, წარმოვიდგინოთ, მსგავსი რამ როგორ ხორციელდება. შევეცადოთ, ეს ცნება წარმოვიდგინოთ სურათ-ხატებში, რითაც ამოვივაროთ ტრივიალურიდან. ამოვიდეთ ადამიანის განვითარებიდან.

როცა ჩვენ ადამიანს ვხედავთ თავის მიწიერ ყოფიერებაში შემოსვლისას, როგორც უსუსურ პატარა ბავშვს, მაშინ ვიცით, რომ მასში ჯერ კიდევ არ არის ცნობიერების ერთიანობა. ბავშვი დაბადებიდან მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ უწოდებს თავის თავს „მე“-ს, რომელიც ცნობიერებას აერთიანებს. მხოლოდ შემდგომში ყველაფერი, რაც მის მშენებელ ცხოვრებაში ხდება, მის ცნობიერებაში ერთიანდება. ადამიანი ვითარდება, როცა საკუთარ ცნობიერებაში აერთიანებს ბავშვში ჯერ კიდევ განცალკევებულ ფუნქციებს. ადამიანში ასეთი გაერთიანება წარმოადგენს უფრო მაღალ მდგომარეობამდე განვითარებას. ელოჰიმების განვითარებაც შეგვიძლია ანალოგიურად წარმოვიდგინოთ. ადამიანის შექმნის მოსამზადებელ პერიოდში მათ გარკვეული მოღვაწეობა განავითარეს. ამის წყალობით რაღაც ისწავლეს და თავად, საკუთარი მუშაობით, ხელს უწყობდნენ უმაღლეს საფეხურამდე საკუთარ აღმასვლას. ახლა მათ, როგორც ჯგუფმა, მიიღეს რაღაც ერთიანი ცნობიერება; ახლა ისინი არა მხოლოდ ჯგუფია, არამედ ერთიანობად იქცნენ. ეს ერთიანობა ორგანული გახდა. ამით ჩვენ ვამბობთ რაღაც მნიშვნელოვანს. აქამდე შემეძლო მხოლოდ მეთქვა: ცალკეული ელოჰიმი ისეთი იყო, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო რაღაც განსაკუთრებული, თავისი დაერთო საერთო საქმისთვის, იმ საერთო ხატისთვის, რომლითაც მათ გადაწყვიტეს ადამიანის შექმნა. ადამიანი მათში ცოცხლობდა ჯერ კიდევ მხოლოდ ზოგად წარმოდგენაში; ამაზე ისინი ერთობლივად შრომობდნენ.

თავიდან არაფერი რეალური მათთან ჯერაც არ არსებობდა, ის განაღდა მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ერთობლივი მუშაობის პროდუქტი შეიქმნა. მაგრამ ამ მუშაობით ისინი საკუთარი განვითარებისას თავადაც მაღლდებოდნენ ზევით, როცა საკუთარ ერთიანობას გარდაქმნიდნენ რაღაც რეალობაში ისე, რომ ახლა ისინი წარმოადგენდნენ არა მხოლოდ შვიდ ცალკეულ არსებას, არამედ ეს შვიდეული წარმოადგენდა ერთიან მთლიანს და ახლა ჩვენ შეგვიძლია, ვისაუბროთ ელოჰიმებზე, რომლებიც შვიდ სურათ-ხატში გამოვლინდნენ. ეს ელოჰიმობა პირველად წარმოიქმნა. სწორედ ამ არსებამდე მაღლდებოდნენ ელოჰიმები თავიანთი მუშაობით.

ბიბლია იცნობს ამ ფაქტს, იცნობს იმას, რომ თავიდან ელოჰიმი წარმოადგენს თითქოსდა ჯგუფის წევრს, შემდეგ კი ისინი ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში, ასე რომ, ადრე მუშაობდნენ, როგორც ჯგუფის ცალკეული წევრები, შემდეგ იმართებიან ერთიანი ორგანიზმით. ეს არის ელოჰიმების რეალური ერთიანობა, რომელშიც წევრების, ორგანოების სახით ქმედითნი არიან ცალკეული ელოჰიმები, რასაც ბიბლია უწოდებს იაჰვე-ელოჰიმს. რა არის იაჰვე, იელოვა, ამის შესახებ ახლა მიიღეთ უფრო ღრმა გაგება, ვიდრე ამის მოცემა თქვენთვის შეიძლებოდა ადრე. ამის საფუძველზე ბიბლია თავიდან საუბრობს მარტო ელოჰიმებზე და მხოლოდ იმ მომენტიდან იწყებს საუბარს იაჰვე-ელოჰიმზე, როცა ელოჰიმები ერთიანობამდე მისვლით თავად ამადლდნენ უმაღლეს საფეხურზე. აი სად იმალება უფრო ღრმა მიზეზი იმისა, რომ სამყაროს შექმნის ბოლოს უეცრად ჩნდება სახელი იაჰვე. ახლა თქვენ დარწმუნდით, რომ საჭიროა ოკულტური წყაროების მოძიება, რომ გავიგოთ მსგავსი ძეგლები.

ამ ყველაფრისგან რა გააკეთა XIX საუკუნეში ბიბლიის განმარტებამ? მთელი ამ ფაქტებიდან, რომლებიც მე წარმოგიდგინეთ ოკულტურ წყაროებზე დაყრდნობით, ბიბლიის განმარტებებში ნათქვამია: დიახ, აქ ერთ ადგილას გვხვდება სახელი ელოჰიმი, მეორეში – იაჰვე. აქედან ნათელია, რომ საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციასთან და აუცილებელია მათ შორის გავაკეთოთ განსხვავება, რა გადმოგვცეს იმ ხალხებმა, რომლებიც თავიანთს სცემდნენ ელოჰიმს და რა გადმოგვცეს სხვა ხალხებმა, რომლებიც თავიანთს იაჰვეს სცემდნენ. და მან, ვინც დაწერა ის, რაც შემოთავაზებ

ბულია, როგორც შესაქმის ისტორია, გააერთიანა ორივე სახელი, – ელოჰიმი და იაჰვე-ელოჰიმი, – და ახლა აქ გვაქვს უბეველესი წიგნი, დოკუმენტი (Urkunde), სადაც გამოყენებულია სახელი ელოჰიმი, ასევე სხვა, სადაც გამოყენებულია სახელი იაჰვე. ეს ორი წიგნი საჭიროა კვლავ განვაცალკევოთ. ახლა კი ასეთი სახის განმარტების წყალობით მივედით იქამდე, რომ გვაქვს ე. წ. ცისარტყელასებრი ბიბლიები, სადაც ყველაფერი, თითქოსდა ერთი წყაროდან მომდინარე, დაბეჭდილია ლურჯი ასოებით, ხოლო ის, რაც თითქოს აღებულია მეორე წყაროდან, დაბეჭდილია წითელი ასოებით. ასეთი ბიბლიები უკვე არსებობს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ზოგჯერ გიწევს წინადადების პირველი ნაწილი აკრიფო წითელი საღებავით, ხოლო იმავე წინადადების მეორე ნაწილი ლურჯი საღებავით, თითქოს პირველი წარმოშობილია ერთი ხალხისგან, მეორე ნაწილი კი – მეორისგან. ამიტომ შეიძლება მხოლოდ გაგვაოცოს იმან, რომ მთავარი წინადადება ისე საოცრად ეხამება დამოკიდებულ წინადადებას, რომ მხოლოდ რომელიმე კომბინატორი იყო საჭირო, რათა ამ ორივესთვის ერთ ადგილას მოეყარა თავი.

ამის განმარტებაზე უზარმაზარი შრომა დაიხარჯა და თუ ამ ყველაფერს კარგად გავეცნობით, შეიძლება ითქვას, რომ არანაირ კვლევას, – არც საბუნებისმეტყველოს და არც ისტორიულს, – არა აქვს დართული ისეთი უდიდესი სიბეჯითით გაწეული შრომა, როგორც სწორედ ბიბლიის ამ საღვთისმეტყველო განმარტებას XIX საუკუნეში, რომელიც გულწრფელი სინანულისა და ღრმა ტრაგიზმის გრძნობით აღგვაგსებს. იმან, რომლის დანიშნულებაც იყო, კაცობრიობისთვის გაეცნო ყველაზე მაღალი სულიერი მოვლენები, დაკარგა კავშირი ამ სულიერ წყაროებთან. ეს იგივეა, რომ მავანს ეთქვა: „დიახ, თუ მაგ,, თვალს გადავაგვლებთ „ფაუსტის“ მეორე ნაწილში იმ ადგილს, სადაც არიელი საუბრობს, ჩვენ დავინახავთ სულ სხვა სტილს, ვიდრე მის პირველ ნაწილში, თავისი ზოგჯერ ტლანქი ლექსებით. ამიტომ შეუძლებელია, რომ „ფაუსტის“ ორივე ნაწილი დაეწერა ერთსა და იმავე პიროვნებას და გოეთეც, შესაბამისად, მითიური პიროვნება უნდა იყოს“. სწორედ ოკულტური წყაროების უგულვებლყოფის გამო ამ ბეჯითი შრომისა და გასაოცარი გულმოდგინების შედეგი ძალზე ტრაგიკული სახით დგას იმავე დონეზე, რო-

გორც გოეთეს არსებობის უარყოფა იმ საფუძველზე, როცა არ უშვებენ იმას, რომ სტილისტურად „ფაუსტის“ პირველი და მეორე ნაწილის ავტორი შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება იყოს. აქ ჩვენ წინაშეა ადამიანური არსებობის ღრმა ტრაგიზმი. და ჩვენ გავიგებთ, თავად აუცილებლობა კვლავ როგორ უბიძგებს ადამიანურ სამშენველებს სულიერი ცხოვრების წყაროებისკენ. სულის შემეცნება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ადამიანები კვლავ დაიწყებენ ცოცხალი სულის ძიებას. დროთა განმავლობაში კი ისინი უდავოდ დაიწყებენ მის ძიებას, ვინაიდან ადამიანის სამშენველში ჩადებულია მისკენ გადაულახავი სწრაფვა. ის, რომ ამ სწრაფვაში სიმტკიცე დამახასიათებელია ადამიანური სამშენველისთვის, რომ ის ადამიანს აიძულებს, მთელი სულითა და გულით ეძიოს თავისი კავშირი სულიერ წყაროებთან, ბოლოს და ბოლოს, მიიყვანს მას სწორედ რელიგიური წიგნების ჭეშმარიტი საფუძვლების გაგებამდე, – ეს სიმტკიცე არის ის ძალა, რომელიც შთაგვაგონებს ჩვენ საკუთარ ანთროპოსოფიულ მუშაობაში. ამიტომ განვიმსჯელოთ ასეთი სიმტკიცით და ჩვენ ამ სფეროში, რომელმაც უნდა წაგვიყვანოს სულიერი ცხოვრებისკენ, ჭეშმარიტ ნაყოფებს მოვიძიოთ.

ყოფიერების ახსნის მცდელობისას ჩვენ ყოველთვის კვალდაკვალ მივყვებით მის განვითარებას და უკვე არაერთხელ შეგვეძლო, დავრწმუნებულიყავით, როგორ ჯდება განვითარების ცნებაში ყოველივე, რაც ჩვენი დაკვირვებისთვის არის მისაწვდომი. ჩვენ უნდა მივჩვიოთ, განვითარებაზე ეს წარმოდგენა გავაფართოოთ და ის ასევე განვავრცოთ ისეთ სფეროებზე, რომლებშიც თანამედროვე ცნობიერება განვითარებას ჯერ ვერ ხედავს. ასე მაგ., ახლა ჯერ კიდევ ნაკლებად ფიქრობენ ადამიანის მშენებური ცხოვრების სფეროში ნამდვილ განვითარებაზე. გარეგნული სახით მსგავს განვითარებაზე დიასხაც საუბრობენ, რამდენადაც ის ძალზე მკაფიოდ ვლინდება, მაგ., ადამიანის ინდივიდუალურ ყოფიერებაში დაბადებასა და სიკვდილს შორის. მაგრამ მთელ კაცობრიობასთან მიმართებით ახლა ასეთ განვითარებას იგებენ, როგორც აღმავალ განვითარებას დაბალი ცხოველური მდგომარეობიდან და ამ გზით შემდეგ მიდიან დასკვნამდე, რომელსაც ამ სფეროში ცოდნის თვით თანამედროვე დონეზეც კი შეიძლება, საკმაოდ ფანტასტიკური ეწოდოს, თითქოს უმაღლესი ისე უბრალოდ ვითარდება მდაბალისაგან, თითქოსდა ადამიანი უბრალოდ განვითარდა ცხოველურისგან. ცხადია, ლექციების ამ ციკლში არ შემიძლია დაწვრილებით გადმოვცე, – როგორც ეს უკვე არაერთხელ გავაკეთე, – რომ ჩვენი ადამიანური ცნობიერება ისეთად რომ ქცეულიყო, როგორიცაა ის ამჟამინდელ დროში, მას უნდა გაეველო ევოლუციური ეტაპების გრძელი და რთული რიგი და რომ ცნობიერებისა და მშენებური ცხოვრების ჩვენს ამჟამინდელ ფორმას წინ უძღოდა სრულიად სხვა ფორმა. ცნობიერების ამ წინამორბედ ფორმას ჩვენ ხშირად ვუწოდებთ დაბალი რიგის ნათელმხილველურ ცნობიერებას. ჩვენი თანამედროვე ცნობიერება გარეგნულ საგნებზე წარმოდგენას გვაძლევს გარეგნული აღქმის მეშვეობით, მისი წინამორბედი ცნობიერება კი შეგვიძლია, ყველაზე უკეთ შევისწავლოთ, თუ საკუთარ მხერას ძველი მთვარის ყოფიერებას მივაპყრობთ.

ძველი მთვარის განვითარების პერიოდის ყველაზე დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანი თანამედროვე მიწიერისგან ის არის, რომ ცნობიერება ამაღლდა განსაკუთრებული სახის ძველი ნათელხილვიდან, განსაკუთრებული სახის ხატოვანი ცნობიერებიდან ჩვენი თანამედროვე, საგნობრივი ცნობიერებისკენ. ამ გარემოებაზე მე უკვე მრავალი წელია მივუთითებ და თქვენ შეგეძლოთ ამის შესახებ წაგეკითხათ პირველ სტატიებში, რომლებიც იბეჭდებოდა „ლუციფერ-გნოზისში“, სადაც ევოლუცია აკაშა-ქრონიკის მონაცემების საფუძველზე აღწერილი. იქ უკვე მინიშნებულია, რომ ეს ძველი, სიზმრის მსგავსი ხატოვანი ცნობიერება, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენი საკუთარი არსებისთვის იმ შორეულ დროებში, თანდათანობით განვითარდა მიწიერ ცნობიერებაში, რომლის მეშვეობითაც ვაცნობიერებთ გარეგნულ საგნებს, ანუ იმას, რასაც გარემომცველ სივრცეში ვუწოდებთ გარეგნულ საგნებს, განსხვავებით თავად ჩვენგან, ჩვენი შინაგანი არსისგან. გარეგნული საგნების ეს განსხვავება ჩვენი საკუთარი შინაგანი ცხოვრებისაგან წარმოადგენს სწორედ თანამედროვე ცნობიერების მდგომარეობის უმთავრეს თავისებურებას. როცა ჩვენ წინაშე რომელიმე საგანი, მაგ., ვარდი, მაშინ ვამბობთ: ეს ვარდი არის იქ, სივრცეში. ის განცალკევებულია ჩვენგან. ჩვენ ვდგავართ სხვა ადგილას, ვიდრე ის. ჩვენ ვხედავთ ვარდს და მასზე წარმოდგენას ვიქმნით, ეს წარმოდგენა ჩვენშია, ვარდი კი – გარეთ. გარეგნულისა და შინაგანის განსხვავებაა სწორედ ჩვენი მიწიერი ცნობიერების დამახასიათებელი თვისება. ძველი მთვარის ცნობიერება ასეთი არ იყო. არსებები ძველი მთვარის ცნობიერებით ასეთ განსხვავებებს გარეგნულსა და შინაგანს შორის საერთოდ არ აკეთებდნენ. წარმოიდგინეთ, რომ ვარდზე შეხედვისას საერთოდ არ გაგაჩნდათ ცნობიერება, ვარდი იქ, გარეთაა, მე კი მასზე წარმოდგენას ვიქმნი საკუთარი თავის შიგნით, მაგრამ თქვენ გეჭნებოდათ შემდეგი სახის ცნობიერება: როცა ეს ვარდი ჩანს იქ, სივრცეში, მაშინ მისი არსი არაა შემოფარგლული მხოლოდ იმ სივრცით, რომელსაც ის იკავებს, არამედ მისი არსი განფენილია მის მიერ დაკავებული სივრცის ფარგლებს მიღმა და შესაბამისად, ეს ვარდი, არსებითად, ჩვენ შიგნით

იმყოფება. ეს მოვლენა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. წარმოდგინეთ, რომ თქვენ უმზერთ მზეს და ამავე დროს აღიქვამთ არა ისე, რომ მზე არის იქ, ზევით, არამედ თქვენ ხართ ქვევით, მაგრამ გაგაჩნიათ ისეთი სახის ცნობიერება, რომ იმ მომენტში, როცა საკუთარ თავში იწვევთ წარმოდგენას მზეზე, ის თქვენ შიგნით იმყოფება და თქვენი ცნობიერება მზეს მეტ-ნაკლებად სულიერი სახით მოიცავს. მაშინ გაქრებოდა გარეგნულის შინაგანისგან ზემოხსენებული განსხვავება. თქვენ თუ ამას ჩასწვდებით, მაშინ მიიღებთ იმ ძველი მთვარის ცნობიერების პირველ აუცილებელ თვისებას.

მისი მეორე დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ეს ცნობიერება იყო ხატოვანი, ასე რომ, საგნები უშუალოდ ნივთების სახით არ წარმოჩნდებოდა, არამედ სიმბოლოებით, მსგავსად იმისა, როგორც დღეს შეიცვალა ხშირ შემთხვევაში სიმბოლოებს სიზმრები. სიზმარს შეუძლია, მაგ., იმოქმედოს ისე, რომ ცეცხლი გარედან ჩვენ მიერ აღქმული იქნება, ვთქვათ, სხივოსანი არსების სიმბოლოდ, როგორც სურათზე. ამ სახით აღიქვამდა ძველი მთვარის ცნობიერებაც გარეგნულ საგნებს, ანუ შიგნით თავის თავში და ამავე დროს სურათ-ხატებში. მაშასადამე, ძველი მთვარის ეს ცნობიერება იყო ხატოვანი და გააჩნდა სუბიექტური შეფერილობა. მას გააჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენი თანამედროვე ცნობიერებისაგან. ის საერთოდ არ მოქმედებდა ისე, რომ მისთვის არსებობდა გარეგნული საგნები, როგორც ჩვენი ამჟამინდელი მიწიერი ცნობიერებისთვის. რასაც თქვენ ახლა საკუთარ გარემოს უწოდებთ, რასაც დღეს აღიქვამთ, როგორც მცენარეული, მინერალური და ცხოველური სამეფოების საგნებს, ეს ძველი მთვარის განვითარების ცნობიერებისთვის საერთოდ არ არსებობდა. მაშინ უფრო დაბალ, სიზმრისებრ საფეხურზე ნამდვილად ხდებოდა რაღაც, მსგავსი იმისა, რაც ახლა ხდება იმის სამშინველში, ვისშიც ვითარდება ხედვის ძალა, ანუ ცნობიერი ნათელხილვა. ამ გამოდვიძებული ნათელმხილველური ცნობიერების პირველი ნიშნები ისეთია, რომ თავიდან მას საერთოდ არა აქვს რაიმე შეხება გარეგნულ არსებებთან. არსებითად, აქ არის დამალული მრავალგვარი ცდუნებე-

ბის წყარო იმისთვის, ვინც თავისი, ვთქვათ, ეზოთერული განათლების წყალობით თავის თავში იწყებს ნათელხილვის ნიჭის განვითარებას.

ნათელმხილველური ძალების განვითარება თანდათანობით, საფეხურებად ხდება. პირველ საფეხურზე ვითარდება სხვადასხვაგვარი უნარი და ადამიანი თავის გარშემო სხვადასხვა მოვლენას ხედავს. მაგრამ ის აღმოჩნდებოდა უდიდეს ცდუნებაში, თუ თავის გარშემო, ანუ სულიერ სივრცეში, ამ ხედვებს მაშინვე სულიერ რეალობად მიიღებდა. ჩვენს როზენკროიცერულ მისტერიაში იოჰანნეს ტომაზიუსი ასტრალური ხედვის ამ პერიოდს გაივლის. შეგახსენებთ იმ სურათებს, რომლებიც წარმოიქმნება იოჰანნეს ტომაზიუსის სამშვინველის წინაშე, როცა იგი ჩაფლული ჰვრეტის პროცესში ზის ავანსცენაზე, მედიტირებს და ამ დროს მას ესხნება სულიერი სამყარო. ის ხედავს სხვადასხვა ხატს და ელემენტების სული დასაწყისში იოჰანნესს უხსნის იმ არსებების სურათ-ხატებს, რომლებიც მისთვის უკვე ცნობილია მიწიერი ცხოვრებიდან. საქმე ის არის, რომ იოჰანნეს ტომაზიუსი გაიცნობს პროფესორ კაპეზიუსსა და დოქტორ შტრადერს. ამის წყალობით მან ჯერ კიდევ ფიზიკურ პლანზე თავის თავში აღიქვა გარკვეული წარმოდგენები ამ ორ პიროვნებაზე. და როცა მის მიერ განცდილი უდიდესი ტკივილის შემდეგ, ასე ვთქვათ, იწყებს გამოვლენას ნათელმხილველური უნარი, იოჰანნეს ტომაზიუსი კვლავ ხედავს ამ ორ პიროვნებას. მაგრამ ის მათ უცნაურ სურათ-ხატებში ხედავს. კაპეზიუსს იგი ხედავს ისეთს, როგორიც ის იყო, შესაძლოა, 25 ან 26 წლის ასაკში და არა ისეთს, როგორიცაა იმ დროს, როცა იოჰანნეს ტომაზიუსი მედიტაციაშია ჩაფლული. ასევე ხედავს იგი დოქტორ შტრადერსაც არა ისეთს, როგორიცაა ის მოცემულ მომენტში, არამედ როგორიც უნდა გახდეს იგი სიბერეში, თავისი ამ განსხეულებისას. ეს და კიდევ მრავალი სხვა ხატი ჩნდება იოჰანნეს ტომაზიუსის სამშვინველის წინაშე. დრამატულად ეს ყველაფერი შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ისე, რომ მედიტაციისას სამშვინველის წინაშე ამოხიდული სურათები სცენაზე თამაშდება. იოჰანნეს ტომაზიუსის შეცდომა ის კი არ არის, რომ იგი ამ ხედვებს ილუზიებად იღებს; ეს იქნებოდა სრული შეც-

დღმა. ერთადერთი სწორი დამოკიდებულება ამ ხედვებისადმი იქნება, თუ ის თავის თავს ეტყვის: ახლა მე ჯერ არ შემიძლია, ვიცოდე, რამდენად ვიტყუებ თავს და რამდენია ამაში რეალობა. მან ჯერ კიდევ არ იცის, არის თუ არა სულიერი რეალობა ამ ხილვებში მის წინაშე წარმოჩენილი, ვთქვათ, ის, რაც შეტანილია აკაშა-ქრონიკაში, ან მან თავისი საკუთარი თვითება (Selbst) განავრცო მთელ სამყაროში. შეიძლება იყოს ერთიც და მეორეც, და მან ეს უნდა გაიგოს. მას ჯერაც არ გააჩნია უნარი, განასხვავოს სულიერი რეალობა ხატოვანი ცნობიერებისაგან. მან ეს უნდა გაიაზროს. მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა მასში თავს იჩენს დევახანას ცნობიერება, როცა ტომაზიუსი დევახანაში სულიერ რეალობას განიცდის სულიერ-რეალურ არსებასთან, მარიამთან შეხვედრისას, რომელიც მან იცის ფიზიკური პლანიდან, – მხოლოდ ამ მომენტიდან შეუძლია მას, როცა უკან, წარსულისკენ გაიხედავს, რეალობა განასხვავოს ჩვეულებრივი ხატოვანი ცნობიერებისაგან. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ადამიანი თავისი ეზოთერული განვითარების გზაზე გაივლის პერიოდს, როცა ის გარემოცულია სურათ-ხატებით და ამავე დროს ჯერაც არა აქვს უნარი, განასხვავოს სულიერი რეალობა თავად სურათ-ხატებისაგან. ცხადია, როზენკროიცერული დრამის სცენებში სულიერი რეალობები იხსნებოდა. ასე მაგ., ის, რაც წარმოჩნდება პროფესორ კაპეზიუსის სახით, არის მისი რეალური გამოხატულება, შეტანილი აკაშა-ქრონიკაში მისი ახალგაზრდობიდან, ხოლო მასში დოქტორ შტრადერის სახით წარმოჩენილი არის მისი მოხუცებულობის ასაკის რეალური ასახვა. დრამაში ისინი იგულისხმება რეალურად, მხოლოდ იოჰანეს ტომაზიუსმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს ფიგურები რეალურია.

ანალოგიურ პერიოდს, ოღონდ უფრო დაბალ საფეხურზე, რომელიც მსგავსი იყო სიზმრისებრი საფეხურისა, გადიოდა ცნობიერება ძველ მთვარეზე, ასე რომ, ხსენებულ განსხვავებაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშასადამე, განსხვავების უნარი მხოლოდ მოგვიანებით ვლინდება და აუცილებელია ეს მტკიცედ გვახსოვდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ნათელმხილველი თანდათანობით შეესისხლხორცება თავისებური სახის ხატოვან ცნო-

ბიერებას. თუმცა ძველი მთვარის პერიოდში გამოჩენილი სურათ-ხატები იყო რაღაც სრულიად სხვა, ვიდრე ჩვენი მიწიერი ცნობიერების საგნები. ნათელხილვის სათავეებთან და ახლანდელ დროში ისინი ასევე, რაღაც სრულიად სხვა რამეს ნიშნავს. თავისი განვითარების დასაწყისში ნათელმხილველიც საერთოდ ვერ ხედავს გარედან სულიერ არსებებს, ის ხედავს სურათ-ხატებს. ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავს ვკითხოთ: რას ნიშნავს ეს სურათ-ხატები, რომლებიც ახლა ამოტივტივდებიან? დიას, თქვენ ხედავთ, რომ ნათელხილვის პირველ საფეხურზე ისინი სრულებითაც არ არის რეალური სულიერი არსებების გამოხატულება, არამედ თავიდან ისინი, ასე ვთქვათ, ორგანოების განსაკუთრებული სახის ცნობიერებაა. ეს ხატოვანი სურათები თითქოსდა პროექციაა სივრცეში იმისა, რაც ჩვენ შიგნით ხდება. და როცა ნათელმხილველი ავითარებს თავის თავში უნარებს, მას შეუძლია, თუ რეალურ მაგალითს ავიღებთ, შორს სივრცეში დაინახოს ორი კაშკაშა მანათობელი სფერო. ეს იქნება სხვადასხვა ფერით მოკაშკაშე ორი სფეროს გამოხატულება. ამ შემთხვევაში თუ ნათელმხილველი იტყვის: იქ, სადღაც სივრცეში იმყოფება ორი არსება, – მაშინ იგი, დიდი ალბათობით, შეცდება; ყოველ შემთხვევაში თავიდან ეს არ იქნება ფაქტის სწორი განმარტება; სინამდვილეში, ეს იქნება სრულიად სხვა რამ. სინამდვილე კი ისაა, რომ ნათელხილვა, თავად ადამიანში სხვადასხვა ძალის გამოვლენისას მათ პროეცირებას ახდენს სივრცეში და სწორედ ისინი წარმოჩნდება ორი სფეროს სახით. ეს ორი სფერო შეიძლება წარმოადგენდეს, მაგ., იმას, რაც მუშაობს ნათელმხილველის ასტრალურ სხეულში და მის თვალეში გამოიმუშავებს მხედველობით ძალას, რომელიც შეიძლება, პროეცირდეს სივრცეში ორი სფეროს სახით. არსებითად, ასეა წარმოდგენილი შინაგანი ძალები ასტრალური სივრცის გარეგნული მოვლენებით. უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ მათ ჩათვლიდნენ სულიერი არსებების გარეგნულ გამოხატულებად.

კიდევ უფრო შეცდებოდნენ თავიდან საკუთარ თავში რაიმე პროცედურებით ხმების მოსმენის უნარს თუ გამოწვევდნენ და მათ მაშინვე მიიღებდნენ სულიერ გამოცხადებად. ეს იქნებოდა ყველაზე უხეში ტყუილი, რომელსაც შე-

უძლია განადგურება. ეს ხმები სხვა არაფერი იქნება, თუ არა შინაგანი პროცესების გამოძახილი. მაშინ, როცა ფერადი ხატები და სხვადასხვა ფიგურა წარმოადგენს საკმაოდ წმინდა შინაგანი პროცესების ანასახს, ხმები მეტწილად წარმოადგენს სამშვიდობის მოუწესრიგებელ მდგომარეობებს. თითოეულისთვის, ვინც იწყებს ხმების მოსმენას, თავიდან ყველაზე კარგი იქნებოდა ამ უწყებებს არ მიენდონ. ასე რომ, თქვენთვის ნათელია, რომ დაწყებულ ხატოვან წარმოდგენებს საჭიროა, ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით მოვეპყრათ. თავიდან ის არის გარეთ, სივრცეში საკუთარი ორგანოების განსაკუთრებული სახის ცნობიერება, შინაგანი ცხოვრების პროექცია. განვითარების კანონებით ორგანოების ცნობიერება ძველი მთვარის დროს ნორმალური იყო. ძველ მთვარეზე ადამიანი მის შიგნით მომხდარის გარდა სხვა რამეს ოდნავ თუ აღიქვამდა.

მე არაერთხელ შეგახსენებდით გოეთეს მრავლისმთქმელ გამონათქვამს: თვალები წარმოიქმნა *სინათლის წყალობით და სინათლისთვის**. საჭიროა ამ სიტყვების აზრს ჩავუღრმავდეთ. ადამიანის ყველა ორგანო წარმოიქმნა მისი გარემომცველი გარემოს მეშვეობით და შეიქმნა მისი გარემომცველი გარემოსთვის. ძალზე ზედაპირულია ის ფილოსოფია, რომელიც ჭეშმარიტების მხოლოდ ერთ მხარეზე აქცენტირებს, როცა ამბობს: თვალის გარეშე ადამიანი სინათლეს ვერ დაინახავდა. მეორე ძალზე მნიშვნელოვანი მხარე ამ ჭეშმარიტებისა დასადავებს: სინათლის გარეშე ვერასდროს განვითარდებოდა თვალები, ბგერის გარეშე ვერ წარმოიქმნებოდა ყური და ა. შ. უფრო ღრმა თვალსაზრისიდან, მთელი კანტიანელობა არის ზედაპირული, ვინაიდან ჭეშმარიტების მხოლოდ ერთ მხარეს განიხილავს. სინათლე, რომელიც ავსებს და ანათებს სამყაროს სივრცეს, არის მიზეზი, რომელმაც შექმნა ჩვენი მხედველობის ორგანოები. ძველი მთვარის დროს ჩვენი სამყაროს ჩამოყალიბებაში მონაწილე არსებების ძირითადი სამუშაო კონცენტრირებული იყო ორგანოების აგებაზე. თავიდან უნდა შექმნილიყო ორგანოები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მათი აღქმა. ჩვენი ამჟამინდელი საგნობრივი ცნობიერება ეყრდნობა იმას, რომ თავიდან აიგო ორგანოები. ჩვენი გრძნობის ორგანოები, როგორც წმინდა

ფიზიკური აპარატები შეიქმნა ძველ სატურნზე: ჩვენი თვალი იყო, როგორც რაღაც ბნელი კამერა, რომელსაც ფოტოგრაფი იყენებს. მაგრამ მსგავსი წმინდა ფიზიკური აპარატები ვერაფერს გრძნობენ, ვერაფერს აღიქვამენ. ისინი აგებულია ფიზიკური კანონების შესაბამისად. ძველ მთვარეზე ეს ორგანოები შინაგანი გრძნობით აღიჭურვა. ამიტომ, როცა განვიხილავთ თვალს, საჭიროა ვთქვათ: ძველ სატურნზე ის ისე იყო აგებული, რომ შეეძლო ემსახურა მხოლოდ ფიზიკური აპარატის მსგავსად, მთვარის საფეხურზე კი მასზე დაცემული მზის სხივების გავლენით ის გარდაიქმნა აღქმის ორგანოდ, ცნობიერების ორგანოდ. ძველი მთვარის პერიოდის მუშაობიდან ყველაზე არსებითი იყო ის, რომ ეს ორგანოები, ასე ვთქვათ, არსებისგან ამოიღეს. მიწიერი მუშაობის დროს კი უმთავრესია, რომ სინათლე, მაგ., მოქმედებს მცენარეებზე, ხელს უწყობს მათ განვითარებას. სინათლის ამ ქმედების სახით ჩვენ ვხედავთ გარეგნულ ფლორას. სინათლე ძველ მთვარეზე ასეთი სახით არ მოქმედებდა; მაშინ ის ორგანოებს გარედან იღებდა და რასაც ადამიანი აღიქვამდა იმ დროს, სხვა არაფერი იყო, თუ არა მუშაობა მის საკუთარ ორგანოებზე. აღიქვამდნენ სურათ-ხატებს, რომლებიც თითქოსდა ავსებდნენ სამყაროს სივრცეს. ისე ჩანდა, თითქოს ეს გამოსახულებები სივრცეში იყო განფენილი. სინამდვილეში ეს გამოსახულებები მხოლოდ სტიქიების ყოფიერების მუშაობის გამოხატულება იყო ადამიანის ორგანოებზე. როგორც იქმნებოდა თავად იგი, როგორც ამოიზრდებოდა მისი არსებიდან, ასე ვთქვათ, თვალების აღმქმელი, ასეთი მუშაობა თავად თავის თავზე, თავისი საკუთარი შინაგანი ჩამოყალიბება – აი რას აღიქვამდა ადამიანი ძველ მთვარეზე. მისთვის გარე სამყარო, არსებითად, შინაგანი სამყარო იყო, ვინაიდან მთელი გარე სამყარო მის შინაგან სამყაროზე მუშაობდა. ის განასხვავებდა გარეგან სამყაროს შინაგანი სამყაროსგან. იგი მზეს არ ხედავდა, როგორც რაღაც გარეგნულს. იგი არ განაცალკევებდა მზეს თავისი თავისგან, არამედ გრძნობდა, როგორ იქმნებოდა მასში თვალები. მისი თვალების ჩამოყალიბებაზე ეს მუშაობა მას აფართოებდა გარეთ, რაღაც ხატოვანი აღქმისკენ, რო-

მელიც სივრცეს ავსებდა. ამ გზით აღიქვამდა ის მზეს, მაგრამ ეს იყო შინაგანი პროცესი.

ყველაზე დამახასიათებელი ძველი მთვარის ცნობიერებიდან იყო ის, რომ ადამიანი ხილული ხატოვანების სამყაროთი იყო გარემოცული; ეს ხატოვანება კი შინაგანი ქმნადობის, მისი მშვინვიერი ყოფიერების შინაგანი აგებულების სიმბოლოს წარმოადგენდა. ამრიგად, მთვარის ადამიანი ჩაკეტილი იყო ასტრალურში და თავის საკუთარ ქმნადობას გრძნობდა, როგორც გარე სამყაროს. ახლა შინაგანი ქმნადობის ასეთი აღქმა გარე სამყაროს სახით, რომლის დროსაც იკარგება სურათებისა და ხატოვანების გარჩევის უნარი, რომელიც ვლინდება საკუთარი შინაგანი ზრდის ანასახის სახით გარე სამყაროსაგან, – ახლა ეს იქნებოდა ავადმყოფობა. ძველი მთვარის მდგომარეობისას ეს იყო ნორმა. ასე მაგ., მთვარის ადამიანი თავისი საკუთარი არსების შიგნით აღიქვამდა იმ არსებების მუშაობას, რომლებიც შემდგომში იქცნენ ელოჰიმებად; როგორც ახლა შეგიძლიათ იგრძნოთ საკუთარი სისხლის მიმოქცევა, დაახლოებით ასე აღიქვამდა იგი მაშინ ამ ელოჰიმების მოქმედებას. ეს ყველაფერი მის შიგნით ხდებოდა და მისთვის მხოლოდ გარეგნულ სურათებში აისახებოდა.

ასეთი სახის ცნობიერება მხოლოდ ძველ მთვარეზე იყო შესაძლებელი. ვინაიდან ყველაფერი, რაც ჩვენს დედამიწაზე ხორციელდება, ჰარმონიაში უნდა იყოს მთელ კოსმოსთან. მიწიერი ადამიანისთვის დამახასიათებელი ცნობიერება, – მისი გარეგნულის განსხვავებით შინაგანისგან, აღქმის ისეთი სახით, რომლის დროსაც ჩვენ გარეთ არსებობს გარეგნული რეალური საგნები, რომელთა გვერდითაც წარმოვიდგენთ შინაგან სივრცეს, – მოითხოვდა, რომ მთელი განვითარება მთვარიდან გადასულიყო დედამიწაზე, რათა მომხდარიყო მთელი ჩვენი კოსმოსური სისტემის სრულიად სხვა სახის განაწილება. ასე მაგ., მთვარესა და დედამიწას შორის დაყოფა ამჟამინდელის მსგავსად, ძველი მთვარის დროს ჯერ კიდევ საერთოდ არ არსებობდა. რასაც ჩვენ ძველ მთვარეს ვუწოდებთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს ამჟამინდელი მთვარე ჯერ კიდევ შეერთებული იყო დედამიწასთან. ამის წყალობით სხვა პლანეტებიც, მზის ჩათვლით, სრულიად სხვაგვარად იყო მოწყობილი. და

მაშინდელ პირობებში შეიძლებოდა, მხოლოდ ჩვენ მიერ აღწერილი ხატოვანი ცნობიერების განვითარება. ჩვენთვის ნიშანდობლივი საგნობრივი ცნობიერების განვითარება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მთელმა კოსმოსმა, რომელსაც ჩვენც მივეკუთვნებით, მიიღო ის იერი, როგორიც ამჟამად მისთვის არის დამახასიათებელი.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: ისეთი ცნობიერება, როგორც ადამიანს აქვს მიწიერი ცნობიერების სახით, შეიძლებოდა მას მხოლოდ დედამიწის დროს მოეპოვებინა. მხოლოდ ადამიანს კი არ ჰქონდა ასეთი ცნობიერება, არამედ ის ასევე არ ჰქონდათ სხვა არსებებსაც, რომლებიც ამა თუ იმ იერარქიას მიეკუთვნებოდნენ. სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა, მაგ., ვარაუდი, რომ ანგელოზებს, რომლებმაც თავიანთი ადამიანურობის საფეხური განვლეს ძველ მთვარეზე, სწორედ ამის წყალობით უნდა ჰქონოდათ ისეთივე ცნობიერება, როგორიც ახლა გააჩნია ადამიანს დედამიწაზე. ეს ასე არ იყო და ისინი სწორედ იმით განსხვავდებიან ადამიანისაგან, რომ თავიანთი ადამიანური საფეხური სხვა ცნობიერებით განიცადეს. პირდაპირი გამეორება იმისა, რაც ერთხელ უკვე იყო, არასდროს ხდება. განვითარების ყოველი მომენტი მხოლოდ ერთხელ ხორციელდება, იმიტომ, რომ საჭიროა, განხორციელდეს და არა იმიტომ, რომ განმეორდეს ძველი. ამრიგად, იმ ცნობიერების განვითარებისთვის, რომელსაც ამჟამად ფლობს ადამიანი, აუცილებელი იყო ყველა იმ პროცესის განვითარება, რომელმაც შექმნა დედამიწა და ადამიანი გახადა ისეთი, როგორიც ის არის ამჟამად. განვითარების ადრინდელ საფეხურებზე მიწიერი არსებებისთვის შეუძლებელი იყო ასეთი ცნობიერების განვითარება. როცა ჩვენ ვხვდებით საგანს, მაშინ ის ჩვენ გარეთ არსებობს და წარმოადგენს რაღაცას ჩვენ ირგვლივ გარემოში. და მაინც ჩვენთვის ცნობილი არსებების ადრინდელი ცნობიერება იყო ისეთი, რომ გარეგნულსა და შინაგანს ერთმანეთისგან არ განასხვავებდა, ამიტომაც მათთვის უაზრობა იყო ამის თქმა: ჩვენ ვხედავთ რაღაცას, როგორც ჩვენ წინაშე მდგომს. ეს ელოპიმებისთვისაც არ არსებობდა. მათ მხოლოდ ასე შეეძლოთ ეთქვათ: ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ სამყაროში; ჩვენ ვქმნით და ქმნადობის აქტში ვაცნობიერებთ

საკუთარ შემოქმედებას. მაგრამ ჩვენ წინაშე არაა საგნები, ჩვენ ვერ ვხედავთ ჩვენ წინაშე საგნებს. ის ფაქტი, რომელიც ძვეს გამონათქვამში „ჩვენ ვხედავთ ჩვენ წინაშე საგნებს, ის ასახავს თავის თავს გარეთ, სივრცეში, რომლისგანაც თავად გამოიძინულია, რომელსაც ის უპირისპირდება, როგორც გამოიძინული ცალკე არსება“, – ესაა ფაქტი, რომელიც ელოჰიმებისთვისაც მხოლოდ მიწიერი ყოფიერების დროს დადგა. ძველი მთვარის ყოფიერებაში ელოჰიმები თავის თავს გრძნობდნენ, როგორც იმ სინათლეში მცხოვრებსა და ქმედითს, რომელი სინათლეს ძველი მზიდან იღვრებოდა ძველ მთვარეზე; მათ შეეძლოთ საკუთარი თავისთვისაც ეთქვათ: ჩვენ ვგრძნობთ საკუთარ თავს ამ სინათლის შიგნით; ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ვეფლობით ამ სინათლესთან ერთად არსებებში, რომლებიც ადამიანების სახით ძველ მთვარეზე ცხოვრობდნენ; ჩვენ ამ სინათლეში თითქოსდა დაექრივართ სივრცის გაელით“. მსგავსი რამ შეუძლებელი იყო ძველი მთვარის მდგომარეობისას, ვინაიდან ეს წარმოადგენდა რაღაც სრულიად ახალ ფაქტს მხოლოდ მიწიერ ყოფიერებაში.

როცა განვითარების განსაზღვრულ მომენტთან მიმართებით ჩვენ გენეზისში ვხვდებით მონუმენტურ სიტყვებს „და ელოჰიმებმა თქვეს: დაე, იქმნას ნათელი“, მაშინ ამას უნდა შეუერთდეს ახალი ფაქტი: რომ ახლა ისინი არა მარტო გრძნობდნენ თავის თავს სინათლესთან ერთად მიმდინარედ, არამედ გრძნობდნენ, რომ საგნები არეკლავდნენ მათთვის ამ სინათლეს და მათ წინაშე გარეგნულ სივრცეში წარმოჩნდებოდა საგნები. შესაქმის ავტორი ამას გამოხატავს იმით, რომ სიტყვებს: „და ელოჰიმებმა თქვეს: დაე, იქმნას ნათელი“, ამატებს „და ელოჰიმებმა იხილეს სინათლე“. დიახ, ამ წიგნში არ არის ზედმეტი სიტყვები, არ არის ცარიელი ფრაზები. შეიძლება მხოლოდ ვისურვოთ, რომ ამ უძველესი წიგნის წყალობით ადამიანებმა ისწავლონ, ასევე არაფერი დაწერონ ისეთი, რასაც არ გააჩნია სრულფასოვანი შინაარსი, არ დაწერონ ცარიელი ფრაზები. შესაქმის ავტორი ზედმეტს არაფერს ამბობს, არ წერს რაიმეს ისეთს, რაც იქნებოდა შელამაზება ამ სიტყვის ობივატურული აზრით, რათა თავის მხრივ შეელამაზებინა სინათლის შექმნა, მაგ., ასეთი სახით: აი, ელოჰი-

მებმა თქვეს: დიას, ჩვენ ვხედავთ სინათლეს და კმაყოფილი ვართ საკუთარი თავით, რომ შევქმენით ის კარგად. აზრი ის არის, რომ ამ მოკლე წინადადებით მითითებულია რაღაც ახალში შესვლაზე.

ამავე დროს იქ ნათქვამია არა მარტო „და ელოჰიმებმა იხილეს სინათლე“, არამედ ნათქვამია „მათ იხილეს, რომ ეს მშვენიერია, ან კარგია“. აქ მე შევნიშნავ, რომ ძველებრაულ ენაზე არ კეთდება ისეთი განსხვავება სიტყვებს „კარგსა“ და „მშვენიერს“ შორის, როგორც ამას ახლა ვაკეთებთ. იგივე სიტყვა ძველებრაულ ენაზე „კარგსაც“ ნიშნავს და „მშვენიერსაც“. მაინც რა არის, არსებითად, ამ სიტყვებით აღნიშნული? ძველი სანსკრიტის ენაზე და გარკვეულწილად თვით გერმანულ ენაშიც ჯერ კიდევ ისმის ეს აზრი. სიტყვა „მშვენიერი“ მოიცავს ყველა სიტყვას, რომელიც ყველა ენაზე ნიშნავს, რომ რაღაც შინაგანი, რაღაც სულიერი ვლინდება გარეგნული სახით. „იყო მშვენიერი“ ნიშნავს, რომ გარეგნულში ვლინდება შინაგანი. დღემდე ყველაზე უკეთესი წარმოდგენა ლამაზზე არის ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც მშვენიერი ფორმის მქონე საგანში არსებობს მისი შინაგანი, სულიერი არსების ფიზიკური ხატი. გრძნობად სამყაროში „მშვენიერს“ ვუწოდებთ იმას, რისგანაც სულიერი ასხივებს. „როდის არის მარმარილოს ქმნილება „მშვენიერი“? როცა ის თავისი გარეგნული ფორმით ქმნის ილუზიას, რომ მასში ცხოვრობს რაღაც სულიერი. გარეგნული ფორმის მეშვეობით სულიერის გამოვლენა არის მშვენიერება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაქმის სიტყვებით „ელოჰიმებმა იხილეს სინათლე“ გამოხატულია რაღაც სპეციფიკური მიწიერ განვითარებაში, მაგრამ ამაუღროულად ისიც, რომ ადრე მხოლოდ სუბიექტურად გაცდილი ახლა ობიექტურსაც წარმოადგენს; სხვა სიტყვებით, სული წარმოჩნდება თავისი გარეგნული გამოვლინებით. ამიტომ ჩვეულებრივი სიტყვებით გადმოცემული გამონათქვამი „და ელოჰიმებმა იხილეს სინათლე და დაინახეს, რომ ის მშვენიერია“ – ახლა ასე გამოვხატოთ: „და ელოჰიმებმა განიცადეს ცნობიერება, რომ ის, რაშიც ისინი ადრე იყვნენ, მათ გარეგნული სახით დაუპირისპირდა; ამ გამოცხადების საფუძველში კი განიცადეს ის, რომ უკან

მდგომ სულს დასჭირდა თავისი თავის აღბეჭდვა გარეგნულში“, – ვინაიდან სწორედ ამას აღნიშნავს სიტყვები, რომ ის იყო „მშვენიერი“. ისეთ წიგნს, როგორცაა შესაქმე, თქვენ უკეთ გაიგებთ, თუ არაფერს მიიღებთ ცარიელ სიტყვად და ყველგან მოიძიებთ საიდუმლოს, რომელიც ნამდვილად არის სიტყვებში დამალული. თქვენ ნამდვილად ჩასწვდებით, სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ამ წიგნის სიღრმეებს, მაშინ, როცა ნებისმიერი განმარტება სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ფილისტერობა.

ახლა კიდევ უფრო წინ წავიწიოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ ყველაზე დამახასიათებელი მთვარის მდგომარეობაში შეიძლება, შექმნილიყო მხოლოდ მთვარისგან მზის გამოყოფის წყალობით. შემდეგ დავრწმუნდით, მიწიერი განვითარების მსვლელობის დროს მზისა და დედამიწის კვლავ დაშორების აუცილებლობაში, დავრწმუნდით, რომ აუცილებელია, ასე ვთქვათ, ცნობიერებით დაჯილდოებული არსებების ცხოვრებისთვის, არსებობისთვის ორობითობა (Zweiheit). მიწიერი უნდა გამოცალკეებულყო. თუმცა ასეთი გამოსვლა კიდევ სხვა რამესთან არის დაკავშირებული. მას უკავშირდება ის, რომ სტიქიები, როგორც მთელი მთვარის, ასევე მზისაც, თავის ბუნებას იცვლიან და სხვაგვარი ხდებიან. თქვენ თუ ამჟამინდელ მზეს შეხედავთ მხოლოდ ფიზიკური კუთხით, მაშინაც საჭიროა საკუთარ თავს უთხრათ: ისეთი მდგომარეობები, როგორც დამახასიათებელია დედამიწისთვის და როგორცაა ჩვენ ვუწოდებთ მყარსა და თხევადს, საეჭვოა ვივარაუდოთ ფიზიკურ მზეში. ყველაზე მყარი მდგომარეობა, რომლის პოვნის იმედიც შეიძლება, გვექონდეს მზეზე, ეს იქნებოდა გაზისებრი. ასე მიიჩნევს ჩვენი თანამედროვე ფიზიკა. ნივთიერებათა ასეთი განაწილება, ზოგადად, ხდება იმის დაყოფის შედეგად, რაც ადრე რაღაც ერთიანს წარმოადგენდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ სითბოს სტიქიის პროგრესირებადი გამკვრივების წყალობით მიწისებრი განვითარდა მიწიერამდე, მყარამდე. გარედან ამ მიწიერში იჭრება ის, რაც წარმოადგენს უფრო ნატიფ სტიქიას იქ ზევით, ესაა – სინათლის ეთერი, ბგერის ეთერი, სასიცოცხლო ეთერი. მაგრამ ჩვენ ვერ ვივარაუდებთ, რომ გამოცალკეებულ მზეში იგივე ხდება. პირიქით, საჭიროა ვთქვათ: ჩვენთვის ცნო-

ბილ ყველაზე ნატიფ მდგომარეობას წარმოადგენს ის, რაც თავის თავში ატარებს, იძლევა და ავრცელებს სიცოცხლეს, შემდეგ ის, რასაც ვუწოდებთ რიცხვით, ანუ ბგერით ეთერს; შემდეგ გვაქვს სინათლის ეთერი და სითბოს ეთერი; ამას მოსდევს გაზისებრი, ანუ ჰაერი, წყალი და მიწა, ანუ მყარი. ეს არის ელემენტარული ყოფიერების შვიდი მდგომარეობა. მიწიერის სფეროში კი მოგვიწევს იმის ძიება, რაც სითბომდე მალდდება. სითბო მსჭვალავს ჩვენს მიწიერს მაშინ, როცა სინათლესთან მიმართებით უნდა ვთქვათ, რომ მიწიერი მხოლოდ იმდენად არის დაკავშირებული მასთან, რამდენადაც მონაწილეობენ მის ცხოვრებაში არსებები მისი გარემოდან, უმჯობესი იქნება ითქვას, სხეულები გარემოდან. სინათლეს დედამიწაზე ასხივებს მზე. ჩვენ თუ მოვისურვებდით, ასე ვთქვათ, სამი უმაღლესი ელემენტარული მდგომარეობის, – სინათლის, ბგერისა და სასიცოცხლო ეთერების, – ლოკალიზაციას, მაშინ უნდა გვეთქვა: ისინი უნდა ვეძიოთ, ალბათ, მზეში. მიწიერში ჩვენ ვპოულობთ მყარს, თხევადსა და გაზისებრს; სითბო განაწილებულია აქაც და იქაც, მიწიერშიც და მზეშიც. ამ უკანასკნელში კი დავიწყებთ სინათლის, სულიერად ჟღერადისა და სასიცოცხლოს ძიებას. სიცოცხლის მომნიჭებლის ძიება ალბათ უნდა დავიწყოთ მზეში.

პირველად ეს მზე გამოცალკევდა ძველი მთვარის ყოფიერების პერიოდში. იქ, ძველ მთვარეზე პირველად გამოვლინდა გარედან ქმედითი სინათლე, მაგრამ არა როგორც სინათლე. მე ზემოთ უკვე განვმარტე, რომ შესაქმის გამონათქვამის, – „და ელოჰიმებმა იხილეს სინათლე“, – მისადაგება მთვარის განვითარებასთან წარმოუდგენელი იქნებოდა. იმ დროებისთვის უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა: „და ელოჰიმები დაჰქროდნენ სინათლეში, კვეთდნენ რა სივრცეს; ისინი იყვნენ სინათლის შიგნით, მაგრამ მას ვერ ხედავდნენ“. დაახლოებით ისე, როგორც ის, ვინც ცურავს წყალქვეშ, არსებითად, ვერ ხედავს წყალს, არამედ მხოლოდ მოძრაობს მასში, ასევე იყო მაშინაც სინათლე უხილავი, ის იყო მხოლოდ სივრცეში კოსმიური მუშაობის მატარებელი. მხოლოდ დედამიწაზე გახდა სინათლე ხილული, დაიწყო არეკვლა საგნებისგან.

მთვარის პერიოდში სინათლესთან დაკავშირებით რაც ხდებოდა, ეს ბუნებრივი სახით უნდა გამეორებულიყო დედამიწის განვითარებისას უფრო მაღალ საფეხურზე. ამიტომ საჭიროა ველოდოთ, რომ ძველ მთვარეზე სინათლესთან დაკავშირებით არსებული მიწიერი განვითარების დროს გამოვლინდება, როგორც ბგერით ეთერთან არსებული. სხვა სიტყვებით, მიწიერი განვითარების დროს ბგერით ეთერთან მოხდება სწორედ ის, რაც მოუვიდა სინათლის ეთერს მთვარის განვითარების დროს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ელოჰიმებისთვის ის, რასაც ჩვენ სულიერად ქლერადი ვუწოდებთ, არ იქნება აღქმული, როგორც სინათლისებურად არეკლილი. ამიტომ გენეზისი თუ განიზრახავდა მიეთითებინა, რომ განვითარება სინათლის მოქმედებიდან მაღლდება ბგერითი ეთერის მოქმედებისკენ, მას ჩვენთვის უნდა ეთქვა დაახლოებით შემდეგი: „და ელოჰიმებმა მიწიერ განვითარებაში დაინახეს სინათლე და იხილეს, რომ ეს მშვენიერია“, – მაგრამ მას უნდა ეთქვა: „ისინი ცხოვრობდნენ და ქსოვდნენ მასში“. ამიტომ შესაქმის ე. წ. მეორე დღესთან დაკავშირებითაც არ უნდა ითქვას, რომ ელოჰიმებმა აღიქვეს ის პროცესი, რომლითაც ნივთიერებები დაიყვნენ ზედად და ქვედად; ელოჰიმების ამ მუშაობაზე არ უნდა ითქვას, მაგ., რომ მათ ის აღიქვეს; მაგრამ აქ შესაქმეს უნდა გამოეტოვებინა სიტყვა იმაზე, რომ ელოჰიმები ხედავენ, რომ ის მშვენიერია. მაშინ ეს შესაბამისობაში იქნებოდა ანთროპოსოფიის დებულებებთან. ამრიგად, შესაქმის შემქმნელ ნათელმხილველს შესაქმის ე. წ. მეორე დღისთვის უნდა გამოეტოვებინა სიტყვები: „და ელოჰიმებმა დაინახეს . . .“.

აიღეთ გენეზისი. იქ პირველ დღესთან დაკავშირებით ნათქვამია: „და ელოჰიმებმა იხილეს სინათლე და დაინახეს, რომ ეს მშვენიერია“. მეორე დღესთან დაკავშირებით ჩვეულებრივ თარგმანებში ასეა ნათქვამი: „და თქვა ღმერთმა: იყოს მყარი წყლებს შორის მათ გამყოფად. და შექმნა ღმერთმა მყარი წყალსა და წყალს შორის. და იქმნა ასე. და უწოდა ღმერთმა გაყოფილს ცა. და იყო ღამე და იყო დღე – მეორე დღე“. ხოლო ფრაზა, რომელიც დგას შესაქმის პირველი დღის ბოლოს, გამოტოვებულია. გენე-

ზისი ყველაფერს ყველა ისე, როგორც ამას შეიძლება, ველოდოთ სულისმეცნიერების თვალსაზრისით.

აქ თქვენ კვლავ გაქვთ გადაულახავი დილემა (Crux, იგივე ჯვარი), რომელსაც ვერაფრით უმკლავდებოდნენ XIX ს-ის განმმარტებლები. იყვნენ განმმარტებლები, რომლებიც ამბობდნენ: „განა სამწუხაროა, რომ ეს ფრაზა მეორე დღეს გამოტოვებულია? ვინაიდან ეს არის გულმავიწყოება, დამწერის გაფანტულობა“. მაგრამ გენეზისისგან ადამიანებს შეეძლოთ ესწავლათ არა მარტო ის, რომ რაიმე არასაჭირო არ დაემატებინათ, არამედ ასევე არც არაფერი გამოეტოვებინათ. გენეზისის ავტორს არაფერი დავიწყებია, მან დაწერა ყველაფერი; და არსებობს სრულიად საფუძვლიანი მიზეზი, რომლითაც ხსენებული ფრაზა არაა ჩასმული შესაქმის მეორე დღესთან მიმართებით. ეს კიდევ ერთია ჩემ მიერ უკვე არაერთხელ ნახსენებ ფაქტებს შორის, რომლებიც გვაიძულებენ ღრმა მოწიწებით მოვეკიდოთ და დავაფასოთ ისეთი ძეგლები, როგორიცაა გენეზისი. ბევრი რამის სწავლა შეგვეძლო ჩვენ ამ ძველი მწერლებისგან, რომლებიც ყოველგვარი ფიცის გარეშე მტკიცედ მისდევდნენ წესს: „მათ მიერ მოპოვებული ჭეშმარიტებისთვის არაფერი დაემატებინათ და არაფერი დაეკლოთ“. ისინი განმსჭვალულნი იყვნენ ღრმა რწმენით, რომ მათ მიერ დაწერილი ყოველი სიტყვა უნდა იყოს წმინდა და არ არის საჭირო რაიმეს გამოტოვება.

შესაძლოა, ჩვენ შინაგანი საფუძვლებიდან გამომდინარე გავიგეთ, ასე ვთქვათ, შესაქმის პირველი და მეორე დღის კომპოზიცია. სულიერი ანალიზის გზით ხილულის მიღმა დაფარულის შემმეცნებელმა და შემდეგ ბიბლიის შემსწავლელმა შეიძლება, საკუთარ თავს უთხრას: საოცარი იქნებოდა, მეტიც განსაცვიფრებელი, თუ ყველა იმ ნიუანსს, რომლებიც შეიძლება ვიპოვოთ კეთილსინდისიერი სულიერი კვლევის დახმარებით, კვლავ იპოვიდნენ იმ უძველეს ნათელმხილველთან, რომელმაც გენეზისი დაამუშავა; და როცა ეს საოცრება დასტურდება, თქვენ მოგიცავთ აღფრთოვანების გრძნობა, რომლითაც უნდა ავსებულიყო ადამიანთა სამშვინველები, რათა განმსჭვალულიყვნენ სიწმიდით, რომელიც სიოსავით უბერავს ამ უძველესი დოკუმენტიდან, რომელსაც გენეზისს ვუწოდებთ.

ლექციების ამ კურსის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ მონახაზი იმისა, როგორ აისახებოდა ადრინდელი მოსამზადებელი მდგომარეობები, – განვითარება ძველ სატურნზე, მზესა და მთვარეზე, – ჩვენს მიწიერ ჩამოყალიბებაზე, ასე ვთქვათ, როგორ იჭრებოდა მასში. ცხადია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე არსებითი, მიწიერ ქმნალობაში რაც ყველაზე მეტად უნდა გვაინტერესებდეს, არის თავად ადამიანის განვითარება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანი, ასე ვთქვათ, მთელი ჩვენი პლანეტარული ევოლუციის პირმშოს წარმოადგენს. როცა საკუთარ მზერას მივაპყრობთ უკან ძველი სატურნის უძველეს დროებს, ვამჩნევთ, რომ ამ სითბური ცხოვრების მსვლელობისას შეიმჩნევა ადამიანის ფიზიკური სხეულის მხოლოდ პირველი ჩანასახი. ამჟამად მთელი ჩვენი გარემომცველი სამეფოები მინერალური, მცენარეული და ცხოველურის სახით იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ეს ყოველივე ადამიანის სამეფოს მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდა. ამიტომ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: თუ დაწვრილებით ჩაგხედავთ ამას, არსებითად, მაინც როგორი მიმართება ან როგორი დამოკიდებულება აქვს ბიბლიას თავის უწყებაში ადამიანის განვითარებასთან მიწიერი ქმნალობისას?

მომდევნო ლექციებში გაირკვევა, რომ ჩვენი დამოუკიდებელი ოკულტური კვლევებისგან დღეს რაც ჩვენთვის არის ცნობილი ამ ყველაფერზე, მთლიანად დასტურდება. ჩვენ თუ გენეზისს ზედაპირულად ვაკვირდებით, შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომ ადამიანი სრულიად მოულოდნელად, თითქოსდა დამბაჩიდან გასროლით, ჩნდება შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანი წარმოადგენს ყველაფრის ცენტრს და ყველა სხვა სამეფო, არსებითად, თითქოსდა მხოლოდ ნარჩენებია ადამიანის შექმნისას. ამიტომაც გვაინტერესებს დღეს საკითხი: მაინც რა ხდება, არსებითად, ადამიანთან შესაქმის იმ დღეებში, რომლებიც მეექვსეს წინ უსწრებს? ამ დროს სად უნდა ვეძებოთ ჩვენ ადამიანი? თუ მიწიერი ქმნალობა სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობების განსაკუთრებული სახის გამყო-

რებაა, მაშინ აუცილებელია, უპირველეს საქმედ ვივარაუდოთ ადამიანის შექმნის ეტაპების გამეორება, ამიტომ უკანასკნელს უნდა ეარსება ჯერ კიდევ შესაქმის მეექვსე დღემდე. როგორ უნდა აიხსნას ის მოჩვენებითი წინააღმდეგობა, რომ გენეზისი ადრე მის შესახებ არაფერს ამბობს?

უპირველეს ყოვლისა, აქ აუცილებელია, შევნიშნოთ, რომ გენეზისი იქ, სადაც ის იუწყება ადამიანის შექმნაზე, საუბრობს ადამზე და გარკვეული თვალსაზრისით გამოთქმა „ადამი“ ძველებრაველი მღვდელმსახურების ენაზე ემთხვევა ჩვენს სიტყვას „ადამიანი“. ის ძველებრაველი ბრძენის წარმოდგენაში იწვევდა რაღაც ისეთს, რაც ჩვენს თანამედროვე ენაზე შეიძლება, გადმოვცეთ სიტყვით „მიწიერი“. ამიტომ ადამიანი, როგორც ასეთი, არის მიწიერი არსებობის *kat' exochen*, თითქოსდა მთელი მიწიერი არსებობის გვირგვინი, ის, რაც მიწიერი ჩამოყალიბების ნაყოფს წარმოადგენს. მაგრამ ყველაფერი, რაც ნაყოფად იქცევა, ადრეც ხომ არსებობდა მთელი თავისი არსით მცენარეში. შესაქმის პირველ დღეებში ჩვენ ვერ ვიპოვით ადამიანს, თუ არ გავერკვევით, რომ სინამდვილეში ფიზიკური ადამიანი კი არ უსწრებს მშენიანიერ-სულიერს, არამედ პირიქით, სულიერ-მშენიანიერი – ფიზიკურს. ის, რაც დღეს წარმოადგენს ფიზიკურ მიწიერ ადამიანს, რასაც ახლა, არსებითად, ადამიანს ვუწოდებთ, ეს საჭიროა წარმოვიდგინოთ ისეთი სახით, თითქოს გვაქვს გარკვეული რაოდენობის წყალი, რომელიც გაცივების შედეგად ყინულად იქცევა. როგორც წყალი გამკვრივდა ყინულად, ასევე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მშენიანიერ-სულიერი ადამიანი შესაქმის მეექვსე დღეს ელოჰიმების მუშაობის წყალობით გამკვრივდა მიწიერ ადამიანად. მაშასადამე, შესაქმის მეექვსე დღისკენ წინსვლა წარმოადგენს მშენიანიერ-სულიერი ადამიანის გამკვრივებას მიწიერ ადამიანად. სრულიად ბუნებრივია, რომ შესაქმის წინა დღეებში ჩვენ არ დავიწყებთ ადამიანის ძიებას იმ სფეროში, სადაც ზეგრძნობადად წარმოიქმნება ფიზიკური ნარჩენები ან, უფრო ზუსტად, ფიზიკური ნარჩენების კანონი, არამედ მანამდე ადამიანს მოეძებნით სულიერ-მშენიანიერ მდგომარეობაში. ამიტომ ჩვენ თუ შესაქმისთან მიმართებით ვამბობთ, პირველ დღეს გამოვლინდა, ერთი მხრივ, შინაგანი იმპულსური, მეორე მხრივ – რაღაც, რაც ისწრაფვის გა-

რეგნული გამოვლენისკენ, მაშინ შესაქმის ამ პირველ დღეს ადამიანს მოვძებნით არა მიწიერში, არამედ დედამიწის გარემოცვაში, როგორც რაღაც სულიერ-მშენიერი არსებას. ჩვენ უნდა ვთქვათ: მისი მიწიერი ყოფიერება მომზადდება, როგორც რაღაც სულიერ-მშენიერი არსება.

დღეს მე დასაწყისში მოვნიშნავ კავშირს, რომელიც არსებობს სულიერი კვლევის შედეგებსა და გენეზისის უწყებებს შორის. არსებითად, რა მზადდება ადამიანური არსების პირველ ჩანასახებში, როცა გენეზისის მიხედვით კოსმიური ჩანაფიქრის მეშვეობით წარმოიქმნება ორი კომპლექსი, შინაგანად მოძრავი და გარეგნულად გაცხადებული? ადამიანური არსის მაინც რომელი ნაწილი მომზადდება, როცა ელოჰიმების სული ამ კომპლექსების მეშვეობით ქსოვს და გამოჩეკს? სწორედ ის, რასაც შეგრძნებათა სამშენიველს ვუწოდებთ, თანახმად ჩვენი თანამედროვე განხილვებისა სულისმეცნიერების სფეროში, ასევე, რასაც ვუყურებთ, როგორც რაღაც შინაგანს, რაც მზადდება შესაქმის ე.წ. პირველ დღეს, თვით იმ მომენტამდე, როცა გაისმის სიტყვები: „დაე, იქმნას ნათელი. და იქმნა ნათელი“. ამ ყველაფრის შიგნით, – ასე ვთქვათ, სულიერ ატმოსფეროში, – დაფარულია ადამიანის შეგრძნებათა სამშენიველი, როგორც რაღაც სულიერ-მშენიერი. ამრიგად, უფრო მეტი სიცხადისთვის ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: დედამიწის გარემოცვაში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვეძებთ შეგრძნებათა სამშენიველს და ვპოულობთ მას პერიოდში, რომელსაც ჩვეულებრივ შესაქმის პირველი დღე ეწოდება. მაშასადამე, დედამიწის გარემოცვაში, სადაც ელოჰიმები თავიანთ დაქვემდებარებულ არსებებთან ერთად ახორციელებენ სამუშაოს, სადაც ქსოვს მხოლოდ და მხოლოდ სულიერ-მშენიერი არსება, იქ, მსგავსად იმისა, როგორც ახლა ჰაერის ზედა ფენაში ლივლივებენ ღრუბლები, მაშინდელ სულიერ-მშენიერი ატმოსფეროში ჩვენ შეგვიძლია, მოვიძიოთ ადამიანის სულიერ-მშენიერი არსი, ამასთან თავიდან მისი მხოლოდ შეგრძნებათა სამშენიველი. შემდეგ ადამიანის განვითარება წინ მიდის და მის კვალდაკვალ ჩვენ მოვიძიებთ იმას, რასაც ვუწოდებთ განსჯით სამშენიველს. შეგრძნებათა სამშენიველი ვითარდება განსჯით სამშენიველში. დედამიწის გარემოცვაში შესაქმის ე. წ. მეორე დღეს ხდება

თითქოსდა მშვიდგონიერი დახვეწა – შეგრძნებათა სამშვიდგონიერების განსჯით სამშვიდგონიერებაში. მაშასადამე, იმ მომენტში, როცა ბგერითი ეთერი იჭრება მიწიერ ქმნადობაში, როცა ნივთიერებათა ზედა მასები გამოეყოფა ქვედას, ზედა სფეროებში ცხოვრობს ადამიანი, რომელშიც შეგრძნებათა სამშვიდგონიერი და განსჯითი სამშვიდგონიერი მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში არსებობს. ადამიანის განვითარების მსვლელობისას მესამე მომენტი იქნება ცნობიერი სამშვიდგონიერების ჩანასახისკენ წინსვლა. ამრიგად, შესაქმნის მიერ ასახული მთელი პროცესი საჭიროა გავიაზროთ ისე, რომ შესაქმნის ამ მესამე დღეს ქვევით დედამიწაზე სასიცოცხლო ეთერის ზეგავლენით ვითარდება მთელი სიმწვანე, მთელი მცენარეული, როგორც უკვე ავსენით, მცენარეთა სახეები. დედამიწა თავისგან წარმოქმნის, – ოღონდ ხილულად მხოლოდ ზეგრძნობადი დაკვირვებისთვის, – მცენარეთა სიცოცხლის საფუძველს, ზევით კი, ეთერულში ქსოვს ის, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ, როგორც ცნობიერ სამშვიდგონიერ დახასიათებულს შეგრძნებათა სამშვიდგონიერთან და განსჯით ანუ გონის სამშვიდგონიერთან ერთიანობაში.

ასე ქსოვს ქმნადი დედამიწის გარემოში მშვიდგონიერ-სულიერი ადამიანი. ის თითქოსდა სხვადასხვა სულიერი არსების სუბსტანციის შიგნით იმყოფება. მას, არსებითად, ჯერ კიდევ არა აქვს დამოუკიდებელი ყოფიერება. ის ვითარდება, როგორც ორგანო ელოჰიმების, არქების და ა. შ. შიგნით, არსებობს მათი სხეულების შიგნით, როგორც ნაწილი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ სწორედ ამ არსებებზე გვაუწყებენ; ოღონდ მიწიერი ქმნადობის ამ პერიოდში ისინი წარმოადგენენ ინდივიდუალობებს და მათ ბედისწერასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანური ჩანასახის ბედისწერა. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი ნამდვილად ქცეულიყო დედამიწის ბინადრად, მისთვის აუცილებელი იყო, როგორც ამას იოლად გაიგებთ, რაღაც მომხდარიყო, რაც შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც ადამიანის რაღაც თანდათანობითი გამკვრივება. მისი ეს მშვიდგონიერ-სულიერი უნდა შემოსილიყო, თითქოსდა, რაღაც სხეულში. ამრიგად, შესაქმნის ე. წ. მესამე დღეს, ბიბლიის თანახმად, ჩვენ საქმე გვაქვს იმის ჩანასახთან, რასაც დღეს სულიერ-მშვიდგონიერი ადამიანის ცნობიერ სამშვიდგონიერ და გან-

სჯით ანუ გონის სამშენველსა და შეგრძნებათა სამშენველს ვუწოდებთ. ეს ყოველივე უნდა გადაცემოდა სხეულს, თითქოსდა აღჭურვილიყო გარეგნული, მატერიალური სამოსით. თავიდან ადამიანს ამ სულიერ-მშენვენიერი სფეროს შიგნით უნდა მიეღო ასტრალური სხეულის სამოსი.

შევეცადოთ, წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავს, არსებითად, როცა ვამბობთ: ახლა, შესაქმის მესამე დღის შემდეგ ადამიანი უნდა შეიმოსოს ასტრალური სხეულით. ახლანდელ დროში მაინც სად უნდა ვეძებოთ ადამიანთან ასტრალური სხეული, როგორღაც გამოყოფილი სხვა სხეულებისგან, რათა შეგვეძლოს მისი კანონების შესწავლა? ასეთ გამოყოფილ ასტრალურ სხეულს, – თუმცა ის სრულიად სხვა ფორმაში იყო ძველ დროში, რომელზეც გვაუწყებს გენეზისი, – ჩვენ აღმოვაჩინებთ მაშინ, როცა ადამიანს სძინავს. მაშინ ის ტოვებს საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს და თავად იმყოფება ასტრალურ სხეულში, რომელიც არსებობს „მე“-ში.

გაიხსენეთ ბევრი რამ, რასაც წლების განმავლობაში გიყვებოდით ამ ასტრალური სხეულის თავისებურებებზე ძილის დროს, ასევე ისიც, რაც ამის შესახებ წერია ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“. ასეთ შემთხვევაში თქვენ ეტყვიტ საკუთარ თავს: როცა ამ ასტრალურმა სხეულმა დატოვა ფიზიკური და ეთერული სხეულები, მაშინ იწყებენ წარმოქმნას კავშირები, როგორც ნაკადები ამ ასტრალურ სხეულსა და კოსმიურ გარემოცვას შორის. დილით გამოღვიძების წინ ძილის დროს თქვენ თითქოსდა შეიწოვეთ საკუთარ თავში განმამტკიცებელი ძალები მთელი კოსმოსიდან. თქვენი ასტრალური სხეული თავისი ნაკადებით დაკავშირებული იყო მთელ გარემომცველ კოსმოსთან. ის დაკავშირებული იყო ყველა პლანეტარულ არსებასთან, რომლებიც ჩვენს დედამიწას განეკუთვნება. ის აგზავნიდა თავის ნაკადებს მერკურზე, მარსზე, იუპიტერზე და ა. შ. და ამ პლანეტარულ არსებებზე იმყოფებოდნენ გაძლიერებული ძალები, რომლებიც ასტრალურ სხეულში აგზავნიდნენ იმას, რაც აუცილებლად გვჭირდება, რის გარეშეც ვერ შევძლებდით საკუთარი არსებობის გაგრძელებას ღვიძილის მდგომარეობისას ეთერულსა და ფიზიკურ სხეულში ჩვენი დაბრუნებისას. ღამით ჩვენი ასტრალური სხეული თითქოს-

და იღვრება და ფართოვდება სამყაროს (კოსმიურ) ყოფიერებაში. ნათელმხილველური ცნობიერება ხედავს, ჩაძინებისას ასტრალური სხეული, გარკვეული აზრით, როგორ გამოთავისუფლდება ფიზიკური სხეულისაგან. მაგრამ ეს, ცხადია, არასწორი გამოთქმაა. ასტრალური სხეული სპირალურად გამოიყოფა ფიზიკური სხეულისაგან, ის ლივლივებს, როგორც სპირალური ღრუბელი. მაგრამ ამ დროს რასაც ნათელმხილველური ცნობიერება ხედავს, მხოლოდ დასაწყისია ასტრალური სხეულიდან გამოყოფილი ნაკადების. ისინი ნამდვილად მიემართებიან სამყაროს სივრცეებში და იქ პლანეტების ძალებით განიმსჭვალებიან. თქვენ თუ ვინმე გეტყვით, რომ ასტრალური სხეული არის ის, რასაც პრიმიტიული ნათელმხილველური ხედავს ღრუბლის სახით, რომელიც ლივლივებს ფიზიკური სხეულის სიახლოვეს, მაშინ ნათქვამი არ იქნება სიმართლე, რამდენადაც ეს ასტრალური სხეული მთელ ჩვენს მზის სისტემაში იღვრება. ძილის დროს ის იმყოფება, ასე ვთქვათ, პლანეტარულ არსებებთან კავშირში. ამიტომაც ვუწოდებთ მას „ასტრალურ“ სხეულს. ყველა სხვა განმარტება გამოთქმისა ასტრალური სხეული, რომელიც წარმოიქმნა შუა საუკუნეებში, არასწორია. ჩვენ ვსაუბრობთ ასტრალურ სხეულზე იმ საფუძველზე, რომ ის ადამიანის ძილის დროს იმყოფება გარკვეულ შინაგან კავშირში ვარსკვლავებთან, ასტრალურ სამყაროსთან, რამდენადაც ის დაგანებულია ამ სამყაროში და სწორედ იქიდან იღებს საკუთარ ძალებს.

თქვენ თუ გაითვალისწინებთ ამჟამად ნათელმხილველური კვლევის შედეგად დადგენილ ამ ფაქტს, მაშინ საკუთარ თავს უნდა უთხრათ: ასეთ შემთხვევაში პირველი ნაკადებიც, რომლებმაც წარმოქმნეს ადამიანის ეს ასტრალური სხეული, უნდა მომდინარეობდეს ასტრალური სამყაროდან, ვარსკვლავთა სამყაროდან. შესაბამისად, მიწიერი ჩამოყალიბებისას ვარსკვლავთა ეს სამყაროც უნდა არსებულებო. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ჩვენ ვამბობთ: რამდენადაც შესაქმის ე. წ. მეოთხე დღეს, მანამდე მშვინვიერ-სულიერი სახით არსებული შეიმოსა ასტრალური სხეულის კანონებითა და ძალებით, ამიტომ ამ მეოთხე დღეს ვარსკვლავებს თავისი მოქმედება უნდა გამოეკლინათ დედამიწის გარემოცვაში.

ამას გვაუწყებს ჩვენ გენეზისი. შესაქმის ე. წ. მეოთხე დღესთან დაკავშირებით თუ აღწერილია ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ – „ადამიანის ასტრალური სხეული იქმნება თავისი კანონებით“, მაშინ გენეზისს მოჰყავს ძალზე ზუსტი პარალელი ასტრალური სხეულით ადამიანის შემოსვასა, – როცა ის ჯერ კიდევ ლივლივებს დედამიწის სულიერ, ანუ ასტრალურ ატმოსფეროში, – და ჩვენი დედამიწის გარემომცველი ვარსკვლავიერი სამყაროს მოქმედებას შორის. მაშასადამე, გენეზისის ამ უწყებაში დაფარული ღრმა აზრიც სრულ შესაბამისობაშია იმასთან, რაც თანამედროვე ნათელმხილველურმა კვლევამ იცის დღევანდელ ადამიანზე. თუმცა ჩვენ ვნახავთ, რომ იმ დროებში, რომლებზეც გენეზისი საუბრობს, ეს ასტრალური სხეული ჯერ კიდევ არ იყო ისეთი, როგორც არის ჩვენი ასტრალური სხეული ახლა დამით. მაგრამ მათი კანონები იგივე იყო. ის, რაც ავლენდა მასში მოქმედებას, იგივე იყო, რაც ახლა.

ახლა ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მომდევნო პერიოდისთვის, რომელსაც გენეზისი უწოდებს ქმნადობის მეხუთე დღეს, დადგება ადამიანის შემდგომი გამკვრივება. ის ჯერ კიდევ რჩება ზეგრძნობად, ეთერულ არსებად, მაგრამ იწყება შემდგომი გამკვრივება ეთერულის შიგნით. ადამიანი ჯერაც არ ეხება დედამიწას; ის ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, უფრო მეტად განეკუთვნება დედამიწის სულიერ-ეთერულ გარემოცვას. ახლა ჩვენ ვეხებით რაღაცას, რომლის გაგებაც უადრესად მნიშვნელოვანია ადამიანის მთლიანი შექმნის სწორი შეფასებისთვის დედამიწის განვითარებასთან კავშირში. ჩვენ თუ მზერას მივაპყრობთ ადამიანის უახლოეს სამეფოს – ცხოველურ სამეფოს, მაშინ შეგვიძლია საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა, რომელსაც უკვე არაერთხელ შევხებივართ: მაინც რატომ იქცნენ ცხოველები ცხოველებად და რატომ იქცა ადამიანი ადამიანად? იმას, რომ ადამიანი განვითარდა ცხოველებისგან, თანამედროვე უხეში მატერიალისტური ფანტასტიკური წარმოდგენების თანახმად, არ დაეთანხმება თვით ზედაპირული განყენებული განსჯაც, თუ, რა თქმა უნდა, ამას საკმარისად გაითვალისწინებს. მაგრამ თუ ამ პროცესს შევხედავთ დროითი განვითარების თვალსაზრისით, თუკი საკუთარ მზერას მივაპყრობთ დედამიწის ჩამოყალიბებას, მაშინ მაინც აუცილებე-

ლია ითქვას: სანამ ადამიანი ხილული გახდებოდა, როგორც მიწიერი არსება, დედამიწაზე გაჩნდა ცხოველები. ადამიანი ისეთი რომ გამხდარიყო, როგორცაა ის დედამიწაზე, აუცილებელი იყო, რომ მიწიერი პირობები მისი გამყარებისთვის ხელშემწყობი ყოფილიყო. დავუშვათ, რომ ადამიანი იმ დროს, რომელსაც ეწოდება შესაქმის მეხუთე დღე, იქცა ისეთ მიწიერ არსებად, როგორსაც წარმოადგენს ახლანდელ დროში, ანუ ისეთ გამკვრივებულად, რომ მას შეიძლება მიწიერი ეწოდოს; რა შეიძლებოდა შემდეგ მომხდარიყო? თუ ადამიანი ჯერ კიდევ იმ დროს, ასე ვთქვათ, დაეშვებოდა მყარ მიწიერ ყოფიერებაში, იგი ვერ გახდებოდა ისეთი ფორმის და ისეთი არსება, როგორცაა იქცა სინამდვილეში, ვინაიდან მაშინდელ მიწიერ პირობებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ადამიანისთვის მიეცათ სათანადო ფორმა. ადამიანი უნდა დალოდებოდა სულიერ სფეროებში, დედამიწის განვითარება კი თავისი დინებით უნდა წარმართულიყო, ვინაიდან დედამიწას ჯერ არ შეეძლო შესაბამისი პირობების შეთავაზება მისი მიწიერი არსებობისთვის. ის ჯერ თავად უნდა მომწიფებულიყო შიგნით სულიერ-მშენიანი ვიერად, უფრო ეთერული სფეროს შიგნით. თუ ის არ დაელოდებოდა და ადრე დაეშვებოდა დედამიწაზე, მაშინ იგი ცხოველური ფორმით შეიმოსებოდა. ცხოველები სწორედ იმიტომ იქცნენ ცხოველებად, რომ მათი სულიერ-მშენიანი ვიერი, ამ ცხოველური ფორმის, სახეობის მშენიანი დედამიწაზე დაეშვა, როცა ეს უკანასკნელი ჯერ არ იყო მომწიფებული იმდენად, რომ ადამიანის მიწიერი ფორმისთვის შეეთავაზებინა მისთვის აუცილებელი პირობები. ადამიანი ჯერ კიდევ უნდა დალოდებოდა სულიერ სფეროში. მთელი ცხოველური სამეფო იმათ გარდა, რაც ადამიანად უნდა ქცეულიყო, თითქოსდა ძალზე ადრე დაეშვა. დედამიწა შესაქმის, ასე ვთქვათ, მეხუთე დღეს შედგებოდა ჰაერისა და წყლისაგან. ადამიანი ჯერ არ უნდა დაშვებულიყო იქ, მასში საკუთარი სხეულებრიობის შესაქმნელად. ცხოველური არსებები, ცხოველთა გვაროვნული (ანუ სახეობის) სამშენიანელები, რომლებიც მაშინ დედამიწაზე დაეშვნენ, ჰაერისა და წყლის ბინადრები გახდნენ. ამრიგად, იმ დროს, როცა გარკვეული გვაროვნული სამშენიანელები იმოსებოდნენ სხეულში, რომლებიც შეესაბამებოდნენ ჰაერისა და წყლის პირობებს, ადა-

მიანი უნდა დალოდებოდა სულიერ სფეროში, რათა შემდგომში თავისი ადამიანური ფორმა მიეღო.

გენეზისი ამ ყველაფრის შესახებ უდიდესი სიბრძნით გვაუწყებს. მაინც რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ადამიანი უკვე, მაგ., შესაქმის მეხუთე დღეს დაეშვებოდა მყარ მატერიაში: მაშინ მისი ფიზიკური სხეული ვეღარ აღიჭურვებოდა იმ ძალებით, რომლებიც მან მიიღო ელოჰიმების წყალობით, მისი, ასე ვთქვათ, საკუთარი ერთიანობისკენ ამაღლებით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ელოჰიმების ამ ერთიანობაზე და ვნახეთ, რომ გენეზისი ამ მოვლენას გასაოცარი სახით აღგვიწერს, იმის მეშვეობით, რომ აქამდე ის საუბრობს ელოჰიმებზე, შემდეგ კი იაჰვე-ელოჰიმზე. ელოჰიმების არსი დავახასიათეთ იმის მიხედვით, რასაც ისინი სიტბოს სტიქიაში ქსოვდნენ. სიტბო იყო მათი სტიქია, თითქოსდა მათი სხეულებრიობა, რომლის მეშვეობითაც ისინი საკუთარ თავს უშუალოდ ავლენდნენ. იმ პერიოდის ბოლოსთვის, რომელზეც გვაუწყებს გენეზისი, ელოჰიმები იმდენად განვითარდნენ, რომ შეიძლებოდა საუბარი ცნობიერების ერთიანობაზე, იაჰვე-ელოჰიმზე, როცა ელოჰიმების არსთან მოხდა ცვლილება.

ეს ცვლილება განხორციელდა იმავე მიმართულებით, როგორითაც განხორციელდა ცვლილებები ასევე იერარქიის სხვა არსებებთან. გაიხსენეთ, რა ვილაპარაკეთ, მაგ., საყდართა სხეულებრიობაზე. ჩვენ ვთქვით, რომ ეს სხეულებრიობა ჩვენი პლანეტარული განვითარების დასაწყისში მათ მსხვერპლად მიიტანეს ძველი სატურნის სიტბოს სახით. ასევე ვიცით, რომ საყდართა სხეულებრიობა ძველი მზის მდგომარეობისას საჭიროა, ვეძიოთ ჰაერისებრ სტიქიაში, ძველ მთვარეზე – წყალში, ჩვენს მიწიერ დროში კი – მიწიერში, მყარ სტიქიაში. სწორედ ამაში მდგომარეობდა საყდართა ამაღლება, რომ ისინი მაღლდებოდნენ იმით, რომ სულ უფრო მეტად ამყარებდნენ საკუთარ არსებას სიტბური მდგომარეობიდან მიწიერამდე.

ახლა დავსვათ შემდეგი კითხვა: თუ ელოჰიმები ახორციელებენ ასეთივე აღმასვლას, თუკი მათ, საკუთარი შრომის ჯილდოს სახით, უფლება ეძლევათ ავიდნენ უფრო მაღალ საფეხურზე, მაშინ მათ რა უნდა შემთხვეოდეთ? მაშინ ისინი, ზოგად კანონზომიერებასთან სრული შესაბამი-

სობით, წინ უნდა წასულიყვნენ შემდგომი გამყარებისკენ. იმ კანონზომიერებასთან შესაბამისობაში, რომლის თანახმადაც დიდი ხნის გარდასულ დროებში საყდარნი ძველი სატურნიდან ძველ მზეზე გადასვლისას სითბური სტიქიიდან გამყარდნენ ჰაერისებრში, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ველოდოთ, რომ ელოპიმებიც თავისი ერთიანობის მიღწევის გაცნობიერების მომენტში საკუთარ გარეგნულ გამოვლენასთან და გარეგნულ მუშაობასთან მიმართებით ავითარებენ თავის სხეულებრიობას სითბური სტიქიიდან ჰაერისებრში გადასვლით. ეს მოხდა, თუმცა, არა შესაქმის მეხუთე დღეს, არამედ მხოლოდ განვითარების იმ პერიოდის ბოლოს, რომელზეც გენეზისი გვაუწყებს. შესაბამისად, თუ ადამიანი შესაქმის მეხუთე დღეს უკვე დაეშვებოდა ჰაერის უფრო ნატიფ სტიქიაში, მაშინ ის გაიზიარებდა იმ არსებათა ხედვას, რომლებიც საკუთარ სხეულებრიობას სწორედ ამ ჰაერის სტიქიაში ეძებდნენ. ეს უკანასკნელნი იქცნენ ჰაერში მცხოვრებ ცხოველებად, ვინაიდან მათ არ შეიძლოდა მისცემოდათ ძალა, რომელიც აუცილებელია მიწიერი ქმნადობის ჭეშმარიტი აზრის განხორციელებისთვის, – იაჰვე-ელოპიმის ძალა ელოპიმების იაჰვე-ელოპიმამდე აღმასვლის შემდეგ. ამიტომ ადამიანი უნდა დალოდებოდა. მას არ უნდა მიეღო თავის თავში ჰაერი. იმ დროს, როცა ეს სახეობითი არსებები ეშვებოდნენ, ის უნდა დალოდებოდა მანამ, სანამ ელოპიმებისგან შეიქმნებოდა იაჰვე-ელოპიმი. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მას მისცემოდა ეს ძალა, იაჰვე-ელოპიმის ძალა. ის უნდა განხორციელებულიყო იაჰვე-ელოპიმის ქსოვილში, ჰაერში; მაგრამ ამას შეეძლო თავის თავში ჰაერის ამ სტიქიის აღქმა მხოლოდ მაშინ, როცა ეს მას იაჰვე-ელოპიმმა გადასცა. გასაოცარი სიბრძნით გვაუწყებს ამის შესახებ გენეზისი, როცა ამბობს: ადამიანი ცხოვრობდა და მწიფდებოდა უფრო სულიერ-ეთერულ ყოფიერებაში და საკუთარი უფრო მყარი სხეულებრიობა მიიღო მხოლოდ იმ მომენტში, როცა ელოპიმები ამაღლდნენ იაჰვე-ელოპიმამდე, როცა იაჰვე-ელოპიმს შეეძლო ადამიანის მიწიერი არსების შექმნა იმის მეშვეობით, რომ მან ჰაერი შთაბერა მასში. ეს იყო იაჰვე-ელოპიმებად ქცეული ელოპიმების ჩამოღვრა, რომელიც ჰაერთან ერთად ადამიანში ჩაედინებოდა.

აქ კიდევ ერთხელ გვაქვს საქმე გენეზისის უწყებასთან, რომელიც ასე საოცრად ემთხვევა იმას, რაც თანამედროვე სულისმეცნიერებისთვისაა ცნობილი. გენეზისში თქვენ გეძლევათ ისეთი ევოლუციური სწავლება, რომელთან შედარებით მთელი თანამედროვე ქედმაღალი ევოლუციური მოძღვრება სხვა არაფერია, თუ არა დილეტანტიზმი, რაღაც ფანტაზია. ვინაიდან გენეზისს ჩვენ შევყავართ თავად ქმნილების არსში და გვაჩვენებს, რა უნდა მომხდარიყო ზეგრძნობადის სფეროში, სანამ ადამიანი შექმნილიყო საკუთარ გრძნობად ყოფიერებამდე მისვლას.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანი ჯერ კიდევ უნდა დარჩენილიყო ეთერულ მდგომარეობაში, როცა სხვა არსებები უკვე გამყარდნენ ჰაერისა და წყლის სტიქიებში. შემდეგ კი შეგვიძლია, ვთქვათ: ადამიანის გამყარება ეთერულ სხეულამდე ხორციელდება დროის იმ პერიოდში, რომელსაც ბიბლიაში ეწოდება შესაქმის მეხუთე დღე. შესაძლოა ამ დროს ჯერ კიდევ ვერ ვპოულობთ ადამიანს მიწიერ ფიზიკურ არსებებს შორის. მხოლოდ იმ დროში, რომელსაც ვახასიათებთ, როგორც შესაქმის მეექვსე დღეს, ჩვენ გვაქვს ადამიანი ნამდვილ მიწიერ არსებებს შორის. მაშინ ის, ასე ვთქვათ, შევიდა მიწიერ ყოფიერებაში და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ის, რასაც დღეს ადამიანის ფიზიკურ სხეულს ვუწოდებთ, იქმნებოდა იმ დროს, რომელსაც გენეზისში ეწოდება შესაქმის მეექვსე დღე.

ახლა ჩვენ უნდა გავარკვიოთ კიდევ ერთი გარემოება. თქვენ დაუშვებდით დიდ შეცდომას, თუ ჩათვლიდით, რომ შეგეძლებოდათ სხეულებრივი თვალებით დაგენახათ ის ადამიანი, რომელიც შესაქმის მეექვსე დღეს შეიქმნა და მას შეხებოდით საკუთარი ხელებით. თუ მაშინ საერთოდ დასაშვებია იქ ადამიანის არსებობა ამ სიტყვის ჩვენი თანამედროვე გაგებით, მაშინ ამ ახლახან შექმნილ ადამიანს მაინც ვერ დაინახავდი. ახლანდელ დროში ჩვენ ძალიან მიდრეკილნი ვართ, რომ მატერიალისტურად ვიაზროვნოთ. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ შესაქმის მეექვსე დღის დაწყებისთანავე უკვე არსებობდა ისეთი ადამიანი, როგორც ის დღეს ვიცით. ეჭვს გარეშეა, მაშინ ადამიანი ფიზიკურად უკვე არსებობდა; თუმცა ფიზიკური ეწოდება ასევე, მაგ., სითბური სტიქიის ქსოვასაც. თქვენ თუ მოხვდებით სივ-

რცეში, სადაც არსებობს სხვადასხვა სითბური ნაკადი, რომლებიც ჯერ კიდევ არაა ისეთი მკვერივი, როგორც გაზი ან ჰაერი, მაშინ უკვე ამასაც საჭიროა ფიზიკური ყოფიერება უწოდოთ. უკვე ძველ მთვარეზეც იყო ფიზიკური ყოფიერება, მაგრამ მხოლოდ სითბურ ნივთიერებაში. ამგვარად, შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს არ შეიძლება ადამიანი ვეძიოთ მყარ სხეულში. მართალია, ის უკვე მიწიერ არსებად უნდა ვადიაროთ და საჭიროა ვეძიოთ ფიზიკურ სამყაროში, მაგრამ ფიზიკურის მხოლოდ ყველაზე უნატიფეს გამოვლინებებში, საჭიროა ვეძიოთ სითბური ადამიანი. როცა დადგა ის მოვლენა, რომელიც ასე ბრწყინვალედ არის გამოხატული სიტყვებით „და ელოჰიმებმა თქვეს: შევქმნათ ადამიანი!“, – მაშინ იქ თუ იქნებოდა არსება, დაჯილდოებული უნარით, გაერჩია სითბური მდგომარეობები, ის იპოვიდა გარკვეულ განსხვავებებს სითბური სუბსტანციის მდგომარეობებში. თუ ასეთი არსება ივლიდა მაშინდელ დედამიწაზე, რომელიც დასახლებული იყო მცენარეული და ცხოველური სამეფოებით ჰაერისა და წყლის სტიქიებში, მაშინ მას შეეძლებოდა ეთქვა: იქ უცნაური მოვლენები შეიმჩნევა. ზოგიერთ ადგილას აღიქმება არა ჰაეროვან-გაზისებრი, არამედ წმინდა სითბური შთაბეჭდილებები. იქ, დედამიწის გარემოცვაში შეიძლება, ვიპოვოთ გარკვეული სითბური განსხვავებები, ისე, თითქოს იქით და აქეთ მოძრაობენ სითბური არსებები. მაშინ ადამიანი ჰაეროვანი ადამიანიც კი არ იყო, არამედ – მხოლოდ სითბური. აზრობრივად მოისროლეთ ყველანაირი მყარი თქვენს ორგანიზმში, ასევე ყველანაირი თხევადი და გაზისებრი, შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ შედგებით მარტოოდენ სითბოსგან, რომელიც თქვენს სისხლში პულსირებს; მოისროლეთ ყველა სხვა, ამ სითბოს გარდა, მაშინ მიიღებთ ცნებას იმაზე, რაც შეიქმნა იმ მომენტში, როცა ელოჰიმებმა წარმოთქვეს შემოქმედებითი სიტყვა: „მოდით, შევქმნათ ადამიანი!“ გამკვერივების მომდევნო საფეხური კი შესაქმის მხოლოდ მეექვსე დღის შემდეგ ჩნდება. მხოლოდ მეექვსე დღის შემდეგ იწყება გადმოღვრა იმისა, რისი მოცემაც შეეძლო იაჰვე-ელოჰიმს – ჰაერის.

ადამიანი თავის საკუთარ წარმოშობას ვერ გაიგებს მანამ, სანამ არ გადაწყვეტს ეს წარმოშობა წარმოიდგინოს

ისეთი სახით, რომ თავდაპირველად მიწიერ ქმნადობაში არსებობდა მხოლოდ სულიერ-მშვენიერი, შემდეგ ასტრალური, ამის შემდეგ კი – ეთერული; შემდეგ ფიზიკური მდგომარეობებიდან დასაწყისისთვის სახეზე იყო მხოლოდ სითბური მდგომარეობა, შემდეგ კი პირველად – ჰაეროვანი. თვით იმ მომენტშიც, როცა შესაქმის ექვსი დღის გავლის შემდეგ ნათქვამია: „და იაჰვე-ელოჰიმმა შთაბერა ადამიანს სასიცოცხლო სული (Odem)“, – მაშინაც სხეულებრივი ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო. სანამ ადამიანები არ წარმოიდგენენ თვით ამ მომენტთან მიმართებითაც მხოლოდ სითბურ და ჰაეროვან ფიზიკურ ადამიანს, არამედ პირიქით, იფიქრებენ, რომ მაშინ უკვე არსებობდა ადამიანი სხეულისა და სისხლისგან, მანამდე ისინი ვერ გაიგებენ თავიანთი შექმნის პროცესს. ნატიფიდან წარმოქმნება მყარი და არა პირიქით. თანამედროვე ცნობიერებისთვის ნამდვილად უცხოა ასეთი წარმოდგენა, მაგრამ მაინც, ეს სწორი წარმოდგენაა.

ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში ჩვენ გავიგებთ, სამყაროს შექმნაზე სხვადასხვა უწყებაში რატომ აღწერენ ადამიანის ჩამოყალიბებას, როგორც მის დაღმასვლას დედამიწის გარემოცვიდან. და თუ ჩვენ თავად ბიბლია – ექვს დღეში სამყაროს შექმნაზე თხრობის შემდეგ, – გვესაუბრება ე. წ. სამოთხეზე, მაშინ ამაში რაღაც უფრო ღრმა უნდა ვეძიოთ. და ჩვენ ვიპოვიოთ ჭეშმარიტებას მხოლოდ მაშინ, როცა ამასაც სულისმეცნიერული თვალსაზრისით შევხედავთ. ამ მოვლენების მცოდნეს ძალზე უცნაურად მოეჩვენება, როცა ბიბლიის კომენტატორები კამათობენ იმაზე, თუ დედამიწის რა ადგილას არსებობდა, არსებითად, ეს სამოთხე, საიდანაც გამოიდგენა ადამიანები. სამყაროს შექმნის უამრავი უწყებიდან და თავად ბიბლიიდანაც, სრულიად ცხადია, რომ სამოთხე, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა დედამიწაზე, რომ მისი ძიება მართებთ დედამიწის ზედაპირის ზემოთ, ასე ვთქვათ, ღრუბლებს იქით, და რომ ადამიანი, რომელიც ამ სამოთხეში ცხოვრობდა, ჯერ კიდევ სითბურ-გაზისებრი იყო. ის, რომ მაშინ ადამიანი უკვე ორი ფეხით დადიოდა დედამიწაზე, ეს ცხადია, წმინდა მატერიალისტური ფანტასტიკაა. ამიტომაც გვმართებს წარმო-

ვიდგინოთ, რომ სამყაროს შექმნის ექვსი დღის გასვლის შემდეგაც, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, ადამიანი არის არსება, რომელიც დედამიწას კი არ განეკუთვნება, არამედ მის გარემოცვას.

მაინც რა გზით დაეშვა ადამიანი დედამიწის გარემოცვიდან მის ზედაპირზე, როგორ ხორციელდებოდა მისი შემდგომი გამყარება იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ის იქნა დაყენებული იაჰვე-ელოჰიმის მიერ? ამ კითხვაზე პასუხით ჩვენ ვხვდებით იმას, რაც საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, სადაც ვეჯახებით იმას, რასაც ლუციფერულ ზეგავლენას ვუწოდებთ. ამ ლუციფერული ზეგავლენის უფრო ზუსტი დახასიათებისთვის საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ გარკვეული არსებები, სწორედ ისინი, რომელთაც უწოდებენ ლუციფერულს, თითქოსდა გადმოიდვარა ადამიანის ასტრალურ სხეულში. ასე რომ, ადამიანმა, როგორც ის შეიქმნა ჩვენ მიერ აღწერილი ძალებით ჩამოყალიბების მსვლელობის დროს, ამ მომენტში თავის თავში მიიღო ლუციფერული ზეგავლენა. ამ გავლენის მნიშვნელობას ჩვენ გავიგებთ, თუ ვიტყვით: ვნებებისა და ლტოლვების ცხოვრება ადამიანთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ბოლოქარი გახდა; ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მის ასტრალურ სხეულთან, ამ ზეგავლენის წყალობით უფრო გამყარდა, განიმსჭვალა ლუციფერული ელემენტით, გახდა თავის თავში უფრო ჩაკეტილი, მოკლედ, წარმოიქმნა ის, რასაც სიხარბე და ეგოიზმი ჰქვია. ეს თავის თავში ჩაკეტივა, საკუთარ შინაგან კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვა, ადამიანში შემოვიდა ლუციფერულ გავლენასთან ერთად. ყოველივე კარგიც და ცუდიც, რაც შეიძლება ადამიანის სიხარბიდან მოდიოდეს, შემოიჭრა ამ ლუციფერულ გავლენასთან ერთად. თავიდან ეს გავლენა მისთვის რაღაც უცხო იყო. იმ ასტრალურმა სხეულმა, რომელიც მას ადრე მიეცა იმ ნაკადებით, რომლებიც იჭრებოდა და იღვრებოდა მასში იმ დროს, როცა ის იქმნებოდა, ახლა ლუციფერული არსებების გავლენით სხვაგვარი იერი მიიღო. მხოლოდ ამ მომენტში წარმოიქმნა ის, რასაც შეიძლება სხეულებრივი ადამიანი ეწოდოს, მხოლოდ იქ მოხდა ადამიანის შემდგომი გამყარება. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანის ლუ-

ციფერამდელი ყოფიერება დავანებულია სითბოსა და ჰაერის სტიქიებში, ხოლო ადამიანური არსების თხევადსა და მყარში შეადწია ლუციფერულმა გავლენამ; ის აქ შეიჭრა, იგი აქ ცხოვრობს. ყველანაირ თხევადსა და მყარში ლუციფერული გავლენა ცხოვრობს. ფიგურალური გამოთქმა სულაც არ იქნება, არამედ სინამდვილის საკმაოდ ზუსტი შესატყვისი, თუ ვიტყვი: ლუციფერული გავლენის წყალობით განხორციელებული დაწინებებით ადამიანური სხეული დამძიმდა და დედამიწის გარემოცვიდან მის ზედაპირზე დაეშვა. სწორედ ეს იყო სამოთხიდან განდევნა, ასახული ხატოვნად. ადამიანში გაჩნდა სიმძიმე, ის მოექცა გრავიტაციის ძალთა გავლენის ქვეშ და გარემომცველი ატმოსფეროდან დედამიწაზე დაეშვა. ასეთია ადამიანის გარდამოსვლა ფიზიკურ მიწიერ ზედაპირზე, აი ამან ჩამოიყვანა, არსებითად, ადამიანი დედამიწაზე, მანამდე კი ის ცხოვრობდა დედამიწის გარემომცველ ატმოსფეროში. ამიტომაც არის საჭირო, ეს ლუციფერული გავლენა ადამიანის ჭეშმარიტ შემქმნელ ძალებს მივაკუთვნოთ.

ამის საფუძველზე ჩვენ დავინახავთ გასაოცარ პარალელებს იმ აღწერებს შორის, რასაც, ასე ვთქვათ, იძლევა წმინდა სულისმეცნიერული კვლევა და ბიბლიის უწყებანი. ჩემი წიგნიდან „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ამ წიგნში საგულდაგულოდ გავექეცი ყველანაირ განხილვას, რასაც შეეძლო გენეზისის უწყებები შეეხსენებინა. მე მინდა ვთქვა: ჩემს „იდუმალთმეტყველებაში“ წარმოდგენილთან მიმართებით მე უდიდეს სიფრთხილეს ვიჩენ. მე ვეყრდნობოდი მხოლოდ სულისმეცნიერული მეთოდით კვლევას. მაშინ განსაზღვრულ მომენტში, მაგრამ სრულიად სხვა მხრივ ასევე ვლინდება ლუციფერული გავლენა. და რამდენადაც ის ნაპოვია ამ სულისმეცნიერული მეთოდით, ამიტომ ის სრულად ემთხვევა იმ ეპოქას, რომელიც ბიბლიაში აღწერილია, როგორც გველის, ლუციფერის მიერ ადამიანის ცდუნება. ჩვენ ამ პარალელებს ვპოულობთ წინა რიცხვით. ჭეშმარიტად, თუ მიზიდულობის კანონი, ელექტრობა და მაგნეტიზმი არის ძალები, რომლებიც ამჟამად უფრო უხეშად მონაწილეობენ დედამიწის წარმოქმნაში, მაშინ არანაკლებ ჭეშმარიტია, რომ ლუციფერული გავლენაც ასევე

არის ძალა, რომლის გარეშეც მიწიერი ჩამოყალიბება ვერ განხორციელდებოდა. ამიტომ დედამიწის შემქმნელ ძალებს ეს ლუციფერული ზეგავლენაც უნდა მივაკუთვნოთ. განსაკუთრებით აღმოსავლური ლეგენდები სამყაროს შექმნაზე სწორედ ამ მიზეზით ათავსებენ სამოთხეს, – არც ისე დახვეწილად, როგორც ამას აკეთებს ბიბლია, – დედამიწის გარემოცვაში და არა დედამიწის ზედაპირზე; და სამოთხიდან განდევნას უყურებენ, როგორც ადამიანის გადმოსვლას დედამიწის ატმოსფეროდან თავად დედამიწაზე. მაშასადამე ამ სფეროშიც არსებობს სრული შესაბამისობა სულისმეცნიერულ კვლევასა და ბიბლიას შორის.

ახლა ჩვენ შევეხებით სხვა მომენტს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სულიერი კვლევის დახმარებით არც ისე მარტივია მუშაობა, როგორც იმ მეცნიერების დახმარებით, რომელიც ხშირად ხელმძღვანელობს წესით – ღამით ყველა კატარუხია, და ყველაზე განსხვავებულ მოვლენებს ამ საბაბით ხსნის. სულისმკვლევარი ღრუბლების წარმოქმნაში უნდა ხედავდეს რაღაც სრულიად სხვას, ვიდრე მიწის ზედაპირზე წყლის წარმოქმნაში. ჩვენ ვისაუბრეთ ქერუბიმებზე, როგორც ღრუბლების წარმოქმნელ მმართველ ძალებზე (*dirigierenden Mächten*), და ვისაუბრეთ სერაფიმებზე, რომლებიც მართავენ იმ ძალებს, რაც ღრუბლებიდან ელვის სახით ვლინდება. ახლა კი თქვენ თუ წარმოიდგენთ, რომ სამოთხიდან განდევნა მიუთითებს ადამიანის გადმოსვლას დედამიწის ატმოსფეროდან, მაშინ გაიგებთ, რომ ეს თითქმის უზუსტესი აღწერაა იმისა, როგორ ვარდება ადამიანი საკუთარი სიმძიმის მოქმედებით დედამიწაზე და ამიტომ მან უნდა დატოვოს ის ძალები და არსებები, რომლებიც ქმნიან ღრუბლებსა და ელვას – ქერუბიმები ელვარე მახვილით. ადამიანი თითქოსდა ვარდება ქვევით დედამიწაზე იმ სფეროდან, სადაც ბატონობენ ქერუბიმები მოელვარე ხმლებით. ეს არის სულისმეცნიერების მიერ მოწოდებული უწყება ამ მოვლენაზე, რომელიც სიტყვასიტყვით ემთხვევა იმას, რასაც ბიბლია გვაუწყებს სამოთხიდან განდევნაზე, როცა ნათქვამია: ღვთაებამ სამოთხის წინ დააყენა ქერუბიმი მოელვარე მბრუნავი ხმლით. – თქვენ თუ ამას ყურადღებით დააკვირდებით, მაშინ, ასე ვთქვათ, თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ უძველესი ნათელმხილველები,

რომლებმაც გენეზისი გვაჩუქეს, მთელი ძალით ჰვრეტდნენ იმ იდუმალ პროცესებს, იმ ეთერულ სიმაღლეებს, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ადამიანი თავისი დაცემამდე იმ სფეროდან, სადაც სერაფიმები და ქერუბიმები მეფობდნენ. აი, ამ დონეზე რეალისტური ბიბლიის უწყებები, რომელიც ცარიელ ალეგორიებს ან უხეშ გრძნობად სურათებს კი არ იძლევა, არამედ გვაუწყებს იმას, რაც ნათელმხილველურ ცნობიერებას ეხსნება.

თანამედროვე ადამიანები წარსული დროის წარმოდგენებს ცუდად იცნობენ. დღეს ყველა აკრიტიკებს ბიბლიას, როცა ფიქრობენ, რომ ის ნაივურად გვიყვება: რომ, ოდესღაც იყო სამოთხე და ეს იყო დიდი ბაღი, ლამაზი, მოხდენილი დიდი ხეებით; ლომები და ვეფხვები სეირნობდნენ მასში, მათ შორის ადამიანები. ასეთი გაგების შემთხვევაში, ცხადია, იოლია ბიბლიის კრიტიკა, ხოლო რომელიღაცა სასაცილო კრიტიკოსი იქამდეც მივიდა, რომ შენიშნა: თუ ეს ყველაფერი ნამდვილად ასე იყო, მაშინ რა მოუვიდოდა ადამიანს, რომელიც თავისი მიაპიტობით ხელს გაუწვდიდა ასეთ ლომს? იოლია კრიტიკა, თუ შეიქმნი რაღაც ისეთის ფანტასტიკურ სურათს, რაზეც საუბარი ბიბლიას არც უცდია. ბიბლიის ასეთი გაგება მხოლოდ ბოლო საუკუნეებში წარმოიქმნა. ადრინდელი საუკუნეების წარმოდგენების შესახებ ადამიანებმა ბევრი არ იციან. XII ს. სქოლასტიკოსები გაოცდებოდნენ, რომ გაეგოთ ისეთი მოსაზრებები ბიბლიაზე, როგორსაც დღეს მიაწერენ მას. არც ერთ სქოლასტიკოსს აზრადაც არ მოუვიდოდა ბიბლიის ისე გაგება, როგორც დღეს არის მიღებული. ადამიანებს შეეძლოთ ეს სცოდნოდათ, თუ ისინი ნამდვილად მოისურვებდნენ სწავლას. საკმარისია საფუძვლიანად გავეცნოთ სქოლასტიკოსების შრომებს და ცხადი გახდება, რომ მათ ბიბლია სრულიად სხვაგვარად ესმოდათ. მათ არ ჰქონდათ მკაფიო ცნობიერება იმისა, რომ ბიბლიის უწყებანი გადმოსცემენ ნათელმხილველური დაკვირვების შედეგებს, მაგრამ მათ ჰქონდათ კიდევ რაღაც სრულიად სხვა, განსხვავებული ბიბლიის უხეში გრძნობადი განმარტებისგან, რომელიც მხოლოდ XVI–XVII სს-დან განვითარდა. ასეთი განმარტება შუა საუკუნეების პირველ ასწლეულებში თავში არავის მოუვიდოდა. ჩვენს დროში

ბიბლიის კრიტიკა იოლია. საკმარისია, არ იცოდე, რომ წარმოდგენები, რომელთაც აკრიტიკებ, მხოლოდ რამდენიმე ასწლეულის წინ წარმოიქმნა. მათ კი, ვინც ჩვენს დროში ყველაზე მეტად ესხმის თავს ბიბლიას, არ იციან ის, რომ ისინი ებრძვიან ადამიანური ფანტაზიების ნაყოფს და არა ბიბლიას. ეს არის ბრძოლა რაღაც ისეთის წინააღმდეგ, რაც საერთოდ არ არის ბიბლიაში, არამედ მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა ფანტაზიებით. სულისმეცნიერების ამოცანა კი მდგომარეობს სულისმეცნიერული კვლევის შედეგების გამოცხადებაში, რათა ამით კვლავ მოხდეს ბიბლიის ჭეშმარიტი აზრის ახსნა და ამ გზით ჩვენს სამშენველებს შესაძლებლობა მიეცეთ, განიმსჭვალონ დიადი შთაბეჭდილებებით, რომლებიც მოგვეცემა განსაკუთრებული გონიერებისას იმ აღბეჭდილ სიტყვებთან დაკავშირებით, რომლებიც გვეუწყება შორეული წარსულიდან ამ ღირსშესანიშნავ ძეგლებში.

ამ ლექციების მსვლელობაში უკვე არაერთხელ ვაჩვენეთ, კვლავ როგორ ვლინდება გენეზისზე სწორად გაგებულ უწყებაში ნათელმხილველური კვლევის მონაცემები. ახლა ჩვენი ამოცანაა, კიდევ არა ერთ ადგილას მივუთითოთ ამ შესაბამისობაზე. უპირველეს ყოვლისა, დაგვჭირდება კიდევ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ, არსებითად, რომელ დროზე საუბრობს შესაქმის ისტორია, როცა გავითვალისწინებთ იმას, თუ რას გვაუწყებს სულისმეცნიერული კვლევა ჩვენი დედამიწის ჩამოყალიბებაზე. გარკვეული მიმართებით ამაზე მე უკვე მივუთითე, როცა გენეზისის დასაწყისი, ასე ვთქვათ, მივაკუთვნე იმ მომენტს, როცა მზე და დედამიწა ერთმანეთისგან გამოყოფისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ჩვენ მოგვიწევს ამ დამოკიდებულებას კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდეთ.

ვინც გასულ წლებში მოისმინა სხვადასხვა ლექცია და ასევე ვინც რამდენადმე გაეცნო ჩემს „იდუმალთმეტყველების ნარკვევში“ აღწერილ მიწიერ განვითარებას, ისინი გაიხსენებენ, ამ მიწიერ განვითარებაში ორ განსაკუთრებით ყურადსაღებ მომენტს რა მნიშვნელობა მიეწერება. პირველი არის მზის გამოყოფა დედამიწისგან. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ის ერთხელაც უნდა განხორციელდებულყო, ვინაიდან ორივე მსოფლიო სხეული ერთად დარჩენის შემთხვევაში, როგორც ეს იყო მიწიერი ჩამოყალიბების დასაწყისში, ადამიანური განვითარების წინსვლა ადამიანს მის საკუთარ მიწიერ მნიშვნელობას ვეღარ მისცემდა. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ მზეს, ცხადია, არა მარტო მზის სხეულის ელემენტარული ან ფიზიკური შემადგენელი ნაწილი, არამედ ასევე მზის სხეულის კუთვნილი ყველა სულიერი არსება, – ეს ყოველივე ასე ვთქვათ, უნდა გასულიყო დედამიწიდან, ანუ მას, თუ ამას უფრო ზუსტად ჩათვლიან, თავისი თავისგან უნდა მოეშორებინა დედამიწა, ვინაიდან ტრივიალურად თუ ვიტყვით, იმ არსებათა ზემოქმედება, რომლებმაც თავიანთი მოქმედების ასპარეზი დედამიწიდან გადაიტანეს მზეზე, ძალზე ძლიერი იქნებოდა ადამიანის ნორმალური განვითარების

რებისთვის, თუ ცხადია, ისინი დედამიწასთან კავშირში დარჩებოდნენ. ამ არსებებს, ასე ვთქვათ, უნდა შეესუსტებინათ თავიანთი ძალა მიწიერი ასპარეზიდან საკუთარი გასვლის მეშვეობით და გარედან ემოქმედათ. ამრიგად, ჩვენ გვაქვს მომენტი, როცა ზოგიერთ არსებას საკუთარი ზემოქმედების შესუსტებისთვის თავისი მოქმედების ასპარეზები გადააქვს გარეთ და ახლა გაცილებით ნაკლებად მოქმედებს ადამიანის ჩამოყალიბებაში, ასევე ცხოველების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, გარკვეული მომენტიდან დაწყებული, ჩვენ შეგვიძლია თავის თავს მინდობილი დედამიწის დანახვა, თავისი ძალების გარკვეული გაუხეშებით, ვინაიდან უფრო ნატიფი, უფრო სულიერი ძალები მზესთან ერთად გამოეყენენ. ადამიანი კი იმ არსებასთან მიმართებით, როგორაც ის იქცა სატურნის, მზისა და მთვარის განვითარების გავლის მეშვეობით, მზის გამოყოფის შემდეგაც კიდევ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დედამიწასთან კავშირში რჩებოდა. ვინაიდან მხოლოდ მაღალგანვითარებულმა არსებებმა გადაიტანეს თავიანთი მოქმედების ასპარეზი გარეთ მზესთან ერთად.

მაგრამ გამოყოფის შემდეგაც დედამიწას ჯერ კიდევ გააჩნდა ყოველივე, რაც თანამედროვე მთვარის განვითარების სუბსტანციურობას, ძალას განეკუთვნებოდა. ამრიგად, მზის გამოყოფის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია, დავაკვირდეთ მიწიერ განვითარებას, რომელსაც ასევე გააჩნია თავის სხეულში, ასე ვთქვათ, მთვარის განვითარებაც. შესაბამისად, ადამიანი მოექცა გაცილებით უფრო უხეში პირობების გავლენის ქვეშ, ვიდრე მოგვიანებით გახდა მიწიერი მიმართებები, ვინაიდან მთვარეს გააჩნია უხეში სუბსტანციურობა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ დედამიწიდან მზის გამოყოფის შემდეგ, დედამიწა თავისი ძალებით სულ უფრო ემსგავსებოდა მთვარეს, სულ უფრო მყარი ხდებოდა. კიდევ ერთი შედეგი იყო ის, რომ ახლა ადამიანი დაექვემდებარა შინაგანი გამოშრობის, მუმიფიკაციის საშიშროებას, თუმცა ეს იყო ასტრალური მუმიფიკაციის საშიშროება. თუ მაშინ პირობები იყო, გარკვეულწილად, ძალზე ნატიფი, ანუ როცა მზე ჯერ კიდევ შეერთებული იყო დედამიწასთან, ახლა ისინი ძალზე უხეში გახდა. ამან გამოიწვია ის, რომ მიწიერი განვითარების შემდგომი მსვლე-

ლობისას ადამიანურ არსებას სულ უფრო ნაკლებად შეეძლო პროგრესირება, დედამიწასთან თავისი კავშირის შენარჩუნებით. ეს ყოველივე დაწვრილებით არის წარმოდგენილი ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“.

გუშინდელი ლექციიდან ვიცი, რომ იმ დროს ადამიანები, მართალია, სულიერ-მშვიინვიერი არსებები იყვნენ, მაგრამ სწორედ ამ მდგომარეობაში არ შეეძლოთ თავისი თავი დაეკავშირებინათ იმასთან, რაც დედამიწის მატერიიდან დედამიწის გარემოცვაში იღვრებოდა, ვინაიდან სანამ დედამიწა მთვარესთან იყო დაკავშირებული მათთვის ეს ძალზე უხეშ სახეს იღებდა. ამრიგად, გამოვიდა ისე, რომ ადამიანური სამშვიინველების უდიდეს ნაწილს თავისი კავშირი დედამიწასთან უნდა დაერღვია. ამით ჩვენ მივუთითებთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომელიც გათამაშდა ადამიანსა და დედამიწას შორის ურთიერთობისას დროის იმ პერიოდში, რომელიც ძვეს მზისა და მთვარის გამოყოფას შორის. ძალზე უმნიშვნელო რაოდენობის გამოკლებით სულიერ-მშვიინვიერი ადამიანური არსებები დროის ამ მონაკვეთში გამოემშვიდობნენ დედამიწასთან ურთიერთობებს და ავიდნენ ზევით უფრო მაღალ სფეროებში. თავისი განვითარების ხარისხიდან გამომდინარე ეს სულიერ-მშვიინვიერი ადამიანური არსებები ახლა თავის განვითარებას აგრძელებდნენ პლანეტებზე, რომლებიც მზის სისტემას ეკუთვნოდა. შემდგომში ზოგიერთი მშვიინვიერ-სულიერი არსება განვითარებას აგრძელებდა სატურნზე, სხვები – მარსზე, ნაწილი – მერკურზე და ა. შ. უძლიერესი ადამიანური მშვიინვიერ-სულიერი არსებების მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო რიცხვი დარჩა დედამიწასთან ერთად. დანარჩენები, დროის ამ შუალედში, იქცნენ ჩვენი დედამიწის პლანეტარული მეზობლების ბინადრებად. ეს იყო დრო, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენს ლემურიულ ეპოქას. მაშინ ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენი ადამიანური მშვიინვიერი მდგომარეობა, განვითარებას გადიოდა მეზობელ პლანეტებზე.

შემდეგ მოხდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, რაზეც ჩვენ ვიცი, რომ ის განხორციელდა ლემურიის ეპოქაში და რომლის გავლითაც მთვარის სუბსტანციურობა მთელი მთვარის ძალებით გაიყვანეს დედამიწიდან მთვარის გამო-

ყოფასთან ერთად. ამასთან ერთად დედამიწას გადახდა უმძლავრესი ცვლილებები. მხოლოდ ახლა იქნა დედამიწა მოყვანილი ისეთ მდგომარეობაში, რომ ადამიანს შეეძლო მასზე განვითარება. მაშინ, როცა ძალები, ასე ვთქვათ, ძალზე გასულიერდებოდნენ, თუ დედამიწა აღმოჩნდებოდა შეერთებული მზესთან, ხოლო თუკი დედამიწა დარჩებოდა შეერთებული მთვარესთან, მაშინ ისინი ძალზე უხეშები იქნებოდნენ. ასე დაშორდა მთვარე, ხოლო დედამიწა დარჩა გარკვეული სახის წონასწორობის მდგომარეობაში, რომელიც განპირობებული იყო იმით, რომ მზისა და მთვარის ძალები გარედან მოქმედებდნენ. ამის მეშვეობით დედამიწამ მოამზადა თავისი თავი იმისთვის, რომ ადამიანური ყოფიერების მატარებელი გამხდარიყო. ეს ყოველივე ლემურიის ეპოქაში მოხდა.

თუმცა განვითარება წინ მიდის და ნელ-ნელა ხდება ჩვენი დედამიწის მეზობელი პლანეტებისკენ წასული სულიერ-მშვეინვიერი ადამიანური არსებების უკან მობრუნება. დიდი ხნის განმავლობაში ჯერ კიდევ თვით ატლანტიდის ეპოქაში გრძელდებოდა ადამიანური სამშვეინველების გადმოსვლა მეზობელი პლანეტებიდან. ლემურიის ეპოქის ბოლოს და ატლანტიდის ეპოქის დასაწყისში განვითარება ხდებოდა ისეთი სახით, რომ იმაში, რაც ადამიანის სახით გამოკრისტალდა, ჩასახლდნენ სხვადასხვაგვარი სულიერ-მშვეინვიერი არსებები, იმის შესაბამისად, როგორც ჩამოდიოდნენ ამ სულების სამშვეინველები მარსიდან, მერკურიდან, იუპიტერიდან და ა. შ. ამის წყალობით ადამიანის მიწიერ ჩამოყალიბებაში უდიდესი მრავალფეროვნება შემოვიდა. ვინც გაეცნო ჩემს ბოლო ლექციებს ქრისტიანიაში, მათ იციან, რომ მარსის, სატურნისა და ა. შ., ადამიანებად ამ დაყოფაში მოცემულია რაღაც დასაბამისეული, რომელმაც შემდგომში ადამიანების რასებად დიფერენციაცია გამოიწვია. აქ საჭიროა ვეძიოთ ადამიანური მოდგმის შიგნით დიფერენციაციის დასაწყისი და ჯერ კიდევ ახლაც, როცა გვაქვს იმაგინაციური ხედვის უნარი, შეგვიძლია ადამიანის მიხედვით გავიგოთ, მოსულია თუ არა მისი სამშვეინველი დედამიწის რომელიმე პლანეტარული მეზობლიდან.

ჩვენ ასევე არაერთხელ მივუთითეთ, – და ეს დეტალურად არის გადმოცემული ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, – რომ ყველა სულიერ-მშენებელი ადამიანურ არსებას არამც და არამც არ დაუტოვებია დედამიწა. ტრივიალურად თუ ვიტყვით, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: ყველაზე ძლიერ სამშენებლებს შემდგომშიც შეუძლოთ ესარგებლათ მიწიერი ნივთიერებით და მასთან კავშირში დარჩენილიყვნენ. მეტიც, მე მივუთითე კიდევ, როგორი გასაოცარი სახით არსებობდა ერთი მთავარი წყვილი, რომელმაც განიცადა მიწიერი მდგომარეობების ეს გაუხეშება. სულიერი კვლევის მონაცემები ჩვენ გვიბიძგებს, ვადიართ, – თუმცა თავიდან თითქმის შეუძლებელია ამის დაჯერება, – რომ თავიდან იყო ასეთი მთავარი ადამიანური წყვილი, რომელსაც ბიბლია აღამს და ევას უწოდებს და რომ მათ შთამომავლებს შეუერთდნენ ადამიანური სახეობები, რომლებიც წარმოიშვნენ იმის წყალობით, რომ მათი სამშენებლების სულები კოსმიური სივრცეებიდან გადმოვიდნენ დედამიწაზე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ მივუახლოვდებით იმის ახსნას, რასაც შეუძლია ჩვენი სულისმეცნიერული ენის გამოყენებით გვითხრას, რომელ დროზე გვესაუბრება ბიბლია. მე ასევე შეგახსენებთ, რომ შესაქმის პირველი ექვსი ან შვიდი დღის აღწერის შემდეგ ბიბლიაში მოცემულია სხვა აღწერა, რომელიც ბიბლიის თანამედროვე დილეტანტური კვლევით მიღებულია სამყაროს შექმნის მეორე ისტორიად, მაგრამ სინამდვილეში უდავოდ ეთანადება მოვლენათა რეალურ მდგომარეობას. მე მსურს, შეგახსენოთ სულიერი კვლევის ზოგიერთი შედეგი; მე ეს უკვე არაერთხელ ვახსენე და დაწვრილებით აღწერე ჩემს „იდუმალთმეტყველებაში“. მე ვაჩვენე, როგორ მიდის წინ დედამიწის განვითარება ლემურიის ეპოქიდან ატლანტიდის ეპოქისკენ, როგორ ხდება ამ წინსვლის დროს ფიზიკური დედამიწის თავისებური სახის გაცვივება. ლემურიის ეპოქაში, არსებითად რომ ვთქვათ, საჭიროა დედამიწა გავიაზროთ, როგორც აალებული, გავარვარებული არსება, რომელიც წარმოადგენს ყველგან ცეცხლის აფეთქებულ ელემენტს და მხოლოდ ატლანტიდის ეპოქისკენ გადასვლისას დაიწყო გაცვივება. მე მივუ-

თითე, რომ ატლანტიდის ეპოქაში ის, რაც არსებობდა დედამიწის ზედაპირზე და მის ზემოთ, ჯერ კიდევ სრულიად სხვა რამ იყო, ვიდრე შემდგომში, რომ შემდგომში, ატლანტიდის ეპოქის მნიშვნელოვან ნაწილში დედამიწის გარშემო არ იყო წყლისგან თავისუფალი ატმოსფერო. ის, რაც ახლა ვიცით, როგორც უქარო წვიმა, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. დედამიწა გარემოცული იყო წყლოვანი ნისლოვანი მასებით გაჯერებული ჰაერით, რომელიც განმსჭვალული იყო სხვადასხვაგვარი ორთქლითა და კვამლით, ასევე სხვა ნივთიერებებით, რამაც ჯერ კიდევ ვერ შეძლო, მიეღო დენადი ან მყარი სახე. ბევრი რამ, რაც ახლა გამყარდა, მაშინ ჯერ კიდევ ორთქლის ფორმით იყო, რომელიც ატმოსფეროს მსჭვალავდა. ატლანტიდის ეპოქაში კიდევ დიდხანს იყო ყველაფერი განმსჭვალული ასეთი წყლოვანი ნისლის მასებით.

ეს იყო ასევე დრო, როცა პირველად ფიზიკური სახით წარმოიქმნა ის, რაც ადრე გაცილებით უფრო სულიერ მდგომარეობაში არსებობდა. მე უკვე მიუთითე იმაზე, რომ სამყაროს შექმნის ე. წ. მესამე დღის აღწერაში ჩვენ მიერ გამოვლენილი პირობების ქვეშ არ უნდა იგულისხმონ ნიადაგიდან ამოზრდილი ინდივიდუალური მცენარეული ფორმები, მსგავსი იმისა, როგორსაც ახლა ვხედავთ, არამედ ჩვენ ნამდვილად უნდა მივაქციოთ ყურადღება გამოთქმას „მათი სახეობის შესაბამისად“; («artgemäß»); რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო სახეობის სამშვინველთან, რომელიც მიწიერი სხეულის შიგნით სახეზეა ეთერულ-ასტრალურ მდგომარეობაში. ყოველივე, რაც გამოხატულია შესაქმნის მესამე დღის ისტორიაში, როგორც მცენარეთა ჩამოყალიბება, არ შეიძლებოდა გარეგნულად ხილული ყოფილიყო; ისინი მისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ აღქმის ნათელმხილველური ორგანოებისთვის. იმ დროს, როცა ლემურიის ეპოქიდან ატლანტიდის ეპოქისკენ გადასვლისას ვითარდებოდა ზემოხსენებული ნისლოვანი მდგომარეობა დედამიწის გარემოცვაში, ახლა ნისლი სულ უფრო მეტად გათხელდა და ის, რაც ადრე იყო ეთერული, ასევე გარდაიქმნა ისეთ მდგომარეობად, რომელიც მიახლოებულია ახლანდელთან. ეთერული სულ უფრო და უფრო ფიზიკური ხდებოდა და რა უცნაურადაც

უნდა ედერდეს ეს, – რამდენადაც ახლა გეოლოგიაც ამა თუ იმ ხარისხით ასევე განმსჭვალულია მატერიალისტური შეხედულებებით, – გარეგნული თვალებით დანახული მცენარეული არსებები გაცილებით უფრო გვიან განვითარდნენ, ვიდრე სამყაროს შექმნის ე. წ. მესამე დღის პერიოდში. ისინი განვითარდნენ ატლანტიდის ეპოქის მოახლოებასთან ერთად. ჩვენს კვლევაში ძალზე ადრეულ დროებს არ უნდა მივაკუთვნოთ დღევანდელი მცენარეებისთვის აუცილებელი გეოლოგიური პირობები.

ამრიგად, ლემურიის ეპოქიდან ატლანტიდის ეპოქისკენ გადასვლა შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად: დედამიწა მთლიანად დაფარული იყო ნისლის სქელი მასეებით, რომელშიც ჯერ კიდევ გახსნილი იყო სხვადასხვა სუბსტანციის ორთქლისებრი მასები, რომელთაგანაც შემდგომში დედამიწის ქერქი წარმოიქმნა. ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ფიზიკური გამყარებისთვის სახეობის არსებებს, რომლებიც ნათელმხილველური ცნობიერებისთვის გახსნილია. ჯერაც არ დამდგარა ის, რასაც შეიძლება ეწოდოს დედამიწის ზედაპირის განაყოფიერება იმით, რაც წყლის სახით ჰაერში ლივილივდება. ეს მოგვიანებით დადგა. შესაბამისად, ბიბლიას ეს როგორ უნდა წარმოედგინა? ახლა მას ერთ სრულიად განსაზღვრულ ადგილას უნდა ეთქვა: ასევე შესაქმის შვიდი დღის გასვლის შემდეგ, რაც თავიდან ემთხვევა ლემურიის პერიოდს, ჯერ კიდევ არ ამოზრდილან მიწიდან ჩვენი დღევანდელი ფიზიკური მცენარეები, დედამიწა ჯერაც დაფარული იყო ნისლის მასებით.

ბიბლია აღწერს გარემოებებს. თქვენ თუ გააგრძელებთ კითხვას, რომელიც მოსდევს შესაქმის შვიდ დღეს, მაშინ იქ ნახავთ მითითებას, თუმცა მანამდე უკვე იყო საუბარი სახეობების თვალსაზრისით მცენარეთა წარმოქმნაზე, რომ დედამიწაზე ჯერაც არ იყო ბალახები და ბუჩქები. პირველად ითქვა მშვინივიერ-სახეობრივზე, მეორეში – იმაზე, რომ ფიზიკური ინდივიდუალობის სახით არსებული, დედამიწიდან აღმოცენდებოდა მცენარეთა ზრდის სახით. ნამდვილი გარემოების თანახმად, ორთქლის სახით გამოხატული იყო ატლანტიდის ნისლი შესაქმის შვიდი დღის შემდეგ. იმაზე, რომ მაშინ პირველად მოხდა ჰაერი-წყლის

გამკვრივება წვიმაში, მითითებულია სიტყვებით: „ვინაიდან იაჰვე-ელოჰიმს ჯერაც არ მოუვლენია წვიმა“.

ამრიგად, ამ სიტყვებში ჩადებულია ღრმა სიბრძნე, მაგრამ შემოიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ გამოცხადებაში ნაუწყებიდან ჩემს „იდუმალთმეტყველებაში“ არაფერია შესული. მე შეგნებულად გავემიჯნე ბიბლიას და მინდა ვთქვა: იყო დროები, როცა მე ვცდილობდი, პატიოსნად მეპოვა ეს მოვლენები სხვა გზით, ვიდრე ამ გამოცხადებიდან გამომდინარე. ამრიგად, თანამედროვე მატერიალისტური წარმოდგენებით ბიბლიაზე თითქმის შეუძლებელია მასში რაიმე განმარტების შეტანა სულისმეცნიერული ფაქტების დახმარებით. მაგრამ სწორედ სულისმეცნიერული კვლევის შედეგები გვაიძულებს, დავინახოთ ბიბლიაში ის, რაც შევძელით ამ დღეებში გვეთქვა და მეტიც, თუ ჩვენ ვეწინააღმდეგებით, ბოლოს და ბოლოს, იძულებული ვიქნებით ბიბლიაში დავინახოთ ის, რაც ნათელმხილველური მზერის მეშვეობით მასში ხელახლა ვლინდება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიკითხოთ: ახლა გენეზისის უწყების რომელ ადგილას უნდა მივაკუთვნოთ სულიერ-მშვინვიერის ეს გასვლა, დედამიწის მეზობელ პლანეტარულ სხეულებზე ადამიანურ სამშვინველთა სულების გადასვლა, ანუ არსებების, რომლებიც წარმოქმნიენ დედამიწის გაუხეშებული მდგომარეობით? ჩვენ ეს უნდა მივაკუთვნოთ იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია, რომ ბგერითი ეთერის წარმოქმნის მეშვეობით, – ეს მე ძალზე დაწვრილებით ავსახე შესაქმის ე. წ. მეორე დღის აღწერისას, – ზედა სუბსტანციები გამოიყო ქვედა სუბსტანციებისაგან. და ნათელმხილველის მზერით ყველაფერზე თვალის მიდევნებით, რაზეც იქაა საუბარი, ჩვენ საკუთარ თავს ვეტყვით: იმასთან ერთად, რაც ადის ზევით, რაც სცილდება დედამიწას, რაზეც ნათქვამია, რომ ელოჰიმებმა მას უწოდეს „ცა“, – გავიდნენ აგრეთვე ადამიანურ სამშვინველთა სულები. ამრიგად, შესაქმის მეორე დღე ემთხვევა დროის სრულიად განსაზღვრულ შუალედს დედამიწიდან მზისა და მთვარის გამოყოფას შორის, ემთხვევა ადამიანურ სამშვინველთა სულების გარეთ გასვლას დედამიწის გარემოცვაში.

ახლა საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამას თან ახლდა თავისი შედეგის სახით რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი. არსებითად რომ ვთქვათ, მაინც რა იყო ის, რაც მაშინ სამყაროს სივრცეში გავიდა? სხვა სიტყვებით: სად ვპოულობთ ახლა ამას ადამიანში? ადამიანის რომელ ნაწილებში უნდა ვეძებოთ ის, რაც მაშინ სამყაროს სივრცეებში გავიდა? იმ სახით, როგორც ის იყო მაშინ, ახლა, ცხადია, აღარ არსებობს; მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ის დავაყენოთ თანამედროვე ადამიანური ორგანიზმის ზოგიერთ ნაწილთან კავშირში. ამიტომ ადამიანი განვიხილოთ ამ თვალსაზრისით. ახლა ჩვენ ადამიანს განვიხილავთ ჩვენთვის ცნობილ ოთხ ნაწილად: ფიზიკური, ეთერული, ასტრალური სხეულები და „მე“-ს მატარებელი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ოთხი ნაწილიდან ღამის ძილის დროს საწოლში რჩება ფიზიკური და ეთერული სხეულები. იმ ძველ დროებზე საუბრისას, რომელთათვისაც მნიშვნელობა აქვს ბიბლიაში მეორე, ასევე მესამე დღეს აღწერილს, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია, ვისაუბროთ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე ამ სიტყვების თანამედროვე გაგებით. ისინი მხოლოდ მოგვიანებით განცალკევდნენ მიწიერი სუბსტანციისაგან. ის, რაც მაშინ იყო ადამიანი, ახლა მეტწილად განეკუთვნება იმას, რაც ძილის დროს გამოდის ადამიანური ნატურის ამჟამინდელი უფრო მყარი ნაწილებიდან და რასაც ვუწოდებთ ადამიანის ასტრალურ არსებას. ადამიანური სამშენებლის სულის გათვალისწინებით, რომელიც მაშინ დედამიწიდან გავიდა იმისათვის, რომ უკეთ განვითარებულიყო გარემომცველ პლანეტებზე, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ იმ ძალებს, რომლებიც ჩვენს ამჟამინდელ ასტრალურ სხეულში მოქმედებენ. მაშასადამე, სამყაროს შექმნის მეორე დღის შემდეგ დედამიწის მეზობელ პლანეტებზე საჭიროა ვეძიოთ ის, რაც განეკუთვნება ჩვენს ძალებს, როცა საკუთარ ასტრალურ სხეულში ვიმყოფებით ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ.

ჩვენ ვიცით, რომ თუ ამჟამინდელი ადამიანი ღამის ძილის დროს თავისი უფრო ნატიფი ნაწილებით იმყოფება ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ, მაშინ ის თითქოსდა ჩართულია ჩვენი დედამიწის გარემოცვის ას-

ტრალურში, ჩვენი პლანეტარული სისტემის სხეულების ძალებსა და ნაკადებში. ძილის დროს ადამიანი დაკავშირებულია პლანეტარულ არსებებთან. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: იმ ძველ დროებში ადამიანი დაკავშირებული იყო გარეგნულ პლანეტებთან არა მარტო ძილის რაღაც მდგომარეობაში, არამედ დედამიწიდან თავისი გაქცევის შემდეგ ის მათთან მუდმივად იყო დაკავშირებული. ის დავანებული იყო ამ პლანეტებზე. ამრიგად, სამყაროს შექმნის მესამე დღის პერიოდთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ჩამორჩენილი ადამიანური სამშენიველების სულების გამოკლებით, რომლებზეც მე ვისაუბრე, ადამიანური სამშენიველების ყველა სული სრულებითაც არ იყო დედამიწაზე, არამედ მის გარემოცვაში – პლანეტებზე, იქ დასახლდნენ და მათთან ერთად აგრძელებდნენ განვითარებას. ამ დროს დედამიწაზე ვითარდებოდნენ ისინი, ვინც, იყვნენ რა უფრო ძლიერები და მტკიცენი, მასზე დარჩნენ. მათი განვითარება მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი სულ უფრო და უფრო იმოსებოდნენ ნივთიერებით, დედამიწის მატერიით და აქ ძირს, დედამიწაზე მზადდებოდა ის, რაც ახლა დღის ცნობიერებაში ჩვენი ეთერული და ფიზიკური სხეულების სახით გვაქვს. სწორედ იმისათვის, რომ ამ ეთერულ და ფიზიკურ სხეულებს შეძლებოდათ დედამიწასთან ერთად მთელი მიწიერი განვითარების გარემოებების გავლა, ადამიანური სამშენიველების ზოგიერთი სულები დედამიწაზე დარჩა; ამის წყალობით გაგრძელდა ის, რაც ფიზიკური და ეთერული სხეულებისთვის უნდა წარმოქმნილიყო ასევე იმ დროსაც, როცა მთვარის ძალები დაკავშირებული იყვნენ დედამიწასთან.

ჩვენ თუ სწორად დავაყენებთ ჩვენი სამშენიველის წინაშე მზის გამოყოფის შემდგომ მდგომარეობას, მაშინ უნდა ვთქვათ: ადამიანური მშენიველისა და სულიერის უდიდესი ნაწილი იმყოფება დედამიწის გარემოცვაში მეზობელ პლანეტებზე. მზე უკვე გამოეყო დედამიწას, მაგრამ თუ მაშინ ადამიანს შეეძლებოდა დედამიწაზე მოხვედრა, იგი დაინახავდა ნისლის, კვამლის, ორთქლის სქელ მასებს. ის მზეს ვერ დაინახავდა. თავის ძალებთან ერთად გასული მზე მხოლოდ ოდნავ ზემოქმედებას ახდენდა დე-

დამიწაზე ისეთი სახით, რომ ნისლისა და ორთქლის ეს მასები გამეჩხერდა და დედამიწის გარემოცვაში თანდათან მიიღო ის გეშტალტი, რომელიც კაცობრიობის განვითარებისთვის აუცილებელია. ასეთი ადამიანი, რომელიც, ასე ვთქვათ, გვერდიდან უმზერდა განვითარებას, მხოლოდ ოდნავდა დაინახავდა, როგორ დაიწყო გამეჩხერება ნისლმა, როგორ ხდებოდა ნისლის მასები უფრო ნატიფი, როგორ ზემოქმედებდნენ მზის ძალები არა მარტო ორთქლის დაბინდული გარსის მეშვეობით, არამედ ნამდვილად როგორ ხდებოდნენ ისინი, ასე ვთქვათ, ხილული. აქ ჩვენ მივდივართ მეოთხე დღისკენ და ამავე დროს სულ უფრო ვუახლოვდებით მოვლენას, რომელიც უნდა აღვნიშნოთ, როგორც მთვარის გამოყოფა. ამრიგად, იმ დროს დედამიწაზე მცხოვრები ადამიანი ნამდვილად დაინახავდა კვამლისა და ორთქლის მასების გავლით მზის სხივებს. ამ მდგომარეობების დადგომით, დედამიწაზე თანდათან იქმნებოდა პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ადამიანის ჩამოყალიბებას, როცა ადამიანებმა კვლავ შეიძლეს დედამიწაზე ცხოვრება, როცა, ასე ვთქვათ, იმ ადამიანთა ფიზიკური შთამომავლებისაგან, რომლებიც მუდმივად დედამიწასთან რჩებოდნენ, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო სხეულები იმ სამშენველთა სულებისთვის, რომლებიც ახლა დედამიწის გარემოცვიდან უკან ბრუნდებოდნენ.

ამრიგად, აქ თქვენ წინაშეა მე ვიტყვოდი, ორმაგი გამრავლება. მუდმივად დედამიწაზე დარჩენილთაგან წარმოიშვა ის, რაც მოგვიანებით ადამიანის ეთერულ და ფიზიკურ სხეულებად იქცა. ხოლო სულიერ-მშენვენიერი მისი გარემოცვიდან მოვიდა. თავიდან ჩვენი დედამიწის პლანეტარული მეზობლების წრიდან ეს მოახლოება სულიერი ზემოქმედება იყო. იმ მომენტში, როცა მზე, ასე ვთქვათ, კვამლისა და ორთქლის მასების გავლით დედამიწის გარემოცვაში შეიჭრა, როცა მთვარე გამოეყო დედამიწას, მაშინ სამშენველთა სულებში მეზობელ პლანეტებზე გაიღვიბა სწრაფვამ კვლავ დაშვებულებიყვნენ დედამიწის სფეროში. იმ დროს, როცა, ერთი მხრივ, დედამიწაზე ხილული გახდა მზე, მეორე მხრივ, კი მთვარე, აქ შემოიჭრნენ ასევე დედამიწისკენ მსწრაფი სამშენველების ძალები. აქ თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ რეალობას იმი-

სა, რაც შესაქმის ე. წ. მეოთხე დღეს აღწერილია სიტყვებით: „ელოჰიმებმა შექმნეს დიდი მნათობი და პატარა მნათობი, მზის არსება, მთვარის არსება და ვარსკვლავები“. ამასთან ვარსკვლავების ქვეშ იგულისხმება უშუალოდ ჩვენი დედამიწის პლანეტარული მეზობლები. ამრიგად, თავისებური სახის წონასწორობის დამამკვიდრებელი ქმედება მზადდებოდა, ერთი მხრივ, მზის, მეორე მხრივ, მთვარის მიერ; ამავე დროს მზადდებოდა ადამიანურ სამშენველთა სულების ზემოქმედება, რომლებიც ისწრაფოდნენ დედამიწაზე ახალი განსხეულებისკენ.

მაშასადამე, მეოთხე დღე ჩვენ მივუსადაგეთ იმ დროს, როცა ლემურიის ეპოქაში მთვარის გასვლის შემდეგ დადგა პირობები, რომლებიც აღწერილია ჩემს „იდუმალთმეტყველებაში“ და რომლებიც შეგვიძლია განვსაზღვროთ სიტყვებით: ადამიანურ სამშენველთა სულები კვლავ ისწრაფვიან დედამიწისკენ.

ახლა კი მცირეოდენი ყურადღება უნდა დავუთმოთ თანმხლებ სულიერ მდგომარეობებს. ახლა უფრო მეტად განვიხილეთ ის, რაც შემდგომ გახდა ფიზიკური. ჩვენ სულ უფრო მეტად უნდა გავარკვიოთ, რომ ყველაფრის, უფრო უხემის საფუძველში ძვეს უფრო ნატიფი; ფიზიკურისკენ მსწრაფი ყველაფრის საფუძველში სულიერი ძვეს. მზესთან ერთად დედამიწიდან წავიდნენ უმთავრესად ელოჰიმები, რომლებმაც თავიანთი არენა გადაიტანეს გარეთ იმისათვის, რომ გარემოცვიდან ემოქმედათ. მაგრამ არა ყველა. ელოჰიმებისაგან რაღაცა რჩებოდა დედამიწასთან ერთად ასევე მაშინაც, როცა დედამიწას თავის სხეულში ჯერ კიდევ ჰქონდა მთვარის ძალები. ის, რაც მაშინ ელოჰიმების სულიერი ძალებისგან დედამიწასთან რჩებოდა, გარკვეული სახით დაკავშირებულია მთვარის ძალების ყველანაირ კეთილ ზემოქმედებასთან. ჩვენ ხომ მთვარის ძალების კეთილ ზემოქმედებებზეც უნდა ვისაუბროთ. მზის გამოყოფის შემდეგ დედამიწაზე ყველაფერი, – და უმთავრესად ადამიანი, – მოვიდოდა მუმიფიცირებულ მდგომარეობაში, გამყარდებოდა, გახევდებოდა. ადამიანი მოკვდებოდა დედამიწისთვის. დედამიწა იქცეოდა უდაბნოდ, თუ ის თავის სხეულში შეაკავებდა მთვარის ძალებს. დედამიწის შიგნით მთვარის ეს ძალები ვერ იქნებოდა მადლიანი. მა-

ინც რატომ უნდა დარჩენილიყვნენ ისინი გარკვეული დროის განმავლობაში დედამიწასთან? იმიტომ, რომ კაცობრიობას უნდა განეცადა, ასე ვთქვათ, ყველა მიწიერი სახეცვლილება, ვინაიდან კაცობრიობას თავისი ყველაზე ძლიერი წარმომადგენლების სახით უნდა გაეველო მთვარის ეს გამყარებაც. მაგრამ დედამიწიდან მთვარის გამოყოფის შემდეგ კვლავ მადლიანი გახდა ის ძალები, რომლებიც სხვა შემთხვევაში კაცობრიობის მიწიერ სიკვდილს გამოიწვევდა. მთვარის გამოყოფის შემდეგ ყველაფერი კვლავ გამოცოცხლდა, შედეგად უფრო სუსტ სამშინველებსაც ასევე შეეძლოთ ჩამოსვლა ქვევით და ადამიანურ სხეულებში განსხეულება. ამრიგად, მთვარე იქცა დედამიწის კეთილისმყოფლად, როცა მისი მეზობელი გახდა. ამ პროცესების გვერდით ყველაფრის მმართველი არსებები ადამიანის დიადი კეთილისმყოფელები იყვნენ. მაინც რა არსებები იყვნენ ისინი? სწორედ ისინი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მთვარესთან და შემდეგ, ასე ვთქვათ, მთვარე მოწყვიტეს დედამიწას, რათა ადამიანი მიწიერ განვითარებაში წინ წაეყვანათ. შესაქმის უწყებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ელოჰიმები იყვნენ დიადი წარმმართველი ძალები. და ელოჰიმების ძალები, რომელთაც გამოიწვიეს მთვარის გამოყოფის დიადი მოვლენა და მხოლოდ ამის წყალობით მისცეს ადამიანს მისი საკუთარი არსება, იყო სწორედ ის, რაც ხელს უწყობდა ელოჰიმების კოსმიურ აღმასვლას იაჰვე-ელოჰიმისკენ, რამაც ასევე ელოჰიმების არსება აღამაღლა იაჰვე-ელოჰიმამდე. იგი რჩებოდა მთვარესთან ერთად, მან გაიყვანა შემდეგ მთვარე ჩვენი დედამიწიდან. ამიტომ შეგვიძლია, ვთქვათ: იმასთან, რასაც მთვარის სხეულის სახით ჩვენი ქმნადობის შინაგანში ვპოულობთ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ის, რასაც იაჰვე-ელოჰიმს ვუწოდებთ.

ახლა უფრო დაწვრილებით წარმოვიდგინოთ, არსებითად, რას ნიშნავს ეს სახეცვლილება ადამიანისათვის მის მიწიერი ჩამოყალიბების დროს. ადამიანი თუ დარჩებოდა დედამიწასთან კავშირში, თუკი თავის თავში შეაკავებდა მზეს, მაშინ ის გახდებოდა არსება, რომელიც იქნებოდა, არსებითად, არარა; ის უბრალოდ ელოჰიმების არსთან კავშირში დარჩებოდა; ის ვერ შეძლებდა დამოუ-

კიდებული ყოფიერებისთვის გამოყოფას. რამდენადაც ელოჰიმები თავისი მზით გამოეყვნენ დედამიწას, ადამიანს შეეძლო დედამიწასთან კავშირში დარჩენა და თავისი მშენებელი-სულიერი სიცოცხლით ცხოვრება. თუმცა ეს მდგომარეობა ასე რომ დარჩენილიყო, ადამიანი თავის თავში გამყარდებოდა, ის უბრალოდ მოკვდებოდა. რისთვის უნდა მისულიყო ადამიანი იმ მდგომარეობამდე, რომელიც სიკვდილის შესაძლებლობას იძლეოდა? იმისათვის, რომ თავისუფალი გამხდარიყო, რომ შეძლებოდა ელოჰიმებისგან მოწყვეტა, რომ დამოუკიდებელ არსებად ქცეულიყო. თავის მთვარის ნაწილში ადამიანს თავის თავში გააჩნდა რაღაც, რაც, არსებითად, წარმართავს სიკვდილისკენ; ის მიიღებდა ამის, ასე ვთქვათ, ძალზე დიდ დოზას, თუ მთვარე არ გამოეყოფოდა დედამიწას. ამის მიუხედავად თქვენ აქედან ხედავთ, რომ ეს მთვარისეული, როგორც კოსმიური სუბსტანციურობა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანურ დამოუკიდებლობასთან.

ახლა თქვენ თუ აიღებთ დღევანდელ მიწიერ მდგომარეობებს, საკუთარ თავს უნდა უთხრათ: მათთვის ნიშანდობლივი ურთიერთობები, არსებითად, მხოლოდ მთვარის გამოყოფის შემდეგ დადგა. ამრიგად, მათში მთვარის ძალა უკვე აღარ არის იმდენი, როგორც ეს ადრე იყო. მაგრამ ადამიანმა საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან მიმართებით გადაიტანა ასევე მთვარის დრო, დედამიწის მთვარესთან კავშირი. იგი არ ატარებს თავის თავში რაღაცას იქიდან, რაც არის იქ, ზევით, მთვარეზე. მან ეს საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში ჯერ კიდევ იმ დროებიდან შეინარჩუნა. ამრიგად, ადამიანს თავის თავში აქვს მთვარისეული; იგი დაკავშირებულია ამ მთვარისეულთან. დედამიწა თავის თავში ამ მთვარისეულს ვერ აიტანდა; ამიტომ მას აქვს მონაცემები იყოს კიდევ რაიმე სხვა, ვიდრე უბრალოდ მიწიერი არსება.

ამ ყველაფრის გააზრებით თქვენ დაინახავთ, ჩვენ, როგორც ადამიანებს ფეხქვეშ გვაქვს დედამიწა და ამ დედამიწიდან უნდა გაგდებულიყო მთვარე. მაგრამ ის გაგდებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადამიანში ჩაინერგა მისი არსის აუცილებელი ნაწილი. დედამიწა თავის თავში არ ატარებს მთვარისეულს; ჩვენ მას ჩვენში ვატა-

რებთ. რა მოუვიდოდა დედამიწას, თუ მისგან არ იქნებოდა მოწყვეტილი მთვარე? შესხედეთ ამ მთვარეს სხვა თვალით, ვიდრე მას ახლა ასე ხშირად უყურებთ. მისი მატერიის მთელი აგებულება სრულიად განსხვავდება დედამიწისგან. უხეში მატერიალისტური აზრით ასტროფიზიკოსი (Astrophysiker) ამბობს, რომ მთვარეს არა აქვს ჰაერი, არც წყალი, ანუ ის გაცილებით უფრო მეტადაა ჩართული მყარში, ვიდრე დედამიწა. შესაბამისად, ის შეიცავს ძალებს, რომელიც დედამიწას გაცილებით უფრო მეტი გამყარებისკენ წაიყვანდა და მას ფიზიკურად კიდევ უფრო გაამყარებდა. ამრიგად, მთვარის ეს ძალები დედამიწას ფიზიკურად უფრო გაამყარებდნენ, გაამკვირვებდნენ. მაგალითი რომ გვქონდეს იმისა, რად შეიძლებოდა დედამიწა ქცეულიყო მთვარის ძალების მასში დარჩენით, აზრობრივად წარმოდგინეთ უბრალოდ მიწიერი მატერიის ნაწილაკი სადმე ქუჩაზე, წყლით გაუღენთილი, მაგ., რაღაც ტალახივით. წარმოდგინეთ, რომ წყალი თანდათან ერთქლდება და მაშინ ეს მიწიერი მატერია სულ უფრო მტვრისებრი ხდება. თქვენ შეგიძლიათ ამ პროცესს თავადაც დააკვირდეთ ქუჩის ტალახის მაგალითზე, რომელიც თანდათან მტვრად იქცევა. რაღაც ამდაგვარი დიდი მასშტაბით მოხდებოდა დედამიწასთან დაკავშირებითაც, – ნაპრალებიდან მტვრის მასამდე, – თუ მთვარის ძალები კავშირში დარჩებოდნენ დედამიწასთან. რაღაც ამდაგვარი მოუვა ერთხელაც დედამიწას, როცა ის თავის ამოცანას აღასრულებს. ის გაიბნევა სამყაროს მტვერში. დედამიწის მატერია გაიბნევა სივრცეში, როგორც სამყაროს მტვერი, როცა ადამიანი მასზე თავის განვითარებას განვლევს.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია, თქვათ: დედამიწა იქცეოდა მტვრად; ის თავის თავში ატარებდა წინაპირობას იმისა, რომ ქცეულიყო მტვრად. ის დაიცვეს ასეთი ნაადრევი მტვრადქცევისაგან იმით, რომ მისგან გამოიყო მთვარე. მაგრამ ადამიანში დარჩა რაღაც იმისგან, რასაც აქვს, არსებითად, მონაცემი იქცეს მტვრად. ჩემ მიერ აღწერილი ყველა გარემოების წყალობით ადამიანი საკუთარ არსებაში იღებს რაღაცას დედამიწის მთვარისებრი მტერიდან. ამრიგად, მთვარესთან დაკავშირებულმა არსებებმა ადამიანურ არსებას მისცეს რაღაც, რაც სინამდვილეში არ მიე-

კუთვნება მიწიერ მასას, რომელიც ჩვენ გვაქვს უშუალოდ ჩვენს გარემოცვაში მთვარის გამოყოფის შემდეგ; მათ ადამიანურ სხეულებრიობაზე აღბეჭდეს რაღაც დედამიწის მთვარისეული მტვერიდან. ვინაიდან ამ მთვარისეულთან დაკავშირებულია იაჰვე-ელოჰიმი, ამიტომ ეს ნიშნავს, რომ იაჰვე-ელოჰიმი არის ის, ვინც დედამიწის მთვარისეული მტვერი ადამიანის სხეულებრიობაზე აღბეჭდა. და ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მიწიერი განვითარების მსვლელობისას საჭიროა დადგეს დრო, რომლის განსაზღვრაც სწორი იქნება ასე: ელოჰიმების კოსმიურ აღმასვლაში დადგა დრო, როცა იაჰვე-ელოჰიმმა ადამიანურ სხეულებრიობაზე აღბეჭდა დედამიწის მტვერი, დედამიწის მთვარისეული მტვერი. განუზომლად სიღრმისეულია ბიბლიაში ის ადგილი, რომელიც ამბობს: „და იაჰვე-ელოჰიმმა წარმოქმნა ადამიანი დედამიწის მტვერიდან“. ვინაიდან ის სწორედ ამას ნიშნავს. მთლიანად აზრსაა მოკლებული ყველა თარგმანი, რომელიც ამბობს, რომ იაჰვე-ელოჰიმმა ადამიანი მუჭა მიწისგან შექმნა. მან დედამიწის მტვერი ადამიანზე აღბეჭდა.

ჩვენ თუ უკვე ვპოულობდით ბევრ რამეს, რაც იწვევდა მთრთოლვარე მოწიწებას იმის წინაშე, რასაც გვეუბნება ბიბლია ძველი ნათელმხილველების მეშვეობით და რასაც ხელახლა აღმოვაჩინეთ ნათელმხილველური კვლევის მეშვეობით, მაშინ ამ სიტყვებში: „და იაჰვე-ელოჰიმმა ადამიანურ სხეულებრიობაზე აღბეჭდა დედამიწის მთვარისეული მტვერი“, ჩვენ გვაქვს ისეთი ადგილი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა აამაღლოს ჩვენი მოწიწება ძველი ნათელმხილველების მიერ გენეზისში გადმოცემული უწყებების წინაშე. როდესაც ეს უძველესი ნათელმხილველები აცნობიერებდნენ, რომ ისინი იღებენ საკუთარ ნიჭს, რომელიც მათ აძლევდა უნარს, ესაუბრათ მსგავს რამეზე, იმ სფეროებიდან, სადაც მოქმედებდნენ ელოჰიმები და იაჰვე-ელოჰიმი, როცა ისინი აცნობიერებდნენ, რომ საკუთარ სიბრძნეს აღიქვამდნენ თავად სამყაროს შემოქმედთა სფეროებიდან, მათ შეეძლოთ საკუთარი თავისთვის ეთქვათ: ცოდნის, სიბრძნის, იღვის სახით ჩვენში იღვრება ის, რაც აყალიბებდა თავად დედამიწას, როცა ის ქსოვდა და შრომობდა ამ არსებებში. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დრმა მოწიწებით ვუმზიროთ იმ უძველეს ნათელმხილვე-

ლებს, მსგავსად იმ ღრმა მოწიწებისა, რომლითაც ეს ნათელმხილველები იმზირებოდნენ სფეროებში, საიდანაც მათთან მოდიოდა გამოცხადება, – ელოჰიმებისა და იაჰვე-ელოჰიმის სფეროებში. რა შეეძლოთ მათ ეწოდებინათ არსებებისთვის, რომლებიც მათი საკუთარი შემეცნებისა და ქმნილების საფუძველს წარმოადგენენ? რა სიტყვები შეიძლებოდა არსებულებს მათთვის, თუ არა ის, რაც აღავსებდა მთლიანად მათ გულს, როცა ისინი სამყაროს შემქმნელი ძალების გამოცხადებას აღიქვამდნენ. მათი მზერისას ისინი ამბობდნენ: გამოცხადება ჩვენკენ მოედინება ღვთაებრივ-სულიერი არსებებისგან. ჩვენ არ შეგვიძლია მათთვის ვიპოვოთ რაიმე სხვა სიტყვა, გარდა იმისა, რასაც გამოხატავს ჩვენი მოშიშარი მოწიწების გრძობა: „ისინი, ვის წინაშეც ჩვენ ვგრძობთ მოშიშარ მოწიწებას“. გადავთარგმნოთ ეს ძველ ებრაულად. როგორ უღერს ეს: „ისინი, ვის წინაშეც ჩვენ ვგრძობთ მოშიშარ მოწიწებას?“ – ის უღერს: „ელოჰიმები!“ ეს არის სიტყვა იმათთვის, რომელთა წინაშეც გრძობენ მოშიშარ მოწიწებას. ამრიგად, თქვენ წინაშეა ძველი ნათელმხილველის შეგრძნებები, შერწყმული იმ სამყაროსეული არსებების სახელებთან, რომლებსაც იგი მიაკუთვნებდა სამყაროს შექმნას და საკუთარ გამოცხადებას.

იმ ყველაფრიდან, რაზეც ბოლო დღეების განმავლობაში და განსაკუთრებით გუშინ ვისაუბრეთ, შეგიძლიათ დაახლოებით განსაზღვროთ, დროის რომელ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, ჩვენი სულისმეცნიერული აღწერის თანახმად, გენეზისის უწყება. ჩვენ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ ბიბლიის პირველივე მონუმენტურ სიტყვებში იგულისხმება ის მომენტი, რომელიც სულისმეცნიერული თვალსაზრისით შეგიძლია, განსაზღვროთ დაახლოებით შემდეგი სიტყვებით: გაერთიანებული მიწიერ-მზისეული სუბსტანცია ჯერ მხოლოდ უახლოვდება გაყოფას. შემდეგ მოხდა ეს გაყოფა და გაყოფის პროცესის დროს ხდება ყველაფერი, რასაც გენეზისის აღწერს. გენეზისის ამ უწყებაში ნაგულისხმევია ის ყველაფერი, რაც შემდეგ მას მოყვა ლემურიის დრომდე, თვით მთვარის გამოყოფამდე. ის, რასაც შემდეგ სულისმეცნიერება გვეუბნება მთვარის გამოყოფაზე, ლემურიის პერიოდის მსვლელობაზე, ატლანტიდის დროის დასაწყისზე, ჩვენ უნდა ვეძიოთ იმის აღწერაში, რაც შესაქმის დღეებს მოსდევს. ამაზე გუშინ უკვე ვისაუბრეთ. ჩვენ ასევე მივუთითეთ იმაზე, როგორი ღრმა აზრებია დამალული სიტყვებში იმაზე, რომ ადამიანმა საკუთარ სხეულებრიობაზე მთვარისეულ-მიწიერი მტკერი აღბეჭდა. ეს მოხდა იმ კოსმიური პროცესის დროს, რომელიც განსაზღვრეთ, როგორც ელოპიმების აღმასვლა იაპვე-ელოპიმისკენ. ეს აღმასვლა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გარედან მთვარის ზეგავლენის დასაწყისთან თანმხვედრი. მთვარის ეს გავლენა, ანუ გავლენა იმ არსებისა, რომელიც უკავშირდებოდა მთვარის გამოყოფის პროცესს, ასევე გარედან მთვარის ზემოქმედებას, საჭიროა წარმოვიდგინოთ სწორედ ელოპიმების ერთობლიობის სახით, როგორც ის, რასაც ჩვენ იაპვე-ელოპიმს ვუწოდებთ. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, გვეთქვა: დედამიწაზე მთვარის ზეგავლენა თავის პირველ სტადიაში დაკავშირებულია იმ ყველაფერთან, რასაც შეგიძლია, ვუწოდოთ ადამიანურ სხეულში მთვარისეულ-მიწიერი მატერიის აღბეჭდვა; აქამდე მხოლოდ სითბური სტიქიისგან შემდგარი ადამიანური სხეულისთვის ნიშანდობლივი ხდება ის, რაც ჩვეულებრივ

ითარგმნება სიტყვებით: იაჰვე-ელოჰიმმა ადამიანს შთაბერა ღვთაებრივი სუნთქვა და ადამიანი იქცა ცოცხალ სამშინველად, ანუ უმჯობესია ითქვას ცოცხალ არსებად.

ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რაოდენ წარმოუდგენლად დიადი და მნიშვნელოვანია აქაც ბიბლიური გამონათქვამი. მე უკვე მიგითითეთ, რომ მიწიერი ადამიანის ჭეშმარიტი ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, რომ ადამიანი, როგორც სულიერი არსება თავის სულიერ მდგომარეობაში უნდა დალოდებოდა მანამდე, სანამ დედამიწაზე არ დამყარდებოდა შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ საკუთარი სხეულებრიობის უფრო გვიანდელი მიღების წყალობით ის შეძლებდა მოწიფულ არსებად ქცევას. თუ იგი თავისი სულიერი მდგომარეობიდან სხეულში გადმოვიდოდა ადრე, მაგ., იმ პროცესების დროს, რომლებიც იგულისხმება შესაქმის ე. წ. მესუთე დღეში, მაშინ გახდებოდა მხოლოდ ისეთი არსება, რომლებიც აღწერილია ჰაერისა და წყლის სფეროებში მცხოვრებთა სახით. ამ ადამიანურ არსებას გენეზისი როგორი სახით წარმოგვიდგენს? ეს უკანასკნელი უზვეულოდ დიადი სახით არის წარმოდგენილი. აქ არჩეული გამოხატვის ფორმა კი ისეთი მკაფიოა, რომ თანამედროვე ადამიანს შეეძლო აქედან ბევრი რამ ესწავლა – სწორედ გამოხატვის სწორ და მკაფიო არჩევასთან დაკავშირებით. ნათქვამია, რომ არსებები, ანუ სახეობითი სამშინველები, რომლებიც შესაქმის მესუთე დღეს მიწიერ მატერიაში ჩაეფლნენ, იქცნენ ცოცხალ არსებებად – იმად, რასაც ახლა ცოცხალ არსებებს ვუწოდებთ. ამ დროს ადამიანი ჯერ არ იყო დაშვებული. ის სახეობითი სამშინველები, რომლებიც ჯერ კიდევ ზევით იმყოფებოდნენ, თითქოსდა სულიერის უდიდეს აუზში, მოგვიანებით დაეშვნენ. სწორედ შესაქმის მეექვსე დღეს დაეშვნენ ადამიანთან მეზობლად მყოფი მაღალი ცხოველური არსებები, მიწიერი ცხოველები. ამრიგად, შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს ადამიანი მყარ მატერიაში არ უნდა ჩამოსულიყო; ვინაიდან, თუ ის უკვე იმ დროს აღბეჭდავდა თავის თავში მიწიერი ყოფიერების ძალებს, მაშინ ფიზიკურთან დაკავშირებით ისეთივე არსებად იქცეოდა, როგორიც იყო მიწიერი ცხოველები. თავიდან დაეშვნენ მაღალ მიწიერ ცხოველთა სახეობის სამშინველები, რომლებიც უკვე ჰა-

ერსა და წყალში კი არ ბინადრობდნენ, არამედ დედამიწის ზედაპირზე. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდა თანდათანობით ისეთი პირობები, რომლის დროსაც შეიძლებოდა გვიანდელი ადამიანის ჩანასახების წარმოქმნა.

ეს როგორ ხდებოდა? ამაზე დიდებულად მიგვიითიებს სიტყვები იმაზე, რომ ელოპიმის არსებები შეუდგნენ მიწიერი ადამიანის შექმნას, რათა გაეერთიანებინათ თავიანთი ქმედებები, ჩემ მიერ აღწერილი სურათ-ხატის შესაბამისად. ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ: უპირველეს ყოვლისა, ეს მიწიერი ადამიანი წარმოიქმნა იმის წყალობით, რომ ელოპიმები, – მათი მრავალფეროვანი, ერთმანეთში განაწილებული უნარებით, – მოქმედებდნენ ერთად, როგორც საერთო მიზნის მქონე არსებების ჯგუფი. ამრიგად, ადამიანი იყო, უპირველეს ყოვლისა, ელოპიმების ჯგუფის საერთო მიზანი.

ახლა საჭიროა, უფრო ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, როგორი სახით წარმოიქმნა ადამიანი შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს. ცხადია, ის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ისეთი, როგორსაც ახლა ვხედავთ. ფიზიკური სხეულებრიობა, რომლითაც ადამიანი წარმოჩნდება ჩვენ წინაშე, წარმოიქმნა მხოლოდ შემდგომში, როცა იაჰვე-ელოპიმის მიერ განხორციელდა ცოცხალი Odems ჩაბერვა. ის პროცესი, რომელიც აღწერილია, როგორც ელოპიმების მიერ ადამიანის შექმნა, განხორციელდა მანამ, სანამ მიწიერი მტვერი ჩაინერგებოდა სხეულებრიობაში. მაინც როგორი იყო ადამიანი, რომელიც ელოპიმებმა ჯერ კიდევ ლემურიის ეპოქის მიმდინარეობისას ყოფიერებაში გადანერგეს?

გაიხსენეთ, რომ მე უკვე არაერთხელ ვისაუბრე თანამედროვე ადამიანის ხასიათსა და ბუნებაზე. რასაც ჩვენ თანამედროვე ადამიანს ვუწოდებთ, გარკვეულწილად წარმოადგენს რაღაც ერთგვაროვანს მხოლოდ უმაღლეს ნაწილებთან მიმართებით. სქესთან მიმართებით ადამიანი უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ჩვენ წინაშე თავის ფიზიკურ სხეულში წარმოჩენილი მამაკაცური იერი, მის ეთერულ სხეულში არის ქალური, ხოლო ის, რაც ჩვენ წინაშეა ქალური სხეულის სახით, ეთერულ სხეულში არის მამაკაცური. ასეა ამჟამად დაყოფილი კაცობრიობა. ის, რაც გარეგნულად არის მამაკაცური, შინაგანში არის – ქალური; ხოლო ის, რაც გარეგნულად არის ქალური, შინაგანში არის

– მამაკაცური. ეს რის გამო მოხდა? ეს მოხდა იმის შედეგად, რომ თავად შესაქმის დღეების შემდეგ შედარებით გვიანდელ პერიოდში მოხდა ადამიანის სხეულებრიობის დიფერენციაცია. იმ ადამიანებში, რომლებიც შეიქმნა შესაქმის მექქესე დღეს, როგორც ელოჰიმების საერთო მიზანი, ჯერაც არ არსებობდა ეს დიფერენციაცია, მამაკაცად და ქალად ეს დაყოფა; მაშინ ადამიანები ჯერ კიდევ ფლობდნენ ერთგვაროვან სხეულებრიობას. ამას ყველაზე მკაფიოდ წარმოვიდგენთ, – რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ამის გაკეთება ხატოვნად, – თუ ვიტყვით: სწორედ ფიზიკური სხეულებრიობა იყო მაშინ კიდევ უფრო ეთერული, სამაგიეროდ ეთერული სხეულებრიობა იყო ოდნავ მყარი, ვიდრე ახლა. მაშასადამე ის, რაც ახლა მყარ ფიზიკურ სხეულებრიობას წარმოადგენს, იმ პერიოდში, როცა მას ელოჰიმები ქმნიდნენ, ჯერ კიდევ არ იყო ისეთი მყარი, როგორც ახლა. დიფერენციაცია, გამყარება ფიზიკურის მიმართულებით მოგვიანებით იაჰვე-ელოჰიმის გაფლენით დადგა. ხომ ხვდებით, რომ ელოჰიმების მიერ შექმნილ ადამიანს საერთოდ ვერ განვიხილავთ მამაკაცისა და ქალის თანამედროვე გაგებით; ის ერთდროულად იყო მამაკაცურიც და ქალურიც – არადიფერენცირებული, არა დაყოფილი. ამრიგად, ადამიანი, შექმნილი ისე, როგორც ამას გადმოსცემს ბიბლია ელოჰიმების სიტყვებით „შექმნათ ადამიანი!“, ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული, არამედ ერთდროულად იყო ქალიც და კაციც; სწორედ ელოჰიმების ამ შემოქმედების წყალობით წარმოიქმნა მამაკაცურ-ქალური ადამიანი. ასეთია თავდაპირველი მნიშვნელობა იმისა, რაც ასე გროტესკულად არის თარგმნილი თანამედროვე ბიბლიაში: „და შექმნეს ელოჰიმებმა ადამიანი – კაცისებრი და ქალისებრი“. ეს „კაცისებრი და ქალისებრი“ – ყველაზე არაორგანული თარგმანია ბიბლიაში. მასში ჩვენ საქმე გვაქვს არა მამაკაცურთან და ქალურთან ჩვენი დროის თვალსაზრისით, არამედ არადიფერენცირებულ ადამიანთან, მამაკაცურ-ქალურ ადამიანთან.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ბიბლიის მრავალრიცხოვანი ექსეგეტი (exegeten, განმარტება) ეწინააღმდეგებოდა ასეთ განმარტებებს და ცდილობდა, გარკვეული მეცნიერული ქედმაღლობით, დაეცინათ მისთვის, რაც უკვე იყო დად-

გენილი მონუმენტური უძველესი ექსეგეტი, ანუ სწორედ ზუსტი. ისინი ცდილობენ წინ აღუდგნენ ასეთ განმარტებას, რომლის თანახმადაც ელოჰიმების ადამიანი ერთდროულად იყო მამაკაცურ-ქალური, შესაბამისად ელოჰიმების მსგავსი, – ის, რაც წარმოიქმნა „მათ ხატად და მსგავსად“, – და წარმოადგენს მამაკაცურ-ქალურ ადამიანს. ამის უარყოფელ სწავლულ განმარტებებს მე შევეკითხებოდი: არსებითად, ისინი რას ეყრდნობიან? ნათელმხილველურ კვლევაზე დაყრდნობა მათ არ შეუძლიათ, ვინაიდან ის ამბობს მხოლოდ იმას, რაც უკვე გითხარით. რაღაც გარეგნულ კვლევას? მაშინ მე ვისურვებდი, ამ ადამიანებისთვის მეკითხა, შეუძლიათ თუ არა მათ, სინამდვილეში დაეყრდნონ ბიბლიურ გადმოცემას, რომ დაიცვან რომელიმე სხვა განმარტება, ვიდრე ზემოთ იყო შემოთავაზებული. ასეთი ადამიანებისთვის კარგი იქნებოდა მოგვეყოლა, არსებითად, რას წარმოადგენს ბიბლიის გარეგნული გადმოცემა. როცა, უპირველეს ყოვლისა ნათელმხილველური კვლევის მეშვეობით მოვლენათა ჭეშმარიტ მდგომარეობას ავლენენ, მაშინ იჭრება ცხოვრება, ბიბლიის ამ ტექსტში იჭრება სინათლე და მაშინ ტრადიციისაგან უმნიშვნელო უკან დახვევები ხელს არ უშლის, ვინაიდან ტექსტის სწორი გაგებისკენ მარტოდენ ჭეშმარიტების ცოდნას მიჰყავს. მაგრამ თუ ამ ტექსტებს ფილოლოგიური თვალსაზრისით უდგებიან, მაშინ რაღაც სხვა ხდება. საჭიროა ითქვას, რომ თვით ქრისტიანულ საუკუნეებამდე არ არსებობდა არაფერი, რაც ეხება ბიბლიის პირველ ნაწილს, რასაც შეეძლო ბიბლი მიეცა ამ ტექსტის ისე წაკითხვისთვის, როგორც მას ახლა კითხულობენ. ხმოვნები მაშინ საერთოდ არ იყო დასმული და ტექსტი იყო ისეთი სახით, რომ თავიდან საჭირო იყო ტექსტის ცალკეულ სიტყვებად დაყოფა. მხოლოდ შემდგომში დაისვა წერტილები და ძველებრად ენაზე ხმოვნების აღმნიშვნელი. მე მსურს, ვიცოდე, რის საფუძველზე, – სულისმეცნიერების საფუძველზე მომზადების გარეშე, – სურს ვინმეს თავდაპირველი ტექსტის განმარტების გაკეთება, რომელი ტექსტიც მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვის შემთხვევაში შეიძლება სწორად ვაღიაროთ.

ამრიგად, ელოჰიმების ქმნილებაში ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის მოსამზადებელ სტადიასთან. ყველა პროცესი,

რასაც ახლა ვუწოდებთ „ადამიანურ გამრავლებას“ ან ამგვარ დაფარვას, მაშინ ადამიანთან ჯერ კიდევ უფრო ეთერული, უფრო სულიერი იყო. მინდა გითხრათ, რომ იმ დროს ისინი უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ან, შეიძლება ითქვას, უფრო მაღალ პლანზე. მხოლოდ იაჰვე-ელოჰიმის შემოქმედებამ აქცია ადამიანი ისეთად, როგორც ის დღეს არის. ამის წინამორბედი უნდა ყოფილიყო სხვა, დაბალი არსებების კანონზომიერი შექმნა. ამრიგად, ნაადრევი შემოქმედებითი აქტის წყალობით ცოცხალ არსებებად იქცნენ დაბალი ცხოველური არსებები. ამიტომ *გამოთქმა** „ნეფეში“ (nephesch, შესაქმეში: „ცოცხალი არსება“) ერთნაირად გამოიყენება, როგორც ცხოველის, ისე თვით ადამიანის მიმართაც. მაგრამ ადამიანის მიმართ როგორი აზრით? იმ აზრით, რომ იაჰვე-ელოჰიმი, როცა ადამიანს აქცევს ადამიანად თანამედროვე აზრით, ამ მომენტში იაჰვე-ელოჰიმი თითქოსდა ადამიანზე აღბეჭდავს „n'schamah“-ს („და იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად“, ნეფეში ხაია). სწორედ იმის წყალობით, რომ ადამიანმა მიიღო აღბეჭდილი უმაღლესი ნაწილი, იგი ცოცხალ არსებად იქცა.

ახლა მიაქციეთ ყურადღება იმას, როგორი უსასრულოდ ნაყოფიერი, ღრმა აზრით სავსე ცნება შემოდის ევოლუციურ სწავლებაში სწორედ ბიბლიის მეშვეობით! ცხადია, სრული უგუნურება იქნებოდა უარყოფა იმისა, რომ გარეგნულ ფორმასთან მიმართებით ადამიანი უერთდება, ასე ვთქვათ, ცხოველური სამეფოს უმაღლეს საფეხურს. ამ საკითხში ტრივიალურობა დარვინიზმს მივანდოთ. ყველაზე არსებითია ის ფაქტი, რომ ადამიანი სხვა დაბალი არსებებისგან განსხვავებით გადაიქცა ცოცხალ არსებად, რომლის ხასიათიც შეიძლება განისაზღვროს სიტყვით „nephesch“. ამისთვის მას უნდა მიეღო საკუთარი არსების უმაღლესი წევრი, რომელიც მის სულიერ-მშვენიერთან მიმართებით ადრე უკვე იყო მომზადებული.

ახლა კი სულისმეცნიერებით მივეახლებით ძველებრაული მოძღვრების სხვა პარალელებს. კაცობრიობაში მშვენიერზე საუბრისას ჩვენ განვასხვავებთ შეგრძნების, განსჯისა და ცნობიერ სამშვენიველებს. ჩვენ ვიცით, რომ თავისი სულიერ-მშვენიერი სახით ისინი წარმოიქმნა იმ პერიოდების განმავლობაში, რომელიც აღნიშნულია შესაქმის

პირველი სამი დღით. მათი ჩანასახები სწორედ მაშინ წარმოიქმნა. მაგრამ გაცილებით გვიან განხორციელდა აღჭურვა, ნამდვილი აღბეჭდვა იმ დონეზე, რომ ფიზიკური სხეული იქცა ადამიანის ამ შინაგანი არსობრივი მშვენიერი ბუნების გამოვლინებად. ამიტომ საჭიროა დავადგინოთ, რომ თავიდან წარმოიქმნება სულიერი, რომელიც შემდეგ შეიმოსება, უპირველეს ყოვლისა, ასტრალურით, შემდეგ სულ უფრო მეტად მყარდება თვით ეთერულ-ფიზიკურამდე და მხოლოდ ამის შემდეგ აღიბეჭდება ცხოვრების სუნთქვის ფორმით სულიერი, ანუ ის, რაც ადრე უკვე არსებობდა. ამრიგად, იაჰვე-ელოჰიმის მიერ ადამიანურ არსებაში ბირთვის სახით ჩადებული, უკვე ადრე იყო წარმოქმნილი; ის ელოჰიმების წიაღში იყო დავანებული. ახლა ის აღბეჭდილია ადამიანში, რომლის სხეულებრიობაც, მეორე მხრივ, უკვე განვითარდა. ამგვარად, ეს არის ის, რაც ადამიანში სხვა მხრიდან შედის. მხოლოდ ამ აღბეჭდვის შემდეგ გახდა n'schamah შესაძლებელი, რათა ადამიანში ჩაღვრილიყო ის, რასაც „მე“-ს ჩანასახს ვუწოდებთ. ვინაიდან ეს ძველებრაული დასახელებები, – nephesch, ruach, n'schamah, – სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც ამის პარალელურად დავახასიათეთ ჩვენი სულისმეცნიერების განსაზღვრებების დახმარებით. nephesch ადამიანთან დაკავშირებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც შეგრძნებათა სამშვინველის შესაბამისი, ruach – განსაზღვრავს განსჯით სამშვინველს, ხოლო r'schamah – ცნობიერ სამშვინველს.

აქედან გამომდინარე, მთელი განვითარება საჭიროა წარმოვიდგინოთ, როგორც ძალზე რთული პროცესი. საჭიროა ზენა სულიერ სფეროებში მომხდარ მოვლენად წარმოვიდგინოთ ყველაფერი, რაც განეკუთვნება თავად შესაქმის დღეებს და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ელოჰიმების ქმნილებას, სანამ ისინი იაჰვე-ელოჰიმამდე ამდღებოდნენ; მაშინ, როცა ის, რასაც ახლა შეგვიძლია, ფიზიკურად დაგვაკვირდეთ ადამიანების სამყაროში, გამოვლინდა მხოლოდ იაჰვე-ელოჰიმის ქმედების შემდეგ.

იმ ყველაფრის გაცნობიერებას და აღქმას, რასაც ბიბლიაში ვპოულობთ და ერთადერთია, რაც გვაძლევს ადამიანის ნამდვილი ბუნების გაგების საშუალებას და რასაც კვლავ გვიხსნის მხოლოდ ნათელმხილველური მზერა, ჯერ

კიდევ ფლობდნენ სხვადასხვა ადგილას ხელდასხმა მიღებული ბერძენი ფილოსოფოსები. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო პლატონი, მაგრამ ასევე თვით არისტოტელეც. ვინც გაცნო პლატონსა და არისტოტელეს, მან იცის, რომ არისტოტელე ჯერ კიდევ აცნობიერებს იმას, რომ ცოცხალ არსებად ადამიანი მხოლოდ უმაღლესი სულიერ-მშვენიერი წევრის წყალობით იქცა, მაშინ, როცა დაბალი არსებები ევოლუციის სხვა ეტაპებს გადაიოდნენ. არისტოტელეს ეს დაახლოებით ასე წარმოედგინა: ევოლუციის სხვა აქტების წყალობით დაბალი ცხოველური არსებები იქცნენ ისეთებად, როგორებიც ახლა არიან; იმ დროს, როცა მოქმედება შეეძლოთ ცხოველურში მოქმედ ძალებს, ჯერ არ შეიძლებოდა მიწიერი და სხეულებრივი გამხდარიყო ადამიანური სულიერ-მშვენიერი არსება, რომელიც ჯერაც ზენა სფეროებში იმყოფებოდა. მაშინ ის დარჩებოდა დაბალ ცხოველურ საფეხურზე. ადამიანური არსება უნდა დალოდებოდა. და დაბალ ცხოველურ საფეხურებს უნდა წართმეოდათ თავისი დამოუკიდებლობა ადამიანური წევრის ჩანერგვის შედეგად. ამისთვის არსებობს კიდევ ერთი გამოთქმა, რომელსაც იყენებს არისტოტელე – *phtheiresthai**; არისტოტელე ამ გამოთქმას იყენებს იმ თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება დაახლოებით ასე გადმოიცეს: ცხადია, გარეგნული თვალსაზრისით ადამიანს გააჩნია იგივე ფუნქციები, რაც ასევე ცხოველურ ბუნებას გარეგნულ სხეულებრიობასთან მიმართებით, მაგრამ ცხოველურ ბუნებაში ისინი მოქმედებენ დამოუკიდებლად; ადამიანში კი ისინი ჩამოგდებული არიან საკუთარი დამოუკიდებლობის ტახტიდან და საჭიროა უზენაეს პრინციპს მისდიონ. ეს ნიშნავს *phtheiresthai*-ს.

სწორედ ეს უდევს საფუძვლად სამყაროს შექმნის ბიბლიურ ისტორიას. *n'schamah*-ის აღბეჭდვის წყალობით დაბალი წევრები თავიანთი დამოუკიდებლობის ტახტიდან ჩამოაგდეს. ამრიგად, საკუთარი მეობის მატარებლის მიღებით ადამიანმა უმაღლესი წევრი მოიპოვა. ამის შედეგად ის ბუნებაც, რომელიც მას ადრე გააჩნდა, თითქოსდა ერთი საფეხურით, ქვედა მიმართულებით დიფერენცირდა. მან მიიღო გარეგნული სხეულებრივი წევრი და შინაგანი, უფრო ეთერული წევრი; ერთი უფრო ნატიფი ხდება, მეორე კი მკვრივდება. ადამიანის შემთხვევაში მთელი ევოლუციის

სქემა მეორდება. ჩვენ ვნახეთ, როგორ გამკვირვდა სიტბო ჰაერში და ნატიფი გახდა სინათლეში, შემდეგ კი ჰაერი გამკვირვდა წყალში და უფრო ნატიფად იქცა ბგერით ეთერში და ა. შ. იგივე პროცესი ადამიანთან ხორციელდება უმაღლეს საფეხურებზე. მამაკაცურ-ქალური შემდგომში დიფერენცირდება მამაკაცში და ქალში, დიფერენცირება ხდება ისეთი სახით, რომ უფრო მყარი ფიზიკური სხეულებრიობა მიმართულია გარეთ, ხოლო უფრო ნატიფი, ეთერული სხეულებრიობა უხილავად მიმართულია შიგნით. ამით ჩვენ მივუთითეთ ისეთ რამეზე, რაც წარმოადგენს განვითარებას ელოჰიმების ქმნილებიდან იაჰვე-ელოჰიმის ქმნილებამდე. მაშასადამე, ადამიანი თავისი ამჟამინდელი სახით იაჰვე-ელოჰიმის ქმნილებაა. რასაც შესაქმის მეექვსე დღეს ვუწოდებთ, დროის მიხედვით ემთხვევა ჩვენს ლემურიულ პერიოდს, რომელთან მიმართებით შეგვიძლია ვისაუბროთ მამაკაცურ-ქალურ ადამიანზე.

თუმცა ბიბლიაში ასევე საუბარია შესაქმის მეშვიდე დღეზეც, რომ ელოჰიმების მუშაობა სიმშვიდით შეიცვალა. არსებითად, ეს რას ნიშნავს? მაინც როგორ უნდა გავიგოთ ეს მომდევნო უწყება? ამის აზრს სულისმეცნიერების თვალსაზრისით სწორად მხოლოდ მაშინ განვიხილავთ, როცა გავარკვევთ, რომ სწორედ ამ მომენტში დგება ელოჰიმებისთვის აღმასვლის მომენტი, მათი იაჰვე-ელოჰიმში გადასვლის მომენტი. მაგრამ ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ იაჰვე-ელოჰიმი, როგორც ელოჰიმების ჩამყლაპველი; ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ ელოჰიმებმა თითქოსდა საკუთარი არსების რაღაც ნაწილი გადასცეს მთვარის არსებას და შეინარჩუნეს ის, რაც არ იყო საკუთარი არსების ამ მოცემული ნაწილის შიგნით და ამრიგად, საკუთარი არსების ამ უძველეს წევრში ისინი გადიოდნენ თავის საკუთარ შემდგომ ევოლუციას. ეს ნიშნავს, რომ მათი მუშაობა, ამ წევრთან მიმართებით, მეტად აღარ იღვრება ადამიანის ჩამოყალიბებაში. ისინი აგრძელებენ ადამიანის ჩამოყალიბებაზე მოქმედებას საკუთარი არსების იმ ნაწილით, რომელიც მათში იაჰვე-ელოჰიმად იქცა. დანარჩენი კი საკუთრივ დედამიწაზე უკვე აღარ მოქმედებს; ის ეძღვნება უშუალოდ ევოლუციას. ასეთია „Ruhen“, დასვენების მნიშვნელობა, –

Sabbath, შაბათი დღე, – მიწიერი მუშაობისაგან, შესაქმის ე. წ. მეშვიდე დღეს.

ასლა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ კიდევ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი. ყოველივე, ჩემ მიერ ნათქვამი თუ სწორია, მაშინ ადამიანი, რომელზეც იაჰვემ თავისი საკუთარი არსი აღბეჭდა, საჭიროა განვიხილოთ, როგორც პირდაპირი შთამომავალი იმ, თითქოსდა, უფრო ეთერული, უფრო პლასტიკური ადამიანისა, რომელიც შესაქმის მეექვსე დღეს შეიქმნა. ამრიგად, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ხაზი, რომელიც წარმართავს იმ ადამიანიდან, რომელიც ჯერ კიდევ მამაკაცურ-ქალური, უფრო ეთერული იყო – ფიზიკური ადამიანისკენ. ფიზიკური ადამიანი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ეთერული ადამიანის გამყარებული მდგომარეობის შთამომავალს. ამრიგად, თუ გვსურს ადამიანი იაჰვეს აღწერა, რომელიც გადადის ატლანტიდაში, საჭიროა ითქვას: „და ადამიანი, რომელიც ელოჰიმებმა შექმნეს შესაქმის ე. წ. მეექვსე დღეს, განვითარებას აგრძელებს ერთსქესიან ადამიანში, ადამიან-იაჰვეში“. მაშასადამე, შესაქმის შვიდი დღის შემდეგ შობილნი წარმოადგენენ ადამიანი-ელოჰიმების შთამომავლებს, იმის შთამომავლებს, რაც საერთოდ შემოვიდა ყოფიერებაში შესაქმის ექვსი დღის განმავლობაში. და ჭეშმარიტად, ბიბლია კვლავ წარმოაჩენს თავის სიდიადეს, როცა მეორე თავში გვიყვება, რომ ნამდვილად ადამიანი-იაჰვე არის შთამომავალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეციური ადამიანისა, რაც შეიქმნა ელოჰიმების მიერ შესაქმის მეექვსე დღეს. მსგავსად იმისა, როგორც ძე არის შთამომავალი მამისა, ზუსტად ასევე ადამიანი-იაჰვე არის ადამიანი-ელოჰიმების შთამომავალი. ამას ჩვენ გვიყვება ბიბლია, სადაც მეორე თავის მეოთხე ლექსში ნათქვამია: ისინი, ვინც შემდეგ მოყვება, იქნებიან შთამომავლები, ზეციური არსებების მომდევნო ტომები.

სწორედ ასეა იქ ნათქვამი. აღიქვით ბიბლია ისე, როგორც მას დღეს ჩვეულებრივ აღიქვამენ და მასში იპოვით გასაოცარ წინადადებას: „ეს არის ცისა და მიწის წარმოქმნაზე, მათ შექმნაზე იმ დღეებში, როცა უფალმა ღმერთმა შექმნა მიწა და ცა“. ჩვეულებრივ ელოჰიმების ერთობლიობას უწოდებენ „ღმერთს“, ხოლო იაჰვე-ელო-

ჰიმს – „უფალ ღმერთს“. „უფალმა ღმერთმა შექმნა მიწა და ცა“. მე დაბეჯითებით გთხოვთ ყურადღებით დაფიქრდეთ ამ გამოთქმაზე და შემდეგ კეთილსინდისიერად შეეცადოთ, დააკავშიროთ მასთან რაიმე აზრი. მე მინდა ვიცოდეთ, ეს ვის შეუძლია? ვისაც ეს შეუძლია, მან არ უნდა გადახედოს ბიბლიის სხვა ადგილებს, ვინაიდან აქ დგას სწორედ სიტყვა „tol'dot“, რაც ნიშნავს „მომდევნო მოდგმა“, რომელიც გამოყენებულია იმავე აზრით, როგორც სხვა ადგილას, როცა საუბარია მომდევნო მოდგმაზე *ნოესთან მიმართებით**. ამრიგად, აქ საუბარია იაჰვეს ადამიანებზე, როგორც მოდგმაზე, რომლებიც ზეციურ არსებობა მეშვედრეებია იმავე აზრით, როგორც სხვა ადგილას არის საუბარი ნოეს შთამომავლებზე. ამიტომ, ამ ადგილის წაკითხვა საჭიროა, დაახლოებით ასეთი აზრით: „ის, რაც ამას მოსდევს და რაზეც საუბარი იქნება მომდევნო გადმოცემაში – ისინი არიან ელოჰიმების მიერ შექმნილი და შემდგომში იაჰვე-ელოჰიმების მიერ გარდაქმნილი შთამომავლები ცისა და მიწის არსებებისა“.

მაშასადამე, ბიბლიის თანახმად ადამიანი-იაჰვე საჭიროა განვიხილოთ, როგორც ელოჰიმების ადამიანის შთამომავალი. ვინც დაუინებოთ მოითხოვს, დაეყრდნონ ვარაუდს, იმასთან დაკავშირებით, რაც ეხება საუბარს იმაზე, რომ „უფალმა ღმერთმა შექმნა ადამიანები“, თითქოს აქ საქმე გვაქვს სამყაროს შექმნის მეორე აღწერასთან, მე ვურჩევდი ზუსტად ასევე ერთ თავსაც – მეხუთეს, რომელიც ჩვეულებრივ იწყება სიტყვებით „ეს არის წიგნი მოდგმისა“, – სხვა ადგილების მსგავსად აქაც წერია სწორედ სიტყვა „tol'dot“, – რათა მიიღოს უკვე სრულიად ცისარტყელას ბიბლია და გააკეთოს სამყაროს შექმნის კიდევ მესამე აღწერა. მაშინ თქვენ ყველაფერს შეადგენთ ბიბლიის ცალკეული ნაგლეჯებისგან. იქნება ცალკეული ნაგლეჯები, მაგრამ უკვე აღარ იქნება ბიბლია. ჩვენ თუ წინ წავიწვეთ ჩვენი განხილვებით, მაშინ იმის ახსნაც შეგვიძლია, რაზეც საუბარია მეხუთე თავში.

ამრიგად, როცა ამ მოვლენებს განვიხილავთ ნამდვილად შინაგანი თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ აქ შესაქმნის, სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია სრულად შეესაბამება იმას, რაც შეგვიძლია სულისმეცნიერების, ან

იდუმალთმეტყველების დახმარებით დავადგინოთ. აქედან გამომდინარე საჭიროა ვკითხოთ საკუთარ თავს: არსებობდა, რა იგულისხმება იმ მეტ-ნაკლებად ხატოვანი გამოთქმების ქვეშ, რომლებიც გამოყენებულია ბიბლიაში? მაინც რას წარმოადგენს ამ უწყების ობიექტები? ამისთვის საჭიროა, ჩავწვდეთ იმას, რომ იქ ვიპოვიოთ იგივეს, რაც ნათელმხილველური კვლევის მეშვეობით გვეხსნება! ახლა, როგორც უმზერს ნათელმხილველური მზერა ზეგრძნობადში ჩვენი მიწიერი ყოფიერების წარმოშობას, ასევე იმზირებოდნენ ზეგრძნობადში ისინიც, რომლებმაც ბიბლიური უწყება თავდაპირველი ფორმით შექმნეს. ნათელმხილველურად სწვდებოდნენ ფაქტებს, რომლებიც აქ თავდაპირველ ფორმაში გვეუწყა. ამრიგად, როცა უხსოვარ დროდ სახელდებულს აღადგენენ წმინდა ფიზიკური შეხედულების სულისკვეთებით, მაშინ ორიენტირებენ გარეგნული სახით ნაპოვნი ნაშთებით. როცა წარსულში მიმართავენ დროში სულ უფრო დაცილებულ ფიზიკური სამყაროს მოვლენებს, მაშინ ფიზიკური სურათ-ხატები სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, მაგრამ ამ ბუნდოვანებაში მეფობენ და ქსოვენ სულიერი არსებები. თავად ადამიანიც თავის სულიერ საწყისთან მიმართებით თავიდან ამ წინარე არსებების შიგნით იყო დავანებული. ჩვენ თუ ვაკრძელებთ მიწიერი ყოფიერების კვლევებს თვით იმ დრომდე, რასაც გულისხმობს გენეზისი, მაშინ მიწიერი ყოფიერება, ასე ვთქვათ, გადავა თავის თავდაპირველ სულიერ მდგომარეობებში. შესაქმის დღეების ქვეშ იგულისხმება დედამიწის ჩამოყალიბების სულიერი მდგომარეობები, რომელიც მხოლოდ ნათელმხილველური კვლევით მიიღწევა და საუბარია იმაზე, რომ ფიზიკური თანდათანობით განვითარდეს სულიერისგან.

ნათელმხილველურ მზერას ეს ჩამოყალიბება წარმოუდგება შემდეგნაირად; როცა ის იკვლევს შესაქმის მიერ აღწერილ მოვლენებს, იგი, უპირველეს ყოვლისა, ხედავს სულიერ პროცესებს. ყოველივე, რაც იქ არის აღწერილი, სულიერი პროცესების სახით წარმოგვიდგება. ფიზიკური თვალევი ვერაფერს, საერთოდ ვერაფერს დაინახავდა, ის გაიხედავდა არარაში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, დრო წინ ისწრაფვის. თანდათანობით ნათელმხილველური დაკვირვებ-

ბისთვის სულიერიდან გამოკრისტალება მყარი, მსგავსად იმისა, როგორც ყინული წარმოიქმნება წყლისგან და მყარდება. ასტრალურისა და დევახანურის მღელვარე ზღვისგან ამოტივტივდება ის, რაც ამიერიდან შეიძლება ფიზიკურად ხილული იყოს. შემდგომი კვლევის მსვლელობის დროს იმ სურათის შიგნით, რომელიც თავდაპირველად ხილული იყო მხოლოდ სულიერად, ფიზიკური ვლინდება თითქოსდა სულიერში კრისტალიზებით. აქედან ნათელია, რომ ადამიანსაც არ შეეძლო ადრეულ პერიოდებში ფიზიკური თვალისთვის ხილული ყოფილიყო. შესაქმის თვითმექვსე, მეშვიდე დღემდე, – ანუ თითქმის ჩვენს ლემურიულ ეპოქამდე, – ფიზიკურ თვალს არ შეეძლო ადამიანის დანახვა, ვინაიდან მაშინ ის მხოლოდ სულიერი სახით არსებობდა. სწორედ ეს წარმოადგენს უდიდეს განსხვავებას ჭეშმარიტ ევოლუციურ მოძღვრებასა და გამოგონილს შორის. ამ უკანასკნელს სჯერა, რომ არსებობს მხოლოდ ფიზიკური ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ ადამიანი ისე არ წარმოქმნილა, თითქოს დაბალგანვითარებული არსებები გაიზარდნენ ადამიანურ ხატამდე. ეს არის ყველაზე ფანტასტიკური, რაც კი შეიძლება, წარმოიდგინო, თითქოს ცხოველური ფორმა გარდაიქმნება ადამიანის უმაღლეს ფორმაში. იმ დროს, როცა წარმოიქმნებოდა ეს ცხოველური ფორმები და აქ დაბლა ავითარებდნენ თავიანთ ფიზიკურ საწყისს, ადამიანი უკვე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ოღონდ ის გაცილებით გვიან გამოდის და უერთდება ადრე ჩამოსულ ცხოველურ არსებებს. ვისაც არ შეუძლია ევოლუციის ასე განხილვა, მას უბრალოდ ვერ დაეხმარები, ვინაიდან ის იმყოფება თანამედროვე ცნებების ჰიპნოზის ქვეშ, არა საბუნებისმეტყველო ფაქტების გაგენის, არამედ თანამედროვე მოსაზრებების ჰიპნოზის ქვეშ.

როცა სურთ ადამიანის განვითარების დახასიათება მთელ დანარჩენ ჩამოყალიბებასთან კავშირში, საჭიროა ვთქვათ: ევოლუციური განვითარების რიგში ჩვენ გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ფრინველების და ზღვის ცხოველების წარმოქმნა, როგორც ორი შტოსი; შემდეგ მიწის ცხოველების ცალკე შტოს სახით. ერთი შეესაბამება შესაქმის ე. წ. მეხუთე დღეს, მეორე კი – მეექვსეს. სწორედ ამის შემდეგ ჩნდება ადამიანი, მაგრამ არა, როგორც ამ

ხაზის, ამ რიგის გაგრძელება, არამედ დედამიწაზე გადმოსვლის შედეგად. ასეთია ჭეშმარიტი ევოლუციური მოძღვრება. ის ბიბლიაში გადმოცემულია უფრო ზუსტად, ვიდრე ნებისმიერ თანამედროვე წიგნში, რომელიც მატერიალისტური ფანტასტიკის გავლენის ქვეშაა.

* * *

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, – ეს არის მხოლოდ ცალკეული შენიშვნები. ციკლის ბოლო ლექციაში ყოველთვის ვაკეთებთ დამატებით შენიშვნებს. ვინაიდან მსგავსი თემის ყოველმხრივ სათანადოდ გაშუქებისას შეიძლება თვეების განმავლობაში ილაპარაკო, ვინაიდან გენეზისი წარმოუდგენლად ბევრს შეიცავს. ჩვენს ციკლებს შეუძლია ყოველთვის განიხილოს მხოლოდ ცალკეული მომენტები, ცალკეული აზრები. ამ შემთხვევაში მეც მხოლოდ ამისკენ ვისწრაფოდი. მსურს კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ჩემთვის არ იყო იოლი სწორედ ლექციების ამ კურსის დაწყება, ვინაიდან ვინც ამ ყველაფერს ისმენს, მისთვის არაა იოლი, წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, რამდენად რთულია გზა, რომელსაც მიჰყავს შესაქმის ბიბლიური ისტორიის ამ ღრმა საფუძვლებისკენ; და რამდენად რთულია ადრე გახსნილი სულისმცოდნეობის ფაქტებისთვის პარალელების პოვნა შესაბამის ბიბლიურ ადგილებთან. როცა ამ მიმართულებით კეთილსინდისიერად მიდიან წინ, ეს ძალზე რთული სამუშაო ხდება. ხშირად ფიქრობენ, რომ ნათელმხილველური მზერა ყველგან იოლად აღწევს. ისე ჩანს, თითქოს საკმარისია, მხოლოდ შეხედო და ყველაფერი თავისთავად გაიხსნება. დიას, ვინც ნაივურად ეკიდება მოვლენებს, ფიქრობს, რომ შესაძლებელია ყველაფრის იოლად ახსნა. მაგრამ რაც უფრო ღრმად იჭრებიან, – ამას ადგილი აქვს თვით გარეგნულ კვლევებშიც, – მით მეტად წარმოიქმნება სირთულეები; მაგრამ როცა გამოდიან ფიზიკურის ფარგლებს გარეთ და შეაბიჯებენ ნათელმხილველურ კვლევაში, მხოლოდ მაშინ ჩნდება ნამდვილი სირთულეები და წარმოიქმნება უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობა, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყველას, ვინც შეეცდება, თუნდაც ოდნავ მაინც შეხედოს ასეთ მოვლენებს. მიუხედავად ამისა, მგო-

ნია, რომ ამ ციკლში მე არ გამომიყენებია არც ერთი სიტყვა, რაზეც ვერ ვიტყვოდი: ის შეიძლება დარჩეს და რამდენადაც ეს შესაძლებელია, იგი ადეკვატურად გამოხატავს გერმანულ ენაზე იმას, რასაც შეუძლია სწორ გაგებადღე მიყვანა. მაგრამ ეს არც ისე მარტივი იყო.

როგორც ხედავთ, გაჩნდა სურვილი, ამ ციკლის დასაწყისში ან დასასრულს, გვეთხოვა ჩვენი მეგობარი ბატონი *ზეილინგისთვის** ისეთივე ხელოვნებით, რომელიც შეგედლოთ გუშინ გვერძნოთ მის ლექციაში, მას წაკითხა შესაქმის შვიდი დღის ტექსტი. მაგრამ დამეთანხმებით, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი ტექსტების წაკითხვა, მას შემდეგ, რაც სწორედ ამ ციკლში იყო მცდელობა უფრო ზუსტ გამოხატულებებში გადმოგვეცა ის, რაც არსებითად, ნათქვამია გენეზისში. და გაჩნდა სუსტი იმედი, რომ იქნებ დღეს, დასასრულს, წაკითხულიყო თარგმანი, რომელიც სულიერი კვლევის საფუძველზე იქნებოდა გაკეთებული. მაგრამ ბოლო დღეებში უამრავი აუდიენციის ფონზე შეუძლებელი გახდა რაიმე მცდელობაც კი, გაკეთებულიყო *გენეზისის თარგმანი**, რომელიც რეციტაციისთვის გამოდგებოდა. შეუძლებელი იყო ამ სამუშაოსთვის ხელის მოკიდება სათანადო კეთილსინდისიერებით, მაგრამ მე შევეცდები ამის გაკეთებას მოგვიანებით. დასაწყისისთვის დაგკმაყოფილდეთ იმ იმპულსებით, რომლებიც შეიძლება ამ ციკლიდან მოდიოდეს. ვინაიდან, მე შემიძლია, დაგარწმუნოთ: ნამდვილი თარგმანი მე მიმაჩნია სამუშაოდ, რომელიც მოითხოვს, შესაძლოა, ასჯერ უფრო მეტ სულიერ ძალას, ვიდრე ის, რისი დახარჯვაც საჭირო იყო, დაწყებული პირველი მომენტიდან, როცა წარმოიქმნა ჩვენი როზენკროიცერული მისტერიის ჩანასახი, თვით უკანასკნელამდე, როცა ის შესრულდა. ვინც იცნობს ამ სირთულეებს, აღიარებს, რომ ბიბლიის სწორი ტექსტის აღდგენა ასჯერ უფრო რთულია, ვიდრე ის არც თუ იოლი მოვლენები, რომლის განხორციელებასაც ჩვენს როზენკროიცერულ მისტერიაში ვცდილობდით. სირთულეები სწორედ მაშინ მატულობს, როცა წინ მიიწევენ იმის გაგებაში, რაც მოგვეცა სამყაროს უდიდესი გამოცხადებების სახით და კარგია, რომ ამ ფაქტს ვეცნობით. ვინაიდან სწორედ იმის წყალობით, რომ ვსწავ-

ლობთ ამ სირთულეების დანახვას და შეცნობას, ჩვენ სულ უფრო მეტად და მეტად მივიწვევთ წინ ანთროპოსოფიული პრინციპების სწორად გაგებისკენ.

ანთროპოსოფიამ თავისი გული უნდა გახსნას ყველას წინაშე და უნდა იმოქმედოს ერთდროულად, რათა შესრულდეს ანთროპოსოფიული სამუშაო. ამიტომ მუშაობის განსაზღვრული მეთოდებით წინსვლისას საჭიროა განვიხილოთ სხვა მეთოდები, როგორც ისეთი რამ, რასაც ჩვენთან არანაირი კავშირი არა აქვს. ჩვენი დროის განვითარება და სულიერი ევოლუცია ითხოვს მრავალფეროვან გზებს, რომელთაც მიჰყავთ იმ დიადი მიზნისკენ, რაც ჩვენ ყველას გვაქვს მხედველობაში. თუ მე, ჩემს სარბიელზე, მმართველს, გამოვიდე თქვენ წინაშე მხოლოდ ეზოთერიული მუშაობის სფეროში, მაშინ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგოთ ისე, თითქოს მე გამოვრიცხავ მუშაობის სხვა მეთოდებს. მე ეს უნდა შემეხსენებინა სწორედ ამ ციკლის დასასრულს, რომელმაც ეზოთერიზმის დახმარებით თქვენ შეგიყვანათ ანთროპოსოფიული კვლევის ასეთ მაღალ სფეროებში. ამიტომ მე შემიძლია სწორედ აქედან გამომდინარე, მიგითითოთ იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, თუ თქვენ ყველა მხრიდან მიიღებდით დახმარებას ანთროპოსოფიული მსოფლმხედველობისთვის, ასევე თუკი იმასაც გაეცნობოდით, რაც სხვა მეთოდებიდან გამომდინარე ემხრობა ჩვენს ეზოთერიკას. ამიტომაც მე მსურს, მიგანიშნოთ ერთ მაღლიან წიგნზე, რომელიც დაწერა ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა ბატონმა *ლუდვიგ დეინჰარდმა**, სადაც ბრწყინვალედ არის შედარებული სხვადასხვა მეთოდისგან მომდინარე კვლევები და ეს წიგნი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ამ სფეროში ის იყოს, ასე ვთქვათ, მრავალმხრივი. და რამდენადაც ამ წიგნში ეძიებდნენ და წარმოდგენილი იყო მშვენიერი ჰარმონიული კავშირი სწორედ ჩვენნაირ ეზოთერიზმთან, ამიტომ ჩვენთვის, ანთროპოსოფებისთვის, ეს ნაწარმოები შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. თქვენ იქ იპოვით ბევრ რამეს, რაც ანთროპოსოფიის გზაზე თქვენთვის შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს.

მე შემიძლო ბევრ სხვა რამეზეც გამემახვილებინა ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, მსურს, მიგითითოთ იმ

თანხმლებზე, რაც გვხვდება თითქოსდა საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისას განსაკუთრებით ამ ლექციებში: იმის აუცილებლობაზე, რომ ანთროპოსოფიული სწავლება ჩვენს გულებსა და გრძნობებში იქცა ისეთ რამედ, რასაც ნამდვილად მიყვაროთ ჩვენი შინაგანი ცხოვრების მთელი ენერგიით სულ უფრო ზევით და ზევით, გრძნობების სულ უფრო მაღალი ფორმისკენ, გახსნილი გულით სამყაროს აღქმისკენ. მხოლოდ მაშინ, როცა ინტელექტის, მორალისა და გრძნობის სფეროში ვიქნებით საუკეთესო ადამიანები, ჩვენ ჩავდებით სასინჯ ქვას იმის ნაყოფიერებისთვის, რაც შეიძლება ჩვენში შემოვიდეს ანთროპოსოფიის სფეროში. ამრიგად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ განსაკუთრებით ნაყოფიერი შეიძლება იყოს სწორედ ის სწავლება, რომელიც გვაჩვენებს ჩვენი სულიმეცნიერული კვლევის პარალელებს ბიბლიასთან. ვინაიდან სწორედ ამ სწავლების წყალობით ვიგებთ, თავად როგორ ვფუძნდებით (urgründen), წარვდგებით (urständen), – როგორც *იაკობ ბიომე** იტყოდა, – იმ ზეგრძნობად სულიერ წიაღში, სადაც აქვთ თავისი ფესვები, თავისი დასაბამისეული თავად ელოჰიმებს, რომლებიც თავის განვითარებაში ამაღლდნენ იაჰვე-ელოჰიმისკენ, განვითარების ამ უფრო მაღალი ფორმისკენ, რათა ხორცი შეესხათ თავიანთი შემოქმედების იმ დიადი მიზნისთვის, რასაც ჩვენ ადამიანს ვუწოდებთ. მოდით, ჩვენს ამ წარმოქმნას მოგვაყრათ აუცილებელი მოწიწებით, ასევე პასუხისმგებლობის აუცილებელი გრძნობით! ელოჰიმები თავისი საუკეთესო ძალებით შეუდგნენ ჩვენს ევოლუციას, თავისი საუკეთესო ძალებით შეუდგა მას იაჰვე-ელოჰიმიც; შევხედოთ ჩვენს ამ დასაბამისეულ წარმოშობას, როგორც ჩვენს ვაღს საკუთარი ადამიანური ნატურის წინაშე, რათა სულ უფრო მეტად აღვიქვათ ის სულიერი ძალები, რომლებიც მომდევნო ევოლუციის მსვლელობისას მიწიერ ყოფიერებაში შემოდისდნენ.

ჩვენ ვისაუბრეთ ლუციფერის გავლენაზე. ამ ლუციფერული გავლენის გამო იმ სულიერების წიაღში, სადაც ადამიანიც იქმნებოდა, დარჩა რაღაც, რაც გვიანდელ ეპოქაში კვლავ გამოვიდა იესო ნაზარეტელის სხეულში ქრისტეს განსხეულების წყალობით. მას შემდეგ მიწიერ ყოფიერებაში ქრისტე მოქმედებს, როგორც სხვა ღვთაებ-

რივი პრინციპი. და გენეზისის უდიდესი ჭეშმარიტებების შეხედვა ჩვენ გვავალდებულებს სულ უფრო მეტად მივიღოთ ჩვენს საკუთარ არსში ქრისტეს ეს სულიერი არსება. ვინაიდან ჩვენ მხოლოდ იმის წყალობით აღვასრულეთ ჩვენს ადამიანურ ამოცანას სრულად, თუ განვიმსჭვალებით ქრისტეს ამ პრინციპით; ჩვენ მხოლოდ ასე გავხდებით დედამიწაზე ის, რისი ჩანასახიც უკვე არსებობდა ჩვენში იმ დროებში, რომელსაც ბიბლიური თხრობა გულისხმობს გენეზისში.

ამრიგად, რამდენიმე მსგავს კურსს შეუძლია, მიგვიყვანოს არა მარტო იმასთან, რომ ჩვენ ვიღებთ ამა თუ იმ სწავლებას, არამედ იმასთან, რომ ჩვენს სამშენველში წარმოიქმნება ძალები. დაე, ჩვენში შემდგომშიც იმოქმედოს ამ ძალებმა, ამ სწავლებებმა, რომლებიც ჩაიღვარა ჩვენში გენეზისის უფრო სიდრმისეული განხილვიდან, თუნდაც კვლავ დაგვაიწყდეს ბევრი წვრილმანი. ალბათ ასეც უნდა ითქვას ამ დღეების დასრულებისას, რომლის წყალობითაც კვლავ გვინდოდა ჩართვა ანთროპოსოფიული ცხოვრების ნაკადში: შევეცადოთ ამ სწავლებიდან თან წავიდოთ ის ძალები, რომლებიც შეიძლება მათგან მოდიოდეს. გავიტანოთ ის გარეთ და იქ ამ ძალების მოქმედებით საკუთარი ცხოვრება უფრო ნაყოფიერად ვაქციოთ! და რაც არ უნდა გავაკეთოთ, ყოფიერების რომელ სფეროშიც არ უნდა იყოს ეს, მსოფლიოს რომელ სარბიელზეც არ უნდა ვიმუშაოთ, ამ ძალებს შეუძლია ჩვენი შემოქმედებისა და მუშაობის არა მარტო განაყოფიერება, გააქტიურება, არამედ სიცოცხლის ხალისისა და სიცოცხლის სიყვარულის გაძლიერება. ადამიანური ყოფიერების დიადი წარმოქმნის ჭეშმარიტი აზრის გაგებით ვერავინ შეძლებს შემდგომ ყოფიერებაში შესვლას, თუ არ მიიღებს ამ მოძღვრებას, როგორც სიცოცხლის ხალისისა და სიცოცხლის სიყვარულის იმპულსს. თქვენ თუ აპირებთ შეუდგეთ საყვარელ საქმეებს, დაე, თქვენს თვალებში ანათებდეს ჭეშმარიტება ადამიანის დიად, მძლავრ წარმოშობასა და დიად დანიშნულებაზე, მაშინ ამ სახით ყველაზე უკეთ გამოავლენთ იმას, რასაც ანთროპოსოფიული სწავლება წარმოადგენს. ეს ანთროპოსოფიული სწავლება გამართლდება საქმით, როცა გარემომცველ ადამიანებს

აღაფრთოვანებს, როცა გაახარებს, გამოაცოცხლებს და გააჯანსაღებს ჩვენს საკუთარ სულიერებას, ჩვენს საკუთარ სამშენებელს, ჩვენს საკუთარ სხეულებრიობას. ჩვენ უნდა გავხდეთ უკეთესები, უფრო ჯანსაღები, უფრო ძლიერი ადამიანები იმის წყალობით, რომ მივიღებთ ანთროპოსოფიულ სწავლებას. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმოქმედოს ლექციების ამგვარმა ციკლმა. ის უნდა იყოს მხოლოდ თესვები, რომლებიც ეფლობა მსმენელის სამშენებელში, განიფესვება გარეთაც, სამყაროში და თავისი ნაყოფები მოაქვს გარშემო მყოფთათვის. ამრიგად, ვტოვებთ რა ერთმანეთს ფიზიკურად, ჩვენ ვრჩებით სულში გაერთიანებულ ანთროპოსოფებად და ვესწრაფით ერთად მუშაობას, ცხოვრებაში ამ მოძღვრების განხორციელებით. მაშ, განვიმსჯვალოთ ამ სულით და დაე, ის ნუ შესუსტდება ჩვენში იმ მომენტამდე, როცა არა მარტო სულიერ სფეროში, არამედ ფიზიკურშიც ჩვენ ვნახავთ იმ სიტყვის განხორციელებას, რომელიც ამ შემთხვევაშიც მსურს, ბოლოს გითხრათ:

მომავალ შეხვედრამდე!

ლექციების ამ ციკლის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, – წიგნი გამოვიდა 1932 წელს, – მარია შტაინერმა სიტუაცია, რომელიც ამ ციკლის ამოსავალ წერტილად იქცა, ასე აღწერა:

„ლექციების ამ ციკლის, – ის რუდოლფ შტაინერმა წაიკითხა 1910 წელს და ეძღვნებოდა „შესაქმის ბიბლიური ისტორიის საიდუმლოებებს“, – გამოქვეყნებას წინ უძღოდა ორი წარმოდგენა მიუნხენის სცენაზე. 1909 წელს ედუარდ შიურეს „ლუციფერის შვილების“ უკვე დადგმული დრამის გამეორება და რუდოლფ შტაინერის როზენკროიციერული მისტერია „ხელდასხმის კარიბჭე“. ეს უკანასკნელი უშუალოდ არაა კავშირში ლექციების თემატიკასთან, როგორც ეს იყო წინა წელს, როცა სათაური აღნიშნული იყო „ადმოსავლეთი დასავლეთის ჭრილში. ლუციფერის შვილები და ქრისტეს ძმები“, მაგრამ გადატანილ დრამატულ მოქმედებასთან დაკავშირებული განწყობით და მასალების შინაარსით ბევრი რამ გვაბრუნებდა ლექციების ციკლისკენ, რომელიც მოყვა როზენკროიციერულ დრამას. ამიტომაც ვფიქრობ, არა მარტო მართებულია, არამედ ისტორიულად დასაბუთებულიც ციკლს წავუძღვაროთ შესავალი ლექცია, რომელიც გააერთიანებს ორივე ღონისძიებას, რაც წარმოქმნიდა პროლოგს შესაქმის განხილვისთვის და ამავე დროს შეეხებოდა დრამატულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც წარმოდგენილია სცენაზე, – ამის წყალობით ნათელი მოეფინება უამრავ შემეცნებით პრობლემას. ჩვენ მოგვყავს ეს ლექცია შემოკლებული სახით, პირადულის გამოტოვებით, სადაც არის მადლიერების სიტყვები თანამშრომლობისთვის და შრომითი წვლილის აღიარება – ახლა ეს წარსულის საქმეა, მაგრამ მომავლისთვის იმის შენარჩუნებით, რაც შეიძლება მისთვის იქცეს შემეცნების წყაროდ და ენერჯის სტიმულად.

საფუძველი: ლექციები რუდოლფ შტაინერმა წაიკითხა საკუთარი ინიციატივით და სტენოგრამა ჩაწერილია უცნობი მსმენელის მიერ. სტენოგრამის გაშიფვრის შემდეგ ხელნაწერის უფლებით ის პირველად გამოიცა 1911 წ. ყველა მომდევნო გამოცემა ეფუძნება ამ პირველ პუბლიკაციას.

ტომის სათაური ეკუთვნის რუდოლფ შტაინერს; შინაარსის სათაურები კი გამომცემლებს.

მესამე გამოცემიდან დაწყებული, შესავალი ლექციის ტექსტი მოყვანილია შემოკლების გარეშე, რამდენადაც ის უკვე ანთროპოსოფიული მოძრაობის ისტორიის ფრაგმენტია.

შენიშვნები რუდოლფ შტაინერის შრომებზე თხზულებების სრული კრებულიდან მითითებულია კატალოგის ნომრით.

ბმ . . .

7 *ანთროპოსოფიის*: ასევე სულისმეცნიერული: ჩვეულებრივ სტენოგრამაში წერია „თეოსოფიური“. რუდოლფ შტაინერის „სულიერი ცხოვრების გარდატეხის მომენტი“ წინასიტყვაობაში მარია შტაინერი წერს: „თავიდან რუდოლფ შტაინერი შეეცადა უძველესი სიტყვისთვის თეოსოფია თავისი ოდინდელი რესპექტაბელობა, დაფასება დაებრუნებინა, ვინაიდან დილეტანტური დამოკიდებულების გამო კომპრომიტირებული იყო. ამასთან შექმლო დაყრდნობოდა იაკობ ბიომეს და გვიანდელ გერმანელ მოაზროვნეებს. დისტანცირების აუცილებლობამ იმისგან, რამაც XX ს. დასაწყისში მოახდინა ამ ტერმინის უზურპაცია, იგი აიძულა თავისი დასავლურ-ქრისტიანული სულიერი ნაკადისთვის აერჩია სახელი „ანთროპოსოფია“ – ღრმად დასაბუთებული სახელი, ვინაიდან მოძრაობის ლაიტმოტივი გახლდათ სამყაროსა და სულის შემეცნება ადამიანის შემეცნების მეშვეობით. მაგრამ ყველაზე სშირად ის უბრალოდ იყენებდა გერმანულ სიტყვას „სულისმეცნიერება“.

8 *ლექციების წინა ციკლის*: „ადმოსავლეთი დასავლეთის ჭრილში. ლუციფერის შვილები და ქრისტეს ძმები“ GA 113.

„*ლუციფერის შვილები*“: ედუარდ შიურე, სტრასბურგი, 1841-1912. „*ლუციფერის შვილები*“: ედუარდ შიურეს დრამა მარია შტაინერის თარგმანით, გადმოცემული თავისუფალი სიტყვებით რუდოლფ შტაინერის მიერ (დორნახი, 1955).

წავიკითხე ლექცია: 1902 წლის აპრილის დასაწყისში „*მომაგლის*“ წრეში. სტენოგრამები არ შემონახულა.

„*უდიდესი ხელდასხმულები*“: ედუარდ შიურეს წიგნი, მარია შტაინერის თარგმანი, რუდოლფ შტაინერის წინასიტყვაობით.

13 *სოფია შტინდე*, 1853-1915, თავის მეგობარ პაულინა ფონ *კალკრაიტთან* (1856-1929) ერთად იყო ხელმძღვანელი მიუნჰენის მთავარი შტოსი, ხოლო 1907-1913 წლებში მთავარი ხელმძღვანელი მიუნჰენის საზეიმო წარმოდგენების; შემდგომში – სამშენებლო გაერთიანების თანადამფუძნებელი.

ლი და პირველი თავმჯდომარე (1911-1915); „მას უნდა ვუ-
მადლოდეთ, მიუნჰენში მუშაობის ორგანიზების გარდა, რუ-
დოლფ შტაინერის დრამა-მისტიკების სცენაზე დადგმის
განხორციელებას. ამას თან ერთვის ასევე სამშენებლო ჩა-
ნაფიქრების რეალიზაცია“. (მარია შტაინერი). შდრ. რუ-
დოლფ შტაინერის მიერ სოფია შტინდეს გარდაცვალების
შემდეგ წაკითხული ლექციები შტუტგარტში, 1915 წლის 22,
23, 24 ნოემბერს, ციკლში „პირველი მსოფლიო ომის სული-
ერ საფუძვლებზე“.

13 *მხატვრულ სურათში*: „ხელდასხმის კარიბჭე“. როზენ-
კროიცერული მისტიკრია. თხ. რუდოლფ შტაინერის დრამა-
მისტიკრიები, GA 14

22 *ადოლფ არენსონი*, 1855 ალტონა – 1936 კანშტატი.
მისი მუსიკა რუდოლფ შტაინერის ოთხი დრამა-მისტიკრის-
თვის ლეონ მურავიეფის (Leon Mouravieff) დამუშავებით
ფორტეპიანოსთვის გამოვიდა 1961 წ. გამომცემლობაში თა-
ვისუფალი სულიერი ცხოვრება. შტუტგარტი.

25 – გვ. 28-დან „B'RESCHIT...“

28 *ჩემს წიგნში*: „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, GA 13

32 *Bet*: ב, *Resch*: ר, *Schin*: ש.

41 *tohu wabohu* (ამბობენ - wawohu): וָהוּ וָהוּ

47 *Ruach elohim m'rachephet*: רֵּיַח אֱלֹהִים מְרַחֵף

47 *racheph*: רָחַף brüten, schweben

64 *რაკია*, *rakia*: רַקִּיָּא

72 *ლექციების ციკლი*: „ოკულტური ფიზიოლოგია“, GA 128

83 *დღე*: jom: יוֹם

85 *ქრისტიანიაში*: რუდოლფ შტაინერი: „ცალკეული
ხალხთა სამშენებლების მისია გერმანულ-სკანდინავიურ
მითოლოგიასთან კავშირში“, GA 121.

86 *ereb* (ამბობენ - erew): עֶרֶב, boker: בֹּקֶר

87 *ruach elohim*: רֵּיַח אֱלֹהִים

90 *გოეთეს მოძღვრებას ფერზე*: იხ. III ტომი, „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების“ კომენტარები რუდოლფ შტაინერის მიერ, კიურშნერის „გერმანულ ნაციონალურ ლიტერატურაში“ (1883-1895, ხუთ ტომად), GA I (a-e), ასევე რუდოლფ შტაინერი, ფერების არსი, GA 291.

96 *როზენკროიცერულ დრამაში*: „ხელდასხმის კარიბჭე“, 7 სურათი, რუდოლფ შტაინერის დრამა-მისტიკები. 101 *ლექციების კურსი ქრისტიანიაში*: იხ. შენიშვნა 85

Laj'Uah: I გამოცემაში(ციკლი XIV) წერია „Lille“, 1932 წლის გამოცემაში „Lilith“, ბიბლიის ებრაულ ტექსტში.

112 *გამკვრივდება დუკატში*: დრამა-მისტიკია: იხ. შენიშვნა 13

128 *სინათლის წყალობით და სინათლისთვის*: ფერზე სწავლების მონახაზის შესავალი. იხ. შენ. 90.

178 *გამოთქმა*: შესაქმის პირველი თავის 21 და 24 ლექსში: „ცოცხალი არსება“... – მეორე თავის მეშვიდე ლექსის ბოლოს: „და იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად“.... –

180. Phtheiresthai: (ბერძ.) . . . ლექციაში შეცდომით გადმოცემულია სიტყვით „sphairesta“.

183 *tol'dot*: תולדות

ნოესთან მიმართებით: X თავის დასაწყისში: „აი ნოეს ძეთა გენეალოგია“.

187 *ზელინგისთვის*: მაქსიმილიან გიუმბელ-ზეელინგი: 1879-1964, მსახიობი, დეკლამატორი. შტრადერის როლის შემსრულებელი რუდოლფ შტაინერის დრამა-მისტიკებში.

გენეზისის თარგმანი: შემდგომში გენეზისის თარგმნარ. შტაინერმა ვერ მოახერხა.

188 *ლუდვიგ დაინჰარდი*: „ადამიანის საიდუმლოება ფსიქოლოგიური კვლევის ჭრილში. შესავალი ოკულტიზმში. ბერლინი 1910.

189 *იაკობ ბიომე*: მისტიკოსი და ფილოსოფოსი. იხ. რუდოლფ შტაინერი, „მისტიკა“, GA 45

ასოციაცია „კობიტო“ გამოსაცემად ამზადებს:

რულოლუ შტაინერი

ანთროპოსოფია. ფრაგმენტი 1910წ.

ამ დაუმთავრებელი თხზულებით რულოლუ შტაინერს განზრახული ჰქონდა ანთროპოსოფიული კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოედგინა სწავლება ადამიანის გრძნობებზე.

GA 45

რულოლუ შტაინერი

„ისტორიული სიმპტომატოლოგია“

GA 185

რულოლუ შტაინერი

„კარმის გამოცხადებები“

G 120

* * *

დაბეჭდილია

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ - სტამბაში.

ძმები უბილაეების 8